بسم الله الرحمن الرحيم

რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა -802
სახალხო წიგნები -185
სიბრძნის სერია - 2
გამომცემლობის დირექტორი
დრ. ფათიჰ ქურთი
გამომცემლობის კოორდინატორი
ფარუქ გორგულუ
გამომცემელი
პროფ. ჰურიე მართი
საბოლოო რედაქტირება
იუსუფ თურქერი
რედაქტორი
მეჰმეთ ალი სოი
გრაფიკა და დიზაინი
ემრე ილდიზი
ბეჭდვა
აქთაშ ოფსეთის გამომცემლობა
0312 341 56 26
რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება: 24.06.2004/99
ისბნ
2018-34-წ-0003-626
ისბნ: 978-975-19-3602-8
სერთიფიკატის ნომერი: 12931
თ.რ. რელიგიის საქმეთა სამინისტრო
კომუნიკაცია
რელიგიური გამომცემლობის გენერალური სამმართველო
ბეჭდვური გამომცემლობის სახელმწიფო სამმართველო
უნივერსიტელერი. დუმლუფინარის ბულვარი
ნომერი: 147/1. 06800. ჩანქაია/ ანკარა
ტელ: 0312 295 72 93-94 ფაქსი: 0312 284 72 88
ელ-ფოსტა: diniyayinlar@diyanet.gov.tr

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18 muslim.georgia.54
georgiaquran muslim_georgia
muslimgeorgiaquran muslimgeorgia

მარხვის არსი

პროფ. დოქ. სონერ გუნდუზოზი

ანკარა 2021

სარჩევი

მარხვის არსი 3

წარდგენა 7

წინასიტყვაობა 9

მსვლელობა ჰირას მთისკენ
მარხვის არსის მიმოხილვა... 21

ა. ჩემი სახელია ჰირა 22

ბ. ანარეკლები ანგლოზთა სამყაროდან 24

გ. მოთმინება: დედამიწის პასუხი ზეცას 29

მარხვის ჰორიზონტებში ფრთების გაშლა 37

ა. რამადანი; მოწყალებითა და მოთმინებით
შემკული დროის მონაკვეთი 38

ბ. მარხვის პირობები 56

გ. მარხვა სხვა დროებში 81

მარხვის სიბრძნის სიღრმისეული გაგება 93

ა. მარხული სულები და ყურანი 94

ბ. მარხულის ერთ-ერთი
სასიხარულო მომენტი: იფთარი 103

გ.. რამადანის ღამეები	109
დ.. სამთვეული და დროის სარტყელში მოქცეული მადლმოსილი პერიოდები	120
ე.. ყადირის ღამე	123
ზ.. ითიქაფის არსი	128
თ.. სიმშვიდის შეუდარებელი განცდაა: მოწყალება	129
ი.. რამადნის უმრა	136
კ.. მარხვის შერიგებასთან შეხვედრის მომენტი –ბაირამი	138
ლ.. მარხვის სიბრძნე და სარგებელი	149
მ.. მარხვის ჯილდო	157
ეპილოგი – დასკვნითი სიტყვა	159
წყაროები	163

წარდგენა

რელიგიის საქმეთა სამინისტრო, როგორც საზოგადოების სულიერი განათლების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ორგანიზაცია, თავისი დაარსების დღიდან ბეჭდვურ საქმიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სამინისტროს მიერ პირველი გამოცემა დაიწყო 1924 წელს, როდესაც აჰმეთ ჰამდი აქსექის პირველი წიგნი, "მორალის გაკვეთილები" დაიბეჭდა. იმ დღიდან მოყოლებული ამ ორგანიზაციის თაოსნობით რელიგიური შინაარსის წიგნების გამოცემა უფრო და უფრო ვითარდება და გამოცემული ლიტერატურე უფრო მრავალფეროვანია.

სამინისტრო დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ყოველთვის ითვალისწინებდა და სხვა და სხვა გამოცემებს სთავაზობდა, მათ შორის საბავშვო გამოცემები, სახალხო და ა. შ. სამინისტრო ასევე საზოგადოებას სთავაზობდა ილუსტრირებულ და გახმოვანებულ ლიტერატურას. ჯანსაღი სასულიერო განათლების ძირითადი პირობა სწორი ინფორმაციის მიწოდებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მკითხველთა რაოდენობა სასურველი რაოდენობის არ გახლავთ, მატერიალური და ელექტრონული სახით მიწოდებული ლიტერატურა მაინც დღითიდღე იზრდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების განხილვის ფორმები და წერის მანერა ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომ მკითხველმა წიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხოს. ჯერ კიდევ იგრძნობა მძაფრი საჭიროება იმისა, რომ წიგნმა მკითხველის სულიერ სამყაროში შეაღწიოს და სასურველი ეფექტი იქონიოს. ადამიანებს სჭირდებათ ცოდნა, რომელიც ღვთისმსახურების ნამდვილ მიზანს გააგებინებს და მისი შესრულებისთვის გულწრფელ მოტივაციას შეუქმნის. სწორედ ამ მიზნითაა მომზადებული მრავალი წიგნი, სადაც ღვთისმსახურებაში არსებული სიბრძნე და მიზანია განხილული.

ყველა ღვთიური დებულება, რომელიც ღმერთმა დაგვიდგინა, ადამიანთა სასარგელოდაა მიმართული და მათი დაცვა, როგორც ამქვეყნიური, ისე საიქიო ბედნიერებისკენ მიმავალ გზებს გვასწავლის. ყოველ ბრძანებასა თუ აკრძალულში უსასრულო სიბრძნე და სიკეთეა. სწორედ სამყაროს გამჩენია სიბრძნისა და სიკეთის წყარო. მას ტყუილუბრალოდ, უმიზნოდ, უშინაარსოდ არაფერი გაუჩენია. ადამიანებს მხოლოდ ღვთის მიერ ბოძებული უნარებით შეგვიძლია სამყაროს აღქმა და მხოლოდ იმ დოზით, რაოდენსაც თავად გამჩენი გვიწყალობებს.

წინამდებარე ნაშრომი "სიბრძნის სერიიდან" ერთ-ერთია. აღნიშნულ სერიაში მოცემული თემები ღვთისმსახურებას შეეხება და ისინი განხილულია მათში არსებული სიბრძნის თვალსაზრისით, რამეთუ მკითხველმა თითოეული ღვთისმსახურების არსი და შინაარსი გაიგოს. თითოეულ ნაშრომში გამოყენებულია მეთოდი, რომელიც ადამიანთა გრძნობებს ეხმიანება და მათ ფიქრისკენ, აზროვნებისა და შემეცნებისკენ წარმართავს. ამ სერიაში ასევე წარმოდგენილია შემდეგი წიგნები: მონოთეიზმის არსი, ლოცვის არსი, ყურანის გაგება, მსხვერპლშეწირვის არსი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში თითოეული სიტყვა მთელი გულისყურითაა შერჩეული და შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ აქ წარმოდგენილი გზავნილები მკითხველის გულსა და გონებას სწორი ფორმით შეეხმიანება. თანამედროვე ეპოქაში ძალიან რთულია შეიქმნას ისეთი წიგნი, რომელიც მკითხველს აიძულებს "ერთი ამოსუნთქვით" წაიკითხოს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენმა მწერლებმა ძალიან მოიმდომეს და ამ სირთულის გადალახვისათვის ყველაფერი გააკეთეს. საბოლოო ჯამში, ადამიანთა გულებისკენ გზას თავად გამჩენი კვალავს და გადარჩენაც მისი უზენაესი ნებაა. ჩვენ კი ვცდილობთ გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. უზენაესს ვთხოვთ, ეს წიგნი სასარგებლო იყოს მკითხველებისთვის და მასში მოცემული გზავნილები მკითხველთა გონებაში სწორად აისახოს.

მცდელობა ჩვენგან, წყალობა კი გამჩენისგანაა.

დოქ. იუსუფ სალიმანი

წინასიტყვაობა

ღვთისმსახურება სიცოცხლის ის ნაკადულია, რომელიც სულიერ სიმშვიდეს, გონებრივ სიმტკიცეს და გულის სინატიფეს გვანიჭებს. ღვთისმსახურება უსასრულობის ჰორიზონტებზე შეუდარებელი სიმშვიდით მარადისობასთან მიღწევისა და ბედნიერების მარცვლებია. ღვთისმსახურება მარტოობისა და მივიწყების გრძნობის გამქარწყლებელი წერილებია. ღვთისმსახურება იმიერ სამყაროში დიადი გამჩენის წინაშე წარდგომისას შეუსრულებელი ვალდებულებების პატიების, მიტივებისა და თხოვნის გულწრფელი განცხადებებია. ასევე ღვთისმსახურება ჩვენს მიერ დიადი გამჩენის წინაშე დადებული ის პირობაა, რომელის მას ჩვენი სულების გაჩენის დროს აღვუთქვით.

ღვთისმსახურება, რომელიც მონა-მსახურების აშკარა გამოვლინებაა, იგი მთელს ჩვენს ცხოვრებას მოიცავს. ზოგჯერ გაღიმება, ხოლო ზოგჯერ ცრემლია ღვთისმსახურება. ზოგჯერ ღარიბისთვის მოკრძალებით გაცემული რამდენიმე გროშია. ზოგჯერ სამოთხის სურნელებაა, რომელიც ობოლზე მოფერებითა და კოცნით გვინდა დავიმსახუროთ. ამასთან ერთად მონამსახურების ცენტრში მოქცეული საუკეთესო სიტყვებით შემკული ვედრება, ნატიფი გულით შესრულებული, მარხვა, ლოცვა, ზექათი და ჰაჯია.

ალლაჰის შუამავლის სიტყვები „ისლამი ხუთ ბურჯზეა დაფუძნებული“ (მუსლიმი, იმანი, 19) ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი და ურყევი პრინციპებია. ალლაჰის ერთად ერთობის რწმენა, ყოველდღიურად ხუთი დროის ლოცვა, რამადნის მთვარის მარხვაში გატარება, ზექათის გადახდა და ჰაჯის მოლოცვა...

თქვენს ხელთარსებული ნაშრომი, ღვთისმახურებთაგან ერთ-ერთის „მარხვის არსის“ შეცნობისთვის მიმართული წყაროა, რომელიც დიადი გამჩენის კმაყოფილების მოპოვებაში თავის წვლილს შეიტანს. ამ ნაშრომის თითეულ ფურცელზე, სადაც მარხვის არსის შესახებ მოგიყვებით,

ვეცადეთ აიათებისა და ჰადისების სინათლე ირეკლებოდეს. ამ თვალსაზრისით ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ მარხვის შესახებ ვრცელი ცოდნა, აიათებისა და ჰადისებით შემკული ტექსტებით მკითხველამდე მიგვეტანა.

უდავოა, რომ უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების განზრახვით წყურვილის მოთმენა, საკვებისა და სხვა ნებადართული ქმდებებისგან თავის შეკავება, სულის აღმზრდელობითი დაწესებულების მშვენიერი ნაწილია. იქნებ მარხვის არსის შეცნობის ყველაზე საუკეთესო გზა თვით მარხვაა. უცნაურია, რომ ღვთისმსახურების გათვითცნობიერებულად შესასრულებლად, მარხვის შესაცნობად და რამადნის მთვარის სილამაზის გასაგებად გულდასმით უნდა წავიკითხოთ. მაშ ასე, გზას, რომელსაც რწმენით აღსავსე დავადექით, ცოდნით გავიმდიდროთ გონება და მარხვით გამოვკვებოთ ღვთის მიერ ამანათად მობარებული სულები.

ალიფ. დოქ. სიერან ვურდუზიანი

მსვლელობა
ჰირას მთისკენ

ქექა დამწუხრებულია იმის გამო, რაც მას დრომ მოუტანა. ქა'ბას ჰუბელის, ლათისა და 'უზზას ჩრდილი დასდგომია თავს. უდავოდ წარმართებს ქვისა და ხისგან გამოძერწილი კერპები, ჰუბელი, ლათი, მენათი და 'უზზა, უზენაესი ალლაჰის ქალიშვილებად ჰქონდათ გამოცხადებული. „მოგვიტევე ღმერთო დიდებულო! რამდენად დიდ პატივს სცემდენენ ისინი კერპებს. მათთვის შესაწირს კლავდნენ და რელიგიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. კერპების წინაშე ისრებით მკითხაობდნენ და შესაბამისად განსაზღვრავდნენ სავაჭრო ქარავნის მიმართულებას. ამრიგან ისინი სავაჭრო ცხოვრების ნაწილადაც ჰქონდათ დადგენილი. ისინი ხომ ყოველმხრივ კერპების ტყვეებად იყვნენ ქცეულნი. მექა დაღონებული, მექა სევდიანი, მექა გადაღლილიყო. კერპებისგან დამძიმებულს, ამ მძიმე ტვირთის მოხსნა სურდა. როდესაც შუამავალი იბრაჰიმი (ა.ს) ქა'ბას აგებდა მან ასეთი პირობა მისცა მექას...

შუამავალი იბრაჰიმის (ს.ა.) ვედრების გამოვლინების ადგილია მექა. ყურანში ვკითხულობთ: **„და აკი, შესთხოვა იბრაჰიმმა: „ღმერთო ჩემო! ჰქმენ ეს ქალაქი** (მექა) **უსაფრთხოდ და დამიფარე მე და ჩემი შვილები, რომ არ ვეთაყვანოთ კერპებს!“** (სურა იბრაჰიმი, 14/35) ამ თვალსაზრისით ყურანი ჩაგვჩურჩულებს, რომ პრინციპულად დაგეგმილი და განსაკუთრებულად სამოსახლო პროექტის შედეგად შექმნილი ქალაქია მექა: „ღმერთო ჩვენო! უეჭველად, მე დავასახლე ნაწილი ჩემი შთამომავლებისა უნაყოფო ხეობაში (მექაში), შენი წმინდა სახლის მახლობლად, რათა ლოცვა აღავლინონ. ზოგი ადამიანის გულში გააღვივე მათდამი კეთილგანწყობა, და ნაყოფთაგან უწყალობე სარჩო, ეგების შეიქმნან მადლიერნი! ღმერთო ჩვენო! უეჭველად, უწყი შენ, რას ვმალავთ და რას ვაცხადებთ. ალლაჰისგან არაფერია დაფარული არც ცათა შინა, არც ქვეყანასა ზედა. ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც მე მაჩუქა სიბერეში ისმაილი (99 წლის ასაკში) და ისჰაყი (112 წლის ასაკში). უეჭველად, ღმერთი

ჩემი ვედრების შემსმენია!“ (სურა იბრაჰმი, 14/37-39)

მაგრამ...

მოსახლეობამ რა დღეში ჩააგდო მექა, შუამავალი იბრაჰიმის გარდაცვალების შემდეგ როცა ჭეშმარიტ გზას აცდნენ, სამას სამოცი კერპით, მესჯიდი ჰარამი გლოვისა და მწუხარების ადგილად გადაქცეულიყო. ზემზემის წყალი უკვე მექას ცრემლებად იღვრებოდა. ქალაქი სადაც „ბეითულლაჰი“ - ქა’ბა იდგა, ისევ სურდა ღვთის ქალაქი გამხდარიყო.

მხოლოდ ერთი ადამიანი იყო, ვისაც მექას წუხილი გულის სიღრმემდე ესმოდა. მუჰამმედს ეძახდნენ მას! ქებული ადამიანი იყო! სანდოს უწოდებნენ მას! მისი სიტყვა და საქმე ჰარმონიულად ეწყობოდა ერთმანეთს. ის არასოდეს ღალატობდა მიბარებულ ამანათს. ყველა მასთან გარბოდა, ვისაც რაიმე დარდი აწუხებდა. გაჭირვებაში მყოფნი ყველა მას მიმართავდა. „მუჰამმედ, ამადა ამ ვაჭარმა ჩემგან საქონელი წაიღო და ფულს არ მიხდის“, ამადა ამ კაცმა უსამართლოდ მომექცა, გთხოვ დამეხმარე სიმართლის პოვნაში“. და ასე შემდეგ. ის კი არავის გააბრუნებდა უკან და ცდილობდა მათთვის სათანადო დახმარება აღმოეჩინა.

ობდლად დაიბადა. ოთხი წლის იყო როცა წუთი სოფელში დედითაც დაობლდა. მის უცოდველ პაწაწინა ხელებს ბაბუამ ჯერ ჩასჭიდა ხელი, ხოლო ბაბუას გარდაცვალების შემდეგ კი მისი მეურვეობა ბიძამ -ებუ ტალიბმა იტვირთა. მან კარგად იცოდა ცხოვრების სირთულეები! ხელებზე ბორკილ დადებულ მონათა წამება, სიცოცხლით სავსე, თუმცა ცოცხლად დამარხული ქალიშვილების კივილი, არაფრად მიჩნეული ქალების ცრემლები და ღარიბ-ღატაკთა შიმშილით გოდება, მის გულს ყოველთვის ახსოვდა.

მას ლმობიერება და სისპეტაკე სახეზე ეტყობოდა. თვალების მისი ხილვით სიმშვიდეს პოვებდა, გულები მისით თბებოდა. თავისეული მიდგომით, გამოხედვითა და საუბრით ხალხმრავლობაშიც კი ადვილად შეიმჩნეოდა. თუმცა ის არც ისე მაღალი იყო, მაგრამ არც დაბალის თქმა იქნებოდა სწორი. ის საშუალო სიმაღლის ვინმე იყო. მაგრამ თვალები უამრავ ადამიანში გამოარჩევდა და იპოვიდა მას!

კანის სითეთრე, ვარდისფერ გადაკრული და მცირედით მომრგვალო სახე, მის გამოხედვას სულ სხვა სილამაზეს მატებდა. ტალღოვან თმებზე ჩამოშვებული კულულები, ერთი ყვავილიდან მეორეზე მოხეტიალე გაზაფხულის ნიავს აყოლილი პეპლის ფრთების მსგავსად, საფეთქლებზე უბრწყინავდა. თვალების სიშავე იმდენად ღრმა ჰქონდა, რომ მისი სიშავე თვალის გუგების სითეთრით საამო კონტრასტს ქმნიდა. თეთრისა და შავის კონტრასტი საოცარ ჰარმონიას თვალებიდან ირეკლავდა. ქუთუთოებიდან მცირე სიმრუდით წინ წამოწეული წამწამები მის გამოხედვას განსხვავებულ ელფერსა და რიტმს ანჭებდა.

ეს გაწონასწორებული სახე, ძლიერ და განიერ მხრებზე იდგა ამაყად. მისი თვალების სინატიფე და მომღიმარი პროფილი, მექას გარსშემორტყმულ ციცაბო მთებს მოგაგონებდა, რომელზე ცქერაც განსხვავებულ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს. არც მეტი და არც ნაკლები, მისი სხეულის ყველა ნაკვეთი ამ ტკბილი ჰარმონიის სისრულეში მოსაყვანად, თითქოს და განსაკუთრებულად იყო გამოზრდილი.

ალლაჰის შუამავლის ხელები და ფეხები მტკიცე და ძლიერი იყო. ისინი თითქოს საუბრობდნენ იმაზე, რომ ჯერ ისევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იმ წელს ორმოცს მიუკაკუნა. ნათქვამია, „ადამიანის ნაბიჯები და მიხრა-მოხრა მის შესახებ ბევრს ცოდნას გასცემს“. ეს იქნებ იმიტომ, რომ მისი ცხოვრებისეული უბრალოებისა და სამართლიანობის გასაგებად, მისივე მოძრაობისა და ნაბიჯების დაკვირვება საკმარისი ყოფილიყო. ყოველთვის თავისუფალად და დამშვდებულად გაუდგებოდა გზას. არც მორბენალი ნაბიჯებით და არც ნელი. თუკი რომელიმე მხარეს შეხედვას დააპირებდა, მთელს სხეულს იმ მხარისკენ მიაბრუნებდა.

თავისი მადლმოსილებით და გამომეტყველებით ეტყობოდა თითქოს დიდი ხნის წინ ჰქონდა გაგებული მხრებს შორის არსებული ნიშნის „შუამავლობის ბეჭდის“ საიდუმლოს. მაგრამ არა! იგი ნადვილად ვერ ამჩნევდა, რომ სამყაროს წყალობად მოვლენილი შუამავალი უნდა ყოფილიყო. შუამავლობის საიდუმლო ჯერ ისევ ზეცის ჰორიზონტებზე ინახებოდა და ის მხოლოდ მაშინ გახდებოდა ცნობილი, როდესაც ამას უზენაე-

სი ალლაჰი ინებებდა. მისი წარმოსადეგობა თუნდაც მეტყველებდეს იმაზე, რომ ერთ დღეს შუამავალი გახდებოდა, მთავარანგელოზ ჯიბრილს ჯერ ჰირას მთაზე მისთვის არ ჰქონდა გაცხადებული: **„იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა“.** (სურა ალაყი, 96/1)

მუჰამმედ მუსტაფა (ს.ა.ს.) იმდენად ხელგაშლილიყო და გული იმდენად მდიდარი ჰქონდა, რომ თუკი რომელიმე სხეულში ხელგაშლილობა ჩამოყალიბდებოდა, ეს მისი სხეული იქნებოდა. როდესაც ის საუბარს დაიწყებდა, პირიდან ამოსული სიტყვები ზარდახშიდან ირგვლი გაბნეული მარგალიტების მსგავსად გარშემო მიმოიფანტებოდა. მისი ადამიანებთან ურთიერთობაში გამოვლენილი თავმდავლობის წინაშე ყველა აღფრთოვანებულიყო, ვინც მას ერთხელ შეხვდებოდა იტყოდა: „ცხოვრებაში არასოდეს მინახავს ასეთი ადამიანი”. (თირმიზი, მენაქიბი, 8) აღსანიშნავია, რომ მისი მომხიბლავი გამომეტყველება რა თქმა უნდა არ იყო მორთულ-მოკაზმული სამოსის, ძვირფასეულობით მოჭედილი მოსასხამისა და ზოგადად ჩაცმულობით გამოწვეული. მას ტანზედ მოკრძალებული მოსასხამი, ქვედა კაბა ემოსა, ხოლო ფეხზედ სანდლები ეცვა. ამრიგად იგი საკმაოდ უბრალო ადამიანი იყო. (ებუ დავუდი, თერეჯჯული 19; ‘აბდურრეზზაყი, მუსანნეფი, I, 202)

მუჰამმედულ ემინი, ყურადღებით აკვირდებოდა მექას მდგომარეობას. გული შესტკიოდა ადამიანების ეგოიზმზე, მექას მოსახლეობის წარმართული ცხოვრება გულზე მძიმე ტვირთად აწევდა. მის წარმოდგენებში ხომ მექა დედამიწის საუკეთესო ქალაქი და უზენაესი ალლაჰის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო. (თირმიზი, მენაქიბი, 68, იბნი მაჯე, მენასიქი, 103)

რამ ჩააგდო ასეთ დღეში მექელები? კერპებს ეთაყვანებოდნენ, ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსულ სტუმრებს კერპებს ჰყიდდნენ. ისინი ოქრო-ვერცხლის მოხვეჭის მიზნით ერთმანეთის უფლებებს არად მიიჩნევდნენ და სრულიად უმიზეზოდ შეეძლოთ ერთმანეთისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. ეს ადამიანები, რომლებიც საგვარეულო კანონებით ცხოვრობდნენ, თავიანთი ნათესავებთან გაერთიანდებოდნენ და სხვა მათზე უფრო სუსტ ტომს თავს

ესხმოდნენ. მოკლული ერთი ადამიანის გამო უამრავი სისხლი იღვრებოდა. ზოგი ფიქრობდა, რომ ამქვეყნად მხოლოდ შურის ძიებისა და სისხლის აღების მიზნით იყო მოვლენილი, ზოგს კი თავდასხმა და ძარცვა მიაჩნდა გმირობად. იყვნენ ისეთებიც, რომ ფულის გამო ყველაფერზე იყვნენ წამსვლელები. მრუშობას, ალკოჰოლსა და ყუმარს მთელი საზოგადეობა მოეცვა. უამრავი ადამიანი, რომლებიც გამბედაობითა და სტუმართმოყვარეობით ტრაბახობდნენ, საკუთარ ქალიშვილებსაც კი მემკვიდრეობის გარეშე ტოვებდნენ, უფრო მეტსაც კადრულობდნენ, როცა ზოგიერთი მათგანი ახალშობილ უსუსურ ქალიშვილებს სირცხვილად მიიჩნევდნენ და მათ ცოცხლად მიწაში მარხავდნენ. ყველაზე უფრო საგანგაშო ის იყო, რომ ამ ყველა ქმედებას სამართლის ნაწილად თვლიდნენ. ალლაჰის შუამავლისთვის კი ქალიშვილების ადგილი ღირსეული და ღირებული იყო. ის ზეინაბის, რუყიეს, უმმუ ყულსუმისა და ფატიმას თმის ღერს ამქვეყნიურ არანაირ სარგებელში არ გაცვლიდა.

მექელები გაგიჟებულიყვნენ. ნეტავ ეს ქვეყანა როგორ აიცილებდა თავზედ ჩამოწოლილ შავ ღრუბლებს? ოდესმე დასრულდებოდა ეს ძალადობა? არსად მოჩანდა რაიმე გადარჩენის გზა? ამ ფიქრებში ჩაძირული მუჰამმედი (ს.ა.ს) დრო და დრო განერიდებოდა მეუღლესა და ქალიშვილებს და მექას მოშორებით ჰირას გამოქვაბულს მიაშურებდა ხოლმე. ყურეიშელებში ჯერ კიდევ ცხოვრობდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ტრადიციულად ერთი თვის განმავლობაში გამოქვაბულში ღვთისმსახურების მიზნით გაიხიზნებოდნენ და ამას „თეჰანნუს" უწოდებნენ. აღნიშნული სიტყვა „თეჰანნუსი" –სიტყვა „თეჰანნუფის" სახეშეცვლილი ფორმაა და მისი მნიშვნელობა ჰანიფობას, ანუ ერთად-ერთი ალლაჰის მორჩილების მიზნით განმარტოება და მასზე მსახურებას ნიშნავდა. ზემოთ ხსენებული პერიოდისთვის დამახასიათებელი გამოქვაბულის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ღვთისმსახურების ტრადიციას ებუ ტალიბი შემდეგი სიტყვებით გადმოცემს:

> რამდენიმე სევრის მთაა! სევრის ნაცვლად სებირის მთაზე შეკედლებულან და ჰირას მთაზე აცოცდებიან ან ჩამოდიან.
> (იბნი ჰიშამი, ეს-სირე, I, 171)

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) წლების შემდეგ ამ ტრადიციას გამოქვაბულიდან ქალაქად გადმოიტანდა და მეჩეთში რამადნის მთვარის ბოლო ათ დღეს ერთ კუთხეში ღვთისმსახურების სახით დაამკვიდრებდა.

ჩვ. წ. ა. 610 წლის რამადნის მთვარე იდგა. ღამის სიბნელის დასასრულის დასაწყისი. მუჰამმედმა (ს.ა.ს.) ხატიჯას მიერ მომზადებული საგზალი აიღო და გზას დაადგა. ხალხს ეძინა. ქალაქი, რომელიც სულ მალე მისი სინათლით განათდებოდა არაფერს უწყოდა. მან ბნელ საფარველში გახვეული მძინარე მექა ნელი ნაბიჯებით დატოვა და ცხელი აგვისტოს თვის მიუხედავად ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჰირას მთისკენ გასწია. ის მხოლოდ ჰირას გამოქვაბულისკენ მიემართებოდა და მას არაფერი სხვა მიზანი არ ქონია. მაგრამ რეალურად იგი ჯიბრილთან მიდიოდა, რომელიც მას ჰირას გამოქვაბულში ელოდა. ეს მთავარანგელოზი, რომელიც მანამდე გამოეცხადა იბრაჰიმს, მუსასა და ‘ისას (ა.ს.). ამჯერად გამოქვაბულში მას მოელოდა. მთავარ ანგელოზს სიდრეთულ-მუნთეჰადან ამბები ჰქონდა. და დადგა უკვე მოსალოდნელი დღეც, როცა უზენაესი ალლაჰის მოწყალებად ზეშთაგონება ზეციდან დედამიწაზე მოედინებოდა. მუჰამმედულ ემინი, შუამავლობის გზას მიუყვებოდა. უდაბნოს სილით მოცულ გზებს სანდალებით მიაბიჯებდა, რომელისგანაც სილებში ამოსვრილი თითები მოუჩანდა. ჰირასკენ მიმავალ გზაზე გადადგმული თითოეული ნაბიჯით გამოწვული მტვრის ღრუბელი რამდენიმე წამში მტვრის ნაწილაკებად გადაიქცეოდა და ჰირას მგზავრს თან მიაცილებდა, რომელიც სულ მალე უკიდეგანო უდაბნოს ბილიკზე ისევ მიმოიბნეოდნენ. მუჰამმედულ ემინი (სანდო მუჰამმედი) მხსვილფეხა პირუტყვის ტყავისგან დამზადებული სანდლებით მგზავრობას მომგებიანად განაგრძნობდა. სადაცაა მიეღწია ჰირას მთაზე, ოთხ კილომეტრიანი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა. ზაფხულის მცხუნვარე სიცხე წინასწარ გაიაზრა და შესაბამისად გზას ადრიანად დაადგა. აი, ის უკვე ჰირას მთაზე იყო...

მარხვის არსის მიმოხილვა...

ჰირას მთაზეც იყოს ზეცის კარები
გახსნილი,
მაგრამ ის ღამე არც დამცირება იყო და
არც ძალადობა. ცის კაბადონიდან
თავსხმად მოწყალება მოედინებოდა.
ჯებრაილმა მუჰამმედს ზეშთაგონება
აუწყა. „ის ღამე, ცისკრის ამოსვლამდე,
მშვიდობითა და ბედნიერებითაა
აღსავსე”!

(სურა ყადირი, 97/5)

ა. ჩემი სახელია ჰირა

-ადგილი საიდანაც ყველაფერი დაიწყო –

ეს არის ნურის მთა, სადაც ჰირას გამოქვაბული მდებარეობს... ეს არის მთა, რომელმაც ქვები ქა'ბას საძირკველს მიუძღვნა! ეს არის მთა, რომელსაც თუკი ძორიდან გახედავ თვალწარმტაც გუმბათს მოგაგონებს! იქნებ არ არის ზედმეტად მაღალი, თუმცა ის მეტწილად მომხიბლავია. დიახ, მისი სიმაღლე 642 მეტრია, მაგრმა თქვენ ნუ გაამახვილებთ მის სიმაღლეზე ყურადღებას.

შუამავალმა აგვისტოს მზით გაკაშკაშებულ კლდეებს შორის არსებული ბილიკით მთისკენ გასწია. ხან ფეხებთან მწვანე ხვლიკი გაუვლიდა, ხან კიდევ კლდის თაროებზე შემოდგმული მტრედის ბუდეებიდან ფრთების ტლაშუნის ხმა მოისმოდა. ჰირასკენ მიმავალმა მგზავრმა მთის კალთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით იბრუნა სახე. ჰორიზონტებში სევრისა და სებირის მთები მოსჩანდა. სულ მალე გამოქვაბულის იმ ადგილთან შეჩერდა, საიდანაც მესჯიდი ჰარემის ხილვა იყო შესაძლებელი. გამოქვაბულის შესასვლელი ჩრდილოეთით გაჰყურებდა. შესასვლელის სიგანე ორ მეტრს აღემატებოდა. გამოქვაბული საკმაოდ გრილი იყო, სადაც ოთხი პიროვნება თავისუფლად მოიკალთებდა ხოლმე. ცოტა შეისვენა, შემდეგ ქა'აბას მიმართულებით მიბრუნდა და ცქერა დაუწყო. მუჰამმედულ ემინს მარტოობა უყვარდა. ეს მესამე წელი იყო, რაც ჰირას გამოქვაბულში განმარტოება წესად დაიდგინა. ჩვ. წ. ა 6 აგვისტო იდგა, ორშაბათი დღე, ხოლო ჰიჯრის კალენდრის მიხედვით რამადნის 23.

როდესაც რამადანი ახლოვდება, დედამიწაზე გარკვეული სამზადისი იწყება. სწორედ ასეთი სამზადისი იწყება ზეცაშიც. ეს თვე ჰირას გვახსენებს. ამ თვეს სურს, რომ ყადირის ღამეს, ყურანის დედამიწაზე მოვლინება გავიზიაროთ.

მაშინ, როცა მესჯიდი ჰარემის ფართოდ გაშლილი გარემო, მასში არსებული ხისგან გამოთლილი კერპების გამო გული ჰაერის უკმარისობას განიცდიდი, ეს ვიწრო გამოქვაბული მას სიამოვნებასა და სიმშვიდეს მატებდა. ბნელი გამოქვაბულის სიჩუმე გულში სიმშვიდეს წვეთებად ეფინებოდა. თუმცა ეს ყველაფერიც კი მისი გულის ნადებსა და დარდს არ უქარწყლებდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ვედრება აღავლინა, შემდეგ ხატიჯეს მიერ მომზადებული შეჭამადი მიირთვა. დრო წინ სწრაფად მიიწევდა, უკვე დაღამებულიყო:

ეს მცირე ზომის გამოქვაბული რაოდენ ბედნიერი იყო! უზენაესი ალლაჰის წყალობა უდაბნოში აღმართულ ერთერთ მთაზე გამოქვაბულში გარდმოევლინებოდა. ბნელი სინათლით, უკუნეთი ნათელით და უიმედობა იმედით იცვლებოდა. და აი სწორედ მაშინ, უზენაესი ალლაჰის ანგელოზი მთელი თავისი დიდებულებით შუამავალს გამოეცხადა. ეუბნებოდა „იკითხე! გული შიშით აუთრთოლდა, მხოლოდ შეძლო ეთქვა: „მე კითხვა არ ვიცი“. მაშინ ანგელოზმა მას ხელები მოხვია და მთელი ძალით მოუჭირა, ვიდრე სული შეეკრებოდა. შემდეგ გაუშვა და ისევ გაუმეორა: „იკითხე“. მისი პასუხი ანალოგიური იყო. „მე კითხვა არ ვიცი“. ანგელოზმა მას ისევ მოუჭირა ხელები მაგრად და ისევ არ გაუშვა სანამ სუნთქვა არ შეეკრა. სწორედ მაშინ დაიწყო ყურანის პირველი აიათების ზეშთაგონება და სამყაროს ნათელის მოფინება. „:იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა (სამყარო)! მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან (ემბრიონისგან)! იკითხე! ღმერთი შენი

უსასრულო კეთილშობილების პატრონია“. (სურა ალაყი, 96/1-5). იგი (ყურანი) ფურცლებშია ღირსეულში, ამაღლებული, წმინდა, მწერალთა ხელით (დაწერილი) ღირსეულთა, უბიწოთა“. (სურა აბესე, 80/13-16)

ეს იყო ისტორიული მომენტი, როცა ქა'ბასგან ცოტათი მოშორებით მცირე ზომის გამოქვაბულში უზენაეს ალლაჰსა და მონა-მსახურს შორის კომუნიკაცია იმართებოდა. რაოდენ დიდი საქმეა ეს! ცა დედამიწას დაეფინა საფარველად, როცა ანგელოზმა ადამიანი გულში ჩაიკრა. ეს იყო დრო, როცა ალლაჰის ნათელი მოეფინა უდაბნოს. სწორედ ეს იყოს საწყისი, როცა მუჰამმედულ ემინს უდიდესი ამანათი -ყურანი შთაეგონა.

აქ არაფერია გასაკვირი. ყურანში ხომ ვკითხულობთ: „გარდმოავლენს იგი თავისი ბრძანებით ანგელოზს (ჯიბრილს) სულით (შთაგონებით), ინებებს ვისზეც თავის მსახურთაგან... (სურა ნაჰლი, 16/2) ალლაჰი ირჩევს შუამავლებს ანგელოსთაგან და ხალხთაგან. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია! (სურა ჰაჯი, 22/75) აი სწორედ ასე შეახვედრა გამოქვაბულის ბნელში თავის ორი რჩეული მონა-მსახური, რა მომავალი უფრო ნათელი და კაშკაშა ყოფილიყო...

ბ. ანარეკლები ანგლოზთა სამყაროდან

ისე, როგორც რამადნის მთვარის მოახლოებისას დედამიწაზე სხვადსხვაგვარი სამზადისი იწყება, მსგავსი ვითარება შეიმჩნევა ზეცაშიც. ეს თვე თავდაპირველად ჰირას გამოქვაბულს გვახსენებს. ყურანის ალლაჰის შუამავალზე გარდმოვლენასა და ყადირის ღამის სიხარულს მორწმუნეებს ერთიანად აგრძნობინებს. „სასჯელს ჩემსას ვაწევ, ვინებებ ვისაც, ხოლო წყალობა ჩემი გარემოიცავს ყველაფერს. მე დავუწერ მას, რომელნიც მოკრძალებულნი იქნებიან, გასცემენ ზექათს და ირწმუნებენ ჩვენს აიათებს.“ (სურა ეღრაფი, 7/156) მოცემული აიათის თანახმად აშკარად ნათელია, რომ უზენაესის უკიდეგანო მოწყალება განსაკუთრებით რამადნის მთვარეში უხვი წვიმის მსგავსად გარმოევლინება. სწო-

რედ დიადი გამჩენის მოწყალების გამოვლინებაა, რომ ამ თვეში ბოროტების ჩამდენს სასჯელი უმალ არ მიეზღვება, ან კიდევ ბოროტების ჩამდენ მონა-მსახურს უმალ არ დაატყდება რისხვა. მხოლოდ უზენაესი ალლაჰის უსაზღვრო მოწყალებით მონამსახურის მიერ ნამოქმედარი სიკეთე მაშინვე ზეცაში ჰპოვებს გამოხმაურებას.

რამადნის მთვარეში სიკეთე გაცილებით უფრო მეტი მადლით დაჯილდოვდება. ცა-დედამიწას შეხვდება და მთელს სამყაროს უზენაესი ალლაჰის ჩრდილი მოიცავს. რამადნის მთვარე ყოველგვარ ბოროტებაზე უარის თქმისა და მათი საგულდაგულოდ ჩამოშორების დროა. რამადანი ბოროტებისკენ მიმავალი ყველა კარის ჩარაზვისა და ჯაჭვების დადების დროა.

1. კარი

კარები! დიახ, ზოგი ქვის კედლებზე გამოჭედილი რკინის კარები! დიდი ბოქლომებით გამყარებული კარები! დაჟანგული, მოჭრიალე, ტყვიასავით კარები!

კარები, სიბნელეში ფართედ გაშლილი შავი ფრთები, რომლის შემდეგ მზე აღარასდროს ამოვა.

ზოგი კარები კი ზემოთხსნებული კარებისგან განსხვავებით ბოლომდე ღიაა. სახემღიმარი, მწვანე, სპილოსძვლისა და ალისფერი კარები! ურთიერთანადგომის კარები! ქალაქის კარები, სადაც წელში მოხრითა და მოკრძალებით შედიან! მეჩეთის კარები! საგანმანათლებლო დაწესებულების კარები! და ბოლოს ზეცის კარები!

განა შეიძლება ზეცას კარები ჰქონდეს? დიახ, რა თქმა უნდა შეიძლება! მართალია ის კარები არ არის ხისგან. არც რკინისა და არც ტყვიის კარებია ისინი! ის კარები ზოგჯერ მოწყალების, ზოგჯერ ძალადობისა და ზოგჯერ კიდე მწუხარებისაა! ზოგჯერ სიმდიდრის მომტანი, თუმცა ადამიანს სიმშვიდეს დააკარგვინებს. ზოგჯერ სიმდიდრე ბარაქასთან ერთად მოვა და ამ კარებიდან გაივლის. უზენაესი ალლაჰი ზოგჯერ ადამიანის ყოველგვარი მოწყალების კარებს

გაუღებს. „როცა დაივიწყეს ის, რითიც შეგონებულნი იყვნენ ეგენი, მაშინ გავუხსენით კარნი ყოველნი და ხარობდნენ იმით, რაც ებოძათ, მოულოდნელად ვაწიეთ. უკვე სასოწარკვეთილნი დარჩნენ ეგენი". (სურა ენღამი, 6/44) მაგრამ ცრუდ შერაცხეს, ამიტომაც შევიპყარით ისინი იმის გამო, რაც მოიხვეჭეს! (სურა ეღრაფი, 7/96)

არსებობს ზოგი კარი, ჩარაზული. ისე კარი, როგორც ზულეიჰამ ჩარაზა და შემდეგ შუამავალი იუსუფი მრუშობისკენ გამოიწვია. მაგრამ ის ჩარაზული კარი, მას შემდეგ რაც იუსუფმა უარი განაცხადა ცოდვაზე და უზენაეს ალლაჰს მიეკედლა სამოთხის ბაღნარისკენ გაღებულ კარად გადაიქცა. (სურა იუსუფი, 12/23) მაშინ როცა, მორწმუნენი სამოთხის კარებში შევლენ, ურწმუნონი ჯოჯოხეთის შვიდი კარიდან ცეცხლში გადაეშვებიან. (სურა ჰიჯრი, 15/44) თუმცა მათ შეეძლოთ 'ადნის სამოთხეში დამკვიდრებულიყვნენ! მათ უკვე გაუშვეს ეს შანსი ხელიდან. და როდესაც ისინი მიიღებენ ბრძანებას: „აბა, იქ სამუდამო სამყოფლად, ჯოჯოხეთის კარებში შედით. მედიდურთა თავშესაფარი რაოდენ საზარელია!" (სურა ნაჰლი, 16/29) მაშინ უკვე აღარაფრის გაკეთების შესაძლებლობა აღარ ექნებათ. განა მათთვის არ ჰქონდა უზენაეს ალლაჰს ნაბრძანები: „მაგრამ როცა გავხსენით მათდამი კარიბჭე საზარელი ტანჯვისა, მაშინ ისინი სასოწარკვეთაში ჩავარდნენ!" (სურა მუ'მინუნი, 23/77)

დიახ, ედემის სამოთხეში დამკვიდრებულნი ბენიერების წალკოტებში იქნებიან. ედემის ბაღები, სადაც შევლენ ეგენი და ვინც ღვთისმოსავი იყო: მათი მამები, მათი მეუღლეები და მათი შთამომავალნი და ანგელოზები შედიან მათთან ყველა კარიბჭიდან: „სალამი თქვენდა იმის გამო, რომ მოითმინეთ!" და რა მშვენიერია უკანასკნელი სამკვიდრო! (სურა რაღდი, 13/23-24) „და წასხმულნი იქნებიან, რომელნიც მოკრძალებულნი იყვნენ თავიანთი ღმერთის წინაშე სამოთხისაკენ გუნდებად. როცა მიაღწევენ მასთან კარიბჭენი მისი გაეღება და გუშაგნი მისი ეტყვიან: „მშვიდობა თქვენდა!" რაოდენ მწყაზარნი ხართ. მაშ, მარადიულად შედით მასში!" (სურა ზუმერი, 39/73)

ზეცის კარებიდან წამოსული წვიმა ზოგჯერ ბარაქაა. ზოგჯერ დამცირება. მოდი გავიხსენოთ მეამბოხე და ჯიუტი ნუჰის თემი. „შუამავალმა ნუჰმა მაშინ შეჰღაღადა თავის ღმერთს: „უეჭველად, მე ძლეული ვარ. მაშ, შემეწიე! როცა უზენაესმა ალლაჰმა გახსნა ზეცის კარები და დედამიწაზე მოჩხრიალე წვმიმა გადმოუშვა! (ყამერი, 54/10-11)

ჰირას მთაზე ზეცის კარები გახსნილიყო თუმცა, იმ ღამის წვიმა არც დამცირება იყო და არც წყვდიადი! მაშინ ზეცის კარებიდან უხვად ჩამოედინებოდა ღვთიური წყალობა. ჯიბრილმა მუჰამმედს (ს.ა.ს) ღვთიური შთაგონება გადასცა. „ის ღამე, ცისკრის ამოსვლამდე, მშვიდობითა და ბედნიერებითაა აღსავსე! (სურა ყადირი, 97/5) უკვე დედამიწა იცვლებოდა. ქვეყანა სულ სხვა სახეს იძენდა. ჯიბრილი მექას ნაპირებთან ქვეყნირებას წყალობას მოვლენილ ალლაჰის შუამავალს ხვდებოდა. ისლამისთვის პირველი რამადანი იყო ეს. დიახ, მართალია მორწმუნეები არ მიდიოდნენ თერავიჰის ლოცვაზე, არც მინარეთებიდან ისმოდა ეზნის ხმა. მაგრამ ერთად-ერთი რაც ისმოდა ეს მხოლოდ ჯიბრილის ფრთების ხმა და ბრძანება: „იკითხე" იყო. მაშინ მინარეთებიდან არც „კეთილი იყოს შენი მობრძანება რამადნის მთვარევ" არ ირეკლებოდა. რამეთუ იმ ღამეს ცის კაბადონზე მხოლოდ ჯიბრილის ფრთები მოსჩანდა.

ჰირას მთა ამაყი იყო იმ დღეს. თავის დროზე, როდესაც ბეითულლაჰის აგება მიმდინარეობდა, მისი ნაწილი ქვების საძირკველისთვის ჰქონდა გაღებული. ასეთი სიამაყე მაშინაც ერგო წილად. ახლა უზენაესი ალლაჰის მიერ ზეშთაგონებული აიათების ექო ისმოდა მისი თითოეული კლდიდან. „იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა (სამყარო)! მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან (ემბრიონისგან)! იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია". (სურა ალაყი, 96/ 1-5).

ასეთ ბედნიერებით აღსავსე ღამეს რაღა თქმა უნდა დაიკეტებოდა ჯოჯოხეთის კარები და ფართოდ გაიღებოდა სამოთხისა. მაშინ მეამბოხე და ურჩი სატანები ჯაჭვებით შეიბოჭებოდნენ. (ნესაი, სიამი, 5)

2. ბორკილები

ყურანში „ბორკილები“ პასუხისმგებლობის გამოსახატავად გამოიყენება. ამასთან ერთად იგი როგორც ღვთიური მოწყალების, ასევე რისხვის სიმბოლოა. უზენაესი ალლაჰი ამ თვალსაზრისით გვამცნობს, „რომ ჩამოხსნის მათ ტვირთსა და ბორკილებს, რომელიც მათთვის იყო“... (სურა ეღრაფი, 7/157) როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ყურანში ბორკილები პასუხისმგებლობის მნიშვნელობით გამოიყენება. გარდა ამისა ბორკილები საიქიოსთან დაკავშირებულ აიათებში გვხვდება, იმ ადამიანების სასჯელად, რომლებმაც დაკისრებული პასუხისმგებლობა სისრულეში არ მოიყვანეს. ყურანში ვკითხულობთ: „იმ დღეს იხილავ შენ ცოდვილებს გადაბმულთ ბორკილებით“. (სურა იბრაჰიმი, 14/49) „როცა ბორკილებით კისერზე და ჯაჭვებით გარეკავენ მდუღარეში, მერე ცეცხლში იქნებიან შენთებული“. (სურა მუყმინი, 40/71-72) „უეჭველად, ჩვენ გავამზადეთ ურწმუნოთათვის ჯაჭვები, ბორკილები და ცხარე ცეცხლი“. (სურა ინსანი, 76/4) „მერე ჯაჭვით, რომლის სიგრძე სამოცდაათი წყრთაა, ამგვარად ჩაუშვით იგი“! (სურა ჰაყყა, 69/32)

ალლაჰის შუამავალი თავის მხრივ იმისათვის, რომ რამადნის მთვარეში, როგორც მორწმუნეებისთვის, ასევე სრულიად კაცობრიობისთვის უდიდესი წყალობის ქადაგება შესაძლებელი იქნას, ეშმაკის ბორკილებზე შემდეგი სიტყვებით გვამცნობს: „როდესაც რამადნის მთვარე დადგება, სამოთხის კარები გაიღება, ხოლო ჯოჯოხეთის კარები დაიხშობა და ეშმაკს ბორკილები დაედება“. (მუსლიმი, სიამი, 1)

უკვე დროა ადამიანმა საკუთარი ბორკილებისგან იხსნას თავი. ადამიანი, რომელიც რამადნის მთვარეში უფრო მჭიდროდა და ძლიერად ჩაეჭიდება უზენაესი ალლაჰის თოკს, შესაბამისად თავს იხსნის ხორციელი ბორკილებისგან. რამადანი გადარჩენაა! რამადნის ნებისმიერი დრო გადარჩენაა სიამაყის, შურისა და ხორციელი ვნებებისგან, რომელიც თითოეული ბორკილია ადამიანის ცხოვრებაში.

რამეთუ, „ეს ის მადლმოსილებით აღსავსე თვეა, როცა უზენაესმა ალლაჰმა მარხვის დაცვა ვალდებულებად დაადგი-

ნა. ამ თვეში (სამოთხის) ზეცის კარები გაიღება, ჯოჯოხეთის კარები ჩაირაზება, ხოლო ბორკილები დაედება ეშმაკებს, რომელიც უზენაესი ალლაჰის წინაშე ზღვარგადასულია. ამ თვეში არსებობს ისეთი ღამე, რომელიც ათას თვეზე უფრო ხეირიანია. ისინი, ვინც ამ ღამის მადლმოსილებისგან წილს ვერ მიიღებენ, შორს აღმოჩნდებიან ათას თვეზე უფრო ხეირიანი ღამისგან". (ნესაი, სიამი, 5)

კეთილი იყოს შენი მობრძანება რამადნის მთვარევ! ეს ხომ, ხორციელი ვნებებისა და ზღვარგადასული გატაცებების თავიდან აცილების საუკეთესო დროა.

გ. მოთმინება: დედამიწის პასუხი ზეცას

ადამიანი ერთი სულისგან არის გაჩენილი. (სურა ნისა, 4/1; ეღრაფი, 7/189; ზუმერი, 39/6). წესით იმის გამო, რომ ყველა ადამიანი ერთი სულისგან არის გაჩენილი, ერთმანეთის მსგავსი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ხომ ადამიანია და მის სულში შურიანობა და ეგოიზმია ჩადებული. (სურა ნისა, 4/128) ეს გრძნობაა, რომელიც ადამიანს მოსვენებას არ აძლევს და ეგოს აბრმავებს. ეგოიზმისა და შურის ისტორია კაცობრიობის ისტორიის ტოლია. ეს ასე მომდინარეობს ჯერ კიდევ იქედან მოყოლებული, როცა ყაენმა აბელის სისხლი დაღვარა. უფრო მეტიც ეს ისტორია უფრო ძველ დროს უკავშირდება... ჯერ ეშმაკმა გამოიჩინა ურჩობა, როცა ადამის შეშურდა. შემდეგ მისი ცდომილებაში შეყვანა განიზრახა. შედეგად ამას მოჰყვა კაცობრიობის პირველი ცდომილება, პირველი წაბორძიკება, პირველი სინანული! ადამმა და მეუღლე ევამ ეშმაკის მიერ უკვდავების ხედ წარმოდგენილი, სინამდვილეში ხელმოკლეობისა და გაჭირვების ხის –აკრძალული ხილისკენ ხელი გაიწოდეს, რაც არათუ უკვდავებით, არამედ დედამიწაზე გადმოსახლებით დასრულდა. და აი სწორედ ადამიანის ხორციელმა ვნებამ მეორედ მაშინ გაეთამაშა, როცა ყაენის ხელი აბელიზე იქნა აწეული. თუმცა ამან საკუთარი ბედნიერებაც დააკარგვინა, რადგან ყაენის ხელმა სიკვდილი მოიტანა. დიახ, საკუთარი ძმის სიკვდილი. ადამიანისთვის დრო უკვე სწრაფად გადიოდა და უბედუ-

რებები გამოცდად ვლინდებოდა. მწუხარების ჩარხი ამოქ-
მედებულიყო. ყაენმა ვერაფერი მოიფიქრა რა ექნა, როცა
საკუთარი ძმის უსულო ცხედარი მიწაზე ესვენა. დიახ, ადა-
მი უკვდავების ძიებაში იყო, თუმცა ყაენმა კაცობრიობას
ასწავლა თუ რა იყო სიკვდილი.

უდავოა, რომ ადამიანისთვის უკვდავებას ვერც ხე მოუ-
ტანდა და ვერც გატაცებები, რის ძიებაშიც იყო გართული...
სინამდვილეში უკვდავების გზა ხორციელი ვნებებისა და
გატაცებების მოკვლაზე გადიოდა. გაიხსენეთ, შუამავალი
მუსას მაშინდელი მოწოდება, როცა ისრაილის შვილებმა
ხბო ღვთაებად დაიდგინეს. „უმალვე მოინანიეთ თქვენი
გამჩენის წინაშე და ამის გამო თავი მოიკალით...“ (სურა ბაყარა,
2/54) ვინაიდან ხორციელი ვნება ისეთი რამ არის, რომ თუკი
მას არ მოკლავ იგი ადამიანს დანაკარგს განაცდევინებს.
უნდა აღინიშნოს, რომ ხორციელ ვნებებზე მორჩილება
გულის დალუქვას გამოიწვევს. (სურა მუჰამმედი, 47/16) მაგრამ
იმისათვის, რომ ხორციელმა ვნებამ თავი გადაირჩინოს და
არ მოკვდეს, ყოველთვის ახალ ხრიკებს მიმართავს ხოლმე.
იგი სახეზე ყველაზე ლამაზ მასკას მოირგებს და ადამიანის
წინაშე ასე მიმზიდველად წარსდგება. ზოგჯერ ადამიანს
უკვდავებასაც კი დაპირდება და ასე შეიყვანს შეცდომაში.
ზოგჯერ ყურში გაუგონარ და წარმოუდგენელ ბოროტებას
ჩასჩურჩულებს და ადამიანს თვალს დაუბნელებს. (იუსუფი,
12/53) ძმას ძმას მოაკლევინებს. (იუსუფი, 12/10) უცოდველ და
უსუსურ ბავშვსაც კი ორმოში ჩააგდებინებს. თუკი ამ ყვე-
ლაფერს არ გააკეთებს, მისცემს ისეთ გულს, რომ ოთხმოც-
დაცხრამეტი ცხვრის პატრონი, ერთი ცხვრის მყოლეზე
თვალს დაიკავებს. (სურა სადი, 38/24)

ვნებები! დიახ, ეგოიზმში ჩაძირული ვნებები! შურით აღვ-
სილი ვნებები! უკვდავების მაძიებელი ვნებები! თუმცა ეს
ვნებები ნებსით თუ უნებლიედ ერთ დღეს აუცილებლად
იგემებს სიკვდილს. (სურა ენბია, 21/35) ხორციელი ვნებები ეშკ-
მაკისეულია. თუმცა მას მოწყალეობრივი მხარეც გააჩნია.
სწორედ ეს არის, რაც ადამიანს ხან სიკეთეს, ხან კიდევ ბო-
როტებას შთააგონებს! (სურა შემსი, 91/8) აჰ, ვნებავ! ყურანში
ვკითხულობთ: „სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას! და
მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამ-

გონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი! უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი (ნაკლოვანებების) დაფარვას"! (სურა შემსი, 91/7-10)

1. საიდუმლოება, რომელიც ხორციელ ვნებას აქრობს: მოთმინება

რაოდენ რთულია ვნებების გაკონტროლება! მოთმინებას მოითხოვს... რა თქმა უნდა მოთმინება რთულია. გაიხსენეთ შუამავალი იუსუფის სიტყვები: „აწ ძლიერი მოთმინება მმართებს". (სურა იუსუფი, 12/83) აი სწორედ ასეთ მოთმინებაზე საუბარი... დაკარგული შვილის გამოც მოთმინება. ეს იმ პირობებში, როცა შუამავალ იაყუბს იუსუფი ძალიან უყვარდა. ვერ ძღებოდა მასზე მოფერებით და კოცნით. ეს ბავშვი თითქოს სამოთხის საჩუქარი იყო მოხუცი მამისთვის. თუმცა დანარჩენი შვილების შურმა შუამავალი იაყუბის უსაყვარლესი შვილი - იუსუფი ძმებს უდაბნოს ბნელ ჭაში ჩააგდებინა. იუსუფის სიშორე, შუამავალ იაყუბის მწუხარებად და დარდად გადაიქცა. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დიად გამჩენს მაინც მოთმინებას ევედრებოდა.

მორწმუნე ადამიანის მოთმინება სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. მორწმუნე უნდა ამბობდეს იმას, რაც ტალუდმა და მისმა რაზმმა, ჯალუთსა და მის ჯართან შეხვედრის დროს თქვა: „ღმერთო ჩვენო! მოგვმადლე სიმტკიცე, მუხლი გაგვიმაგრე და შეგვეწიე ურწმუნო ხალხის წინაშე!" (სურა ბაყარა, 2/250)

ბრძენნი ამბობდნენ: „ვინც მოითმენს ის მოიგებსო" ასევე ბრძენთ უთქვამთ: „ამბოხების ბოლო უბედურებაა". ყაენისა და ფარაონს დაუოკებელმა ვნებამ მათ მხოლოდ უბედურება მოუტანა. რაც შეეხება ადამის, იაყუბის, იუსუფის, ეიუბისა და იუნუსის მოთმინებას, მათ მხოლოდ წყალობა და სიმშვიდე არგუნა.

როდესაც მოთმინების სანაცვლოდ მოწყალება გამოვლინებდა, მოუთმენლობისა და უმადურობის შედეგი მხოლოდ განცვიფრებასა და რისხვის მომტანია.

სამყაროს გაჩენის დღიდან, შუამავლებს რამდენად ბევრჯერ ებრძანათ „მოთმინება“.

„და მიჰყევი იმას, რაც შთაგეგონა შენ, და მოითმინე, ვიდრე ალლაჰი განსჯიდეს, რადგან იგი საუკეთესო მსაჯულია მსაჯულთა შორის!“ (სურა იუნუსი, 10/109)

„მოითმინე, უეჭველად, ალლაჰი არ დაუკარგავს საზღაურს კეთილის მქნელებს“! (სურა ჰუდი, 11/115)

ამრიგად ადამიანებისთვის რამდენად ხშირი მოწოდებაა მოთმინებისკენ:

ყურანში ვკითხულობთ: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მოითმინეთ და შეეჯიბრეთ მოთმინებაში (ურწმუნოებს)“. (სურა ალი ღიმრანი, 3/153)

...„ეძიეთ შველა მოთმინებასა და ლოცვაში, უეჭველად, ალლაჰი მომთმენებთან ერთადაა“. (ბაყარა, 2/153)

მოთმინება, ეს ფარაონის შეიარაღებულ ჯარის წინააღმდეგ შუამავალი მუსას კვერთხად გადაიქცა და კაცობრიობის წინაშე წარსდგა, შემდეგ კი ოკეანე გააპო.

მოთმინება ზოგჯერ ხუთიათასამდე ანგელოზია, თითოეული მათგანი თავიანთი ნიშნითდასმული... ისინი ადამიანების თანადგომის ნიშნად მტრების წინააღმდეგ გაილაშქრენ... (ალი ღიმრანი, 125)

მოთმინება ზოგჯერ ბარაქა და სიუხვიეა. მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი ღვთიურ მემკვიდრეობად მორწმუნეთა წინ გაიშალა. (ეღრაფი, 7/137)

მოთმინებამ ზოგჯერ ათას მებრძოლს ორი ათასის წინააღმდეგ გაამარჯვებინა. (ენფალი, 8/66)

მოთმინება ზოგჯერ ორმაგი ჯილდოა. (ყასასი, 28/54) ზოგჯერ კი მოთმინებამ განუსაზღვრელ ჯილდოდ გამოვლინდა. (ზუმერი, 39/10)

განა ძალიან შორს არის ის დრო როცა მოთმინება ერთ მშვენიერ დღეს სიმშვიდედ და სამოთხედ გადაიქცევა, (იხ.

შურა რაღდი, 13/24) როცა მორწმუნის მთელს ეგოს მოიცავს და საიქიო ბენიერებად წარმოგვიდგება, (ბელედი, 90/17-18) მთელს სხეულს გარსშემოეკვრის და აბრეშუმის სამოსად გადაეკვრება. (ინსანი, 76/12)

ყველაფრის წინ თუ უკან, ნებისმიერ დროს სულის სიღრმეში, ხილული სამყაროს თითოეულ ადგილას უზენაესი ალლაჰის ძლიერების გამოვლინებას ვხედავთ. მოთმინება დედამიწის ზედაპირსა და მთელს სამყაროში განვითარებულ ნებისმიერი მოვლენას სიბრძნის ნიაღვარად გადააქცევს.

დიახ, მგალობელი ჩიტის მსგავსად ადამიანის ამქვეყნიურ გზაზე ერთ-ერთი ფრთა მოთმინება, ხოლო მეორე ფრთა მადლიერებაა, რომელიც მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის წყალობისკენ მიექანება.

2. წყალობა, რომლის კარი მოთმინებით იღება

უზენაესი ალლაჰის წყალობა უკიდეგანოა, სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი მოწყალებისა და მწყალობლის სახელი. იგი ხომ განურჩევლად მორწმუნისა თუ ურწმუნოსი სამყაროში ყველა ცოცხალი არსების მოწყალეა და ბოძებული სარჩოთი ყველა მათგანს აპურებს. მაშინ, როცა უზენაესი ალლაჰი გვამცნობს, რომ სასჯელს მოუვლენს მას ვისთვისაც ინებებს ამას, პარალელურად იმასაც გვაუწყებს, რომ მისი მოწყალება ყოვლისმომცველია. (სურა ეღრაფი, 7/156) აღნიშნული სიტყვები ნათლად გვაუწყებს, რომ მისი მოწყალება რისხვაზე უფრო მაღლა დგას. (ბუხარი, ბედულხალყი, 1; მუსლიმი, თევბე, 14) უზენაესი ალლაჰი ხომ ბრძანებს? **„უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება; უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება!** (სურა ინშირაჰი, 94/5-6) მაგრამ როდესაც უზენაესი ალლაჰი ადამიანს თავისი უკიდეგანო მოწყალების გამოვლინებით სარჩოს უბოძებს ეს მას ძალიან ახარებს, უფრო მეტიც იგი ამბობს, რომ ეს წყალობა თავად მოიხვეჭა და მადლიერების გამოხატვას აღარ თვლის საჭიროდ. მოდით ნახეთ აბა, როდესაც აღნიშნული წყალობა ხელიდან გამოეცლება ამ დროს იგივე ადამიანს სასოწარკვეთილს და უმადურს იხილავთ. (სურა ჰუდი, 11/9;

რუმი, 30/36) გარდა აშკარა გზასაცდენილთა ვინ შეიძლება უზენაესი ალლაჰის მოწყალებისგან იმედი მოიწყვიტოს? (ჰიჯრი, 15/56)

უზენაესი ალლაჰის წყალობა ყოველ დღეს ადამიანთა თვალწინ გადაიშლება. იგი მკვდარ მიწას წვიმის წვეთებით ხელახლა გააცოცხლებს და მისგან სხვადსხვა ფერის ყვავილებსა და მცენარეებს აღმოაცენებს. ეს კი მისი სიდიადის უდიდესი გამოვლინებაა, როდესაც ფერწასულ და დამჭკნარ მცენარეებს სიცოცხლეს უბრუნებს.

უზენაესი ალლაჰი სამყაროს თავის უკიდეგანო მოწყალებას უწყვეტ რეჟიმში მოუვლენს, რითაც ყველა ცოცხალი არსება სიცოცხლეს პოულობს. დიადი გამჩენი ადამიანს ამქვეყნად მარტოდ არასოდეს მიატოვებს. ყურანში ვკითხულობთ: „იგი ყოველ დღე ახალ გამოვლინებაშია.” (სურა რაჰმანი, 55/29) რადგან ესოდენ სიმდიდრე ჩვენთვისა გაჩენილი, მაშინ ისღა დაგვრჩენია მის მოსაპოვებლად გზები გამოვნახოთ. უამრავი ადამიანი უსაზღვრო ეგოიზმის გამო, უზენაესი ალლაჰის მიერ წყალობად ბოძებულ სიყვარულის გრძნობს არავის გაუზიარებს. უფრო მეტიც იგი სხვის მცირე ქონებაზეც კი თვალს დაიკავებს. უზენაესი ალლაჰი გვამცნობს, რომ არაინ ადამიანები, რომლებიც, თუნდაც საგანძურს ფლობდნენ, გაღატაკების შიშით სხვებს სულ მცირე რამესაც კი არ გაუზიარებენ. (სურა ისრა, 17/100) დიახ, მარხვა სწორედ წამლად გველოდება, რათა მისით ეგოიზმის დამარცხება შევძლოთ.

მარხვის ჰორიზონტებში ფრთების გაშლა

მარხვა მხოლოდ შიმშილი როდია.
იმისათვის, რომ მარხვისგან წილად
მხოლოდ შიმშილი არ შეგვრჩეს,
საჭიროა მზერამ, სმენამ, ენამ, ფეხებმა,
გულმა და პირმა კუჭთან ერთად დაიცვას მარხვა.

ა. რამადანი; მოწყალებითა და მოთმინებით შემკული დროის მონაკვეთი

რამადანი სულ სხვა რამეა. დიახ, რამადნის საწყისი მოწყალება, შუა პერიოდი მიტევება, ხოლო ბოლო დღეები ჯოჯოხეთისგან გადარჩენაა. სწორედ რამადნის მთვარეში გარდმოევლინა ყურანი „ლევჰი მაჰფუზიდან ბეითულ ‘იზზეთამდე“. რაც იმას ნიშნავს, რომ სამყაროში განვლილ და არსებულ ყველა ინფორმაციასთან დაკავშირებული ღვთიური სიბრძნე და ნება, უზენაესი ალლაჰის წიაღში არსებული წიგნიდან -ზეციდან დედამიწაზე იქნა ზეგარდმოვლენილი. სწორედ რამადნის მთვარე იყო ის სიკეთით აღსავსე დრო, როცა ანგელოზმა ჯიბრილმა ყურანის პირველი აიათები ზეშთააგონა. უფრო მეტიც, ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) გვამცნობს, რომ შუამავალი იბრაჰიმს გრაგნილები (სუხუფი) რამადნის პირველ ღამეს; ძველი აღთქმა მეექვსე ღამეს, ახალი აღთქმა მეცამეტე დღეს, ხოლო ყურანი ოცდამეოთხე დღეს იქნა გარდმოვლენილი. კიდევ ერთი გადცმოცემის მიხედვით, ღვთიური წიგნი ზებური რამადნის მთვარის მეთორმეტე ღამეს, ხოლო ძველი აღთქმა მეთვრამეტე ღამეს იქნა გარდმოვლენილი“. (იბნი ქესირი, თეფსირი, I, 216) ყურანის განმამრტებელნი გვაცნობენ, რომ ზეციური წმინდა წიგნები –ზებური, ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა შუამავალ დავუდს, მუსასა და ‘ისას ერთდროულად შთაეგონათ, ხოლო ყურანის პირველ ცამდე (ბეითულ ‘იზზეთამდე) გარდმოვლენის შემდეგ შუამავალ მუჰამმედს (ს.ა.ს.) გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ ექნა ზეშთაგონებული. (იბნი ქესირი, თეფსირი, I, 216) რაც შეეხება ყურანს, მან პირველად ყადირს ღამეს იწყო გარდმოვლენა.

რამადანი, ბარაქა, ღვთიური წყალობა და მიტევებაა. რამადანი შორიდან მონაბერი ტკბილი სიოა. განშორების დროსაც კი წყალობის, ბარაქისა და გადარჩენის სიო და მოწყალების მონაბერი ნიავია.

რამადანი ღვთიური ზეშთაგონების პერიოდია. ზეცის კარების გაღების, რჩეული ადამიანის, ბედნიერი შუამავლის, მთავარანგელოზი ჯიბრილის ალლაჰის შუამავალთან ზეშთაგონების გადაცემის ღვთიური მისიით გამოცხადების მადლმოსილი დროა. იმისათვის, რომ ზეშთაგონების პერიოდის სიბრძნეს ჩავწვდეთ, მარხვა და სულის აღზრდაა საჭირო. რამადანი მოწყალების თვეა. როგორ შეიძლება არ იყოს მოწყალების თვე, როცა ეს დრო ზეშთაგონების საწყისი პერიოდი და უზენაესი ალლაჰის მოწყალების დედამიწაზე გარდმოვლენის დროა.

ისე როგორც გაზაფხულზე უხვად მოევლინება წვიმა, ასევეა რამადნის მთვარე, როცა ზეციდან ზეშთაგონება და მოწყალება ერთდრულად გარდმოვლინდება. რამადანი ზეშთაგონების გაზაფხულია.

მორწმუნის ცხოვრება, მოთმინების გამოჩენა და მადლიერების გამოხატულებაა. შესაბამისად მორწმუნეს სხვა, მესამე გზა არ გააჩნია! რამეთუ ამ მხრივ მესამე გზა ამბოხებაა. შესაბამისად ამბოხი არ შეიძლება იყოს ადამიანური საქციელი. მას არაფერი აქვს საერთო რწმენასთან. მარხვა ეს არის მოთმინებისა და მადლიერების გამოხატულება, რომელიც ამბოხებისკენ მიმავალი კარების გადაკეტვისთვის საუკეთესო ღვთისმსახურებაა. ის რაც მარხვას სხვა ღვთისმსახურებებისგან განასხვავებს, ეს არის, რომ ადამიანს პირდაპირი მნიშვნელობით მონა-მსახურებრივ თვითშეგნებას უყალიბებს. მარხვა ადამიანს დედამიწის გაჩენის დღიდან მეგობრობას უწევს, მის როგორც სულს ასევე სხეულს გარს ეკვრის და იგი მისი უღალატო სულიერი მეგზურია.

მარხვა რამადნის მთვარეში სულ სხვა მნიშვნელობას იძენს. მარხვა და რამადნის მთვარე ორი ერთმანეთისგან განუყოფელი მთლიანობაა. როგორც ვიცით, არაბები მტვერისა და ჭუჭყის გამწმენდ წვიმას „რამზა" უწოდებენ. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, სიტყვა რამადანი სწორედ ამ სიტყვისგან იღებს ფუძეს. ვინაიდან რამადანი, როგორც წვიმა ყოველ გვარ სიბინძურეს წარხოცავს, ადამიანის ცუდ ხასიათს, ხორციელ ვნებებსა და შეცოდებებს გააქარწყლებს. ზოგნი დასძენენ, რომ „რამადანი", მცხუნვარე მზისგან დამწვარი ქვების მდგომარეობის გადმოსაცემად გამოყენებული სიტყვის „რამაზ"-ისგან არის წარმოებული. მაშ ასე, რამადანი წუთისოფელში მონა-მსახურის ხორციელი ვნებების დამწველი ნაკვერჩხალი იქნება. იმისათვის, რომ მონა-მსახური ეშმაკისეულ სურვილებს არ აჰყვეს და ჯოჯოხეთის ცეცხლში არ დაიწვას. ასევე ამბობენ იმასაც, რომ სიტყვა „რამადანი" უზენაესი ალლაჰის ერთ-ერთი სახელია. (ელმალი ჰამდი იაზირი, ჰაყ დინი ყურან დილი, I, 642)

რამადნის მთვარე სხვა დროისგან თავისთვის დამახასიათებელი მოთმინებით გამოირჩევა. ამ თვეში მოთმინება ადამიანის ეგოს გარს შემოეკვრება. ის, რაც ადამიანს ამ დროში საკვებისგან მოაკლდება, მის ადგილს სულიერება შეავსებს. ულევი ღვთის სახელის ხსენებაზე თრთოლვას იწყებს, ხოლო როცა იკითხება ალლაჰის აიათები მათი გულების რწმენით ივსება. მაშინ უზენაესი ალლაჰი მორწმუნის ერთად-ერთი სანდო კარი გახდება. მარხვის შიმშილი თუ წყურვილი ყველა სხვა სიდუხჭირის წინაშე გამოჩენილი გამარჯვებაა. როგორც ამას ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ამბობდა: „ის, ცოდვების წინაშე აღმართული ფარია". (მუსლიმი, სიამი, 162) მაშინ, როდესაც მორწმუნე მარხულია, იგი არავითარ შემთხვევაში მის წინ არსებულ შეჭამადზეც კი ხელს არ გაიწვდენს. ჩხრიალით მდინარე წყლის წვეთსაც კი არ დალევს. სიამოვნებითა და ხალისით მოითმენს შიმშილსაც და სხვა სიდუხჭირესაც. „რამეთუ რამადანი მოთმინების მთვარეა". (იბნი მაჯე, სიამი, 43)

არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, თუ საიდან იღებს სიტყვა „რამადანი" საწყისს, თუმცა ეს არის თვე, რომლის წყალობითაც მონა-მსახური აინუნშიც კი არ აგდებს შიმ-

შილსა და წყურვილს, სულს მოთმინებით ასაზრდოებს და მოწყალების ნაკადული ადამიანში არსებულ ეგოიზმს, ჟინსა და სიხარბეს ძირეულად აქარწყლებს. რამადანი ეს არის ბარაქის, ღვთიური წყალობისა და მიტევების სახელწოდება. რამადანი შორიდან მოსული ტკბილი სიოა, რომელიც განშორებისას მოწყალების, ბარაქისა და გადარჩენის თბილ ნიავს გვიტოვებს. დიახ, მოთმინების თვეა რამადანი, რომელიც გამომშვიდობების დროს მორწმუნეებს თითქოს ფრთხილად ჩასჩურჩულებს: „...უეჭველად, მომთმენთ მიეგებათ თავიანთი საზღაური –სარჩო უთვალავი!“ (ზუმერი, 39/10)

მარხვა ადამიანს მოთმინებას ასწავლის. განა ალლაჰის შუამავალი მოთმინებასა და რწმენას ორ განუყოფელ ძმად არ ახასიათებდა? განა მისი ბაგეებიდან არ გაისმოდა სიტყვები, „რწმენა ნიშნავს იყო მომთმენი“. (იბნი ჰანბელი, IV, 385) განა შესაძლებელია იყოს რწმენა ქმედების გარეშე? მოთმინება ხომ ქმედებების არსია. ალლაჰის შუამავალი ხომ დასძენდა, რომ „მარხვა ამიტომ არის მოთმინების ნახევარი“. (იბნი მაჯე, სიამი, 44)

დიახ, რამადანი მოთმინების თვეა! რწმენის ნახევარი, რამადანი, რომელიც მონა-მსახურებას უხვად გამოავლენს. რამადანი, ეს არის რწმენის, ისლამისა და სიკეთის სიმტკიცე. მისი დღეები სულ სხვა მოწყალებით, ხოლო ღამეები ბარაქის გამოვლინებით გამოირჩევიან. რამადანი, ეს არის თვე, რომელიც სიმართლე ცდომილებისგან, ჭეშმარიტებას სიცრუისგან მკაფიოდ გამოკვეთს. რამადანი ეს არის თვე, როცა ყურანმა ზეციდან უხვი წვიმის მსგავსად იწყო გარდამოსვლა. რამადანი ეს არის თვე, როცა ჰირას გამოქვაბულის კედლები „იკითხე, იკითხე... ხმების ექოს გამოსცემდა. რამადანი, ეს არის თვე, როცა ჰუბელის სახელობის კერპზე ჩრდილი ჩამოწვა და დამწუხრებული ქალაქის ნაღველი, უდაბნოში გაბნეულმა სინათლემ გაფანტა. რამადანი ეს არის სიმშვიდისა და ბედნიერების თვე, როცა მარხვის დრო განისაზღვრა და ანგელოზები ჯგუფ-ჯგუფად დედამიწაზე ჩამობრძანდნენ. დიახ, რამადანი ეს არის თვე, რომელიც თერთმეტ თვეს გვირგვინად ადგას.

მოთმინება მარხვის, ხოლო მარხვა რამადნის მთვარის სიმბოლოა. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) ბრძანებს: „როდესაც დადგება რამადნის მთვარე, სამოთხის კარები ფართოდ გაიღება, ხოლო ჯოჯოხეთის კარები მტკიცედ ჩაირაზება და ეშმაკებს ბორკილები დაედებათ. მთელი რამადნის განმავლობაში ყოველ ღამეს შემდეგი ხმა გაისმის: „ჰოი, სიკეთის მსრუველებო! ნუ შეყოვნდებით და სიკეთე ქმენით! ჰოი, ბოროტებისკენ მიდრეკილნო! უარი თქვი ბოროტებაზე“! (ნესაი, სიამი, 5)

მარხვის დაცვა თავისთავად ჯიდლოა. მარხვა ერთ-ერთი შანსია. ერთ-ერთ ყუდსი ჰადისში ნაბრძანებია: „ადამიანის მიერ შესრულებული სიკეთე ერთიდან სამოცდაათამდე ჯილდოდ შეფასდება. თუმცა მარხვა ასე არ შეფასდება. რამეთუ მარხვა მე მეკუთნის. იმის გამო, რომ ადამიანი ხორციელ სურვილებზე, ჭამაზე, სმაზე და სხვაზე, მხოლოდ ჩემი კმაყოფილების მოპოვების მიზნით უარს იტყვის, მაშინ, მარხულს ჯილდოს მე თვითონ მიუზღავ. (მუსლიმი, სიამი, 164)

მარხვა, ისეთი ღვთისმსახურებაა რომ! ერთი დღე მარხვით მიღებული მადლი ათიდან შვიდასამდე გაიზრდება. და თუკი მარხვის რამადნის მთვარეში შესრულებაზე დავფიქრდებით, აშკარად ნათელი ხდება, რომ მას გაცილებით მეტი მადლის მოტანა შეუძლია. გამომდინარე იქედან, რომ ამ თვეში მხოლოდ ერთი ყადირის ღამე ათას თვეზე უფრო ხეირიანი, ნათელს ხდის, რომ რამადნის მთვარეში ღვთისმსახურების საშუალებით მიღებული მადლის რაოდენობა აღურიცხავია. მაშ ასე, რამადანი, როგორც ფიზიკური თვალსაზრისით, ასევე სულიერი მიმართულებით ბარაქის მომმადლებელი მთვარეა. ალლაჰის შუამავალი რამადნის შესახებ მნიშნველოვან სასიხარულო ამბავს გვამცნობს და ბრძანებს: „ის, ვინც სანაცვლოს მხოლოდ უზენაესი ალლაჰისგან მოლოდინით რამადანის მთვარეში დღეებს მარხვაში, ხოლო ღამეებს ლოცვაში გაატარებს, ახალშობილი ბავშვის მსგავსად უცოდველი შეიქმნება“. (ბუხარი, იმანი, 27) სწორედ მაშინ, როცა მონა-მსახური სასოწარკვეთილებას მიეცემა და იტყვის „ვაი ჩემს თავს უბედურს! ჩავიძირე ცოდვის მორევში, გავნადგურდი! აღნიშნულ აღტაცემის მომგვრელი ამბავი მოულოდნელად „ხიზირის მსგავსად“

სულზე მოუწსრებს. მარხვა ადამიანს ცოდვებით ჩაბნელებულ სამყაროს სინათლეს მოჰფენს, ცუდი გრძნობებისგან გულში ჩამოწოლილ სიბნელეს ღვთისგან მიღებული სინათლით უმალ გაფანტავს.

ალლაჰის შუამავალი ხუთი თვისების შესახებ გვამცნობს: „არსებობს ხუთი სახის თვისება, რომელიც ვისაც ექნება სამოთხეში დაიმკვიდრებს ბინას“. შემდეგ კი დასძინა: აღნიშნული თვისებების მქონენი, აბდესთს –მცირე განბავას, რუქუ'ს და სეჯდეს სრულფასოვნად ასრულებენ და ამასათან ერთად დროულად ხუთი დროის ლოცვას ასრულებენ, რამადნის მთვარეში მარხულობენ, შესაძლებლობის შემთხვევაში ქა'ბას მოლოცვით ჰაჯობას შეასრულებენ, წრფელი გულით გაიღებენ და მიბარებულ ამანათს სიფრთხილით ეკიდებიან“. (ებუ დავუდი, სალათი, 9)

ჯიბრილის სახელით ცობილი ჰადისის თანახმად, უდაბნოდან მოსული თეთრ სამოსში გამოწყობილი პიროვნება ალლაჰის შუამავალთან მივა და რწმენის, ისლამისა და სიკეთის შესახებ კითხვებს დაუსმევს. ალლაჰის შუამავლის მიერ გაცემულ პასუხებს კი ამოწმებდა და ეუბნებოდა: „მართალს ამბობ! სინამდვილეში გასაკვირიც იყო ასეთი მდგომარეობა. თანამიმდევრები ამბობდნენ: „შეხედეთ ამას“! „თან კითხვას უსმავს, თან პასუხებზე ეთანხმება“! წარმოიდგინეთ, მათ, რომ ცოდნოდათ თეთრ სამოსში გამოწყობილი პიროვნება ანგელოზი ჯიბრილი იყო. სწორედ ის დღე იყო, როცა ალლაჰის შუამავალი ისლამს შემდეგ ნაირად ახასიათებდა: „ისლამი, ეს არის რწმენა, რომლის სწავლების თანახმად არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია, ლოცვა, რამადნის მთვარის მარხვაში გატარება და შესაძლებლობის შემთხვევაში ალლაჰის სახლის მონახულება –ჰაჯის შესრულებაა. (თირმიზი, იმანი, 4)

განა ალლაჰის შუამავალს არ ჰქონდა ნათქვამი, რომ ისლამი ხუთ ბურჯზეა დამყარებული? ესენი, ალლაჰის ერთადერთობის რწმენა, ლოცვა, ზექათის გადახდა, რამადნის მთვარის მარხვაში გატარება და ჰაჯობაა. (მუსლიმი, იმანი, 19) ანგელოზი ჯიბრილი სწორედ ამავეს ამოწმებდა.

სწორედ მოცემული ხუთი ბურჯიდან ერთ-ერთია მარხვა. თუმცა იგი ერთის მხრივ განსხვავებული ღვთისმსახურებაა. ეს არის ღვითისმსახურება, რომლიც საზღაურს თვით უზენაესი ალლაჰი აღგვითქვამს. დიახ, დიადი გამჩენი ბრძანებს: „სანაცვლოს მხოლოდ მე გადავუხდი“. ნეჯიდელი პიროვნების გაბრწყინებული თვალები თითქოს ისევ თვალწინ გვედგას. ის ხომ თმა-წვერ შერეული მოსულიყო ალლაჰის შუამავალთან და შემდეგი სიტყვებით ისლამის სწავლას თხოვდა. „მასწავლე მე ისლამი“. ალლაჰის შუამავალმა მისთვის ისლამის ახსნა დაიწყო და ბრძანა: „ისლამი ხუთი დროის ლოცვაა“. ბედუინმა ინტერესით აღსავსე თვალებით ჰკითხა: „არის კიდევ რამე? შუამავალმა მიუგო: „არა“. მაგრამ ნებაყოფლობითი (ნააფილე) ლოცვების შესრულება არშესრულება შენი ნებაა. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა საუბარი ასე განაგრძო! „ისლამის რამადნის მთვარეში მარხვაა“. ნეჯიდელი მეტისმეტად ღელავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ უნდოდა ნასწავლები მაშინვე შეესრულებინა. „არის კიდევ რამე ალლაჰის შუამავალო? არა – მიუგო შუამავალმა (ს.ა.ს.) თუმცა შეგიძლია ნებაყოფლობითი მარხვა დაიცვა. ალლაჰის შუამავალმა საუბარი ასე განაგრძო: „და კიდევ, რა თქმა უნდა ზექათი უნდა გადაიხადო“. არის კიდევ რამე? ჰკითხა ნეჯიდელმა. –არა. მიუგო შუამავალმა (ს.ა.ს). მაგრამ შეგიძლია თუ მოინდომებ მოწყალება გასცე. ალლაჰის შუამავალმა მუსლიმი ადამიანის ვალდებულებები უდაბნოდან მოსულ ბედუინს ასეთი მეთოდით სრულიად მარტივი სიტყვებით აუხსნა. კაცი სიხარულით ცას წვეოდა. რაც მითხარი სწორედ იმას უნაკლოდ შევასრულებ, არც მეტად და არ ნაკლებად! თქვა და იქაურობა დატოვა. ნეჯიდელის წასვლის შემდეგ თანამიმდევრებს შემდეგი სასიხარულო ამბავი აუწყა: „თუკი ნადვლიად შეასრულებს იმას რაც თქვა, გადარჩენილია!“ (მუსლიმი, იმანი, 8) ეს იმას ნიშნავს, რომ ლოცვას, მარხვას, ზექათს ერთად შეუძლია ადამიანის გადარჩენა. ეს სასიხარულო ამბავი თავის დროზე ჯიბრილმა ამცნო ალლაჰის შუამავალს. მაშინ როცა ჯიბრილმა უთხრა: „ისლამი ეს არის ალლაჰისადმი ისეთი მსახურება, რომ მას მოზიარე არ დაუდგინო, სავალდებულოდ დადგენილი ზექათის გადახდა და რამადნის მთვარის მარხვაში გატარება“. (ბუხარი, იმანი, 37)

1. რამადნის მარხვის შედეგი

ისტორიას თუ გადავხედავთ სიტყვა „რამადანი“ როგორც ერთ-ერთი თვის სახელწოდება უმეცრების ხანაშიც ცნობილი იყო და გამოიყენებოდა კიდეც. ყურანში აკრძალულად მოხსენებული და პატივდებული ოთხი თვე (ზილყადე, ზილჰიჯჯე, მუჰარრამი და რეჯები), რომელშიც სისხლის ღვრა და ბრძოლა აკრძალული იყო, გარკვეულწილად გამორჩეული ადგილი ეჭირა, (ბაყარა, 2/197) თუმცა აღნიშნული პერიოდისთვის ანალოგიურს ვერ ვიტყვით რამადნის მთვარის შესახებ. ის რამაც რამადნის თვე სხვა თვეებისგან გამოარჩია, მასში კაცობრიობისთვის ჭეშმარიტების გზამკვლევად წოდებული – ყურანის ზეგარდმოვლენაა. გარდა ამისა, ის რომ ამ თვეშია ათას თვეზე უფრო ხეირიანი –ყადირის ღამე, ასევე ამავე თვეშია ისლამის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთისმსახურება –მარხვა, თერავიჰის ლოცვა, ყურანის ერთიანად კითხვა –მუყაბელე, განმარტოება –ი’თიყაფი, საჰური და ფითრის მოწყალება ამ თვის მადლიანობას კიდევ უფრო მაღლა აყენებს. მხოლოდ რამადნის თვეა იმ თორმეტ თვეთა შორის, რომლის სახელი ყურანშია მოხსენიებული. (ბაყარა, 183-187)

პირველი აიათები, რომლებიც კაცობრიობას მოთმინებისა და მადლიერებისკენ მოწოდებდა, ღვთიური წყალობის უკიდეგანობას გვაუწყებდა და რამადნის მთვარეში მარხვის აუცილებლობას გვამცნობდა, ჰიჯრეთიდან მერვე თვის –შაბანის მიწურულს იწყო გარდმოევლინა.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა, როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან. (მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში. თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს იმდენივე სხვა დღეებში. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო). თუ ვინმე საკუთარი სურვილით იქმს სამადლოს (გამოსასყიდ თანხას დაკისრებულზე ზედმეტს), ეს მისთვისვეა უკეთესი. და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვსაა უკეთესი, თქვენ, რომ იცოდეთ.“ (ბაყარა, 2/183-84)

მოცემული აიათებიდან, რომლებიც მკაფიოდ გვამცნობს, რომ მარხვის ღვთისმსახურება ისევე სავალდებულოა ჩვენზე, როგორც ეს ჩვენს უწინარეს ხალხისთვის იყო, ნათლად ირკვევა, რომ მარხვა ადამიანის აღსაზრდელად ერთ-ერთი აუცილებელი აღმზდელობითი მეთოდია.

მარხვა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: მარხვა ეს არის, ხორციელი ვნების მდარე გრძნობისგან განმწმენდი ღვთისმსახურება, რითაც ადამიანი ცუდ ქმედებებს განერიდება და მთელი თავისი ბუნებით უზენაესი ალლაჰის მორჩილებით დღის გარკვეულ პერიოდს ჭამის, სმისა და მეუღლეთან თანაცხოვრებისგან შორს ატარებს. გარდა იმისა, რომ მარხვის ღვთისმსახურება განურჩევლად ჩვენს უწინარს ხალხისა და ასევე შუამავალი მუჰამმედის (ს.ა.ს) თემისთვის სავალდებულო დადგინდა, შესაძლოა ითქვას, რომ ამავეს ყურანის სხვა აიათებიც გვამცნობს. ყურანში ვკითხულობთ: „თითოეულ თქვენგანს ჩვენ დავუდგინეთ კანონი, (შარიათი) და გზა (ნათელი გზა). და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად გქმნიდათ თქვენ. მაგრამ (დაგყოთ) იმისათვის, რომ გამოეცადეთ იმით, რაც გიბოძათ. მაშ შეეჯიბრეთ ერთმანეთს კეთილი საქმეების კეთებაში...“ (მაიდე, 5/48)

როგორც ჩანს ადამიანი კეთილ საქმეში სისტემატიურ შეჯიბრშია, როგორც თავისი თანემედროვეების წინაშე, ასევე აწგარდასული თემის. უზენაესი ალლაჰი მარხვას იმავე აიათებში დიადი გაჩენის წინაშე ამხედრებისგან გაფრთხილებად და ღვთისმოსაობის გამოვლინებად აფასებს. ვინაიდან მარხვის ღვთისმსახურების წყალობით, როგორც ადამიანის სხეული შეიძენს სიჯანსაღეს, ასევე მისი ორგანიზმი სულიერი განწმენდის პერიოდს გაივლის. მარხვის წყალობით ადამიანი ბოროტებისკენ მიმავალ გზას და ეშმაკისეულ მახეებს განერიდება, ასევე სხვადასხვა ცუდ განცდებსა და ქმედებებზე უარს იტყვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ახალგაზრდებო! თქვენგან ვისაც სათანადო საშუალება გააჩნია, დაქორწინდეს. ხოლო მათ, ვისაც დაქორწინების შესაძლებლობა არ გააჩნია, მარხვა დაიცვას. რამეთუ მარხვა სექსუალურ მოთხოვნილებას კონტროლირებადს გახდის“. (ებუ დავუდი, ნიქახი, 1)

რელიგიური ლიტერატურის წყაროებში საუბარია იმაზე, რომ აწგარდასულ ხალხში სავალდებულო მარხვის დღეთა რაოდენობა ყოველ თვეში სამი დღით იყო განსაზღვრული. შუამავალი ნუჰის პერიოდიდან მოყოლებული ისლამის პირველსავე წლებამდე მარხვის სახე ასეთ ფორმაში იყო წარმოდგენილი. აქედან მკაფიოდ ირკვევა, რომ რამადნის მარხვის ბრძანებას გარკვეული ეტაპები აქვს გამოვლილი. გამომდინარე აქედან, ისე როგორც ლოცვის ღვთისმსახურებამ გამოიარა გარკვეული თანმიმდევრობა, ისეთივე თანდათანობითი ეტაპები გამოიარა მარხვამ. ამრიგად ორივე ღვთისმსახურებამ სამჯერ დაექვემდებარა ცვლილებას. სანამ რამადნის მარხვის ბრძანება გაცხადდებოდა, ალლაჰის შუამავალი ყოველი თვის სამ დღეს და აშურის დღეს მარხვაში ატარებდა. (მუსლიმი, სიამი, 124) ჰაქემ ბინ ა'რაჯი მოგვითხრობს: „იბნი 'აბბასს აშურას დღის მარხვის შესახებ ვკითხე. იბნი 'აბბასმა მითხრა: „როდესაც მუჰარრემის მთვარე გამოჩნდება, დაიწყე დღეების დათვლა და მეცხრე დღეს მარხული შეხვდი". მე ვკითხე: „ალლაჰის შუამავალი ასე იქცეოდა?" მიპასუხა: „დიახ, ის ასე იქცეოდა". (მუსლიმი, სიამი, 132)

ამის შემდეგ კი ზემოთ ხსენებული აიათების გარდმოვლენა დაიწყო: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა, როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან." აღნიშნული აიათების გარდმოვლენამ მორწმუნეების სიმშვიდე და თავისუფლება ცნო, რაც მათ ნებას რთავდა ავადმყოფობისა და მოგზაურობაში ყოფნის დროს რამადნის თვეში მარხვა არ დაეცვათ. თუმცა შემდეგში გამოტოვებულ დღეებს ანაზღაურებდნენ. რაც შეეხება მათ ვინც ჯანმრთელი იყო და არ იმყოფება მოგზაურობაში შეეძლოთ მარხვა დაეცვათ ან მარხვის ნაცვლად თითოეულ დღეს ერთი ღარიბი გამოეკვებათ. მათ ვინც მარხვის ალტერნატივად ერთი ღარიბის გამოკვებას ისურვებდნენ, შეეძლოთ ერთი დღის სანაცვლოდ ერთზე მეტი ღარიბის გამოკვება ეტვირთათ. რაც საბოლოო ჯამში ოჯახურ სიყვარულსა და სიკეთის ქმნად ხასიათდებოდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ უზენაესი ალლაჰის ბრძანების თანახმად, მარხვის ღვთისმსახურებაში ცვლილებები შევიდა. ცვლილების თანახმად, უზენაესი ალლაჰის ბრძანება შემდეგი აიათით გაცხადდა: „რამადანის თვეა, რომელშიც ზემოვლინებული იქნა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისთვის და ცხად ცნობარად ჭეშმარიტი გზისა და განმასხვავებლად ჭეშმარიტებისა ბათილისგან. და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში. და ვინც ავად იყოს ან მგზავრობაში, ამდენივე სხვა დღეებში. ალლაჰის ნებაა თქვენთვის შვება და არა ვნება და რომ შეასრულოთ ეს რაოდენობა და ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მადლიერნი იყოთ!“ (ბაყარა, 2/185) ამრიგად რამადნის მარხვა ყველა მათთვის გახდა სავალდებულო, ვინც ამ თვეს იხილავდა. მაგრამ აქვე ყურადღება გამახვილებულია მანამდე გარდმოვლენილ აიათზე, სადაც ავადმყოფობისა და მოგზაურობაში ყოფნის დროზე იყო საუბარი. მსგავს მდგომარეობაში მყოფ მორწმუნეებს ნება ეძლეოდათ გამოტოვებული დღეები რამადნის მთვარის ამოწურვის შემდეგ აენაზღაურებინათ. აიათიდან გამომდინარე მიღებული დოგმის საფუძველზე, მათ ვინც იმდენად სუსტი და მოხუცებული იქნებოდა, რომ მარხვის დაცვას ვერ შეძლებდნენ, ნება ეძლეოდათ თითოეული დღის სანაცვლოდ ღარბის გამოკვება. (ებუ დავუდი, სალათი, 28)

მარხვასთან დაკავშირებით მესამე ცვლილება კი ასეთი იყო: პირველ ხანებში მათ ვინც რამადნის მარხვას იცავდნენ, იმ შემთხვევაში თუკი არ დაიძინებდნენ ნება ეძლეოდათ ჭამა-სმისა და მეუღლესთან თანაცხოვრების. ერთ დღეს ერთ-ერთი თანამიმდევარი, რომელსაც სახელად სირმა ერქვა, სახლში ძალინა გადაღლილი დაბრუნდა. ლოცვა შეასრულა და ჩაეძინა. როცა გაეღვიძა უკვე გათენებულიყო. მაშინდელი მარხვის წესის თანახმად, არაფრის ჭამისა და დალევის უფლება არ ქონდა მას, ვისაც ღამის რომელიმე დროს ჩაეძინა. სირმას დაღლილობასთან ერთად დილას მშიერი შეხვდა. როდესაც ალლაჰის შუამავალმა სირმა ძალამიხდილი დიანახა, ჰკითხა: „რა მოგივიდა შენ, ძალიან უძლურს გხედავ?“ მაშინ სირმამ დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი რაც თავს გადახდა. იგი დაღლილობასთან

და შიმშილთან ერთად, მეორი დღის მარხვას ისე იცავდა, რომ წინა დღის იფთარიც კი არ ჰქონდა მირთმეული. ანალოგიური შემთხვევა ომერსაც (რ.ა.) გადახდა თავს. სწორედ აღნიშნული საბაბზე უზენაესმა ალლაჰმა შემდეგი აიათები გარდმოავლინა:

„ნებადართული იქმნა თქვენთვის მარხვის დროს ღამით ცოლებთან თანაცხოვრება, ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი. ალლაჰმა იცოდა, რომ თავს იწვალებდით, ამიტომაც მიიღო თქვენი სინანული და მოგიტევათ. ახლა შეგიძლიათ თანაეცხოვროთ მათ და ეძიოთ, რაც ალლაჰმა დაგიწესათ. ჭამეთ და სვით, ვიდრე განთიადისას თეთრი ძაფი განირჩევოდეს შავი ძაფისგან. მერე სრულჰქმენით მარხვა ღამემდე და როცა სამლოცველოებში ღვთისმსახურებად ხართ შემდგარი (იღთიყაფის დროს) არ ეთანაეცხოვროთ მათ (ცოლებს). ესა საზღვრები ალლაჰისა და არ მიუახლოვდეთ მათ. ასე განუმარტავს ალლაჰი ხალხს თავის აიათებს, ეგების დაცული იქმნან ყოველივე ცუდისგან“. (ბაყარა, 2/187)

2. მარხვით მიღწეული ღვთისმოსაობა

ღვთისმოსაობა ეს არის უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზინა. ხორციელი ვნების, ჩაგვრისა და ცოდვაში გარეულ ხელებზე დადებული ბორკილია ღვთისმოსაობა. გარდა ამისა ღვთისმოსაობა პიროვნების მოსალოდნელი საფრთხეების წინაშე აღმართული დამცავი ფარია. ალლაჰის ბრძანებების მიმართ მორჩილებისა და აკრძალვებისგან განრიდების ფუნქცია აკისრია ღვთისმოსაობას, რომელიც ადამიანის სიცოცხლეში ნებისმიერი ქმედების გამოვლინების დროს, თავისთვის დამახასიათებელ დამცავი ფარის თვისებას ატარებს. ღვთისმოსაობა ეს არის ადამიანის ბოროტებისგან მტკიცედ დამცავი ჯავშანი, მონა-მსახურის ენერგიის წყარო, რომელიც ადამიანს ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მისიას აკისრებს.

ღვთისმოსაობა დიადი გამჩენის სიდიადისა და ყოვლისშემძლეობის წინაშე ადამიანს თრთოლვით, შიშით და

განცვირფებით, სიყვარულის გრძნობა შერეულ მდგომარეობაში ღვთისმოშიშობისკენ უბიძგებს. ამასთან ერთად ღვთისმოსაობა ადამიანის ასწავლის ქმედებების კონტროლს, გულის ტკენისგან თავის შორს დაჭერას, სხვებზე ფიქრს და უზენაესი ალლაჰის სიყვარულის მოსაპოვებლად მას ქველმოქმედებისკენ მიმართავს.

ღვთისმოსაობა თან მოითხოვს მოთმინებას, (ალი ღიმრანი, 3/120) რწმენას, (ალი ღიმრანი, 3/179) გამოსწორებას, (ნისა, 4/129) მადლიერებას, (ალი ღიმრანი, 3/123) სიკეთეს, (მაიდე, 5/93) ლოცვას, (ენღამი, 6/72) ზექათსა (ეღრაფი, 7/156) და მარხვას.

მონა-მსახური, რომელიც წრფელი გულით გადაწყვეტს იყოს ღვთისმოსავი, მიატოვებს ჩივილს, უმადურებას, არეულობის თესვას, ყველაგვარ ბოროტებას, პროცენტსა და უსამართლო შემოსავალს. ღვთისმოსაობაა, რომელიც მჭიდროდ ჩასჭიდებს ხელს და წარმატების კარს გაუხნის ყველა იმ პოზიტიურ დამოკიდებულებებს, როგორებიცაა მოთმინება, მოთმინების საზოგადო თანადგომად გარდაქმნა, ყოველგვარი ბოროტების, სიავის, მტრის წინააღმდეგ სულიერ და ფიზიკურ სიფხიზლეს. (ალი ღიმრანი, 3/200)

ღვთისმოსაობა სირთულეებს სიმარტივედ გადააქცევს (ლეილი, 92/7). ამასთან ერთად იგი ცოდვებს განწმენდს (მაიდე, 5/65) და ბარაქის კარებს გახსნის. (ეღრაფი, 7/96). ღვთისომსაობა ადამიანებს თავიანთ ოჯახებთან ერთად, რომლის მიმართაც პასუხისმგებელობა აკისრიათ, ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დაიცავს. (თაჰრიმი, 66/6) უფრო მეტიც ღვთისმოსაობა ადამიანს ღვთის სიყვარულთან მიიყვანს (ალი ღიმრანი, 3/76) და მასთან მეგობრობას განუმტკიცებს. (ჯასიე, 45/19)

ღვთისმოშიშობის წყალობით ადამიანს წილად ხვდება სამოთხის ბაღები, სადაც ძირს მდინარეები მიედინება. (ტური, 52/17) ღვთისმოსავები სამოთხეში მდინარის პირას ძლევამოსილ და უზენაესი ალლაჰის წინაშე იქნებიან. (ყამერი, 54/55) ღვთისმოშიშნი ჩრდილში და მდინარის პირას უსაფრთხო ადგილას დაიმკვიდრებენ, (დუხანი, 44/52) მათთვის გამზადებულია სამოთხე, რომლის სივრცე ცანი და დედამიწაა, სადაც სამარადისო ბედნიერებაში გაიშლებიან. (ალი ღიმრანი,

3/133) მაშ, რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო დიდი ჯილდო, როცა ამქვეყნიური ცხოვრება უამრავ გარჯასა და სირთულეებში გამოიარეს, თუმცა იმოგზაურეს დიადი გამჩენის წინაშე უსაზღვრო მიტევებისა და ულევი სარჩოსკენ.

მაშ ასე, ღვთისმოსაობა, რომელიც ადამიანის ბოროტების წინაშე აღმართული სულიერი დაცვის მდგომარეობაა, მარხვას მტკიცე და ჯანსაღ ღვთისმსახურებად გადააქცევს. როდესაც ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მარხვა ფარია“ ბუნებრივია მისი სურვილი იყო, რომ მორწმუნეები მისით ღვთისმოსაობის სამოსით შემოსილიყვნენ. (ეღრაფი, 7/26) შესაძლოა მარხვა მორწმუნეს განსაზღვრული დროით საკვებსა და ამქვეყნიურ წარმავალ სარჩოსა თუ სიამოვნებას დააშორებს, თუმცა წილად არგუნებს ღვთის ბრძანების საიდუმლოს, „საგზალთაგან ყველაზე საუკეთესო, ღვთისმოსაობაა“. მარხვის წყალობით სული და გული ღვთისმოსაობით იკვებება.

უზენაესი ალლაჰი სავალდებულო მარხვის დაცვისკენ მოგვიწოდებს და ბრძანებს: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა, როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან...“ (სურა ბაყარა, 2/183-184) გამომდინარე აქედან, მარხვის მიზანია ადამიანმა მიაღწიოს ღვთისმოსაობას და მისი უზენაესი ალლაჰისადმი განცდილი სიყვარული, ღვთიური სიდიადის წინაშე განცდილი შიშით კონცენტრირებულ გრძნობად გადაიქცეს. ამრიგად მორწმუნე ყოველგვარი უფასური გრძნობებისგან განიწმინდება. მაშინ იგი კეთილი ქმდებებითა და უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების შესაბამის ქცევებისკენ გამოავლენს მიდრეკილებას.

3. რამადანის მთვარე

სამყაროში არსებული ყველაფერი საკუთარი ენით უზენაესი ალლაჰის სიდიადესა და სახელს განადიდებს. საუკეთესო ხელოსნებიც კი თავლწარმტაცი სამყაროს შეუდარებელი სილამაზისა და ხიბლის წინაშე აღიარებენ, რომ

სამყაროს საუკეთესო ხელოვანი მისი გამჩენი უზენაესი ალლაჰია. დიადმა ალლაჰმა ამ გაჩენილთა საოცარ სამყაროში მთვარე მათ შორის სინათლედ და მზე ლამპრად დაადინა. (სურა ნუჰი, 71/16). სხვა არსებების მსაგვსად მზე, მთვარე და ვარსკვლავები უზენაესი ალლაჰის არსებობის დასტურის სახით დღისით და ღამით გვესალმებიან. აღნიშნული არსებების უამრავ სარგებელთაგან ერთ-ერთი ჩვენთვის გიდობის გაწევაა.

დროისა და მიმართულების დადგენა, მუსლიმების ღვთისმსახურებით ცხოვრებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ვინაიდან ღვთისმსახურების შესაძლებლობა ხშირად განსაზღვრულ დროებზეა დამოკიდებული. როგორც ვიცით, რწმენის დედაბოძად წარმოდგენილი ლოცვა, განსაზღვრულ დროებში მოქცეული ღვთისმსახურებაა. ამასთან ერთად ლოცვის ღვთისმსახურების შესასრულებლად მნიშვნელოვანია მიმართულების –ყიბლის დადგენა. ამ თვალსაზრისით ლოცვის ღვთისმსახურება ადამიანის დღეში ხუთ სხვადასხვა დროს, დროსა და ადგილმდებარეობას ახსენებს.

ისევე როგორც ჰაჯობის შესრულება გარკვეულ დროზეა დამოკიდებული, ასევე რამადნის მარხვაც რამადნის მთვარეში უნდა იქნას შესრულებული. ღვთისმსახურების დრო მთვარისეული კალენდრის სისტემაზე დამოკიდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მთვარის ფაზების მიხედვით განისაზღვრება. ყურანში ვკითხულობთ: „უეჭველად, თორმეტი თვეა თვეთა რიცხვი ალლაჰის წინაშე“...(სურა თევბე, 9/36) მოცემული აიათის ორიგინალ ტექსტში –არაბულ ვარიანტში ხსენებულია სიტყვა „შეჰრი“, რაც არაბულ ენაში მთვარის დედამიწის გარშემო ერთ სრულ ბრუნისთვის მინიჭებული სახელია.

უზენაესი ალლაჰი მორწმუნეებს, რომლებიც რამადნის მთვარეს მოესწრებიან, მასში მარხვას ავალდებულებს. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „როდესაც რამადნის მთვარეს დაინახავთ დაიწყეთ მარხვა, ხოლო როცა შევალის მთვარეს იხილავთ შეწყვიტეთ მარხვა, დღესასწაული იზეიმეთ. მაგრამ, როცა ამინდი ღრუბლიანი იქნება, მაშინ

შა'ბანის მთვარე ოცდაათ დღედ ჩათვალეთ". (ბუხარი, სავმი, 5). ამ სიტყვებით იგი (ს.ა.ს.) რამადნის მარხვის დასაწყისზე აკეთებდა აქცენტს.

რელიგიურ ლიტერატურაში ცნობილი „რუიეთულ ჰილალი" ანუ „მთვარის ხილვა" მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი გარკვეული ღვთისმსახურების დასაწყისსა და დასასრულს განსაზღვრავს და ამისათვის მორწმუნეებმა მთვარის დანახვის მიზნით მასზე დაკვირვებას ახდენენ. ამისათვის რამადნის დასაწყისის განსასაზღვრად შაბანის მთვარის 29-ე დღიდან დაიწყება მთვარის დაკვირვება. გარდა ამისა, იმისათვის, რომ გავიგოთ რამდნის მთვარის დასასრული და შევვალის მთვარის დასაწყისი, რამადნის 29-ე დღიდან შევალის მთვარეს უნდა დავაკვირდეთ. რამადნის მთვარის წინა შაბანის მთვარის 29-ე დღეს თუკი ამინდი ღრუბლიანია, როგორც ჰადისშია ნახსენები შაბანის მთვარე ოცდაათ დღედ უნდა ჩავთვალოთ.

რამადნის მთვარეში ყოველი დღის მარხვის დასაწყისის (იმსაქი) და დასასრულის დროც ზეცაში შეხედვით ირკვევა. ყურანის აიათში ხსენებული სიტყვები „თეთრი ძაფი და შავი ძაფი" ცალკეული ალეგორიაა, რომელიც ცაში არსებული მზის მდებარეობას უკავშირდება. ზეცაზე დაკვირვებითი კალენდრული გამოთვლები ჩვენთვის ღვთისმსახურების გამარტივების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყალობაა. მაშინ როცა ისლამურ ქვეყნებს ესოდენ მნიშვენლოვანი კალენდარი ხელთ აქვთ რთული წარმოსადგენია მათი გაურკვევლობაში აღმოჩენის მიზეზი.

უმრავლესობის ერთიანი აზრი, კონკრეტულ რეგიონში რამადნის მარხვის საწყისსა და ბაირამის დადგომასთან დაკავშირებით, აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებთა მიყოლასაც მოითხოვს. ისე, როგორც მუსლიმები ვერ ხედავენ რაიმე საეჭვოს, როცა ლოცვის დროის განსაზღვრებისას ისარგებლონ კალენდრით, რომელსაც კონკრეტული რეგიონის უმაღლესი მუსლიმური რელიგიური სამმართველო გამოსცემს, შესაბამისად გულის სიმშვიდით შეუძლიათ მიჰყვნენ და ისარგებლონ მარხვის კალენდარში მითითებული დროებით, რომელიც ასევე ისლამური რელიგიური

სამმართველოს მიერ იქნება მომზადებული. იმედს ვიქონიებთ, რომ ყველა მუსლიმური ქვეყნები ერთიანი გარჯის შედეგად მიაღწევენ იმას, რომ აღარ ჰქონდეს ადგილი იმ განსხვევებებს, რომელიც რამადნის დასაწყისსა და დასასრულს შეეხება. მაშ ასე, უზენაესი ალლაჰის ბრძანებს: „მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (წიგნს) თოკს, და არ დაიყოთ“. (სურა ალი ღიმრანი, 3/103)

4. შეხვედრა რამადანთან

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) რამადნის დადგომას სიხარულით ეგებებოდა და თანამიმდევრებს ამ მთვარის ბარაქიანობის შესახებ ახარებდა. ბარაქიანობაა როცა ერთი თვის მაგავსი მოკლე პერიოდი მთელი წლის გვირგვინად არის წარმოდგენილი, დროის ამავე სარტყელს ემთხვევა ყადირის ღამე, რომელიც ათას თვეზე უფრო ხეირიან წყალობად ეფინება მონა-მსახურის თვალწინ, ასევე ამ თვეში შესრულებული ყველა ღვთისმსახურება სხვა თვეებისგან განსხვავებით გაცილებით მეტი მადლის მომტანია. რამადნის მთვარეში მთელი ქვეყანას სულიერი სიმშვიდე მოიცავს. თითქოს ყველა და ყველაფერი რამადნის მთვარის მობრძანებას ულოცევს ერთმენეთს. ყველა ცდილობს მიიღოს ხვედრითი წილი რამადნის მთვარის მიერ მოტანილი წყალობიდან. ყადირის ღამეს ხომ ანგელოზები ზეციდან ჯგუფებად ჩამობრძანებიან, ამ ღამის შემდეგ ამოსული მზეს, ანგელოზების სხივებით მოფენილი სინათლის შეშურდება. ალლაჰის შუამავალი ბრძანებდა: „ამ დღეს შემდეგ დილას მზე მოკაშკაშე არ ამოანათებს“ (თირმიზი, სავმი, 72) სწორედ ყადირის ღამის შემდეგი დილაა ნაგულისმები. იქნებ იმიტომ ხომარა, რომ ანგელოზების ფრთები მზის ნათებას აბრკოლებენ. ან იქნებ იმიტომ ხომარა, რომ ანგელოზებით მოფენილი სინათლის წინაშე მორცხვობას გამოიჩენს მზე და ბრწყინვალებას მოიკლებს. რა თქმა უნდა უცნობია, მაგრამ განსაკუთრებით ყადრის ღამე და სრულად რამადნის მთვარე ხომ ბარაქიანობის საუკეთესო პერიოდია. დიახ, ეს ის თვეა, რომლის საწყისი მოწყალების, შუა პერიოდი მიტევების, ხოლო დასასრული ჯოჯოხეთის სასჯელისგან გადარჩენაა.

რამადნის მთვარეში განსაკუთრებით მეჩეთებში იწყება სხვადსხვა აქტივობები, როდესაც მიმდინარეობს ყურანის კითხვა, ღვთის სადიდებელი სიტყვები და ვედრებები. მეჩეთის კედლებში გაჟღერებული უზენაესი ალლაჰის სადიდებელი სიტყვები გასცდება ყველა არეალს და ცის კაბადონზე ამაღლდება ხოლმე. ოჯახებთან ერთად თერავიჰის სალოცავად მისული ჯამა'ეთი ერთის მხრივ ისინი სამოთხის ბაღებში ხალისით აღსავსე სეირნობის რეპეტიციას გადიან. რამადნის დადგომა უსაზღვრო სიხარულია მორწმუნეების გულების აღმაფრენისა. და ეს სიხარული ქალაქის, ქუჩებისა და სოფლების ყველა კუთხეს თავისებულ სიმშვიდითა და სილამაზით ავსებს.

ეს მთვარე ნამდვილად იმსახურებს საუკეთესო დახვედრას. გამომდინარე აქედან ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) რამადანთან შეხვედრასთან დაკავშირებით წინასწარ რამდენიმე სამზადისს იჭერს. ის (ს.ა.ს.) ბრძანებდა: „რამდნის წინა ერთ ან ორ დღეს მარხვაში ნუ გაატარებთ". (მუსლიმი, სიამი, 21) აღნიშნულის მიზეზი არის ის, რომ მარხვის დადგომამდე რამდენიმე დღე „შექქის" დღედ ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დღეებში მორწმუნეები მთელი ენთუზიაზმითა და სიხარულის მოლოდინით ცდილობენ იხილონ რამადნის მთვარე. მუსლიმი სწვალულთაგან სუფიანი სევრის, მალიქ ბინ ენესის, 'აბდულლაჰ ბინ მუბარექის, შაფი'ისა და აჰმედ ბინ ჰანბელის მსგავსი სწავლულები ღიად აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას, რომ „შექქის" დღეებში მარხვა მოუწონარია ქმედებაა.

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) როდესაც იხილავდა რამადნის მთვარეს უზენაეს ალლაჰს შეავდრებდა, რომ ეს მთვარე მორწმუნეებისთვის ბარაქის და სიმშვიდის მომტანი ყოფილიყო. შუამავლის ჰადისმა მორწმუნეებისთვის შემდეგი სასიხარულო უწყების შანსი გააჩინა: „წარსული ცოდვები მიეტევება მას, ვინც რწმენითა და ჯილდოს ალლაჰისგან მოლოდინით რამადნის მთვარს მარხვაში გაატარებს". (ნესაი, სიამი 39)

ისე როგორც მარხვის თვის დასაწყისში მადლმოსილებით აღსავსე პერიოდისთვის სურსათის მიმართულებით

სათანადო სამზადისს ვიჭერთ, ამასთან მნიშვნელოვანია სულიერი სამსაზიდსის დაჭერაც, რაც ჩადენილი შეცოდებების გამო ღვთის წინაშე გულწრფელ სინანულს ითვალისწინებს. როგორც რამადნის მთვარეში სავახშმო სუფრებს სხვადსხვა ტკბილეულით ვალამაზებთ, ასევე ეს პერიოდი თერავიჰის ლოცვით, ღამის (თეჰეჯუდის) ლოცვითა და დიადი გამჩენის ხშირად ხსნებით უნდა დავამშვენოთ. ამ პერიოდში სხვა თვეებისგან განსხვავებით უფრო ხშირად უნდა ვიკითხოთ ყურანი და ვეცადოთ სული სხვა თვეებში მიყენებული ხარვეზებით გავიწმინდოთ. ხელთ არსებული ყველა ღონე უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ რამადნის მთვარეში დიადი გამჩენისგან მიტევება დავისახუროთ და სადღესასწაულო „ბაირამის" დილას ახალი იმედებითა და სიხარულით შევხვდეთ.

როგორც ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებდა: „დაე, ცხვირით მიწაზე იხოხოს მან, ვინც რამადანს ისე გაატარებს, რომ ცოდვების მიტევებას ვერ დაიმსახურებს". (თირმიზი, დავათი, 100). მაშ, ვეცადოთ ნუ აღმოვჩნდებით ზემოთ მოცემულ ჰადისში ნაგულისხმები ადამიანთა კატეგორიაში. არ დავიშუროთ არანაირი ღონე, რომ აღმოჩნდეთ იმ მორწმუნეთა რიგებში, რომელთა შესახებ შემდეგ ჰადისშია საუბარი: „წარსული ცოდვები მიეტევება მას, ვინც რწმენითა და ჯილდოს ალლაჰისგან მოლოდინით რამადნის მთვარს მარხვაში გაატარებს".

ბ. მარხვის პირობები

1. რამადნის მარხვის განზრახვა

ქმდებები განზრახვის შესაბამისად შეფასდება. ასევე განზრახვის შესაბამისია გადასახლებაც (ჰიჯრეთი). ჰიჯრეთი მისგან მიიღება, ვინც მას ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების განზრახვით შეასრულებს. თუკი ჰიჯრეთის მოგზაურობაში ნადავლის, ამქვეყნიური მატერიალის ხელში ჩადგებაა ნაგულისხმევი, ადამიანი მხოლოდ დასახული განზრახვის სანაცვლოს მიიღებს. რამადნის მთვარის მარხვაში გატა-

რება ერთობ ჰიჯრეთის მნიშვნელობას ატარებს. ამ მთვარეში დედამიწაზე არამხოლოდ ანგელოზები ჩამობრძანებიან, ადამიანებიც სულიერად ალლაჰის მოწყალებისა და ბარაქის მიმართულებით გადაადგილდებიან. რაც შეეხება რამადნის ჰიჯრეთს, ისეთივე ენთუზიაზმით აღსავსე უნდა იყოს, როგორც ჰირას მთაზე ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს) პირველი შეხვედრა ჯიბრილთან (ა.ს.) რამადნის მთვარის ყოველ ცისკრის დროს წარმოთქმული განზრახვა, ჰირას მთის, ბეითულ 'იზზესა და ბეითულ მა'მურის მონატრების განცდას უნდა გვახსენებდეს.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „საქმეები და ქმედებები განზრახვის შესაბამისად შეფასდება. ყველა მიიღებს იმ შედეგს, რა განზრახვაც უდევს გულში. „თუკი განზრახვა ალლაჰისა და შუამავლისკენ ჰიჯრეთია, მისი ჰიჯრეთი ჭეშმარიტად ალლაჰისა და შუამავლისთვისაა. პიროვნება, რომლის ჰიჯრეთის განზრახვაც ამქვეყნიური წყალობის ხელში ჩაგდებაა, ის მიაღწევს წადილს. ხოლო პიროვნება, რომლიც ჰიჯრეთის წადილი საყვარელი ქალის ხელში ჩაგდებაა, იქორწინებს მასთან. თითოეული მათგანის ჰიჯრეთი, ცვალებადია იმის შესაბამისად, რიც გამოც ის გადასახლდება ხოლმე".

როგორც ლოცვის წინ წარმოვთქვამთ განზრახვას, ასევე უნდა წარმოვთქვათ განზრახვა მარხვის დაწყების წინ. განზრახვა უპირველესად გულიდან იღებს საწყისს, შემდეგ კი ბაგეებიდან სიტყვებად გამოიხატება. გულში განვლილი განზრახვა პრინციპულად საკმარისია. რამეთუ დიადმა ალლაჰმა უწყის ის, რასაც ღიად წამოვთქვამთ და რაც გულის სიღრემში გვიდევს. (სურა ნაჰლი, 16/23) ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ განზრახვის სიტყვიერად წარმოთქმა ერთ-ერთი სასიამოვნო ქმედებაა.

შაფისა და მალიქის მიმდინარეობის ზოგიერთი სწავლული მარხვის დაწყების წინ განზრახვას ერთ-ერთი განუყოფელ პირობად მიიჩნევენ. იმსაქი/ჭამის შეწყვეტა და განზრახვა მარხვის ორი ბურჯია. ზემოთ ხსენებული სწავლულების თანახმად განზრახვის გარეშე მარხვა, ისეთივეა, როგორც დილიდან საღამომდე იყო მშიერი, და იგი მარხვის ადგილს

არ დაიჭერს. ამ თვალსაზრისით ფარზი, ვაჯიბი და ნაფილე მარხვის დროს საჭირო და სავალდებულოა განზრახვის წარმოთქმა. რამადნის მარხვისთვის, მარხვის დაკონკრეტების გარეშე, განზრახვის წარმოთქმა საკმარისია. უფრო მეტიც, შეპირებული და ნააფილე მარხვისთვისაც მდგომარეობა ანალოგიურია. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ რა თქმა უნდა კარგი იქნება განზრახვის დროს მარხვის დაკონკრეტება, (თუ რომელი მარხვა გაქვს განზრახული, ფარზი, ვაჯიბი თუ ნაფილე). კარგი იქნება, განზრახვას წარმოვთქვამთ ღამით, როდესაც რამადნის მარხვისთვის ავდგებით და მივირთმევთ. „ღმერთო სამყაროთა! შენი კმაყოფილების მოსაპოვებლად განვიზრახე რამადნის მარხვა“. გამომდინარე იქედან, რომ ქმედებები განზრახვის შესაბამისად ფასდება, განზრახვები რამდენადაც გულწრფელი და სიკეთით აღსავსე იქნება, ჩვენს მიერ შესრულებული მარხვაც იმდენად დაგვაახლოებს და საშუალება გახდება უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებას.

2. რამადნის მარხვისადმი პასუხისმგებლობა

ყოველი მორწმუნე, რომელიც გონიერია, ჯანმრთელია და არ იმყოფება მოგზაურობაში, პასუხისმგებელია რამადნის თვე, რომლის დღეთა რაოდენობა სრული სიზუსტით არის დადგენილი, მარხვაში გაატაროს. რაც შეეხება ქალებს, ანუ დედათა წესს, ნება ეძლევათ აღნიშნული დღეები არ იმარხონ, თუმცა როდესაც მარხვის თვე დასრულდება გამოტოვებული დღეები უნდა აანაზღაურონ. ხოლო, ადამიანები, რომლებსაც არ სწამთ ერთად-ერთი ალლაჰისა და არ აღიარებენ ისლამს ჭეშმარიტ სარწმუნოებად, ისლამის წყალობათაგან უგულებელყოფილი იქნებიან. იმისათვის, რომ მათაც შეძლონ ისლამის წყალობის მოპოვება, თავდაპირველად გული და სული ჭეშმარიტების სხივით უნდა გაინათონ. გონიერება, მეორე მთავარი პირობაა ღვთისმსახურების პასუხისმგებლობისა, რომელიც რწმენის შემდეგ მოდის. გამომდინარე აქედან, უზენაესი ალლაჰი გონებრივად გაუწონასწორებელ ადამიანებს, ღვთისმსახურების ვალდებულებას არ აკისრებს. ასევე ბავშვები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მოწიფებულობის ასაკს მიღწეულნი,

თავისუფალი არიან მარხვის ვალდებულებისგან. თუმცა რეკომენდირებულია ბავშვების მარხვაზე შეჩვევა, ღვთისმსახურების შეყვარება, პატარაობიდანვე ლოცვის სწავლა და დიად გამჩენის წინაშე ვედრების აღვლენა.

თანამიმდევარ ქალბატონთაგან რუბეიე ბინთი მუ'ავვიზი მუსლიმებისთვის მარხვის პირველი ფორმის, აშურას მარხვის შესახებ შემდეგ ისტორიას იხსნებს და მოგვითრობს: „ალლაჰის შუამავალმა, აშურას დილას მედინას შემოგარენ სოფლებში მცხოვრებ ენსარს შემდეგი საკითხის შესახებ ამცნო: „მარხვა დაიცვან მათ, ვინც მარხვის დაცვის განზრახვით დილას შეხვდნენ, და ასევე დაიცვან მარხვა მათ, ვინც დილას იმ განზრახვით შეხვდნენ, რომ მარხვა არ უნდა დაეცვათ". ალლაჰის შუამავლის აღნიშნული ბრძანების შემდეგ ის დღე მარხვაში გავატარეთ. მარხვის დღეებში, ჩვენ ქალბატონები მეჩეთს მივაშურებდით, ბავშვებს ფერადი ქსოვილებისგან დამზადებულ სათამაშოებს მოვუმზადებდით ხოლმე. როცა მათგან, რომელიმეს შიმშილი გაახსენდებოდა და ჭამას მოითხოვდნენ, ჩვენს მიერ მომზადებულ სათამაშოებს მივცემდით და მათით ერთობოდნენ. (მუსლიმი, სიამი, 136)

ზემოთ მოცემული ისტორია გვასწავლის, რომ თითოეული ჩვენგანი ვალდებული ვართ ჩვენივე შვილებსა თუ შვილიშვილებს მარხვის სასიამოვნო განცდა ვაგრძნობინოთ. ნება მივცეთ, მათაც გაიღვიძონ ღამით საჭმლის მირთმევის დროს, (საჰურზე) და სიხარული და ჟრიამული იგემონ. ღამით მთელმა ოჯახმა დიადი გამჩენის კმაყოფილების დამსახურების მიზნით მივატოვოთ თბილი საწოლები და გავიღვიძოთ. მხიარული განწყობით პატარებთან ერთად მივუსხდეთ სუფრას. პატარების უფლებაა იცოდნენ, რომ საჰურის კერძები უფრო გემრიელი და მადლიანია. მათაც აღმართონ პაწაწინა ხელები და ჭამის დასრულების შემდეგ დიად გამჩენს მადლიერებითა და ვედრებით მიმართონ. იმდენად პატარები, რომლებიც ვერ შეძლებენ მარხვის დაცვას, შესაძლოა წახალისების მიზნით შუადღემდე შეიკავონ ჭამისგა თავი, სადილი მიირთვან და შემდეგ ისევ საღამომდე არაფერი ჭამონ. აღნიშნული მეთოდით მომდევნო წლებში გაუმარტივდებათ მარხვის პასუხისმგებლობის შეცნობას.

ა. ფიდიე –გამოსასყიდი

„და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში“ (ბაყარა, 2/185) სანამ მოცემული აიათი გარდმოევლინებოდა, სურა ბაყარაში გაცხადებულ გამოსასყიდთან დაკავშირებულ აიათში „ველლეზინე იეტიყუნეჰუ“ აშკარად იყო ნახსენები, როგორც „მარხვის უნარის არ მქონენი, ასევე სირთულის წინაშე შესაძლებლობის მქონენი“. გამომდინარე აქედან, თანამიმდევართაგან ვისაც სურვილი ჰქონდა მარხულობდა, ვისაც არა –არ იცავდა მარხვას. ისინი გამოტოვებული დღეების სანაცვლოდ გამოსასყიდს გასცემდნენ. გამოსასყიდი ერთი ღარიბის დაპურებას ითვალისწინებდა.

მას შემდეგ, რაც სურა ბაყარას 185-ე აიათი ზეგარდმოევლინა აღნიშული სივრცე შემცირდა და გაუქმდა გამოსასყიდი (ფიდია), რომელსაც მარხვის უნარის მქონენი სურვილის შემთხვევაში მარხვის დაუცველობის სანაცვლოდ გასცემდნენ. მანამდე არსებული მდგომარეობა, მხოლოდ ავადმყოფებისა და ზედმეტად ხანდაზმულებისთვის შენარჩუნდა. სწორედ აქედან გამომდინარე, მარხვას არ იცავენ ის ხანდაზმული ქალები თუ მამაკაცები, რომლებიც დაუძლურებული არიან, ხელ-ფეხში ძალა აღარ აქვთ, შიმშილისა და წყურვილის ატანის უნარი აღარ გააჩნიათ. უზენაესმა ალლაჰმა უთვალავ სიბრძნესთან ერთად, იმისათვის, რომ მარხვის სიამოვნებისგან მათაც ერგოთ წილი, გამოსასყიდის გაცემის ვალდებულება დააკისრა.

ისინი, ვინც რამადნის თვეში ავად იქნებიან, რამადნის თვის დასრულების შემდეგ გამოტოვებულ დღეებს აანაზღაურებენ. მაგრამ ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც სპეციალისტი და მუსლიმი ექიმი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარხვის დაუცველობის საჭირო რეკომენდაციას გასცემს, ნება ეძლევათ მარხვის სანაცვლოდ გამოსასყიდი გადაიხადონ. რაც შეეხება ფეხმძიმე ქალებსა და დედებს, რომლებიც ძუძუთი კვებავებ შვილებს, ჰანეფის მიმდინარეობის სწავლების თანახმად, რამადნის თვეში დაუცველ მარხვას, შემდეგში სათანადო დროს აანაზღაურებენ. გარდა ამისა, იმ ფეხმძიმე ქალებისა და დედების შესახებ, რომლებიც ძუძუს აწოვებენ, ზოგიერთი სწავლული განმარტავს, რომ

მათ მხოლოდ გამოსასყიდი უნდა გადაიხადონ, ზოგი კი როგორც გამოსასყიდის გადახდას, ასევე გამოტოვებული დღეების ანაზღაურებას მიიჩნევს საჭიროდ.

„...თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა ან გზაშია, იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში“... (ბაყარა, 2/184) მოცემული აიათი გვამცნობს, რომ ისინი ვინც რამადნის თვეში იქნებიან ავად ან იმყოფებიან მოგზაურობაში ნება ეძლევათ არ დაიცვან მარხვა და გამოტოვებული დღეები აანაზღაურონ აღნიშნული ვითარების გამოსწორების შემდეგ. აიათის დასასრულს დასძენს: „და რომ იმარხულოთ, ეს თქვენთვისაა უკეთესი, თქვენ რომ იცოდეთ“. იმ შემთხვევაში, თუკი მარხვა არ იქნება ჯანმრთელობის მხრივ ზიანის მომტანი, ან მოგზაურობას არ გახდის გაუსაძლისს, მარხვის დაცვა უფრო უმჯობესი და მადლიანი იქნება.

ამასთან ერთად უნდა ვიცოდეთ, რომ არ დაიცავენ მარხვას ის ქალბატონები, რომლებიც დედათა წესის მდგომარეობაში იმყოფებიან. ხოლო როცა დასრულდება არსებული მდგომარეობა, გამოტოვებულ დღეებს აანაზღაურებენ. (ბუხარი, „ჰაიზი“, 20)

რაც შეეხება გამოსასყიდის რაოდენობას, ის ერთი ღარიბის დაპურების შესაბამისი უნდა იყოს. მარხვის დაცვის სიტკბოსგან შორს რჩებიან პიროვნებები, რომლებიც იმდენად ხანდაზმულები არიან, რომ მარხვის დაცვის უნარ აღარ შესწევთ, ან კიდევ ისეთი სენით არიან დაავადებული, რომ გამოჯანმრთელების იმედი არ არსებობს. ისინი აღნიშნული სიტკბოსგან შორს ყოფნით მიღებულ წუხილს, თუნდაც ნაწილობრივ, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გაცემული გამოსასყიდით გაინელებენ. გარდა ამისა გამოსასყიდი ერთი ღარიბის დაპურებას მოითხოვს, რაც მარხვის ღვთისმსახურების დროს განცდილ შიმშილთან ახლო კავშირშია.

გამომდინარე იქედან, რომ გამოსასყიდის გადასახდელად ერთი ღარიბის დაპურება არ არის ყოველთვის პრაქტიკული, კლასიკურ ლიტერატურაში ისლამის სწავლულებმა გაითვალისწინეს რა არსებული ეკონომიკური ვითარება,

სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროდუქციის შესაბამისად დაადგინეს გამოსასყიდის საწყაო. აღნიშნულ პროდუქციად განიხილება ხორბალი, ფქვილი, ქერი, ყურძნის ჩირი და ფინიკის ხურმა. ხორბლისა და ფქვილის რაოდნეობა განისაზღვრა დაახლოებით (ნახევარი „სა„) 1460 გრამით, ქერის, ყურძნის ჩირისა და ფინიკის ხურმის სახეობის შემთხვევაში კი (1 სა-თი“) დაახლოებით 2920 გრამით. გამოსასყიდის რაოდენობასთან დაკავშირებით დადგენილი პრინციპები ანალოგიურია ფითრის რაოდენობისა, რასაც შემდეგ თავებში განვიხილავთ.

მორწმუნეთათვის გაიოლების მიზნით ყოველწელიწადს ფითრისა და ფიდიეს ანუ გამოსასყიდის რაოდენობები თავიდან ცხადდება. ნიშანდობლივია, რომ ფითრისა და გამოსასყიდის რაოდენობა ერთმანეთის ტოლია. აქ საყურადღეობა კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც სწავლულები თავიანთი ეპოქის შესაბამისად სოფლის-მეურნეობის პროდუქციის წარმოების ფორმების მიხედვით განსაზღვრავდნენ და რომელიც ფითრისა და ფიდიეს მინიმალურ რაოდენობას შეეხება. იმისათვის, რომ მორწმუნეს ფიდიეს ან ფითრის გადახდის ვალდებულება დაეკისროს, 80,18 გრმი ოქროს შესაბამისად არის განსაზღვრული მისი მატერიალური სიმდიდრის ზღვარი. მორწმუნე მუსლიმი, რომელიც აღნიშნულ ნისაბის რაოდენობის სიმდიდრეს ფლობს, ნება ეძლევა ფითრა და ფიდიე გადაიხადოს როგორც ხორბლის სახეობის პროდუქტით, ასევე სიმდიდრის გათვალისწინებით ფინიკის ხურმის ღირებულების დაანგარიშების შესაბამისად. უფრო მეტიც, გულით მდიდარი მორწმუნეები ყველაზე ძვირადღირებული ფინიკის ხურმის შესაბამისად გადაიხდიან ფითრასა და ფიდიეს, რაშიც გაცილებით მეტი მადლია.

ბ. მოგზაურობაში ყოფნა

მოგზაურობა ძალიან ბევრ იდუმალებას იფარავს თავის თავში. ზოგჯერ გადარჩენა, ზოგჯერ სიხარული, ზოგჯერ ნანატრის ასრულება, ზოგჯერ შესაძლოა განშორება და

ზოგჯერ სამწუხაროდ სიცოცხლის დასასრულია. ალლაჰის შუამავალი თავისი სიცოცხლის მანძილზე უამრავ მოგზაურობაში იმყოფებოდა. საყვარელი დედა მან ხომ ერთ-ერთი მოგზაურობის დროს დაკარგა. ბავშვობაში, როდესაც ქალაქ ბუსრაში მოგზაურობდა, მნიშვნელოვანი იდუმალება გამოააშკარავა მათთვის ვინც შეძლო დანახვა... აღნიშნული მოგზაურობის დროს იყო, როცა შუამავლობის პირველი მინიშნების შესახებ გააჟღერა ერთ-ერთმა ბერმა. სავაჭრო მოგზაურობა კი, რომელიც ძირითადად სარჩოს მოპოვებას ემსახურებოდა, ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) მართლმორწმუნეთა დედასთან –ჰატიჯესთან ბედნიერი ოჯახის შექმნის მიზეზი გაუხდა. სოწრედ ეს ბედნიერებით აღსავსე კერა გახდა სიხარულის დაბადების საბაბი, სადაც ძვირფასი ფატიმას მსგავსი ქალბატონი დაიბადა.

და აი, ჰიჯრეთის მოგზაურობაც! ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) მიერ უზენაესი ალლაჰის ბრძანების თანახმად ერთგულ მეგობართან –ებუ ბექირთან ერთად შესრულებული მოგზაურობა. უკან იარაღ ასხმული მდევარი, წინ კი თვალუწვდენელი უდაბნო. ღმერთო ჩემო! ასეთ სცენას ადრეულ ეპოქაშიც ჰქონდა ადგილი. ყურეიშელები, ისე მოქმედებდნენ, როგორც შუამავალ მუსას დაედევნა ფარაონი, წინ თვალუწვდენელი უდაბნო, აღმართული მთები, მზის სიცხით გახურებულ წითელ ზღავს მოჰგავდა. მაგრამ აქ საჩოთირო არაფერი იყო. უზენაესი ალლაჰი, რომელმაც შუამავალ მუსას (ა.ს.) ზღვაზე გზა გაუკაფა, შუამავალ მუჰამმედისთვის (ს.ა.ს.) უდაბნოს ქედს მოახრევინებდა.

ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) მეგზურ მეგობართან ერთად ბნელ გამოქვაბულს შეაფარა თავი. უდავოა, რომ აღნიშნულ გამოქვაბულს არც რკინის კარები გააჩნდა. გამოქვაბული ზევიდან ქვემოთ იყო დახრილი და მთის მწვერვალიდან ჰქონდა შესასვლელი კარები. ნებისმიერ წამს შესაძლებელი იყო სისხლს მოწყურებული მტერის გამოქვაბულს კარს მიდგომოდა. ალლაჰის შუამავალი და თავისი ერთგული მეგობარი მხოლოდ ელოდნენ. შუამავალი მუჰამმედი (ს.ა.ს.) ებუ ბექირს (ს.ა.ს.) ანუგეშებდა, მან კარგად უწყოდა, რომ გამოქვაბულში მათ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე დიადი გამჩენი მფარველობდა. მხოლოდ იგი

იყო, ვინც მათ უსაფრთხოდ იცავდა და თვალყურს ადევნებდა. მოულოდნელად გამოქვაბულის შესასვლელ ობობას ქსელით მოიქსოვა. აღსანიშნავია, რომ ობობას ქსელი ყურანში ყველაზე სუსტ ნაგებობადაა მოხსენებული. (სურა ანქებუთი, 29/41) და სწორედ აქ არის უდიდესი სიბრძნე, როცა ყველაზე სუსტ ნაგებობამაც კი იარაღ ასხმული მტერი უკან გააბრუნა. (იბნი ჰანბელი, I 348)

მაშ, რაღა უნდა ვთქვათ მირაჯის მოგზაურობაზე? უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი და საუკეთესო მოგზაურობა იყო. ამასთან ერთად კიდევ უფრო დიდებული მოგზაურობა. ნამდვილად არ იყო ადვილი ღვთის წინაშე ამაღლება, მასთან საუბარი. თუმცა ყველა მოგზაურობა არც ჯიბრილთან ერთად ხდებოდა! ალლაჰის შუამავალმა მარტომ მიიწია წინ, უზენაეს ალლაჰთან. ასე მან დიად გამჩენთან შეფარება გვასწავლა, რამეთუ ძლიერები ვყოფილიყავით ისე, თითქოს სულ თან გვახლავს ჯიბრილი, ებუ ბექირი და თვით ალლაჰის შუამავალი.

ადამიანი, რომელიც სახლიდან თუ სამშობლოდან გადაწყვეტს წასვლას და გზას დაადგება, ხშირად საყვარელ ადამიანების განშორდება. მოგზაურობის პერიოდში უამრავი სირთულე შეხვდება. ვერ მიირთმევს საჭმელს, როცა მოისურვებს, ვერ დაიძინებს მაშინ, როცა დაძინება მოუნდება. გზად დიდია ალბათობა დაბრკოლებებისა, ამას ისიც ემატება, რომ შესაძლოა ზოგჯერ არ გზა იყოს ყოველმხრივ საფრთხისგან დაცული. იმისათვის, რომ ადამიანს სირთულეები გაიოლებოდა, რომელიც თან ახლავს მოგზაურობას, დიადმა გამჩენა მონა-მსახურებს გარკვეული სიმარტივე უწყალობა. ადამიანი, რომელიც იმყოფება მოგზაურობაში ოთხ მუხლიან ლოცვას, ორ მუხლად შეასრულებს. ანუ ყურანი გვამცნობს ამ სასიხარულო ცოდნას: „და როცა მოგზაურობთ ამ მიწაზე, ცოდვად არ გეთვლებათ, თუ ლოცვას შეამოკლებთ, თუკი შიშობთ, რომ რაიმეს გავნებენ ისინი, რომელნიც ურწმუნონი არიან“.

იალა, გაოცებული ომერის კარს მიდგომოდა და ამომბოდა: „აიათი ჩვენთვის ასეთ სიმარტივეს ცნობს. თუმცა ამჟამად, როცა ქვეყნის ყველა მხარე უსაფრთხოა, რატომ შევამოკ-

ლოთ ლოცვა? მაშინ ძვირფასმა ომერმა საკუთარ თავში დარწმუნებულმა დაიწყო მოყოლა. ის ომერი იყო! ის მოწინავე იყო! მას პირველს მოუვიდოდა აზრად ისეთი რამ, რომელიც მანამდე არავის გულშიც კიარ გაუვლიდა. მაში ომერმა მიუგო: „მე სწორედ ანალოგიური კითხვა ალლაჰის შუამავალს დავუსვი. მან (ს.ა.ს.) მიპასუხა: „ეს უზენაესი ალლაჰის მიერ თქვენთვის ბოძებული წყალობაა. მაშ, მიიღეთ ალლაჰის წყალობა“. (მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი ვე-ყასრუჰა, 4). განა შეიძლებოდა უზენაესი ალლაჰის წყალობაზე უარის თქმა?

უზენაესი ალლაჰის კიდევ ერთი მოწყალება! მოგზაურობაში მყოფთ ნება მიეცათ სურვილის შემთხვევაში იმარხონ ან არ იმარხონ. (ნესაი, სიამი, 56) აღნიშნულთან დაკავშირებით თანამიმდევრთგან შემდეგი ისტორიის შესახებ ვიგებთ: „რამადანის თვეში ალლაჰის შუამავალთან ერთად მოგზაურობაში წავიდოდით. ჩვენს შორის ზოგნი მოგზაურობაში მარხვის დაუცველობის უფლებით სარგებლობდა, ხოლო ზოგიერთი ჩვენგანი მარხვას არ ვწყვეტდით. თუმცა ამ დროს არც მარხულს მარხვის გამო ვკიცხავდით და არც მარხვის შეწყვეტის გამო (მოგზაურობაში ყოფნის უფლებით სარგებლობით) ვინმე ვინმეს. (მუსლიმი, სიამი, 95) ანალოგიურს ვხედავდით ალლაჰის შუამავლის ცხოვრებაშიც. იგი (ს.ა.ს.) მოგზაურობის დროს ზოგჯერ მარხულობდა, ზოგჯერ კიდეც წყვეტდა მარხვას. (იბნი მაჯე, სიამი, 10). მაგრამ იმისათვის რომ მოგზაურობაში ყოფნის უფლებით სარგებლობის ნება არსებობდეს, მაშინ სულ მცირე სამი დღის სავალი გზა უნდა ყოფილიყო. (თვრამეტი საათი, ან კიდევ 90 კმ). თუკი პიროვნება მარხული იქნება და დღისით მოგზაურობაში წავა, იგი აღნიშნული უფლებით ვერ ისარგებლებს. (ომერ ნასუჰი ბილმენი, ილმიჰალი, გვ. 286)

ენესი მოგვითხრობს! ალლაჰის შუამავალთან ერთად მოგზაურობაში ვიმყოფებოდით. ზოგნი ვმარხულობთ, ხოლო ზოგნი არა. გარდა ამისა, ძალიან ცხელი დღე იყო. ამასობაში გამოინახა ადგილი, სადაც შევისვენეთ. ჩვენგან ზოგმა მზისგან დასაცავად ტანისამოსი გადავიფარეთ, ზოგიც კი ხელით ცდილობდა მზის სხივებისგან დაცვას. ისინი, ვინც არ მარხულობდა ფეხზე იდგა. კარვებიც სულ მათ გაშალეს

და ცხოველებიც მათ დაარწყულეს. ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „დღეს ვინც არ იმარხა, მათი მადლები სრულიად გაქარწყლებულია“. (მუსლიმი, სიამი, 100)

3. მარხვის მომშლელი ფაქტორები

ნათლად იკვეთება, რომ იმისათვის, რომ სწავლულებს ჩვენთვის როგორც გამოტოვებული დღეების ანაზღაურების, ასევე გამოსასყიდის მდგომარეობები განესაზღვრეს საკმაოდ ბევრი შრომა აქვთ გაწეული. ჩვეულებრივ დროს ადამიანისთვის მუბაჰი და ალალი რამ, რამადნის თვეში მარხულისთვის აკრძალული ხდება. ამასთან მარხულ ვინმეს მოთმინების შემთხვევაში უდიდეს ჯილდოს პირდება. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო ჯილდო სამოთხეში რეიანის სახელობის კარებიდან მხოლოდ მარხულების შესვლაა. (ნესაი, სიამი, 43) ამისათვის საჭიროა რწმენითა და ჯილდოს ალლაჰისგან მოლოდინით, მარხვის პერიოდისთვის განკუთვნილი აკრძალვებისგან განრიდება. მარხვა ადამიანს იმდენად სასიამოვნო განცდას აგემებს, რომ მსგავს სიამოვნებას ვერაფერი მოგვრის. ადამიანი ხორციელი მოთხოვნილების წინაშე არ უნდა დამარცხდეს, მოუთმენლობით მარხვის მადლი არ უნდა დაკარგოს. აშკარად ნათელია, რომ ის ვინც შეგნებულად თუ გააზრებულად ჭამს, სვამს ან კიდევ მეუღლესთან თანაცხოვრებით დაკავდება, ვალდებულია აანაზღაუროს გამოტოვებული დღეები და ასევე ქეფარეთიც. (ქეფარეთი, ეს არის ორი მთვარისეული თვის უწყვეტად მარხვაში გატარება და კიდევ ერთი დღე. ჯამში 61 დღე) (შაფი’ის მიმდინარეობის თანახმად ქეფარეთი მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როცა მეუღლესთან თანაცხოვრებით მოხდება მარხვის დარღვევა, სხვა შემთხვევაში მაგ: ჭამის ან რაიმეს დალევის დროს მხოლოდ ერთი დღით აანაზღაურებს.)

ისეთი რამ, რაც საჭმელ და სასმელად არ მიიჩნევა, მარხვას არ მოშლის. გამომდინარე აქედან, მათი გამოყენების შემთხვევაში არც გამოსასყიდია საჭირო და არც გამოტოვებული დღის ანაზღაურება. მაგ: სხეულზე რაიმე მალამოს ცხება, იმის გამო, რომ არც საჭმელად არც სასმელად მიიჩნევა, მარხვას არ მოშლის.

თუმცა ისეთი პროდუქტი, რომელიც არ ატარებს კვების მიზანს, მაგრამ ჩვეულებრივ შეიძლება მისი ჭამა ან დალევა, მათი მიღება მარხვას მოშლის, მაგრამ არ საჭიროებს გამოსასყიდს და საკმარისია მხოლოდ მისი ერთი დღით ანაზღაურება. ასეთებია: უმი ბრინჯი, ცომი, ფქვილი, მკვახე ხილი, თხილი, ნიგვზის კანიანად გადაყლაპვა და სხვა. ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახეობები საკვებად ითვლება, მათ ასეთ მდგომარეობაში მირთმევა არც ნორმალურია და არც მადის აღმძვრელი. ... ... (დ.ი.ბ. ილმიჰალი, I, 407) გარდა ამისა პირის ღრუში მოხვედრილი წვიმის წვეთის გადაყლაპა მარხვას არ მოშლის, თუმცა მისი განზრახ გადაყლაპვა მარხვასაც მოშლის და მისი ერთი დღით ანაზღაურების საჭიროებას დადგება.

რაც შეეხება თამბაქოს, ის არც რაიმე სარგებლის მომტანია და ადამიანს არც რაიმე სახის მადას აღუძრავს. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ის პიროვნებას სიამოვნებას ანიჭებს, მისი მოწევა მარხვას მოშლის.

ამ შემთხვევაში განსხვავებულია სხვადასხვა მედიკამენტების მიღების საკითხი. სწავლულები ერთხმად თანხმდებიან, რომ მედიკამენტები, აბის, სიროპისა თუ სხვა ფორმაში პირის ღრუს გავლით მიღება მარხვას მოშლის. რადგან ისინი პირდაპირ პირის ღრუს გავლით კუჭში ხვდებიან. სწავლულთა ერთი ნაწილის მოსაზრებით თვალის წვეთი მარხვას არ შლის, მაგრამ ყურისა და ცხვირის წვეთის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ცხვირიდან მუცლის ღრუში მიმავალი პირდაპირი მილი არსებებოს, ხოლოს თვალის შემთხვევაში იგი ირიბად იხსნება ყელისკენ და ყურს მუცლის ღურსთან დამაკავშირებელი მილი არ გააჩნია, მხოლოდ ცხვირის გზით მიღებული წამლის შემთხვევაში სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს. (დ.ი.ბ. ილმიჰალი, I, 409)

მეორეს მხრივ ნემსის შეყვანითა და ვენების გზით მიღებული წამალი, გადასხმა იქნება ეს თუ აცრა, ორგანიზმში აღწევს და იგი მთელს სხეულში იფანტება. უდავოა, რომ ასეთი სახის მედიკამენტები სხეულს გარკვეულ ძალას მატებს. ასეთი ფორმით მიღებული მედიკამენტი მიუხედავად იმისა, პირის ღურს გავლით მოხდება ორგანიზმში თუ ნემ-

სისა და გადასხმის გზით, არცერთ შემთხვევაში გამოსასყიდს (ქეფარეთს) არ საჭიროებს, თუმცა მარხვას მოშლის და მისი ერთი დღით ანაზღაურებას მოითხოვს. რაც შეეხება ასთმით დაავადებულთა მიერ სპრეის გამოყენებას, მიიჩნევა, რომ იგი მარხვას არ შლის. (დ.ი.ბ. ილმიჰალი, I, 410)

ამასთან ერთად დავიწყების შემთხვევაში ჭამა-სმა მარხვას არ მოშლის. ერთხელ, როდესაც ალლაჰის შუამავალთან დამწუხრებული მივიდა ერთ-ერთი პიროვნება და თავისი წუხილის შესახებ მოუყვა, შუამავალმა მას ასეთი პასუხის გაცსა: „უზენაესმა ალლაჰამ შენ დაგაპურა და დაგარწყულა“. (ებუ დავუდი, სავმი, 40) დავიწყების შემთხვევაში ჭამა-სმა მარხვას არ მოშლის. დავიწყებით ვინც შეჭამს ან დალევს, გახსენებისთანავე ლუკმა პირიდან გამოიღოს, პირი გამოივლოს და მახვა განაგრძოს. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) ბრძანებს: „თქვენგან ვინც მარხულობს და დავიწყებით რაიმეს შეჭამს ან დალევს, ხოლო შემდეგ გაიხსენებს, რომ მარხული იყო, მარხვა არ შეწყვიტოს“. (ბუხარი, სავმი, 26)

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „უდავოა, რომ ადამიანის გულში სიამოვნების ყველა მდინარე მიედინება. უზენაესი ალლაჰი არ შეხედავს თუ პიროვნების გულს რომელი დინება გაიტაცებს, მაგრამ როცა ადამიანი დიად გამჩენს მიენდობა, იგი მას ასეთი ზიანის მომტანი გატაცებებისგან დაიფარავს. (იბნი მაჯე, ზუჰდი, 14) ღვთის ნებით, მისადმი მინდობა და რამადნის მარხვის დროს გამოჩენილი მოთმინება ხორციელი გატაცებების დინებას გზას არ გაუხსნის.

4. მარხვის გამოსასყიდი –ქეფარეთი

მარხული ადამიანი, სრულიად მარხვის განცდაში უნდა იყოს ჩაფლული. ნათქვამია, ადამიანი მარხვას დაიცავს, ხოლო მარხვა ადამიანსო. რამეთუ მარხული ადამიანი ხორციელ მოთხოვნილებას კონტროლის ქვეშ აიყვანს და მის წინაშე არ დამარცხდება. ჭორაობა და ენის მიტან-მოტანა, რომელსაც სხვა დროებშიც უნდა უფრთხილდებოდეს, მარხვის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებით განერიდება. მაგრამ ის ხომ ადამიანია! ზოგჯერ ხდება

ისეც, რომ ვნებებს ვერ უბრძანებს. სწორედ მაშინ, უზენაეს ალლაჰი ინებებს რა ჩადენილი ცოდვებისგან თავისი ღვთიური წყალობით მის გადარჩენას. რა მოიმოქმედა საბრალო ადამიანმა? საკუთარი თავისადმი სიბრალული სრულიად არ გააჩნია? განა შეიძლება მარხულმა ადამიანმა ჭამოს, სვას, ან მეუღლეს ეთანაცხოვროს? დიადი გამჩენის მოწყალება იმდენად უკიდეგანოა, რომ მონა-მსახურის ნაკლოვნების დაფარვას ინებებს. სწორედ ამ საფარს ჰქვია გამოსასყიდი –ქეფარეთი. ქეფარეთი პირდაპირი გაგებით, ჩადენილი ცდომილების გამოსასყიდს ნიშნავს. იმის გამო, რომ დიადი ალლაჰი მონა-მსახურების მიმართ მეტის-მეტად მოწყალეა, მათ აძლევს შანსს ჩადენილი შეცოდებები გამოისყიდონ.

არაბულ ენაში სიტყვა „ქეფარეთის“ წარმომავლობასთან დაკავშირებით საინტერესო აზრები იკვეთება. სიტყვის ფუძეს, „ქე-ფე-რე“ ლეკსიკონისეული მნიშვნელობა „დამალვა/დაფარვაა“. ღამეს თითქოს დედამიწა შავი ფარდით შეემოსა. არც ის არის უბრალო შედარება, როცა მეურნეებიც ანალოგიური სიტყვით გამოიხატება. რადგან მეურნეებიც ხელთ არსებული მცენარეების მარცვალს მიწაში მალავენ. მარცვლებს მიწაში მალავენ, რათა აღმოცენდეს, გაიზარდოს და ბოლოს ნაყოფი მოისხას. „თითქოს ქეფარეთიც, ჩვენი სულიერი სამყაროსთვის სამეურნეო ნიადაგია. ჩადენილი შეცოდება გამოსყიდულ იქნას და ქმედებათა ყანაში ღვთის კმაყოფილების მოპოვებისთვის შესაბამისი ყლორტები ხელახლა გამოიღოს, აყვავდეს, გალამაზდეს, ერთმა ათმაგი... ასმაგი... გამოისხას. ყურანი მორწმუნეთა ქმედებების უდიდეს ბარაქიანობაზე ხომ საუბრობს, სადაც ვკითხულობთ: „იმათი მდგომარეობა, რომელნიც თავის ქონებას ხარჯავენ ალლაჰის გზაზე, იმ მარცვლის მდგომარეობას ჰგავს, რომელმაც შვიდი თავთავი გამოიღო, თითო თავთავში კი ასი მარცვალია“. (ბაყარა, 2/261). დიახ, ჩვენი ქმედებები ესოდენ ბარაქიანი, ესოდენ ხვავიანი და მადლიანი იყოს.

პრინციპში ილმიჰალის ლიტერატურაში საუბარია სხვადასხვა ცოდვებსა და შეცოდებებთან დაკავშირებით ქეფარეთის შესახებ, რომელიც შეუძლებელია უზენაესი

ალლაჰის მიერ დადგენილი კანონების მიღმა წარმოვიდგინოთ. უზენაესი ალლაჰის მორმუნეთა მიმართ მოწყალება იმდენად ვრცელია, რომ თავს დამტყდარი სირთულეები, ავადმყობაც კი დიადი გამჩენის წინაშე სხვადასხვა ცოდვების გამოსასყიდად (ქეფარეთი) მიიჩნევა. ალლაჰის შუამავალი სწორედ ამ მდგომარეობაზე მიანიშნებს და ბრძანებს: „მორწმუნითვის დავსდამტყდარი უბედურება, მორწმუნის ცოდვების გამოსასყიდი –ქეფარეთია. უფრო მეტიც, ასეთივეა ეკლის შესობით მიყენებული უბრალო ტკივილიც კი. (თირმიზი, თეფსირულ-ყურანი, 4)

დიახ, მორწმუნეები არა მარტო მადლიერების გამოხატვის დროს, უბედურების დროს გამოჩენილი მოთმინების დროსაც კი მადლით ჯილდოვდებიან. მთავარია, ამბოხება და ღალატი არ გამოიჩინონ. უზენაესმა ალლაჰმა კეთილი ქმედებებიც კი ჩადენილი ცოდვების მიტევების საშვალებად დაადგინა. რწმენით, ჯილდოს ალლაჰისგან მოლოდინით, გულწრფელობითა და მოთმინებით დაცული რამადანის მარხვა მორწმუნისთვის ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდია. დიადი გამჩენი, მარხვის შესახებ ბრძანებს და გვამცნობს, რომ მარხვის საზღაურს მხოლო მე მივაგებ. სწორედ მარხვაა ერთ-ერთი ღვთისმსახურება, რომელიც კაცობრიობის დასაბამიდან იღებს სათავეს და ის ყველა თემისთვის ვალდებულებას წარმოადგენს. ამ მიმართულებით მარხვა ხომ ადამიანის სულის გამწვრთნელი ღვთისმსახურებაა.

მაშინ, როცა მარხვა ცოდვების გამოსასყიდია, განა ბევრია მისადმი სულ მცირე უპატივისცემლობის გამო გამოსასყიდის გადახდა? მაშინ, როდესაც ალლაჰის შუამავალი გავმცნობს, რომ მარხვა, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით რამადნის თვის მარხვა, ადამიანის ცოდვებს მიტევების საბაბი შეიქმნება, განა მძიმე იქნება ის გამოსასყიდი, (ორი თვე უწყვეტი მარხვა) როცა ადამიანი მარხვას მეუღლესთან თანაცხოვრებით დაარღვევს?

ადამიანი ჯერ გაითავისებს, რომ მარხვა წარსული ცოდვების მიტევების ერთ-ერთი საშუალებაა და მის მიერ დაცული რამადნის მარხვას მთელი ცხოვრების ცოდვებს ატვირთებს, მეორეს მხრივ კი ღვთისმსახურება, რომელიც მთელ

თავის ცხოვრებას ღირს და ჩადენილი შეცოდების შედეგად დღის წესრიგში გამოსასყიდის საჭიროება დადგება, მიეკედლება რა უზენაესი ალლაჰის უკიდეგანო მოწყალებას, იგი განიკითხავს აღნიშნულ სასჯელს. ასეთი სახის მიდგომა, მადლიერების ჩარჩოს უდავოდ სცდება.

რა თქმა უნდა ალლაჰის შუამავლის პერიოდშიც კი არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც მარხვის მიმართ არ იჩენდნენ განსაკუთრებულ სისათუთეს და სჩადიოდნენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც გამოსასყიდის გადახდას საჭიროებდა. ებუ ჰურაირას (რ.ა.) გადმოცემის თანახმად, ერთი ადამიანი მივიდა რა ალლაჰის შუამავალთან (ს.ა.ს) და ჰკითხა: ალლაჰის შუამავალო! მე გავნადგურდი. შუამავალმა ჰკითხა: „რა მოხდა ისეთი, რამაც შენ ასე მწარედ გაგანადგურა? –მიუგო: რამადნის თვეში მარხულმა მეუღლესთან თანაცხოვრებითი კავშირი დავამყარე. მაშინ შუამავალმა (ს.ა.ს.) ჰკითხა: „შეგწევს იმის შესაძლებლობა, რომ ერთი მონა გაათავისუფლო? –მიუგო: „არა, მე არ მაქვს ამის საშუალება“. ალლაჰის შუამავალმა ისევ ჰკითხა: „შეგწევს ძალა ორი თვე უწყვეტად იმარხო? – მიუგო: „არა, ვერც ამას შევძლებ“. შუამავალმა ისევ ჰკითხა: „შეგიძლია სამოცი ღარიბი დილით და საღამოს დააპურო“? კაცმა ამაზეც უარი განაცხადა. მაშინ ალლაჰის შუამავალმა კაცს მიუბრუნდა და უთხრა ცოტა ხნით დამჯდარიყო და დაესვენა. ამასობაში შუამავალთან კალათით სავსე ხურმის ნაყოფს მოიტანენ. შუამავალმა მობრძანებულს სტუმარს მიმართა: „აიღე ეს ხურმის ნაყოფი და მოწყალებად გაეცი“. კაცმა ამოიოხრა: „მედინას ორ კლდეს შორის ჩემზე ღარიბი არავინ მეგულება“. ამ სიტყვებზე ალლაჰის შუამავალს გაეღიმა და უთხრა: „აიღე ეს ხურმის ნაყოფი, ცოლ-შვილს მიუტანე და მიართვი“. (თირმიზი, სავმი, 28)

ფიქიჰის ყველა მიმდინარეობა ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ რამადნის თვეში გარიჟრაჟიდან მზის ჩასვლამდე პერიოდში შეგნებულად მეუღლესთან თანაცხოვრება მოშლის მარხვას და ითვალისწინებს, როგორც გამოტოვებული დღის ანაზღაურებას ასევე გამომსასყიდს (ქეფარეთს). ზემოთ მოცემულ ჰადისსზე დაყრდნობით ებუ ჰანიფეს მოსაზრება შემდეგია: არ აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, რომ

პიროვნება შეგნებულად ჭამს, სვამს თუ მეუღლესთან თანაცხოვრებით დაკავდება, რამადნის მარხვის შეგნებულად მოშლა ითვალისწინებს გამოსასყიდს (ქეფარეთს). რაც შეეხება იმამ შაფი'ის, იგი განმარტავს, რომ რამადანის მარხვის მოშლა მხოლოდ მაშინ საჭიროებს ქეფარეთს, როცა წყვილი თანაცხოვრებით დაკავდებიან. რამეთუ ზემოთ მოთხრობილი ქეფარეთთან დაკავშირებული ისტორიის თანახმად, შუამავალთან მისულ პიროვნებას მარხვა მეუღლესთან თანაცხოვრების შედეგად ჰქონდა დარღვეული. ჰადისის თანახმად ღარიბმა მოპოვებული სარჩო უნდა მირთვას, მაგრამ გამოსასყიდი მას ვალად დაეწერება". იმამ შაფი'ის მოსაზრებით ასეთმა პიროვნებამ, მატერიალური შესაძლებლობის გაჩენის დროს, საჭიროა დაკისრებული გამოსასყიდი სისრულეში მოიყვანოს.

ჰადისში მოყვანილი სამი რჩევა, რომელიც ალლაჰის შუამავალმა მასთან მისულ პიროვნებას დაარიგა, ორი მათგანი დღესაც ძალაში რჩება. გამომდინარე იქედან, რომ ბატონყომა გაუქმებულია, არჩევანში მონის გათავისუფლება დღის წესრიგიდან მოხსნილია. შარიათის სამართალმცოდნეთა ერთი ნაწილის თანახმად მოცემული ჰადისი განსაზღვრავს „ქეფარეთს" დაწყებული მარხვის შეგნებული ჭამით, სმით თუ მეუღლესთან თანაცხოვრებით, მოშლის შემთხვევაში. ქეფარეთი, რომელიც მოიცავს მონის გათავისუფლებას, უწყვეტად ორი თვე მარხვას და გამოტოვებული დღის ანაზღაურებას, (60+1). ასევე სამოცი ღარიბის დაპურებას და გამოტოვებული დღის ანაზღაურებას. მოკლედ, შეგნებულად მოშლილი მარხვის გამოსასყიდან უპირველესი რაც არის ორი თვე უწყვეტად მარხვაა, თუკი ეს შეუძლებელია, იმ შემთხვევაში სამოცი ღარიბის დაპურება შეგნებულად შეწყვეტილი მარხვის გამოსასყიდის ერთ-ერთი მეთოდია.

5. გამოსასყიდის მარხვა

არსებობს მარხვა, რომელსაც ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) სხვადასხვა შეცოდებების შედეგად დაშვებული ნაკლის გამოსასყიდად, გვირჩევს. ე.ი. მარხვა ჩადენილი ზოგიერთი

ცოდვებისა და შეცდომების დაფარვის ერთ-ერთი საშუალებაა. მაგალითად: ჰაჯი თემეტტუს, ანუ ვინც ჰაჯის თვეებში განიზრახავს უმრასს შესრულებას უნდა დაკლას ყურბანი, მაგრამ თუკი ვერ ჰპოვებს ყურბანს, სანაცვლოდ დაიცავს მარხვას. (თირმიზი, ჰაჯი, 12) ამ შემთხვევაში მარხვა არსობრივად ღვთისმსახურების დროს დაშვებული ნაკლოვნებისგან გათავისუფლების, მისი უფრო ლამაზი ფორმით წარმოჩენის პრაქტიკაა. ეს ისეთივეა, როცა ხელოვანი შეასრულებს რაიმე ნახატს და საბოლოოდ ნაკლოვნებების დასაფარად გარკვეულ შესწორებებს შეიტანს. მარხვა იქნებ სულიერი ბურაყია, (ბურაყი ეს არის ცხენის სახელი, რომლითაც ალლაჰის შუამავალმა მი'რაჯში ამაღლების წინ იმოგზაურა) რომელიც მისი მი'რაჯში ამაღლების მონა-მსახურს კართან ელოდება.

იხილეთ კიდევ ერთი გარემოება, როცა მარხვამ ადამიანი სირთულეს გადაარჩინა. უქბე ბინ ამირმა შუამავალს (ს.ა.ს.) მიმართა: ალლაჰის შუამავალო! ჩემმა დამ აღთქმა დადო, რომ ქა'აბაში თავღია და ფეხშიშველა შევიდოდა. მას შემდეგ რაც ალლაჰის შუამავალმა მომისმინა, მითხრა: „უზენაესი ალლაჰი შენს დას, რომელიც საკუთარ თავს უსამართლოდ მოექცევა, მადლს არ დაუწერს. შეჯდეს აქლემზე, თავსაფარი დაიხუროს და სამი დღე მარხვაში გაატაროს. (თირმიზი, ნუზური და ეიმანი, 17)

'აბდულლაჰ ბინ ომერი ერთ-ერთ მაგალითზე საუბრობს, როცა პიროვნებამ ფიცი გატეხა. „თუკი ვინმე რომელიმე საკითხის შესახებ რამდენჯერმე დაიფიცებს, შემდეგ კი დადებულ ფიცს გატეხს, ან ერთი მონა უნდა გაათავსუფლოს, ან კიდევ ათი ღარიბი ტანისამოსით უნდა უზრუნველჰყოს. ხოლო ვინც მხოლოდ ერთხელ დაიფიცებს და ფიცს არ გაიმეორებს, საკმარისია ათი ღარიბი ტანისამოსით უზრუნველჰყოს. თითოეულ ღარიბს ორი ფუთი ხორბლის მარცვალი უნდა მისცეს. თუკი ამის საშუალება არ ექნება, მაშინ სამი დღე უნდა იმარხოს. (მუვატტა, ენ-ნუზური ველ ეიმან, 8)

მაშ ასე, მარხვა მხოლოდ რამადნის თვეში მარხვით არ შემოიფარგლება და არც მხოლოდ ნებაყოფლობითი მარხვით განვიწმინდებით. დიახ, ისევ მარხვაა შეცდომებსა და სულის განმწმენდი.

6. მარხვის დროს მოუწონარი ქმედებები (მექრუჰები)

მარხვა, რომელიც მორწმუნეთა ხორციელი ვნებების შემაკავებელია, სულის სიმშვიდე, მოწყალება და გულისხმიერების გრძნობათა ერთიანობას წარმოადგენს ყოველგვარი შეცოდებათა ჩრდილისგან უნდა დავიცვათ. მდგომარეობები, რომელიც მარხვასთან თავსებაში არ მოდის, ისლამის ლიტერატურულ წყაროებში „მექრუჰად“ ანუ მოუწონარ ქმედებად მოიხსენიება. მაგალითად, გემოს გასინჯვა ან დაღეჭვა მოუწონრად (მექრუჰად) იმ მოტივით არის მიჩნეული, რომ ყელში გადაცდომის ალბათობა მაღალია.

სწავლულები მარხულ მდგომარეობაში კბილების გამოხეხვას, ეს იქნება მისვაქით თუ კბილის ჯაგრისით, საფრთხედ არ განიხილავენ. თუმცა ზოგიერთი სწავლული მარხვისადმი განცდილი სისათუთის გამო, კბილების მისვაქით გახეხვასაც კი მექრუჰად მიიჩნევდნენ. თუკი დავფიქრდებით იმაზე, რომ პირისა და კბილების სისუფთავე ადამიანის ჯანმრთელობისთვის რამდენად მნიშვნელოვანია, რელიგია, რომელიც ბრძანებს მარხვასა და სისუფთავეს შეიძლება ითქვას, რომ იგი არ შექმნის მდგომარეობას, რომელიც სისუფთავეს ხელს შეუშლის. გარდა ამისა, რელიგიური ლიტერატურის წყაროებში ალლაჰის შუამავლის შემდეგი სიტყვებია გადმოცემული: „მარხული ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო ქმედება მისვაქის გამოყენებაა (კბილების გაწმენდა).

იმსაქის დროს ჯუნუბობის (მეუღლესთან თანაცხოვრების შემდეგი მდგომარეობა) მდგომარეგბაში ყოფნა, მარხვის დაწყებას ხელს არ უშლის. (იხ. მუსლიმი, სიამი, 75) ასეთ დროს დიდი განბანვის შესრულება და აღნიშნული მდგომარეობიდან გათავისუფლება აუცილებელია. რაც შეეხება მარხულის მიერ ასეთ დროს დიდი განბანვის შესრულებას, იგი მექრუჰად არ ითვლება. პირიქით ეს აუცილებლობაა. ისე როგორც მარხული ვალდებულია ხორციელი ვნებები განიწმინდოს, ასევე აუცილებელია სხეული ჭუჭყისგან განიწმინდოს. ამასთან ერთად მარხულის მიერ გემრიელი სურნელის მქონე სუნამოს ცხებაც მარხვისთვის არავითარ ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

7. მარხვის დროს მოსაწონი ქმედებები (მუსთეჰაბი)

როგორც ყველა სხვა ღვთისმსახურების შემთხვევაში არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მარხვასაც გააჩნია საყურადღებო მხარეები, რაც მას კიდევ უფრო ალამაზებს. ქმედებები, რომლებიც ღვთისმსახურებას კიდევ უფრო ალამაზებს, „მუსთეჰაბის“ სახელით მოიხსენიება. მარხვის ერთ-ერთ მთავარ მოსაწონ ქმედებად „საჰურზე“ ადგომა წარმოადგენს. „საჰურზე ადგომა და საჭმლის მირთმევა ბარაქიანობის მომნიჭებელია, რაც საშუალებას მოგვცემს წილი მივიღოთ იმ ბარაქიანი წუთებისა, რომლის შესახებაც ალლაჰის შუამავალმა ვედრება აღავლინა. (დარიმი, სიერი, 1). ალლაჰის შუამავალი, როცა მუსლიმებისა და ღვთიურწიგნთბოძებულთა მარხვას შორის განსხვავებებზე საუბრობდა, დასძინა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა საჰურზე ადგომაა. (მუსლიმი, სიამი, 46) ამიტომაც იგი გვირჩევდა საჰურზე ადგომასა და თუნდაც სულ მიცრე რაოდენობით საჭმლის მირთმევას გვირჩევდა. საჰური რამადნის თვის ბედნიერი ღამეებია.

ღამეები თავისთავში უამრავ იდუმალებას ინახავს. ნეტავ ეს იდუმალება მასში ჩამალულ კუკუნეთ სიბნელეშია თუ მთვარის ნათებითა და ვარკვლავებით მოჭედილ ზეცის მშვენიერებაში, ეს ჩვენთვის უცნობია. ღამეები შესაძლოა ზოგჯერ თავიანთ კუკუნეთში უბედურებასაც კი ინახავენ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, როგორც ღამეების, ასევე გულების განათება ჩვენივე ვედრებით, ღამის ლოცვებითა და საჰურზე ადგომით.

„თქვი: მივეკედლები აისის უფალს, ცოცხალი არსებების მიერ შექმნილი (ყოველგვარი) სიავისგან! წყვდიადის სიავიდან, რომელიც ღამემ შექმნა!” (სურა ფელეყი, 113/1-3) ზოგჯერ ზემოთ მოცემულ აიათებს ვიკითხავთ, რითაც ღამის სიბნელეს ბაგეებიდან გადმოფრქვეული სხივებით ნათელს მოვფენთ.

სიბნელეში გაბნეული სხივების ნათება და შორს გაურკვეველი მიმართულებით მოცურავე ჩრდილები. ამ ყველაფერს ხომ, საოცარი სილამაზე ახლავს. მადლობა დიად გამჩენს, რომ დროის დინებაში ღამეები დაადგინა.

დიახ, ღამეებია, ის დრო, რომელიც უზენაესმა ალლაჰმა ადამიანებს დასვენებისთვის დაუდგინა...

ისევ ღამეები, რომელიც ყოველ იმ საიდუმლოს იფარავს, რისი გამხელისაც გვრცხვენია.

და ისევ ღამეა მი'რაჯის ზღურბლი...

საჰურზე გაღვიძება, დიადი გამჩენისადმი სულიერი ამაღლებისა და მი'რაჯის გზაზე დადგომას ნიშნავს. მსგავსება ღამისა, რომელიც თავდაპირველად შუამავალ მუსას მხოლოდ ცეცხლის ნათება ეგონა და როცა შეამჩნია, რომ ის იყო ნათება სხივისა. მსგავსება ღამისა, როდესაც ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) მექაში არსებული ჰიჯრიდან, ყუდისის მიმართულებით იმოგზაურა. ყადირის ღამის მსავსი, რომელმაც ჰირას გამოქვაბულში ყურანი პირველმა ჩაიკრა. დიახ, საჰური სწორედ ასე ღამესა და გულებს. ღამის ლოცვები, როცა ანგელოზებიც კი მლოცველთან ერთად ასრულებენ ლოცვას. იმისათვის, რომ საჰურზე ღვთის მიერ ბოძებული სარჩოს ბარაქა გამრავლდეს, საჭიროა საჰურზე გაღვიძება, რომელიც ამავედროს მონა-მსახურების კიდევ ერთი გამოვლენაა.

რაღა თქმა უნდა რამადნის თვის მუსთეჰაბი (მოსაწონი ქმედებები) საჰურზე ადგომით არ შემოიფარგლება და მისი სხვა მოსაწონი ქმედებები ჩვენს სულს წყალივით კამკამასა და ღრუბელივით ქათქათას ხდის. ასევე მუსთეჰაბია იფთარის თვის დროზე და საღამოს ლოცვის შესრულებამდე მირთმევა. ალლაჰის შუამავალი სანამ საღამოს ლოცვას შეასრულებდა მარხვას რამდენიმე ფინიკის ხურმით გახსნიდა. თუკი ვერ ნახავდა ახალ ხურმას, მაშინ გამხმარი ძველი ხურმით და თუ ვერც გამხმარ ხურმას იპოვიდა, მაშინ რამდენიმე ყლუპი წყლით დაიწყებდა. (თირმიზი, სავმი, 10)

ასევე მოსაწონი ქმედებაა, როცა მარხული ადამიანი ახლობელბსა და ღარიბებს დახმარებას გაუწევს. რაც შეეხება მარხვის ხურმის მსგავსი ტკბილი ლუკმით შეწყვეტას ეს „მენდუბია", ანუ პიროვნება თავისუფალია და ტკბილი ლუკმით დაიწყებს თუ არა თავისი გადასაწყვეტია. ეს იქნებ იმიტომ, რომ ამ გამორჩეული ხილის ნაყოფის სიტკბო და

ბარაქა რამადანის სიტკბოებას ძალიან ამშვენებს. ალლაჰის შუამავალმა ხომ ბრძანა: „ხურმის ნაყოფი ბარაქაა“. (თირმიზი, სავმი, 10)

მარხული ადამიანის მიერ დღისით თუ ღამით ყურანის კითხვა, ალლაჰის ლამაზი სახელებით (ესმაულ ხუსნა) ვედრების აღვლენა, მისი მხურვალედ მრავალჯერ ხსენება და ალლაჰის შუამავლისთვის სალავათის ხშირად განმეორება ასევე მუსთეჰაბის კატეგორიის ქმედებებია. სალიბარიქის სახით შესაძლებელია ალლაჰის შუამავლისთვის ხშირად ვიკითხოთ შემდეგი ვედრებები. „ღმერთო ჩემო, მუჰამმედსა და მის ოჯახობას მშვიდობა უწყალობე! ისე როგორც იბრაჰიმსა და მის ოჯახობას უწყალობე სიმშვიდე და ბედნიერება! მუჰამმედსა და მის ოჯახობას ბარაქა უწყალობე! ისე როგორც იბრაჰიმსა და მის ოჯახობას უწყალობე სიმშვიდე და ბარაქა! უდავოდ შენ ქება-დიდების ღირსი ხარ, დიადი და უზენაესია შენი სახელი.

ჭამის შემდეგ ვედრების აღვლენა საუკეთესო ქმედებაა. ალლაჰის შუამავალი გარდა რამადნის თვეებისა, ჭამის დასრულების შემდეგ ვედრებას აღავლენდა ხოლმე. მაშინ, როდესაც ალლაჰის შუამავალი ჭამას დაასრულებდა, ღვთის წინაშე განცდილ მადლიერებას შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: „მადლობა დიად გამჩენს, რომელმაც დაგვაპურა, დავარწყულა, და მუსლიმთა რიგებში დაგავდგინა. (იბნი მაჯე, ეტიმე, 16). ასევე იფთრის დროს მარხული ადამიანის მიერ შემდეგი ვედრების წაკითხვა შუამავლის კიდევ ერთი სუნნეთია. „ღმერთო ჩემო, შენი კმაყოფილების მოპოვებისთვის ვიმარხე, შენ გირწმუნე, შენ მოგენდე და შენი კმაყოფილების მოპოვებისთვის ვხსნი მარხვას. განვიზრახე ხვალინდელი რამადნის მარხვა, მომიტევე ჩემი წარსული და მომავალი ცოდვები. ან კიდევ, ღმერთო ჩემო! მე, დედამამას და ყველა მორწმუნეს მოგვიტევე იმ დღეს, როცა ანგარიშგება შედგება

ასევე მოსაწონი ქმედებაა, როცა მარხული ადამიანი განერიდება სიცრუეს, ცილისწამებას, ჭორაობასა და ბილწსიტყვაობას. ჭორაობა და ენის მიტან-მოტანა მუსლიმს ისედაც არასოდეს შეშვენის. მუსლიმი სამართლიანი და

მართლისმთქმელია. ის არავის ატკენს გულს და არც ვინმეს განაწყენებას დაუშვებს. ისე როგორც ერთ-ერთი ცნობილი სწავლული ჰაჯი ბექთაში იტყოდა, მუსლიმი ენით, ხელითა და გულით ყველაფერს იღონებს თავაზიანი იყოს. უზენაესი ალლაჰი ადამიანის მიერ ჭორაობას საკუთარი მკვდარი ძმის ხორცის ჭამას ადრის. (სურა ჰუჯურათი, 49/12) რაოდენ ცუდია ქმედება, რომელსაც მარხული ჩაიდენს ჭორაობით და მიირთმევს მკვდარი ძმის ხორცს, მაშინ, როცა მთელი დღის განმავლობაში ერთ ლუკმასაც კი არ იკარებს პირში. ეს არის ქმედება, როცა მარხული დაკარგავს მადლის ბარაქიანობას და ფუჭად ჩაითვლება მისი შიმშილი თუ წყურვილი. გამომდინარე აქედან, მიუხედავად იმისა, რომ სწავლულთა ერთი ნაწილის შეხედულებით ჭორაობა ხელს არ უშლის მარხვას, იბნი ჰაზმის მსგავსი სწავლულები განმარტავენ, რომ შესაძლოა ჭორაობამ მარხვა კი მოშალოს კიდეც. ამ რიგად ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ვინც სიცრუესა და უმეცრებას თავს არ ანებებს, (მარხვისთვის) ჭამისა და სმისგან განდგომა უმნიშვნელოა“. (იბნი მაჯე, სიამი, 21)

გარდა ამისა ალლაჰის შუამავალი მარხვის დროს ყოველგვარი ჩხუბის, კამათის, ბილწსიტყვაობისა და სიბრაზისგან განრიდებას გვირჩევს. იგი (ს.ა.ს.) ბრძანებდა: „არცერთმა თქვენგანმა მარხულობის დროს არ იბილწსიტყვაოს, არ იყვიროს და უფრო მეტიც, თუკი ვინმე მისი მიმართულებით იბილწსიტყვავებს მხოლოდ უთხრას: „მე მარხული ვარ“. (მუსლიმი, სიამი, 160) ასე მოქცევა თუნდაც რთული იყოს, სიბრაზის დაოკება საუკეთესო პასუხია. ყურანში მრისხანების დაოკება კეთილქმედებად არის შეფასებული. (სურა ალი ღიმრანი, 3/134)

რამადნის თვეში იფთრით გამასპინძლება, მოწყალის მიერ ჩვენთვის ბოძებული სარჩოს, ჰალილ იბრაჰიმის ბარაქად წარმოდგენა და მისი სულიერ ძმებისთვის განაწილება მადლით აღსავსე ოჯახში მიწვევის ტოლფასია. შესაძლებლობის ფარგლებში ვეცადოთ ღარიბი ოჯახი მივიწვიოთ იფთარზე. ასეთი მიდგომა გამოიწვევს იმას, რომ განურჩევლად სოციალური სტატუსისა, ღარიბი და მდიდარი ერთ სუფრაზე შეიკრიბება. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „ვინც მარხულს უმასპინძლებს, იმაზე უფრო მეტ მადლს დაიმსახურებს, ვიდრე თვით მარხული“. (თირმიზი, სავმი, 82)

შუამავლის (ს.ა.ს.) ეს სიტყვები იფთრის სუფრასთან სტუმრების მიწვევის მნიშვნელობასა და წახალისებაზე მიუთითებდა. თუმცა საკვების მიმართ სიფრთხილე, საკმარისზე მეტის მოხმარებისგან თავის არიდება და სუნნეთის შესაბამისად მოქცევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ალლაჰის შუამავალი, რომელიც ისრაფს, ანუ მლანგველობას არასოდეს იწონებდა ბრძანებდა: „თუკი ლუკმა ძირს დაგივარდებათ მაშინვე აიღეთ გაასუფთავეთ და მიირთვით. რამეთუ თქვენ ვერ გაიგებთ იმას თუ რომელ ლუკმაში ძევს ბარაქა. (მუსლიმი, ეშრიბე, 136; ებუ დავუდი, ეტ'იმე, 49)

რაოდენ დიდი ბედნიერება იქნება, როცა მარხვას ყოველგვარი პირობების დაცვით შევასრულებთ, მას მოსაწონი ქმედებებით კიდევ უფრო გავალამაზებთ და სამოთხეში „რეიანის" სახელობის კარებიდან შესვლას დავიმსახურებთ, რომელიც მხოლოდ მარხულებისთვის გაიხსნება. ღმერთმა დაიფაროს ყველა მორწმუნე, რომ მოხდეს იმ კატეგორიის ადამიანთა რიგებში, რომელთა შესახებ ალლაჰის შუამავალი გვამცნობს: „არსებობს უამრავი მარხული ადამიანი, რომელთათვის მარხვისგან მიღებული წილი მხოლოდ შიმშილია. არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც ღამეებს ღვთისმსახურებაში ატარებენ, თუმცა მათი ფეხზე დგომით მიღებული წილი, მხოლოდ უძილობაა". (იბნი მაჯე, სიამი, 21)

8. სხეულის კიდურების მარხვა

„დაინახავ მათ თვალებს მოჩქეფარე ცრემლით იმის გამო, რომ შეიმეცნეს ჭეშმარიტება". (სურა მაიდე, 5/83) „უეჭველად, რომელნიც მოკრძალებულნი არიან ღვთისადმი, თუ მათ ეშმაკის მხრიდან რამე ავი შეეხოთ, გაიხსენებენ (ალლაჰის სასჯელსა და ჯილდოს) და დაინახავენ ეგენი (ჭეშმარიტებას და უკუიქცევიან)". (სურა ეღრაფი, 7/201) „მორწმუნეები, რომელთაც არაფერი ებადათ, რასაც ღვთისგზაზე გაიღებდნენ... მწუხარებით ცრემლებით სავსე თვალები...(თევბე, 9/92) „ეს ყველაფერი ჭეშმარიტებისაკენ მსწრაფველი ყველა მორწმუნისათვის ერთგვარი გაკვეთილი და ერთგვარი დარიგებაა"! (სურა ყაფი, 50/8). დიახ, ის თვალები ღრმაა და სიბრძნითაა აღსავსე.

უდავოდ მართალია, რომ ლამაზი თვალები სამყაროში სილამაზეს აღიქვამს და ისინი ყველა სასიამოვნა სანახავს სამოთხის სილამაზედ წარმოიდგენს. „ვერც ერთი სული ვერ უწყის რა სიამეებია დაფარული მათ თვალთაგან იმის საზღაურად, რასაც ისინი იქმდნენ“! (სურა სეჯდე, 32/17)

არსებობს თვალები, რომელიც სიმუხთლითაა სავსე, (მუ'მინი, 40/19) ყალბი მზერით, (თევბე, 9/127), როცა ყურანის სიტყვებს მოისმენენ სიძულვილით გაჯერებულნი შუამავლის (ს.ა.ს.) დამხობას ცდილობდნენ, ეს იყო მზერა, რომელსაც რწმენის ნასახის არ გააჩნიათ. (სურა ყალემი, 68/51) ასეთი თვალები დახშულია და ისინი გაელვების დროს წარმოქმნილ ნათებას ვერ დაინახავენ. (ბაყარა, 2/20) უფრო მეტიც, სიბრმავე ჩვეული კუკუნეთით თვალებიდან გულშიც კი ჩაუღწევია. (ჰაჯი, 22/46)

რა თქმა უნდა ბოროტი თვალები მხოლოდ ბოროტებისკენ მიიწევენ. ასეთი თვალები დაღლილი და სასოწარკვეთილი განკითხვის დღეს გაიღვიძებენ. (ყამერი, 54/7) შიშისგან გაცეცებული თვალები, (იბრაჰიმი, 14/42), იმდენად თავაღერილები, რომ საკუთარ მფლობელსაც კი ვერ დაინახავენ. (იბრაჰიმი, 14/43) თვალები რომელიც ქვეშ-ქვეშ გაცქერის სხეულებს, როცა მათ ცეცხლისკენ მიაქანებენ. (სურა შურა, 42/45) იქ როცა თვალწინ აეხდება ფარდა და თვალები მათი გამჭრიახი გახდება, (სურა ყაფი, 50/22) როცა სულ მცირე ცდომილებაც კი არ არსებობს... (სურა თექასური, 102/7) მაგრამ გამოსავალი...? განა მადლიერების გამოსახატავად არ გაჩენილან ეს თვალები, ეს გული, და ყურები? (სურა ნაჰლი, 16/78) განა პასუხს არ აგებდნენ გული, თვალი და ყურები? (სურა ისრა, 17/36) განა იმ გულის, ყურისა და თვალის მფლობელი ჯოჯოხეთში არ უნდა წაეყვანა, რომელმაც დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა? (სურა ეღრაფი, 7/179) განა უზენაესი ალლაჰი არ ბრძანებს?: „უთხარი მორწმუნე კაცებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი. ეს უფრო წმინდაა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც ისინი სჩადიან. და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს“...(სურა ნური, 24/30-31)

დიახ, მარხვას იცავს თვალიც, ყურიც და ენაც... სისრულეს მოკლებულია მათი მარხვა, ვისი სხეულის ყველა კიდური ერთიანად არ მარხულობს. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „ვინც სიცრუესა და უმეცრებას თავს არ ანებებს, (მარხვისთვის) ჭამისა და სმისგან თავის არიდება უმნიშვნელოა“. (იბნი მაჯე, სიამი, 21) მნიშვნელოვანია მარხვა დავიცვათ სხეულის ყველა კიდურით და ყველა ნაწილით. რა თქმა უნდა მარხვა მხოლოდ ჭამისგან თავის შეკავება და შიმშილი არ არის. იმისათვის, რომ არ ჩავარდეთ ისეთი ადამიანების მდგომარეობაში, ვისაც მარხვა მხოლოდ შიმშილი ჰგონია, თვალებით, ყურებით, ენით, ფეხებით, გულით, პირითა და კუჭით ერთიანად უნდა ვიმარხულოთ. მაშინ როცა კუჭი შიმშილს განიცდის, ამ დროს სხეულის ყველა ნაწილი სულიერების ატმოსფეროში სიმშვიდით უნდა ტკბებოდეს.

გ. მარხვა სხვა დროებში

ალლაჰის შუამავალი გარდა რამადნის თვისა, გარკვეულ დღეებში მარხვის მადლიანობის შესახებ გვამცნობს. ეს არის დღეები, რომელიც დიადმა გამჩენმა მორწმუნეებს ჩადენილი შეცოდებების გამოსწორებისთვის უწყალობა. დროის მოკლე მონაკვეთი, რომელის დროსაც დაცული მარხვა მონა-მსახურს დაგროვებული ცოდვების გაათავისუფლებს. ადამიანის გულში შეღწეული უიმედობის ნისლს, სულიერებით აღსავსე ნათებით გაფანტავს.

1. მარხვა შევალის მთვარეში. 6 დღე

მთვარის კალენდრის თანახმად რამადანის შემდეგი შევვალის მთვარე დგება. ალლაჰის შუამავალი რამადნის თვის შემდეგ შევვალის მთვარეში 6 დღე მარხვას გვირჩევს. „ვინც რამადნის თვეს მარხვაში გაატარებს, შემდეგ შევვალის მთვარეში კიდევ ექვს დღეს იმარხებს, მას თითქოს მთელი წელი მარხვაში გაეტარებინოს. (მუსლიმი, სიამი, 204; თირმიზი, სავმი, 53) შევვალის მთვარეში ექვსი დღე მარხვა ერთი-ერთი მოსაწონი ღვთისმსახურებაა. ზოგიერთი გად-

მოცემის თანახმად, შევვალის მარხვის დაცვა უმჯობესია ამ თვის პირველ დღეებში, ანუ რამადან ბაირამის დღეების შემდეგ. თუმცა შესაძლებელია შევვალის თვის ექვსი დღე მარხვა აღნიშნული თვის სხვადასხვა დღეებში სრულქმნა. (თირმიზი, სავმი, 53) ამავე დღეებში გამოტოვებული ან შეპირებული მარხვის დაცვაც ანალოგიური მადლის მომტანია.

2. აშურა დღის მარხვა

აშურა დღის მარხვა ეს არის მუჰარემის მთვარის მეათე დღეს შესრულებული მარხვა. (მუსლიმი, სიამი, 132; თირმიზი, სავმი, 50). ცნობილია, რომ იუდეველები მანამდე მუჰარრემის თვის მეათე დღეს მარხვაში ატარებდნენ. ისინი აშურას დღეს დღესასწაულად აღნიშნავდნენ და შესაბამისად იმ დღეს მარხულობდნენ. უმეცრების ხანაში სხვადასხვა არაბული ტომები, ყურეიშელების ჩათვლით აშურას დღეს მარხვას იცავდნენ. არსებობს გადმოცემები იმასთან დაკავშირებითაც, რომ ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) ჰიჯრეთში წასვლამდე აღნიშნულ დღეს მარხვას იცავდა. (ბუხარი, სავმი, 69) თუმცა უფრო მტკიცე გადმოცემები იმაზე მეტყველებს, რომ ალლაჰის შუამავალმა აშურას დღეს მარხვა მას შემდეგ დაიწყო, რაც მედინაში ჰიჯრეთი შეასრულა. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, როდესაც ალლაჰის შუამავალმა მედინაში ჩავიდა და დაინახა, რომ იუდეველები აშურას დღეს მარხულობდნენ, მათ აღნიშნული მარხვის მიზეზი ჰკითხა. იუდეველებმა განუმარტეს, რომ უზენაესმა ალლაჰმა შუამავალი მუსა და ისრაილის შვილები ფარაონისგან ამ დღეს იხსნა. შუამავალი მუსა ამ დღის სამახსოვროდ კი მარხვას იცავდა. ჩვენც გამომდინარე იქედან, რომ შუამავალი მუსასა თემი ვართ, შესაბამისად ამ დღეს მარხვაში ვატარებთ. მაშინ ალლაჰის შუამავალმა, „შუამავალ მუსაზე მე თქვენგან გაცილებით უფრო ახლოს ვარ“ უთხრა და აშურას დღეს მარხვა ბრძანა. (იბნი მაჯე, სიამი, 41) მაგრამ იმისათვის, რომ მორწმუნეები იუდეველებს არ დამსგავსებოდა, არა მხოლოდ აშურა დღეს მარხვა, არამედ სულ მცირე ორი დღე მუჰარრემის თვის მეცხრე და მეათე, ან კიდევ მეათე და მეთერთმეტე დღეს მარხვა ურჩია. (იბნი ჰანბელი, I, 240)

დიახ, ყოველთვის აშურა დღე ჩვენთვის ერთის მხრივ მწუხარების მომგვრელიც კი არის. ალლაჰის შუამავლის საყვარელი შვილი-შვილი ძვირფასი ჰუსეინი, რომლის შესახებაც მან (ს.ა.ს.) ბრძანა: „ღმერთო ჩემო შეიყვარე ეს და ისინიც შეიყვარე, ვისაც ეს ეყვარება“, მუჰარრემის თვის მეათე დღეს მუხანათურად შეჰიდად დასცეს. „დაე, სალამი მას და მის ოჯახობას“.

როდესაც იბნი აბბასს აშურა დღეს მარხვის დოგმის შესახებ ჰკითხეს, მან მიუგო: „იმაზე უფრო ძვირფასი დღე არ მეგულება, ვიდრე აშურა დღეს მარხვა, რამეთუ ალლაჰის შუამავალი აშურა დღის მადლიანობით სარგებლობის მიზნით ამ დღეს მარხვაში ატარებდა. იბნი აბბასმა სიტყვა ალლაჰის შუამავლის ნათქვამის გადმოცემით დაასრულა: „რამადნის მთვარის შემდეგ აშურა დღეზე უფრო ძვირფასი დღე არ მეგულება“. (მუსლიმი, სიამი, 131)

ალლაჰის შუამავალი განმარტავდა რა აშურა დღის მარხვის სარგებლიანობას, ბრძანებდა: „რამადანის შემდეგ ყველაზე მადლიანი მარხვა, ალლაჰის მთვარედ წოდებულ მუჰარრემის თვეში დაცული მარხვაა. რაც შეეხება ყველაზე მადლიან ლოცვას, ეს აუცილებელი ლოცვის შემდეგ ღამით შესრულებული (თეჰეჯუდი) ლოცვაა. (მუსლიმი, სიამი, 202) უნდა ითქვას, რომ მანამ, სანამ რამადნის თვეში მარხვის აუცილებლობა გაცხადდებოდა, მუსლიმები აშურას დღეებს მარხვაში ატარებდნენ. მას შემდეგ რაც რამადნის მთვარეში მარხვა სავალდებულოდ დადგინდა, აშურა დღეს მარხვა მორწმუნეთა სურვილზე იქნა დატოვებული. (მუსლიმი, სიამი, 124)

3.. ბედნიერი დღეების მარხვა (ეიიამ-ი ბიდ)

ვიდრე რამადნის მარხვა სავალდებულოდ დადგინდებოდა, არსებობდა წესი, როცა ყოველ თვეში სამ დღეს მარხვაში ატარებდნენ. მას შემდეგ რაც რამადნის მარხვა სავალდებულოდ დადგინდა, ყოველ თვეში სამი დღე მარხვამ სუნნეთის რიგებში დაიკავა ადგილი. არსებობს ალლაჰის შუამავლის ჰადისები, რომლებიც ამტკიცებს, რომ აღნიშნულ

მარხვა თვით შუამავალი (ს.ა.ს.) გვირჩევს. მათ შორის ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: ებუ ჰურაირამ (რ.ა.) თქვა: „მე ჩემმა მეგობარმა –შუამავალმა (ს.ა.ს.) სამი რამ მირჩია: ყოველ თვეში სამი დღე მარხვა, ორი მუხლი „დუჰა-ყუშლუ'ი" ლოცვა, (რომლის დროი იწყევა მაშინ, როცა მზის ამოსვლიდან გადის 45 წუთი და მთავრდება მაშინ, როცა შუადღის ლოცვას 45 წუთი დააკლებდა) და დაძინებამდე ვითრის ლოცვის შესრულება". (მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი და ყასრუჰა, 85). სხვა ჰადისში კი შემდეგ სასიხარულო ამბავს გვამცნობს: „ბედნიერ დღეებში მარხვის მადლიანობა ტოლია იმისა, თითქოს ყოველი დრო მარხვაში გაგეტარებინოს". (დარიმი, სევმი, 38)

არ არსებობს ზუსტი ცნობა იმის შესახებ თუ რომელი დღეებია ბედნიერ დღეებად ნაგულისხმები. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, თანამიმდევართაგან მუ'აზმა, მართლმოწმუნეთა დედას –ძვირფას აიშას (რ.ა.) ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალი რომელ თვის დღეებში მახულობდა? – ძვირფასმა აიშემ მიუგო: „ალლაჰის შუამავალი ამას არ აქცევდა ყურადღებას". (მუსლიმი, სიამი, 194) მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ ალლაჰის შუამავალი მთვარის ყველაზე მოკაშკაშე დღეებს მარხვაში ატარებდა. როგორც ებუ ზერი გადმოგვცემს, ეს დღეები ყოველი თვის 13-ე, 14, და 15-ე დღეებია.

4.. ორშაბათი და ხუთშაბათი დღეების მარხვა

როგორც მართლმორწმუნეთა დედა, ძვირფასი აიშა გადმოგცემს, ალლაჰის შუამავალი ორშაბათისა და ხუთშაბათის მარხვას მოუთმენლად ელოდა. (თირმიზი, სავმი, 44) ალლაჰის შუამავალი ყოველი თვის პირველი კვირის ორშაბათისა და ხუთშაბათის დღეებს მარხვაში ატარებდა, შემდეგ მომდევნო კვირის ორშაბათს მარხულობდა. ამრიგად იგი ყოველ თვეში სამი დღე მარხვას იცავდა. (ებუ დავუდი, სიამი, 69). აღნიშნულ ინფორმაციას კიდევ ერთი ჰადისი ამყარებს. „ალლაჰის შუამავალი ზილჰიჯჯეს მთვარის პირველ ცხრა დღეს, აშურა დღეს და ყოველი თვის პირველ ორშაბათ და ხუთშაბათ დღეებს მარხვაში ატარებდა. (ებუ დავუდი, სიამი, 61)

ზემოთ ხსენებული გადმოცემებიდან ირკვევა, რომ ალლაჰის შუამავალი ყოველ თვეში სამ დღეს, განსაკუთრებით

თვის პირველ ორშაბთსა და ხუთშაბათს, ხოლო მომდევნო კვირის მხოლოდ ორშაბათ დღეს მარხვაში ატარებდა. „ადამიანთა ქმედებები ორშაბათობითა და ხუთშაბათობით უზენაეს ალლაჰს წარედგინება. ჩემი ქმედებების წარდგინების დროს ვამჯობინებ მარხული ვიყო“. (თირმიზი, სავმი, 44) შუამავლის (ს.ა.ს.) ამ ჰადისიდან ირკვევა, რომ ორშაბათ და ხუთშაბათ დღეებში მარხვა არა მხოლოდ თვის პირველ კვირაში ან ყოველ თვეში სამი დღე, არამედ ყოველი კვირის ორშაბათ და ხუთშაბათ მარხვა ერთ-ერთი საუკეთესო ნებაყოფლობითი (ნაფილი) ღვთისმსახურებაა. როდესაც ალლაჰის შუამავალს ორთაბათ და ხუთშაბათ დღეებში მარხვის მიზეზი ჰკითხეს, მიუგო: „მე იმ დღეს დავიბადე და იმ დღეს მომივიდა ზეშთაგონება“. (მუსლიმი, სიამი, 198). აღნიშნული ჰადისი მიუთითებს იმაზე, რომ განსაკუთრებით ორშაბათობით მარხვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღის გახსენების საუკეთესო პერიოდია.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ადამიანთა ქმედებების წარდგინება, ორთაბათობითა და სამშაბათობით ყოველ კვირაში ორჯერ მოხდება და ყოველი მორწმუნე ღვთისმსახურისთვის მიტევება ეთხოვება. გარდა მათი, ვისაც სულიერ ძმასთან მტრული დამოკიდებულება აქვს! მათ შესახებ ითქმება, რომ „ამ ორ პიროვნებას მანამდე გადაუვადეთ ვიდრე შერიგდებიან“. (მუსლიმი, ბირრი და სილა, 36). აღნიშნული ჰადისები ორშაბათ და ხუთშაბათ დღეებში მარხვის მადლიანობასა და სიბრძნეზე მეტყველებს. ეს ჰადისი კი გარდა მარხვისა, განაწყენებულთა შერიგების, სიყვარულისა და მეგობრული ურთიერთობის გამყარებისთვის, ზემოთ ხსენებული დღეებით სარგებლობის საჭიროებაზე მიუთითებს.

ყველაფერ ამასთან ერთად, რელიგიური ლიტერატურის წყაროებში მოიძებნება ინფორმაციები, რომ ალლაჰის შუამავალი სხვადასხვა დღეებშიც მარხულობდა. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ალლაჰის შუამავალი ერთ თვეში შაბათ, კვირას და ორშაბათ დღეებში, ხოლო შემდეგ თვეში სამშაბათ, ოთხშაბათ და ხუთშაბათობით მარხულობდა. (თირმიზი, სევმი, 44) გარდა ამისა, თუკი ალლაჰის შუამავალი შაბათ დღეს მარხვაში გაატარებდა, მაშინ აუცილებლად თანმიმდევრულად ორ დღეს დაამატებდა და

მხოლოდ ერთი დღე მარხვით არ შემოიფარგლებოდა. ასე სავარაუდოდ იმიტომ იქცეოდა, რომ არ დამსგავსებოდა იუდეველებს, რამეთუ შაბათი დღე მათთვის წმინდა დღედ ითვლებოდა. ალლაჰის შუამავალი აღნიშნულთან დაკავშირებით ისედაც გვაფრთხილებდა და ბრძანებდა: „შაბათი დღე, გარდა იმისა, როცა უზენაესმა ალლაჰმა თქვენთვის აუცილებლად დაადგინა, მარხვაში არ გაატაროთ. იმ დღეს, იმისათვის, რომ გამოხატოთ არ ხართ მარხულები, ყურძნის ლერწმის კანი ან ხის ტოტის გარდა სხვა რამეს თუ ვერ იპოვით ის დაღეჭეთ ან კიდევ წუწნეთ. (თირმიზი, სევმი, 42) თუმცა ზოგიერთი ჰადისოლოგები, მათ შორის არის ებუ დავუდი, ფიქრობენ, რომ შაბათ დღეს მარხვასთან დაკავშირებული აკრძალვა შემდომში გაუქმებული იქნა. (ებუ დავუდი, სიამი, 51)

5.. მარხვა ჯუმა (პარასკევობით) დღეს

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ჯუმა დღე საუკეთესოა იმ დღეთა შორის, მოეფინა მზე რომელსაც. (მუსლიმი, ჯუმა, 17) შუამავალი (ს.ა.ს.) ამ სიტყვებით ამ დღის მნიშნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. გარდა ამისა, ალლაჰის შუამავალი გვამცნობს, რომ „ჯუმა დღეს არსებობს ისეთი დრო, როცა ვედრება უპასუხოდ არ დარჩება“. (მუსლიმი, ჯუმი, 13) ალლაჰის შუამავლის ცხოვრებაში ძალიან იშვიათი იყო ჯუმა დღე, რომელსაც მარხვაში არ ატარებდა. გამომდინარე აქედან, სწავლულები ჯუმა დღეს მარხვას ერთ-ერთ მოწონებულ ქმედებად განიხილავდნენ. მაგრამ მექრუჰად (მოუწონრად) თვლიან მხოლოდ ჯუმა დღეს მარხვას, ხოლო წინა ან მომდევნო დღეებში უმარხულობას. (თირმიზი, სევმი, 41)

6.. მარხვა, ნაკრძალ (ჰარამ) თვეებში

ზილყადე, ზილჰიჯჯე, მუჰარრემი და რეჯები, ეს თვეები ისლამში ნაკრძალ თვეებად არის გაცხადებული, რომელშიც ხუთშაბათ, პარასკევს, შაბათ დღეებში მარხვა მოწონებულ ქმედებად არის შეფასებული.

7.. მარხვა ზილხიჯჯეს თვეში

ცნობილია, რომ ალლაჰის შუამავალი ზილჰიჯჯეს თვეში პირველ ცხრა დღეს მარხვაში ატარებდა. (ებუ დავუდი, სიამი, 61) იგი, ასეთი ფორმით ხვდებოდა ყურბან ბაირამს. რამეთუ ზილჰიჯჯეს თვის მეათე დღე ყურბან ბაირამის პირველი დღეა. გამომდინარე აქედან, ზილჰიჯჯეს თვის პირველი ცხრა დღის მარხვაში გატარება კიდევ ერთი მოწონებული (მუსთეჰაბი) ღვითისმსახურებაა. მაგრამ, გარკვეული სირთულეებისა და ძალადაკარგულობის თავიდან აცილების მიზნით, ჰაჯობაზე მყოფთათვის ზილჰიჯჯეს მეცხრე დღეს (არაფას დღეს) მარხვაში გატარება მოუწონრად არის მიჩნეული. (დ.ი.ბ. ილმიჰალი, I, 387) არაფა დღე განსაკუთრებულად მადლმოსილებით აღსავსეა. შუამავალი (ს.ა.ს.) გვაცნობს, რომ არაფა დღეს დაცული მარხვა, ღვთის ნებით გასული ერთი წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვების მიტევებას საბაბი გახდება". (მუსლიმი, სიამი, 197) არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა დღე, გარდა არაფა დღისა, როცა უზენაესი ალლაჰი ადამიანებს ჯოჯოხეთის ცეცხლისგან იხსნის. (მუსლიმი, სიამი, 196)

8.. მარხვა შაბანის თვეში და მარხვა შაბანის თვის მეთხუთმეტე დღეს

შაბანის თვეა კიდევ ერთი დრო, როცა ალლაჰის შუამავალი განსაკუთრებით ცდილობდა მარხვაში გაეტარებინა. (მუსლიმი, სიამი, 177) უფრო მეტიც, იგი შაბანის თვის უმეტეს დღეებს მარხვაში ატარებდა. (მუსლიმი, სიამი, 52) ძვირფასი აიშა (რ.ა.) ხაზს უსვამს რა შაბანის მთვარის მადლიანობას, გადმოგვცემს: „მე ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) სიცოცხლეში რამადნის მთვარეში გამოტოვებული დღეების მარხვას, შაბანის მთვარეში ვასრულებდი.

ალლაჰის შუამავალი გვირჩევდა რა შაბანის მთვარის მეთხუთმეტე –ბარათის ღამის ღვთისმსახურებაში გატარებას, დღის მარხვაში გატარებისკენ მოგვიწოდებდა. (იბნი მაჯე, იყამეთუ-სელავათი, 191) იმის გამო რომ ადამიანი რამადნის მთვარეს ძალა და ენერგია გამოლეული არ შეხვედროდა,

შაბანის თვის მეორე ნახევრში მარხვის დაცვისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ზოგიერთი სწავლული, რომ გარდა იმათი, ვინც ორშაბათ, ხუთშაბათ და თვეში სამი დღე რეგულალურად ასრულებს მარხვას, შაბანის თვის მეორე ნახევარის შემდეგ მარხვას მექრუჰად მიიჩნევენ. რაც შეეხება იმამ შაფი'ის მიმდინარეობას, ისინი შაბანის თვის მეორე ნახევარში მარხვას ჰარამად მიიჩნევენ.

9.. დავუდის მარხვა, (სავმი-დავუდი)

ადბულლაჰ ბინ ამრი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალმა როცა გაიგო, რომ მე უწყვეტად ვმარხულობდი და დღე ღამე განუწყვეტლივ ღვთისმსახურებით ვიყავი დაკავებული, ბრძანა: „განა გგონია, რომ არ ვიცი უწყვეტ რეჟიმში რომ მარხულობ და მთელს ღამეებს ლოცვაში ატარებ? ასე ნუ იზამ! რამეთუ შენ თვალის წინაშე ვალდებულება გაკისირია, ვნებების წინაშეც ვალდებულება გაგაჩნია. მარხვა დაიცავი, თუმცა იფთარი მიირთვი. ლოცვა შეასრულე, თუმცა ძილს ნუ დაიკლებ. ათ დღეში ერთი დღეც რომ მარხვაში გაატარო, დანარჩენი ცხრა დღის მადლს დაიმსახურებ". –„მე ამაზე უფრო მეტი შემიძლია ალლაჰის შუამავალო". –მაშ, მარხვა ისე დაიცავი, როგორც ამას შუამავალი დავუდი ასრულებდა". ო, ალლაჰის შუამავალი მითხარით როგორ მარხულობდა შუამავალი დავუდი (ა.ს.)? -„შუამავალი დავუდი ერთი დღე მარხულობდა ერთი დღე არა. (დღე ჩაგდებით) ისინი ვინც დღეების განმავლობაში იფთრის გარეშე მარხვას იცავს, მას მარხვად არ ეთვლება". (მუსლიმი, სიამი, 186)

გამომდინარე აქედან შუამავალი დავუდის მსგავსად ერთი დღის გამოტოვებით მარხვა მეტწილად მადლის მომტანი მარხვაა. მაგრამ მორწმუნის მიერ ყოველ დღეს უწყვეტად მარხვა მოუწონარია. 'აბდულლაჰ ბინ 'ამრი (რ.ა.) ნებაყოფლობით ღვთისმსახურებაზე ზედმეტად შეყვარებული ვინმე იყო. იგი ალლაჰის შუამავალს დაჟინებით თხოვდა ნება მიეცა შვიდ ღამეში ერთი ხათმი (ყურანის თავიდან ბოლომ-

დე წაკითხვა) წაეკითხა. უნდა ითქვას, რომ მან ეს ნებართვა ალლაჰის შუამავლისგან მიიღო. მაგრამ მაშინ, როდესაც ‘აბდულლაჰი მოხუცდა და მოკლე დროში ხათმის წაკითხვა უკვე ძალიან გაუძნელდა თქვა: „ნეტავ გამეთვალისწინებინა ალლაჰის შუამავლის რჩევა“. (ბუხარი, ფედაილულ-ყურანი, 34)

როგორც ზემოთ ხსენებული გადმოცემებით ირკვევა, იმის გამო, რომ მარხვა ადამიანს სულიერ სილამაზე მატებს, ალლაჰის შუამავალი თანამიმდევრებს კონკრეტულ დღეებში მარხვას ახალისებდა. იმ დროს, როდესაც ალლაჰის შუამავალი ადამიანების სულიერი აღზრდით იყო დაკავებული, მათ იმაზე მეტს არ ატვირთავდა, რაც მათ ძალებს აღემატებოდა. ასევე ცნობილია, რომ შუამავალს (ს.ა.ს.) გარდა რამადნის თვის მარხვისა, სხვა არცერთი თვე სრულად მარხვაში არ გაუტარებია. (მუსლიმი, სალათულ-მუსაფირინი და ყასრუჰა, 139) მართლმოწმუნეთა დედა ძვირფასი აიშა გვამცნობს: „მე არასოდეს მინახავას, რომ ალლაჰის შუამავალს დილამდე შეუსვენებლად ელოცა ან, გარდა რამადნის თვისა, სხვა რომელიმე თვე სურლად მარხვაშე გაეტარებინა“. (მუსლიმი, სალათულ-მუსაფირინი და ყასრუჰა, 141)

ალლაჰის შუამავალი კრძალავდა მარხვას, რომელიც დღეების განმავლობაში იფთრის გარეშე მარხვას ითვალისწინებდა. თანამიმდევრებმა უთხრეს: ო, ალლაჰის შუამავალო! მაგრამ თქვენ ხომ მარხულობთ ასე? შუამავალმა (ს.ა.ს.) მიუგო: „მე არავარ ისეთი როგორიც თქვენ. მე დიადი გამჩენის მხრიდან მეძლევა საკვები და სასმელი“. (მუსლიმი, სიამი, 55)

გარდა განსაკუთრებულად მნიშნველოვან დღეებში დაცული ნებაყოფლობითი (ნაფილე) მარხვისა, ნაკრძალი დღეების გარდა, შესაძლოა სხვა „ნაფილე“ ნებაყოფლობითი მარხვის დაცვა. მაგალითად: ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ცივ ამინდში ხელთ ჩაგდებული ნადავლია ზამთრის დღეებში შესრულებული მარხვა“. (თირმიზი, სავმი, 74)

იმ შემთხვევაში თუკი პიროვნება ნებაყოფლობით (ნაფილე) დაცულ მარხვას მოშლის, არსებობს გადმოცემა, რომ იგი არ საჭიროებს გამოტოვებულის ანაზღაურებას, (თირმიზი,

სავმი, 34). მაგრამ ჰანეფი მეზჰები მოქმედებს სხვა გადმოცემის თანახმად (თირმიზი, სავმი, 36) და თვლის, რომ შოშლილი ნებაყოფლობითი მარხვა ანაზღაურებას ექვემდებარება.

10.. შეპირებული მარხვა

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) შეპირების სანაცვლად დიად გამჩენზე ვედრების აღვლენისკენ მოუწოდებდა. იგი (ს.ა.ს.) ბრძანებდა: „შეპირების გზით უზენაესი ალლაჰის განგებას ვერავინ შეცვლის“. მხოლოდ შესაძლოა ზოგჯერ დაემთხვეს ისე, რომ შეპირებით სასურველი რაიმე განგების შესაფერი აღმოჩნდეს“. შენაპირების (ერთად-ერთი სარგებელი) წყალობით (ჩვეულებრივ პირობებში), ქონება, რომელსაც ძუნწი ვერ გაიმეტებს, (ღარიბების სასიკეთოდ) ხელიდან გამოეცლება“. (მუსლიმი, ნეზრი, 7) მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ შენაპირები დადებული აღთქმაა, მორწმუნე ვალდებულია დადებული პირობა სისრულეში მოიყვანოს. მდგომარეობა უცვლელი რჩება ღვთისმსახურების შეპირების შემთხვევაში. ერთ-ერთ გადმოცემაში საუბარია პიროვნებაზე, რომელმაც ალლაჰის შუამავალს კითხვით მიმართა. „ჩემმა დამ ჰაჯობის შესრულების პირობა დადო, თუმცა ისე გარდაიცვალა, რომ შენაპირები ვერ შეასრულა. შეიძლება თუ არა, რომ მისი ჰაჯის შესრულების პირობა მე მოვიყვანო სისრულეში? შუამავალმა (ს.ა.ს.) ჰკითხა: „დავუშვათ, რომ შენს დას ვისიმე ვალი ჰქონოდა, გადაიხდიდი მას? კაცმა მიუგო: „დიახ გადავიხდიდი“. მაშინ შუამავალმა უთხრა: „მაშ გადიახადე ის ვალიც, რომელიც ალლაჰის წინაშე გმართებს, რამეთუ იგი უფრო მეტად იმსახურებს მისადმი ვალის გადახდას“. (ბუხარი, ეიმანი ვენ-ნუზური, 30) კიდევ ერთ მსგავსი შინაარსის გადმოცემა მარხვას უკავშირდება. ალლაჰის შუამავალმა, ქალბატონს, რომელმაც კითხვა დაუსვა გარდაცვლილი დედის მიერ ვერ შესრულებულ მარხვასთან დაკავშირებით, ჰკითხა: „თუკი გადაიხდი ვალს, რომელიც შენს დედას მართებდა, მისი ვალის გადახდაში ჩაგეთვლება? ქალმა მიუგო: „დიახ, ჩამეთვლება“. მაშინ ალლაჰის შუამავალმა უთხრა: „მაშ დაიცავი მარხვა დედაშენის სახელზე“. (მუსლიმი, სიამი, 156) გამომდინარე აქედან, თუკი ვინმემ მარხვის აღთქმა

დადო, მისი სისრულეში მოყვანა სავალდებულოა. რამეთუ მორწმუნე დადებული პირობის ერთგულია.

მარხვის სიბრძნის სილრმისეული გაგება

მორწმუნეთა გულები სიხარულითაა სავეს
ვედრება და ეზანი ერთმანეთსაა შერეული.
ეზნის ხმა ზეცას სწვდება. ღმერთი ბრძანებს:
“მარხულს მადლით მე ვაჯილდოვებ”
რაოდენ დიდია ეს ბედნიერება!

ა. მარხული სულები და ყურანი

ყურანი, ეს არის წიგნი, რომლის სიბრძნე, რწმენა, ზნეობა და მადლმოსილება სიტყვა-სიტყვით მიეწოდება გონებას და შემდეგ აიათ-აიათ გულში დაიკავებს ბუდეს. ყურანი, ეს არის სიტყვა, რომელიც საოცარი ჰარმონიით, შეუდარებელი რიტმითა და მომაჯადოებელი მეთოდით მსმენელს სულიერების მორევში მოიქცევს. ეს არის სიტყვა, რომელიც ადამიანს სიბნელიდან სინათლეში გამოიყვანს და გარშემო საოცარ სინათლეს მოჰფენს. ყურანი, ეს არის სასწაული, რომელიც სიტყვას მნიშვნელობად, ხოლო მნიშნელობას სულში გააჯერებს და წარსულისა და მომავლის ცოდნად ადამიანებს მოწყალების საამო ნიავად გადაეცემა. ეს არის ღვთიური დასტური, რომელიც ადამიანის გაჩენიდან კაცობრიობის ცხოვრებას ტალღოვნად ცალ-ცალკე ასახავს. ყურანი, ეს არის წიგნი, რომელიც ბათილს ჭეშმარიტებისგან ისე განაცალკევებს, რომ ისინი ვეღარასოდეს გაერთიანდებიან. ყურანი, ეს არის მოწოდება, რომელიც ადამიანებს რჩევისა და დარიგების მიღებისკენ მოუხმობს. ყურანი, ეს არის ღვთიური ბრძანება, რომელიც სიკეთის მქმნელთ ახარებს, ხოლო ბოროტებს მკაცრად აფრთხილებს. ყურანი ეს არის ცხოვრების წიგნი, რომელიც მოსმენასა და ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს.

ველიდ ბინ მუღირე, თითქოს დღეს, ბენი მუღირეს წინაშე იდგეს და ყვებოდეს: „ცოტა ხნის წინ ალლაჰის შუამავლისგან ისეთი სიტყვა მოვისმინე, რომ ის არც ადამიანის სიტყვას ჰგავდა და არც ჯინისას... იმდენად ტკბილი და მომაჯადოებელი... მისი ფესვებიდან ბარაქა და სიცოცხლე იფრქვეოდა... საოცარი, ტანმაღალი და ვებერთელა ხის მსგავსი, რომელსაც დაზვირთული მტევნებით ჰქონდა დამძიმებული ცადაწვდილი ტოტები... არა... არა... არ

ის სულიერი ამაღლება და ღვთისადმი მორჩილება, რომელსაც რამადანის თვეში ვიწყებთ, სხვა თერთმეტ თვეში უნდა განვავრცოთ. ჩვენი ოჯახები ყურანის უსაზღვრო მადლით უნდა შევმოსოთ. ლაქებშეპარული გულები რწმენის ნათელით უნდა გავასხივოსნოთ. განა შეგვიძლია, რომ ამ ყველაფერს ზურგი ვაქციოთ?

შეიძლება ეს ადამიანის სიტყვა ყოფილიყო. ეს სიტყვა ადრე თუ გვიან უპირატესი იქნება და აუცილებლად ამაღლდება. შეუძლებელია. ის არ დამარცხდება. და მის წინაშე ქედს მოიხრის ყველაფერი, რაც მის მფლობელობაშია“.

სიტყვა მოხერხებული არაბები, მჭერმეტყველობასა და მახვილგონიერებაში განთქმული იმრულყაისის, ზუჰეირ ბინ ები სულმას შვილების თემი, რომელთა

პოეზიური ნამუშევრები ქა’ბას კედლებზე იკიდებოდა, უმწეონი აღმოჩდნენ ყურანის შეუდარებელი ჟანრის, სიღრმისეული შინაარსისა და ყურების მპყრობელი ხმის წინაშე. ზოგნი ძვირფასი ომერის მსგავსად, რომელმაც როცა სურა „ტაჰა“ მოისმინა, ველარ გამონახა სხვა გზა რომ არ ეთქვა: „ვირწმუნე“. ზოგნი იმისათვის, რომ ყურანის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ ჯიუტად ყურებში თითებს იცობდნენ. თუმცა მადლმოსილებით აღსავსე ყურანი ყველას, ვინც მას ყურს უგდებდა ჭეშმარიტების სამოსით მოსავდა, მოწყალების სიოდ სხეულსა და სულს გარემოიცავდა.

ყურანი არათუ სასოწარკვეთილების წყარო, არამედ იმედის კარია, რომელიც ყვავდება და იზრდება. ყურანია ის, რომელიც ადამიანს არარაობისა და მივიწყებულობის გრძნობას უქარწყლებს და ამცნობს, რომ დედამიწაზე გაჩენილი ყველა არსება მის განკარგულებაშია. ის ზეციდან დედამიწამდე უწყვეტად გადაჭიმული ჩასაჭიდი თოკია ყოველი ადამიანისთვის. ღვთის მადლიერი, მოწყალის მორჩილი, სიყვარულითა და ხალისით ღვთის კმაყოფილების

მოპოვების გზას მყოფთა. (ალი ღიმრანი, 3/103) გულისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, (შურა, 42/52) ჯანსაღი ჩასაჭიდია, რომელიც მყარად უნდა გვეჭიროს. (ბაყარა, 2/256)

უზენაესი ალლაჰი ყურანის შესახებ ბრძანებს: „იგი (ყურანი) ფურცლებშია ღირსეულში ამაღლებული, წმინდა“ (ღებესე, 80/13-14). ყურანის ეს არის ჭეშმარიტების წინამძღოლი მათთვის, ვის სწორ გზაზე დასადგინებლად ალლაჰს აირჩევს. ყურანი ეს არის სიბრძნის ხაზინა, რომელიც დიადი გამჩენის წიაღიდან ნაწილ-ნაწილ ზეგარდმოევლინა და ის მისი წინამორბედი წმინდა წიგნების დამმოწმებელია.

ყურანი დაცული ფიცრიდან „ლევჰი მაჰფუზიდან –(ის არის ჰაერში შვიდი ცის ზემოთ, რომელიც თეთრი მარგალიტისგანაა დამზადებული. იქ არის დაწერილი ყველა ზეციური წიგნი. ყველა ორიგინალი იქ ინახება, არავის შეუძლია მისი შეცვლა. ეშმაკსაც არ შეუძლია მასთან მიახლოება. იქიდან გარდმოევლინებოდა ზეციური წიგნები ალლაჰის ნებით. რა თქმა უნდა, უზენაესმა ალლაჰმა უკეთ უწყის.) ჯერ „ბეითულ ‘იზზეში, იქედან ჯიბრილს, (ა.ს.) მისგან მუჰამმედ მუსტაფას (ს.ა.ს.) გულში ჩაინერგა და ბოლოს მორწმუნეთა გონებაში, ბაგეებზე და გულებში დაიდო ბინა. ის „გაშლილ სიფრიფანა ტყავზე“ (ტური, 52/3) სიტრიქონ-სტრიქონ, ბგერა-ბგერად იქნა დალაგებული, რომელიც შემდეგ ერთ წიგნად (მუსჰაფი) შეიკრა და იქმნა ყოვლად ჩასაჭიდი ღვთის სიტყვად.

ყურანის შესახებ ჯინებმაც კი თქვეს „...უეჭველად, მოვისმინეთ ყურანი საოცარი! მას მიჰყავს ჭეშმარიტი გზისკენ, უკვე ვირწმუნეთ იგი“... (სურა ჯინნი, 72/1-2). იგი ადამიანთათვის განმარტება, ღვთისმორჩილთათვის გზა ჭეშმარიტი, შემგონებელი და წინამძღოლია. (ალი ღიმრანი, 3/138). ეს არის უბიწო წიგნი, რომელიც შეგონებას და მისგან დარიგების მიღებას საიჭიროებს. (სურა სადი, 38/29) არც ის ნაკლებია ისეთ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა შესახებ ყურანში ვკითხულობთ: „ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი? (სურა მუჰამმედი, 47/24)

„ვისი გულიც განავრცო ალლაჰმა ისლამისთვის, უკვე იგი ადგას ნათელსა ზედა თავისი ღმერთისგან“. (ზუმერი, 39/22)

ამ სიტყვებში დამალული წიგნი, სწორედ რომ „ყურანია“ რომელიც მორწმუნეთათვის შვება და წყალობაა. უსამართლოთათვის კი მხოლოდ გაფრთხილებაა მოსალოდნელი ზიანისა. (ისრა, 17/82) ის (ყურანი) კაცობრიობის შეგონების მიზნით გარდმოვლენილი „ფურყანია“. (სურა ფურყანი, 25/1)

„ალლაჰმა ზეგარდმოავლინა საუკეთესო სიტყვა წიგნად (ძვირფასი ყურანი), ერთმანეთის მსგავს ჰარმონიული განმეორებადი. ჟრუანტელი უვლის მისგან, მათ კანს, რომელნიც ძრწიან თავიანთი ღმერთის. აწის შემდგომად კანი მათი და გულნი მათი სიმშვიდეს ჰპოვებს ალლაჰის ხსენებით. სწორედ ესაა ჭეშმარიტი ცნობარი ალლაჰის, ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს, ინებეს ვისაც. ხოლო იმას, ვისაც გზააბნევაში ჩააგდებს ალლაჰი, დაე, არ არს მისთვის ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი!“ (სურა ზუმერი, 39/23)

ისინი ვინც გზააბნევაში რჩებიან, ჯიბრილის მტრები არიან. ყურანს ვერ შეიცნობენ ის ადამიანები, ვიც ხორციელ ვნებებსა და სიამოვნებას აყოლილი არიან. თუმცა ყურანი, სიცოცხლეს, რომელიც ალლაჰის წყალობის საღებავითაა შეღებილი, ალამაზებს, განწირულ განადგურებულ ცხოვრებას სიცოცხლის ხალისს მატებს და ადამიანს ახსენებს, რომ ამ ქვეყნად ტყუილუბრალოდ არ არის მოვლენილი.

ყურანს, მონა-მსახური მოწყალების იმ ერთად-ერთ კართან მიჰყავს, რომელიც მას უკვდავების სურვილს გაუქრობს. ყურანი სირთულეების გადამჭრელი და დარდების მკურნალია. ის გვასწავლის სიკვდილის ჭეშმარიტებას, რომელიც სიცოცხლესავით ნათელია. ყურანი ზეციდან მოვლენილი უხვი და ბარაქიანი წვიმის მსგავსად (ბუხარი, ილიმი, 20) ცოდვებით დამძიმებულ გულებში გაზაფხულს მოიყვანს. „დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს“! (სურა რადი, 13/28)

1. მუყაბელე და ხათმი

როგორც ცნობილია ჯიბრილ (ა.ს.) ყოველ რამადნის თვეში ალლაჰის შუამავალთან (ს.ა.ს.) გამოცხადდებოდა. შუამავა-

ლი (ს.ა.ს.) მთავარანგელოზ ჯიბრილის თანდასწრებით ყურანის იმ დრომდე გარდმოვლენილ აიათებს „მუყაბელეს“ პრინციპით ანუ პირისპირ წაიკითხავდა. ასეთი სცენა პირველად რამადნის ერთ მშვენიერ დღეს ჰირას მთაზე შედგა. ალლაჰის შუამავალი იმ დღეს ჰირას მთაზე განვითარებულ შეხვედრას შემდეგი სიტყვებით გვახარებს. „ვინც ყურანს დაიზეპირებს და იკითხავს, ის ზეშთაგონების ანგელოზთან ერთად იქნება“. ამ სიტყვებით იგი გვამცნობს, რომ მსგავსი განცდის წინაშე შესაძლოა ნებისმიერი ჩვენგანიც ვიყოთ.

თანამიმდევრები ყურანს ნაწილ-ნაწილ იყოფდნენ და ზეპირად კითხულობდნენ. წაკითხულ რამდენიმე სურას გაიაზრებდნენ და შესაბამისად ცხოვრებაში გატარებას ცდილობდნენ. იყვნენ ისეთები, რომლებიც ‘აბდულლაჰ ბინ ‘ამრის მსგავსად, შვიდ ღამეში „ხათმს“ (ყურანის თავიდან ბოლომდე წაკითხვას ხათმი ეწოდება) კითხულობდნენ. თანამიმდევართათვის ყურანის კითხვა სიამოვნების განცდა იყო. ალლაჰის შუამავალი ყურანის გააზრებითა და დაფიქრებით წაკითხვას მოითხოვდა. ის იტყოდა: „ისინი ვინც სამ დღეზე მოკლე დროში ხათმს კითხულობს, ყურანისგან საკმარის სარგებელს ვერ მიიღებენ“. (დარიმი, სალათი, 173)

„...და ლამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად)“. (მუზზემმილი, 74/4) „არ დაძრა მისით ენა შენი, რათა დააჩქარო იგი“! (სურა ყიამეთი, 75/16) ალლაჰის შუამავალი ზემოთ მოცემული ღვთიური ბრძანების გათვალისწინებით ყურანს გააზრებულად და დინჯად კითხულობდა. „და არ აუწიო ხმას ლოცვაში და არც დაუწიო მას, ამ ორ შორის საშუალო გზა დაიდგინე“! (სურა ისრა, 17/110) იგი (ს.ა.ს.) ბრძანებისამებრ ყურანის კითხვისას ხმის საშუალო ტონს ინარჩუნებდა. (მუსლიმი, სალათი, 145) ალლაჰის შუამავალი ყურანს აუცილებლად განბანილ მდგომარეობაში (აბდესთიანი) იკითხავდა. ადამიანები, როდესაც ალლაჰის შუამავლს ყურანის კითხვის დროს უსმენდნენ, ყურანის დახვეწილი შინაარსის სიამოვნებით ტკბებოდნენ. მისი, (ს.ა.ს.) სიცოცხლის ბოლო პერიოდში რამადანის თვეში ჯიბრილთან (ა.ს.) პირისპირ ორჯერ განმეორებული მუყაყბელე ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს მიანიშნებდა.

მუყაბელეს ტრადიცია, რომელიც სათავეს, ჰირას მთაზე ჯიბრილისა (ა.ს.) და ალლაჰის შუამავალს შორის რამადნის თვეში პირისპირ წაკითხული ყურანით იღებს სათავეს, დღესაც უწყვეტად გრძელდება მეჩეთებსა და ჩვენს ოჯახებში. მისგან არასდროს დავრჩებით შორს, გონებასა და გულებში მას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექნება. რამადანის თვეში ხომ ყურანს თავიდან ბოლომდე გულმოდგინებით წავიკითხავთ და წილს მივიღებთ იმ მადლისგან რასაც „ხათმი“, ჰქვია. ეს კი ჩვენს ნამოქმედართა წიგნში უნაკლოდ აისახება.

ყურანი ხომ ლოცვის განუყოფელი ნაწილია, რაც ჩვენ ყიბლას მიმართულებით დგომისას დიადია გამჩენის წინაშე გვაყენებს. ამქვეყნიურ ორომტრიალში ერთად-ერთი ნავსაყუდელი, ერთად-ერთი სანაპირო სადაც მთელს ჩვენს ეგოს დავტოვებთ და სიმშიდეს მოგვანიჭებს. მას ყოველთვის უნდა ეჭიროს თავისი საპატიო ადგილი, მაშინ როცა შვილებისთვის ვედრებას აღვავლენთ, ვესაუბრებით, ვმოგზაურობთ და უბრალოდ ერთმანეთს ველსამებით. მისით უნდა ვიწყებდეთ დილას, მისით უნდა ვიძინებდეთ. მაშინ როდესაც უზენაესმა ალლჰმა ადამიანთა სულები გააჩინა და იკითხა: „განა მე არა ვარ თქვენი ღმერთი“? და როცა ჩვენმა სულებმა მიუგეს: „დიახ! (რა თქმა უნდა ჩვენი ღმერთი შენ ხარ). ისე ვიცხოვროთ უკანასკნელი ამოსუნთქვის დროსაც კი ყურანმა მოწმეობა გაგვიწიოს.

მაშინ, როცა რამადანის თვეში ყურანთან უფრო მჭიდრო კავშირს ვაყალიბებთ, ლოცვის, ვედრებისა და ჭამის დროსაც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი მეგობარია, რამადანის დასრულების შემდეგ მისი კითხვა და მისით ცხოვრების სურვილი გაგვიღრმავდება. რამადნის თვეში დაწყებული უზენაეს ალლაჰთან საუბარი, შემდეგ თეთრმეტ თვეშიც უნდა გავნაგრძოთ, ოჯახები მისი მადლითა და ბარაქით გავავსოთ. განა ოდეს მივატოვებთ ყურანს, რომელიც სულიერებისგან განშორებული გულების სიწმინდეა?!

ყურანის წაკითხვისას ღვთიური მესიჯის გააზრებას შეეცდებით, ცხოვრებაში გავატარებთ იმას, რასაც გავიგებთ. ისე როგორც ზნეობის საკითხში ვცდილობთ მივბა-

ძოთ ალლაჰის შუამავალს. ყურანის წაკითხვით ჩვენ წინ უკიდეგანო სივრცე იშლება, ხოლო მისგან შორს ყოფნა უდაბნოში უწყლოდ დარჩენის დარია.

ჰირას მთიდან ჩვენს ოჯახებში სხივად მოვლენილი ყურანის, მარტოდ და საგულდაგულოდ უკვე ფერშეცვლ ნაჭერში შემონახული, თაროებიდან უნდა ჩამოვიღოთ, წავიკითხოთ და გავიაზროდ, რადგან დღეს განსაკუთრებით გვჭირება იგი...

2. რამადანი და ვედრება

ვედრება, ეს არის ფარული ძალა, რომელიც ცხოვრებას აზრს სძენს, მარტოობისა და მიტოვებულობის გრძნობებისგან გვიხსნის... ვედრება ეს ნიშნავს მიეკედლო უზენაესი ალლაჰის განუსაზღვრელ ძალას და თავი მის მფარველობაში იგრძნო. ალლაჰი „სამედია“, ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)! მისი –ალლაჰის ხაზინა უკიდეგანოა. მონა-მსახური კი ალლაჰის უსასრულო ამ ხაზინიდან სარგებელს იღებს. სიმდიდრის, სიღარიბის, სიხარულისა თუ მწუხარების დროს დიადი ალლაჰის წინაშე ხელების აღმართვა, მასზე მიკედლება და მთელი არსობით ვედრება –ღვთისმსახურება, ჩვენ მისი მოწყალებისა და მიმტევებლობის მიმართულებით გზას გაგვიკვალავს. ეს არის მოგზაურობა, რომლის დასასრული ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებაა.

„თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი“. (ფურყანი, 25/77) აიათის არსიდან გამომდინარე, მორწმუნეები, რომლებიც ვედრებით ყოველ ნაბიჯზე უზენაეს ალლაჰს მიეკედლებიან მისგან მიიღებენ სულიერ ძალას. განა ოჯახის შექმნის დასაწყისი ვედრებით არ იწყება? როდესაც ალლაჰის შუამავალი ახლად დაქორწინებულ პიროვნებას შეხვდებოდა შემდეგი სიტყვებით დალოცავდა: „მადლმოსილ იყოს, ბარაქა გიწყალობოს ღმერთმა, შენ და შენი მეუღლეც სიკეთის მოზიარედ დაგადგინოთ“. (ებუ დავუდი, ნიქაჰი, 35) უმთავრესი მოვალეობა, რაც დედ-მამას შვილების მიმართ აკისრია, ცხოვრების

საწყის მომენტში ვედრებით მათი მფარველობაში აყვანაა. (ბუხარი, ვუდუ'ი, 8) ყურანში ვედრების შესახებ ვკითხულობთ: „ღმერთო ჩვენო! გვქმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი"! (ბაყარა, 2/128) ვედრება უფრო ადვილია ასწავლო შვილებს მაშინ, როცა მშობლების ბაგეები ვედრებას შეჩვეულია.

ვედრება მორწმუნე ადამიანის დამცავი ფარია. (ჰაქიმი, ელ-მუსთედრექი, I 492) ალლაჰის შუამავალმა ვედრებით შეამკო მთელი თავისი ცხოვრება, მიუხედავად ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის, დღისა თუ ღამის, ბედნიერებისა თუ მწუხარების დროს. რამადნის პერიოდი განსაკუთრებული მომენტია ვედრების აღვლენისა, როცა შეისმინება იგი უზენაესის წიაღ. იმისათვის, რომ რამადნის მოწყალებისა და ბარაქისგან მეტი სარგებელი მივიღოთ, მრავალჯერ ვედრება უნდა აღვავლინოთ ამ თვეში, რადგან ეს არის თვე, რომელშიც ათას თვეზე უფრო ხეირინი ღამეა.

გულებს გვიხარებს იმის სიხარული, რომ ფუჭად არ ჩაივლის მარხული ადამიანის მიერ მარხვის გახსნის დროს აღვლენილი ვედრება. ჩვენთვის შეუდარებელი შანსია რამადანში იფთრის დროს აღვლენილი ვედრება, რაც ამ თვის კიდევ ერთი სიძვირფასის ნიშანია. იფთრის დასრულების შემდეგ გამოხატოთ მადლიერება და აღვავლინოთ ვედრება, ისე როგორც ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.). ასე თითოეული ლუკმა უფრო გემრიელი და ბარაქიანი იქნება. „ღმერთო ჩვენო! ლამაზი და ბარაქიანი სურვილებით აღსავსე, თუმცა არასაკმარისი და ხშირად წარმოთქმული ქება-დიდებით უსაზღვრო მადლიერებას გამოვხატავთ შენდამი. (ელჰამდულილლაჰი ქესირენ, ტაიიბენ, მუბარექენ, ფიჰი ღაირი მექფიინ, ველაა მუვედდეინ ველა მუსთაღნენ 'ანჰუ რაბბენაა). (ბუხარი, ეტ'იმე, 54)

რამადანი მადლიერების გამოხატვის საუკეთესო თვეა. როდესაც რამადნის ბედნიერ წამებს ვედრება შეუერთდება იგი შეფრთიანდება და ჩვენ დიადი გამჩენის კმაყოფილებისკენ გაგვაქანებს. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მას ვინც უზენაეს ალლაჰს ასჯერ მადლიერებით ახსენებს,

თუნდაც ზღვის ქაფის ოდენა ცოდვა ჰქონდეს მიეტევება.“ (თირმიზი, დე’ავათი, 59). „ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით. და ალიონზე მიტევებას ეაჯებოდნენ ისინი“. ვკითხულობთ ყურანში. მოცემული აიათი სამოთხის მკვიდრთა შორის ყოფნის სურვილს გულის სიღრმემდე მიაქანებს. მაშ, ღამის წყვდიადს მხურვალე ვედრებით ნათელი მოვფინოთ. ამქვეყნიურ უამრავ დარდსა და საფიქრალში დამძიმებული გულები, თავლის გუბეებიდან ჩადინებული რამდენიმე წვეთი ცრემლით შევამსუბუქოთ.

რამადნის თვის ღამეები და ცისკარი სულ სხვაა. რამეთუ რამადნის ღამეებში სხვა დროებისგან განსხვავებით ცასა და დედამიწას შორის გაცილებით მეტი ანგელოზია. თითქოს ანგელოზთა სამყაროს ერთ ნაწილი მოწყვეტოდეს, დედამიწას მოწყალების ღრუბლად გადაფარებოდეს, მთა და ბარი ერთიანად მოეცვას.

ქათქათა რამადნის მთვარე, არშის ჩრდილით, სინას მთა, რომელსაც მუსა (ა.ს) უპოვია, აყსას მეჩეთი, თითქოს სულეიმანს გასქცერის, ღვთის სახლი, თითქოს მუჰამმედი (ს.ა.ს.) ჩაუკრავს გულში, მინარეთებიდან გაჟღერებული ეზანი, მეჩეთებში წაკითხული ყაამეთი, რომლის ექოც გუმბათებიდან ისმის, ყველა ერთად მორწმუნის ვედრებას ელოდება. აღნიშნულ ვედრებებს ღამეს ერთ-მესამედში ლოცვის შემდეგ აღვლენილი ვედრება კიდევ უფრო გააძლიერებს. იფთრის დროს მირთმეულ ტკბილ ფინიკზე უფრო უტკბესი ვედრება, იფთრის სუფრას უფრო სასიამოვნო სიტკბოებას შესძენს. რამეთუ დროის ეს მონაკვეთი ვედრებისთვის საუკეთესო მომენტებია. (ებუ დავუდი, სალათი, 35; თირმიზი, დე’ავათი, 78)

მადლიერება დიად გამჩენისადმი, ხოლო ვედრების შესავალი, სალათი და სალამი შუამავლისთვისაა. (თირმიზი, დე’ავათი, 64) ვედრებისას ხშირად მივიქცევთ სახეს ყიბლის მიმართულებით, თვალებს სეჯდეს გავუსწორებთ და დიად გამჩენს ხელაპყრობილი შევავედრებთ. უზენაესი ალლაჰის წინაშე პატივისცემითა და თავმდაბლობით მოვიხრით ქედს. აპყრობილ ხელებზე გარდმოსული წყალობისა და ნათელის წილის მიღების განზრახვით ხელებს სახეზე ჩამოვისმევთ და ასე დავასრულებთ ვედრებას. (თირმიზი, დეავათი,

11) და ბოლოს, როგორც საყვარელთგან გასაგზავნ წერლს დავასმევთ ბეჭედს, ისე მხურვალე ამიინის წარმოთქმით შევაჩერებთ ვედრებას.

მაშინ, როცა ვედრების პერიოდად წოდებულ რამადანს მოვესწრებით შევავედროთ ისე, როგორც ამას ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) შვილიშვილი ჰასანი (რ.ა.) გვამცნობს: „ალლაჰის შუამავალი ზოგჯერ ასეთ ვედრებას აღავლენდა:

„ღმერთო ჩემო, დამადგინე მათ რიგებში, რომლებიც ჭეშმარიტებას ადგანან.

ჩამრიცხე იმ ხალხთა რიგებში, რომელთაც ჯანმრთელობა უბოძე.

მამყოფე იმ ხალხთან ერთად ვისაც მფარველობ.

ჩემთვის ბოძებული წყალობა ბარაქიანი ქმენი,

დამიცავი ყველაფერ იმისგან, რომლის შესახებ უბედურება დაადგინე.

უეჭველია, რომ გადაწყვეტილების მიმღები შენ ხარ. შენს წიაღში გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს.

არ დაეცემიან ძირს ისინი, ვისაც შენ შეეწევი.

შენ ბარაქისა და სიდიადის ერთად-ერთი წყარო ხარ“.

(დარიმი, სალათი, 30)

ბ. მარხულის ერთ-ერთი სასიხარულო მომენტი: იფთარი

რამადნის თვეში ტრადიციად არის უკვე ქცეული იფთრისთვის სასიხარულო განწყობის შექმნა. ყველა მარხული სულ მოუთმენლად ელის საღამოს ლოცვის ეზანს, რომ წარმოთქვან ბისმილლაჰი და დიად გამჩენისადმი მადლიერება გამოხატონ: „ღმერთო ჩემო, შენი კმაყოფილებისთვის ვიმარხე და შენს მიერ ბოძებული სარჩოთი ვხსნი მარხვას“. ამის შემდეგ კი ღვთის მიერ ბოძებულის მირთმევას სიხარულით შეუდგებიან.

ეს დრო მორწმუნეების სიხარულის მომენტებია... ეზნის ხმა ცამდე აწვდება... უზენაესი ალლაჰის აღქმა ასეთი, რომ „მარხულის მადლს თავად შეაფასებს“. ეს რაოდენ დიდი სიხარული და ბედნიერებაა. მორწმუნეები მარხვის გახსნას მთელი სიხარულით ხვდებიან. ალლაჰის შუამავლი ხომ გვამცნობს: „მარხული ორ სასიხარულო მომენტს განიცდის, პირველი საღამოს იფთარის დროა, როცა მარხვას ხსნის, ხოლო მეორე დიდ სიხარულს განიცდის მაშინ, როცა დიადი გამჩენის წინაშე წარსდგება.“ (მუსლიმი, სიამი, 163) იფთარი ის მომენტია, როცა თითოეული ლუკმა თავისებური სიამოვნებასა და გემოვნებას ანიჭებს ადამიანს.

როგორც ალლაჰის შუამავალი გვახარებს, რამადნის თვის საღამოობით იფთრის დროს თითოეული მორწმუნე იმ იმიდეთი, რომ ჯოჯოხეთის სასჯელს გადარჩენილთაგან ერთ-ერთი თავად იქნება, ემოციით აღსავსე იფთარს არ დაიგვიანებს. ისინი ისე იქცევიან, როგორც ალლაჰის შუამავალი, ჯერ იფთარს მიირთმევენ და შემდეგ დადგებიან საღამოს ლოცვის შესასრულებლად. იფთრის ვახშამი თავის დროზე უნდა იქნას მირთმეული. ალლაჰის შუამავალი ხომ გვამცნობდა: „მორწმუნეები თუკი მარხვას დროულად შეასრულებენ, სიკეთეს დაიმსახურებენ. (ბუხარი, სავმი, 45) იგი (ს.ა.ს.) სანამ საღამოს ლოცვაზე დადგებოდა, რამდენიმე ფინიკის ახალი ხურმით, თუ არ გააჩნდა, გამხმარი ფინიკით, და თუ იმასაც ვერ იპოვიდა მცირეოდენი წყლით გახსნიდა მარხვას. (ებუ დავუდი, სიამი, 21) ალლაჰის შუამავალი ბრძანებდა: „იუდეველებმა და ქრისტიანებმა იფთარი დააგვიანეს“. (ებუ დავუდი, სიამი, 20) ამ სიტყვებით იგი (ს.ა.ს.) გვაფრთხილებს, რომ მსგავს ცდომილებაში ჩვენ არ აღმოვჩნდეთ.

ფინიკის ხურმა და წყალი: „უზენაესი ალლაჰის მიერ მარხულისადმი წყალობა... ალლაჰის შუამავალი ხშირად იმეორებდა: „ფინიკი ბარაქიანია. ვისაც ფინიკი არ ექნება, იფთარი წყლით დაიწყოს, რამეთუ წყალი სუფთაა“. (თირმიზი, სავმი, 10) ზოგიერთი თანამიმდევრის გადმოცემის თანახმად, ალლაჰის შუამავალი მარხვას ზამთრის დღეებში ფინიკით, ხოლო ზაფხულის დღეებში წყლით გახსნიდა ხოლმე. (თირმიზი, სავმი, 10)

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) მარხვის გახსნის დროს შემდეგ ბრძანებდა: „წყურვილი მოვიკალით, ორგანიზმი წყალით გაგვეჟღენთა. ღვთის ნებით მარხვის მადლიც დავიმსახურეთ“. (ებუ დავუდი, სიამი, 22) შუამავალი მარხვის გახნის დროს შემდეგ ვედრებას წარმოთქვამდა: „ღმერთო ჩემო! შენი კმაყოფილებისთვის ვიმარხე, შენს მიერ ბოძებული სარჩოთი გავხსენი მარხვა“. ამასთან ერთად იგი (ს.ა.ს.) ბრძანებდა: „სამი პიროვნების ვედრება ფუჭად არ ჩაივლის, ესენია: „სამართლიანი მმართველი, მარხულის, რომელმაც სადაცაა მარხვა უნდა გახსნას და ჩაგრულის“. (თირმიზი, სიფათულ-ჯენნე, 2) სწორედ ამიტომ, მაშინ როდესაც იფთრისთვის სამზადისს ვიჭერთ დიად გამჩენს პატიება შევთხოვოთ და მისი კმაყოფილების მოპოვება შევთხოვოთ.

ძვირფასი თანამიმდევარი ‘ამრ ბინ ‘ასის ვაჟი ‘აბდულლაჰი მარხვის გახსნის დროს შემდეგ ვედრებას აღავლენდა: „ღმერთო ჩემო! შენი მოწყალებით, რომელიც ყოვლისმომცველია, მინდა მიტევება შეგთხოვო“. სიტყვამცირე თუმცა საკმაოდ ღრმაშინაარსიანი ვედრება. ალლაჰის მოწყალება ირგვლივ შემოგვფენია, და რაოდენ ლამაზია მისი წყალობისადმი მორჩილება.

ო, ალლაჰის შუამავალო! შენ ხომ ერთხელ სა’დ ბინ მუ’აზთან იფთარი მიირთვი და ისინი ასე დალოცე: „მარხულებმა შენთან იფთარი მიირთვან, კეთილმა ხალხმა შენი კერძები მიირთვან და ანგელოზებმა სალამი გიძღვნან“. (იბნი მაჯე, სიამი, 45) ამიტომ ჩვენც გვსურს მარხულებმა ჩვენთან იფთარი მიირთვან, კეთილმა ხალხა ჩვენი კერძები მირთვან და ანგელოზებმა გვიძღვნან სალამი. ვიცით, რომ ვინც მარხულს იფთარით უმასპინძლებს მისთვის დიდი ჯილდოა დადგენილი. რადგან შუამავალი გვამცნობს: „ვინც მარხულს იფთარით უმასპინძლებს, იგი იმდენი მადლით დაჯილდოვდება, რამდენადაც მარხული სტუმარი. ისე, რომ მარხულს მადლისგან არაფერი მოაკლდება.“ (თირმიზი, სავმი, 82)

საყვარელო შუამავალო! ჩვენ ისეთი ბარაქა გვსურს, რომელსაც შენი მეუღლე მართლმოწმუნეთა დედა –ძვირფასი აიშა მოგვითხრობდა: ერთხელ როდესაც ძვირფასი აიშე

მარხული იყო და მისგან ერთ-ერთმა ღატაკმა დახმარება ითხოვა, ამ დორს მას კი სახლში მხოლოდ ერთი ლავაში პური გააჩნდა. მაშინ ძვირფასმა აიშამ მსახურს უთხრა ის ერთი ლავაში პური ღატაკისთვის მიეცა. მსახურმა დაიჩივლა, კი მაგრამ იფთრისთვის სხვა არაფერი გაგვაჩნიაო. მიუხედავად ამისა, შენმა საყვარელმა მეუღლემ ის ერთი ლავაში პურიც კი ღატაკს მისცა. ძვირფასი აიშა მთელი თავისი არსებით დიად გამჩენზე იყო მინდობილი. მან შენთან ერთად უამრავ სიდუხჭირესა და სირთულეს გაუძლო. იმ დღეს, საღამოს იფთრის დრო ახლოვდებოდა კარზე კაკუნის ხმა გაისმა, **ეჰლიბეითიდან,** ვინმეს თქვენთვის პურის ლავაშში შეხვეული ცხვრის შემწვარი ხორცი გამოეგზავნა. ძვირფასი აიშას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაშინ მსახურს უთხრა: „მიირთვი, ეს ხომ შენ ხმელ ლავაშზე გაცილებით უკეთესია.“ ძვირფასი აიშას სიტყვები დღევანდელ დღესავით ჩაგვესმის ყურებში. (მუვატტა, სადაყა, 1)

თანამიმდევარნი ყოველი იფთრის სუფრას მეგობრების, მეზობლებისა და ღარიბებისთვის გაშლიდნენ. იცოდნენ, რომ რამადანი ასე უფრო ბარაქიანად ჩაივლიდა. ღვთის წყალობად მოვლენილო შუამავალო, როდესაც იბრაჰიმს ვუსმენთ, ვტირივართ. იბრაჰიმი, თანამიმდევრის მამის, ‘აბდურრაჰმან ბინ ავფისთან დაკავშირებით შემდეგს მოგვითხრობს:

„ერთ მშვენიერ იფთრის დროს, ‘აბდურრაჰმანის წინ სხვადასხვა სახის კერძებით სავსე სუფრა გაიშალა. მან სუფრას მხოლოდ გადახედა. იქნებ იქ მყოფებმა წამით გაიფიქრეს, რომ ეს დიდი თანამიმდევარი კერძების სილამაზემ მოხიბლა. მაგრამ არა... მიუხედავად იმისა, რომ ეზანი უკვა წაკითხული იყო, ‘აბდურრაჰმანის ხელს არ იწვდიდა კერძებისკენ. ნეტავ რა უნდა მოსვლოდა ‘აბდურრაჰმანს? მასპინძელს ხომ საოცარი სილამაზით გაეწყო სუფრა. იმისათვის, რომ სტუმრები კმაყოფილი ჰყოლოდა, მაქსიმალური მზრუნველობა გამოეჩინა. როგორ იტყვიან ხოლმე, ჩიტის რძეც კი არ ეკლო სუფრას. სწორედ ასე გაეწყო ყველაფერი სუფრაზე. ნეტავ ისეთი კერძი იყო სუფრაზე, რომელიც ‘აბდურრაჰმანს არ მოსწონდა? მაგრამ რომ სცოდნოდათ ‘აბდურრაჰმანი მაშინ ძალიან შორს იყო წასული...

’აბდურრაჰმანი ენეს ბინ ნადრზე, მუსაბ ბინ უმეირზე ფიქრობდა, უჰუდის ველზე შეჰიდად დაცემულებს იხსენებდა. მას ყელში რაღაც გაჩხეროდა. მუსაბი გაიხსენა, რომლის სუდარად, სიდუხჭირის გამო, მოსასხამი გამოიყენეს. შემდეგ ჰამზა გაიხსენა, სუდარა მისთვისაც მოკლე დარჩა. ალლაჰის ლომად წოდებული ჰამზა, უკანასკნელ გზაზე ფეხშიშველა გააცილეს...

მუსლიმებს უკვე სარჩო უხვად ჰქონდათ. ის სიდუხჭირის დრო უკვე წარსულს ჩაბარებოდა. მიუხედავად სუფრაზე არსებული სიუხვისა, ‘აბდურრაჰმანმა ხელი კერძებისკენ ისევ ვერ გაიწვდინა. ლუკმა ყელში ვერ გადაატარა. თვალები ცრემლებით აევსო. (ბუხარი, მეღაზი, 17) ღმერთო ჩემო! დღეს ჩვენც საკმაოდ უხვ წყალობაში ვართ, გთხოვ, წილად გვარგუნე სათანადოდ გამოვხატოთ მადლიერება.

1. რამადნის სუფრაზე ჰალილ-იბრაჰიმის ბარაქიანობა

შუამავალი იბრაჰიმი (ა.ს.) სიმბოლური ადამიანია.

იგი, წინაპარია სამყაროს წყალობად მოვლენილი შუამავლის, -მუჰამმედ მუსტაფასი (ს.ა.ს)...

ის იყო ადამიანი, რომლის შუამავლობა ზეციური სამივე რელიგიის მიმდევართ სწამთ...

იგი იყო პიროვნება, რომელმაც კარგად გვასწავლა სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა და ვისაც დღესაც ვიხსენებთ, როგორ ჰალილ იბრაჰიმის სახელით სუფრის ბარაქიანობის სიმბოლოდ...

იგი იყო ადამიანი, რომელმაც ღვთის მეგობრობა დაიმსახურა...

იგი იყო პიროვნება, თვალცრემლიანი და საზოგადოების წინაშე მგრძნობიარეა...

იგი იყო, ვინც კერპები დაამსხვრია...ნემრუდის (ნებროთი) ბოროტებას წინ აღუდგა...

იგი იყო შუამავალი, რომელიც შიგ აალებულ ცეცხლში ჩაადგეს, ხოლო ღვთის ნებით იგი ცეცხლი იქმნა მისვის უვნებელი და ვარდნარ ბაღნარად გადაიქცა.

იგი იყო შუამავალი, რომელმაც ქედი მოიხარა ღვთის ბრძანების წინაშე და ერთად-ერთი შვილი –ისმა'ილი, დადებული აღთქმის სისრულეში მოყვანის მიზნით მიწაზე შესაწირად დააწვინა. თუმცა ამ დროს ღვთის წყალობად და სასწაულად ზეციდან ვერძი მოევლინა...

და, იგი იყო ადამიანი, რომელმაც გვასწავლა, რომ უზენაესი ალლაჰის ყოვლისშემძლეობის ძალა ყველაზე რთულს დროს გამოვლინდება.

რამადნის სუფრა ყოველთვის ამ უდიდესი შუამავლის სახელით გაიშლება. იფთრის სუფრა ზეციდან შუამავალ 'ისა (ა.ს.)-ისთვის გარდმოვლენილ სუფრის მსგავსი გახდება. უპოვარს დააპურებს, მარხვას იფთრით, ხოლო საჰურს ბარაქიანი სარჩოთი გაამდიდრებს.

ალლაჰის შუამავალი გვასწავლის, რომ სუფრის ბარაქიანობას სტუმარი განაპირობებს. „ერთი პიროვნების საყოფისი საჭმლით ორი, ორი ადამიანის საყოფისი საჭმელით ოთხი, ხოლო ოთხი პიროვნების საყოფის სუფრაზე კი რვა ადამიანი დაპურდება. (მუსლიმი, ეშრიბე, 181) სტუმრის ვედრება დიადი გამჩენის წიაღში მისაღები ვედრებათა შორისაა. (თირმიზი, ბირრი, ვეს-სილა 7) ალლაჰის შუამავალი სტუმრებს საკუთარი ხელით უმასპინძლდებოდა და მათ კარებამდე მიაცილებდა ხოლმე. (იბნი მაჯე, ეტ'იმე, 55)

ვახში ბინ ჰარბის ბაბუა მოგვითხრობს: „თანამიმდევრებმა ალლაჰის შუამავალს შესჩივლეს: „ალლაჰის შუამავალო, ვჭამთ მაგრამ ვერ ვნაყრდებით". შუამავალმა (ს.ა.ს.) მათ ჰკითხა: „როგორც ჩანს თქვენ საჭმელს ცალ-ცალკე მიირთმევთ ხომ ასეა?" –მიუგეს: „დიახ, ცალ-ცალკე მივირთმევთ". მაშინ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „საჭმელი ერთად მიირთვით და დაწყების წინ „ბესმელე" წარმოთქვით. მაშინ დიადი გამჩენი ბარაქიანს გახდის და დანაყრდებით კიდეც". (ებუ დავუდი, ეტ'იმე 14) საჭმლის მირთმევას, რომელსაც ბესმელეთი დაიწყებთ, ერთად მიირთმევთ და

დიად გამჩენზე მადლიერებით დაასრულებთ მუცელიც გაგიძღებათ და გულების სინათლით გაივსება...

მუსლიმები, რომლებიც ერთად მიირთმევენ საჭმელს იგი ჰალილ იბრაჰიმის სუფრად გაიშლება. განა მორწმუნე, სულიერი ძმის მიმართ ხელგაშლილობას გამოიჩენს და დიადი გამჩენი მონა-მსახურთათვის ხელგაშლილი არ იქნება? იფთრის ბარაქიანი სუფრა, სადაც სტუმრებთან ერთად სხდებიან, მათ ანგელოზები ესალმებიან. ჩვენც ყოველივე ჩვეგანი დიადი მოწყალის სუფრაზე ცალკეული სტუმრები ვართ.

გ.. რამადანის ღამეები

ღამეები...როცა ზეციდან ზეშთაგონება მოწყალებად გარდმოევლინება... ზოგჯერ ცისკარი იმ ღამეების დასასრულია, როცა უბედურება და ტრაგედია წვიმად გარდმოდის. ღამეები, რომელიც სამოთხეში „რეიანის" კარებიდან ჩვენი შესვლის საბაბი გახდება... ღამე, როდესაც მუჰამმედ მუსტაფა (ს.ა.ს)-მა მექადან იერუსალმის გზაზე იარა, როგორც ცად ამაღლების, მი'რაჯის ღამეს... ან ბარათის ღამის მსგავსი, ან კიდევ ყადირის ღამე, რომელიც ათას თვეზე უფრო ხეირინია და უხვი მოწყალებით დახუნძლული უამრავი ღამე...

რამადნის თვის ღამეები ისეთივე ღვთისმსახურებით უნდა იყოს გაჯერებული, როგორიც შუამავალი მუსას მიერ ტურის მთაზე გატარებული ორმოცი ღამე... მადლმოსილებით აღსავსე ღამეებში დიადი გამჩენი უნდა იყოს ჩვენი მოსაუბრე. ჩვენ კი მასთან საუბრით დავტკბეთ. ამ საუბრის ერთად-ერთი გზა ყურანის კითხვაა, დიადი გამჩენის წინაშე ლოცვად დგომაა, სეჯდეს აღსრულება და ღამეების ლოცვაში გატარებაა.

ყურანში ვკითხულობთ აიათებს, სადაც ღამის ლოცვაზეა საუბარი. მათ შორის ერთ-ერთ აიათში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ლოცვა აღავლინე შუადღის დადგომიდან ღამის დაბინდებამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. და ილოცე დილის ლოცვა, უეჭველად, დილის ლოცვა მოწმეობაა! და ღამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული“! (ისრა, 78/79) მოცემული აიათები ღამის ლოცვების მნიშვნელობის შესახებ გვამცნობს, რომელიც ადამიანს ქებულ ადგილს (მაყამი მაჰმუდს) აღუთქვამს. ღამის ლოცვა ადამიანს, ბნელი ღამის სიჩუმეში დიადი გამჩენის შემწეობასა და მიმტევებლობის კარებისკენ მოუხმობს. ლოცვის დროს, როცა ადამიანი სეჯდეს აღასრულებს და უზენაესი ალლაჰის წინაშე ყველაზე ახლოს გრძნობს თავს. ასევე ღამის ლოცვას (თეჰეჯჯუდს) ადამიანი სულ სხვა სივრცეებში მიჰყავს, სულის სიმშვიდეს ჰპოვებს და გარშემო ღვთის წყალობით ივსება.

არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ალლაჰის შუამავლის სუნნეთის თანახმად, ვითრის ლოცვა (თეჰეჯჯუდის) ღამის ლოცვის დროსთან იყო გაიგივებული. იგი (ს.ა.ს.) ხშირად ღამის ლოცვას 11 მუხლად ასრულებდა, რომლის 8 მუხლი თეჰეჯჯუდის ლოცვას ეთმობოდა, ხოლო დანარჩენ სამ მუხლს ვითრის ლოცვას უთმობდა. თუკი მოხდებოდა ისე, რომ ღამის ლოცვა არ ექნებოდა შესრულებული, მაშინ დილის ლოცვასა და შუადღის ლოცვას შორის ორ-ორ მუხლად სულ 12 მუხლს ილოცავდა, ხოლო დარჩენილ ერთ მუხლს ღამის ლოცვას მიაკუთვნებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ებუ ჰანიფეს სწავლების თანახმად, ვითრის ლოცვა ვაჯიბია ანუ სავალდებულო და მისი გამოტოვების შემთხვევაშის სამ მუხლად ხდება მისი ანაზღაურება.

მორწმუნე, რომელიც დილის ლოცვის შესასრულებლად, დროის დადგომამდე ერთი საათით ადრე გაიღვიძებს, ჯერ „თეჰეჯჯუდს“ ილოცავს, შემდეგ კი დილის ლოცვას, მას ღამე ღვთისმსახურებაში გატარებულად ჩაეთვლება. იმისათვის, რომ ღამის ლოცვაზე უნდა ავდგეთ, არ იქნება სწორი თუკი ძილის წინა ლოცვას ღამისთვის გადავდებთ. მაგრამ, იმის გამო, რომ ვითრის ლოცვა ისედაც ღამის ლოცვის ნაწილად განიხილება, შესაძლებელია მისი ღამისთვის გადავადება და თეჰეჯჯუდის -რვა მუხლის –ლოცვის შემდეგ ლოცვა.

იმისათვის, რომ ღამის ლოცვაზე ადგომა შესაძლებელი იყოს, შუადღის ლოცვის შემდეგ მცირე ხნით დაძინება, (ყაილულე) შუამავლის ერთ-ერთი სუნნეთია-მოწონებული ქმედებაა, რაც ადამიანს ძალას მატებს ღამის ლოცვაზე ადგომა გაუადვილდეს. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „დღისით მარხვა საჰურით (მარხვის დროს ღამით ჭამის დრო), ხოლო ღამით ლოცვის შესაძლებლობა ყაილულეთი გააძლიერეთღ“. (იბნი მაჯე, სიამი, 22)

რამადნის ღამეები მაქსიმალურად უნდა დავუთმოთ ღამის ლოცვებს, ყურანის კითხვასა და შეძლების შემთხვევაში სხვადასხვა სურეების შესწავლას. ამასთან ერთად არც ვედრება უნდა უგულებლვყოთ და დიად გამჩენს ჩადენილი შეცოდებების მიტევება შევავედროთ. ძილისწინა ლოცვის შემდეგ ოჯახის წევრებთან ერთად რელიგიის შესახებ საუბარი და დილის ლოცვაზე ერთი საათით ადრე გაღვიძება ცხოვრების წესად უნდა დავინერგოთ. არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) განსაკუთრებით რამადნის თვის ბოლო ათ დღეს ღვთისმსახურებას უფრო მეტ დროს უთმობდა და ამისათვის ოჯახის წევრებსაც აღვიძებდა. (მუსლიმი, ი'თიქაფი, 7) ეშმაკის მიერ ჩვენს კისერზე დადებული გამონასკვი, როგორც ეს შუამავლის (ს.ა.ს.) ჰადისშია გადმოცემული, უზენაესი ალლაჰის ხსენებით, კბილების მისვაქით გაწმენდით, მცირე განბანვის შესრულებითა და ლოცვის აღსრულებით უნდა გავხსნათ. (ბუხარი, თეჰეჯჯუდი, 12)

1. თერავიჰი

რამადნის თვის დადგომა მეჩეთებს განსაკუთრებულ სიხარულს მატებს. მეჩეთების კედლებზე თუ მინარეთებზე რამადნის მთვარის დადგომის მისალოცი ბანერების გამოფენა კიდევ ალამაზებს მეჩეთებს. ჯერ კიდევ მანამ, სანამ იფთრის სუფრების გაშლას დაველოდებოდეთ, უფრო მეტად დიდი ენთუზიაზმით ველოდებით მეჩეთებიდან ეზნის ხმის ცად ამაღლებას. იქნებ ეზანი იმ დღის ბეჭედია, რომელიც მარხვაში გატარებულ დღეს დასტურად დაესმის.

ზოგჯერ მოწყენილია მეჩეთები და ისინი ჩვენს დარდებს იზიარებენ. მაშინ, როცა რომელიმე ჩვენს ახლობელს მეჩეთის ეზოში მიცვალებულს მიაბრძანებენ და განსასვენებელი ლოცვის აღსავლენად დაასვენებენ, მეჩეთები გვითანაგრძნობენ, გვანუგეშებენ და თითქოს ჩვენს დარდებს იზიარებენ.

რაოდენ რთულია წარმოიდგინო ქალაქი სადაც მეჩეთი არ არის. განა არსებობს სხვა რომელიმე არქიტექტურული შენობა-ნაგებობა, რომელიც მიუხედავად ჩვენი ესოდენ მიმოფანტულობისა, შეუძლია ერთად შეგვკრიბოს და გულში ჩაგვიკრას განურჩევლად მდიდარისა თუ ღარიბის. მეჩეთები ჩვენი სააღმზრდელო გარემოა, ჩვენ სიცოცხლეს, რწმენასა და უზენაეს გამჩენზე გვესაუბრება. ის, რომ მეჩეთები ასე ძალიან გვიყვარს, ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იმას, რომ ისინი უზენაესი ალლაჰის სახლად წოდებული ღვთისმსახურების კერაა. (72/18)

დიადი გამჩენი გვამცნობს, რომ „მხოლოდ ის ააგებს ალლაჰის სამლოცველოებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი, დღე უკანასკნელი და აღავლინა ლოცვა, გაიღო ზექათი და არ აქვს შიში, გარდა ალლაჰისა... (თევბე, 9/18) ე.ი მეჩეთის აგება და მის დაცვა რწმენის გამოვლინების ერთ-ერთი ნიშანია. მუსლიმებს არ შეშვენით მეჩეთების მოუვლელად და უზრუნველად მიტოვება, რამეთუ მეჩეთები რელიგიის ერთ-ერთი უცვლელი სიმბოლოა.

მეჩეთები რამადნის პერიოდში თერავიჰის დროს სულ სხვა სილამაზეს იძენს. ღამის ლოცვების ნაწილია თერავიჰი. სიტყვა თერავიჰი წარმოებულია „დასვენების“ მნიშვნელობის მქონე „თერვიჰა“-დან, რომელიც შემდგომში აღნიშნული ლოცვის სახელად იქცა. თერავიჰი რამადნის თვისთვის დამახასიათებელი სუნნეთია, რომლის ყოველ მეოთხე მუხლზე შევისვენებთ ხოლმე. ლოცვისას ფეხზე დგომის დროს წაკითხული აიათები, რუქუღისა და სეჯდეს დროს წარმოთქმული ღვთის სადიდებელი (თესბიჰათი) სიტყვები, და მირაჯიდან მიღებული საჩუქრის, „თაჰიიათის“ კითხვა, გულში არსებულ დარდებს გაფანტავს. სწორედ ამიტომ ეწოდა მას „თერავიჰი“ რაც საკმაოდ შეეფერება აღნიშნულ ლოცვას.

თერავიჰის ლოცვა, როგორც მამაკაცისთვის, ასევე ქალისთვის სუნნეთი მუექქედედ არის შეფასებული. თერავიჰი არათუ მარხვის, არამედ ის რამადნის თვის სუნნეთია. ამასთან ერთად უნდა ვიცოდეთ, რომ თეჰეჯჯუდის ლოცვამ თორმეტ მუხლს, ხოლო თერაჰვის ლოცვამ 20 მუხლს არ უნდა გადააჭარბოს. თერავიჰის ლოცვა ძილისწინა ლოცვის შემდეგ და ვითრის ლოცვამდე უნდა შესრულდეს. რაც შეეხება თერავიჰის ჯემა'ეთით ლოცვას, ისლამის დოგმატიკის მიხედვით, სუნნეთი ქიფაიეა. თერავიჰი ათი სელამითა და 5 „თერვიჰა"-თი სრულდება, გარდა ამისა ყოველ მეორე მუხლზე სელამის მიცემით ილოცება. გარდა ამისა, ყოველ მეოთხე მუხლზე მცირე შესვენება ამავე ლოცვის ნაწილია. ამრიგად თერავიჰის დასრულების შემდეგ, მხოლოდ რამადნის თვეში, ვითრის ლოცვა ჯემა'ეთთან ერთად სრულდება. სწავლულთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ თერავიჰის ლოცვა ოც მუხლად სრულდება. (დ.ი.ბ. ილმიჰალი, I, 312) ჩვენს ქვეყანაში თერავიჰის ოთხ-ოთხ მუხლად ილოცება.

თერავიჰის ლოცვის შესახებ, ალლაჰის შუამავალი შემდეგს გვამცნობს: „წარსული ცოდვები მიეტევება მას, ვინც რწმენითა და მადლის უზენაესი ალლაჰისგან მოლოდინით რამადნის ღამეებს ღვთისმსახურებაში გაატარებს. გარდა იმისა, რომ თერავიჰი ჩვეულებრივი ლოცვაა, იგი ალლაჰის შუამავლის ღამის ღვთისმსახურების გამოვლინება და მნიშვნელოვანი ნაწილია. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ თერავიჰის ლოცვის რვა მუხლი „თეჰეჯჯუდი" (ღამის ლოცვა), როგორც ალლაჰის შუამავლის სუნნეთი, ხოლო დანარჩენი თორმეტი მუხლის წყარო თანამიმდევრების ღვთისმსახურების პრაქტიკიდან მომდინარეობს.

მართლმოწმუნეთა დედა ძვირფასი აიშა მოგვითხრობს: „რამადნის ერთ მშვენიერ ღამეს ალლაჰის შუამავალი სახლიდან მეჩეთში მივიდა და ლოცულობდა. როდესაც ის ლოცვაზე იდგა, სხვებმაც მასთან ერთად ილოცეს. როდესაც ამ ადამიანებმა მეორე დღეს ისაუბრეს იმაზე, რომ ალლაჰის შუამავალი ღამით ლოცვაზე იყო და ჩვენც მასთან ერთად ვილოცეთო, მეორე ღამეს შუამავალთან ერთად ძალიან ბევრმა მორწმუნემ ილოცა. ხალხმა ამ საკითხთან

დაკავშირებით ალაპარაკდა, რამაც შემდეგ საღამოს მეჩეთში მორწმუნეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი მატება გამოიწვია. მეოთხე ღამეს კი ჯემა'ეთი იმდენად მეტი იყო, რომ მეჩეთმა აღარ დაიტია. თუმცა მართლმოწმუნეთა დედის –აიშეს გადმოცემის თანახმად ვიგებთ, რომ ალლაჰის შუამავალი იმ ღამეს მეჩეთში აღარ წასულა. ისეც მოხდა, რომ მეჩეთში მყოფთა ერთმა ნაწილმა შეეცადა ალლაჰის შუამავლამდე ხმა მიეწვდინეს, რომ ლოცვაზე მისულიყო. მაგრამ ალლაჰის შუამავალი მათთან აღარ მისულა. იგი მეჩეთში მხოლოდ დილის ლოცვაზე მივიდა, ლოცვის დასრულების შემდეგ კი მორწმუნეები ირგვლივ შეკრიბა, ქელიმეი შეჰადეთი გაიმეორა და ბრძანა: „არ იფიქროთ, რომ წუხანდელი თქვენი ქმედების შესახებ არაფერი გამიგია, მაგრამ თქვენთან არ მოვედი მხოლოდ იმისათვის, რომ შევშინდი ღამი ლოცვა თქვენთვის სავალდებულოდ დადგინდებოდა და თქვენ ამას ვერ შეძლებდით". (მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი, ყასრუჰა, 178)

ალლაჰის შუამავალი ისე გარდაიცვალა, რომ რამადნის ღვთისმსახურების (თერავიჰის ლოცვის) მიმართ დამოკიდებულება ისეთი ჰქონდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ხალიფა ებუ ბექირის მმართველობის პერიოდსა და ხალიფა ომერის მმართველობის დასაწყისში (თერავიჰის ლოცვა) ასეთივე ფორმაში გრძელდებოდა. (მუსლიმი, სალათულ- მუსაფირინი, ყასრუჰა, 174)

'აბდურრაჰმან ბინ 'აბდულყარი მოგვითხრობს: „რამადნის თვის ერთ მშვენიერ საღამოს ომერ ბინ ჰატტაბთან (რ.ა.) ერთად მეჩეთში მივედით. მორწმუნეები მეჩეთში მიმოფანტულები ლოცვას აღასრულებდნენ. ზოგი თავისთვის ცალკე ლოცულობდა, ზოგიც კი მლოცველების უკან მწკრივებად დგებოდნენ და ჯემა'ეთით ლოცულობდნენ. ომერმა თქვა: „ვფიქრობ უკეთესი იქნება თუკი მიმოფანტულად მლოცველებს ერთად შევკრებ და ერთი იმამის უკან ლოცვას ჯემა'ეთით შევასრულებთ". ამის შემდეგ კი აღნიშნულთან დაკავშირებით მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. მომდევნო დღეს კი (ჰიჯრის მიხედვით 14-ე წელს) მორწმუნეები შეკრიბა და უბეიი ბინ ქა'ბი წინამძღოლად დანიშნა. ამ რიგად პირველად დაიწყო თერავიჰის ჯემა'ეთით ლოცვა. 'აბდურრაჰმანი განაგრძნობს თხრობას: „ამის შემდეგ

მეორე საღამოს ისევ ომერთან ერთად მეჩეთში მივედი. ადამიანები იმამზე მიყოლით ლოცულობნენ. როდესაც ომერმა იქ არსებული სილამაზე დაინახა, სიხარული შემდეგი სიტყვებით გადმოსცა: „რა კარგი იქნა რომ თერავიჰის ლოცვა ასე, ჯემა'ეთით სრულდება". შემდეგ კი დასძინა: „მაგრამ ისინი ვინც აღნიშნულ ლოცვას ღამის მიწურულისვის გადადებენ, იმაზე უფრო უმჯობესი იქნება, ვიდრე ახლა მლოცველებისა". (ბუხარი, სელათუ-თერავიჰი, 1) ადამიანები თარავიჰის ლოცვის შემდეგ, აღარ ლოცულობდნენ თეჰეჯჯუდის ლოცვას, რომელიც ფარზი ლოცვების შემდეგ ყველაზე მადლიანი ლოცვაა. როგორც ვიცით, თეჰეჯჯუდის ლოცვა, ღამით დაძინების შემდეგ გაღვიძებას მოითხოვს. ისინი, რასაც ლოცულობდნენ, ეს იყო „ყიამულ-ლეილის" სახეობის ღამის ღვთისმსახურება.

თირმიზისეული გადმოცემის თანახმად, რამადნის ღვთისმსახურების შესახებ სწავლულებს თავისებური განსხვავებული შეხედულებები აქვთ. სწავლულთა ერთი ნაწილი თვლის, რომ იგი ვითრის ლოცვასთან ერთად ორმოცდაერთ მუხლად უნდა შესრულდეს. აღნიშნულ შეხედულებას იზიარებდნენ მედინელები და შესაბამისად ახორციელებდნენ პრაქტიკაშიც. სწავლულთა დიდი ნაწილი ხალიფა ომერის, ალისა (რ.ა.) სხვა სწავლულების გადმოცემებზე დაყრდნობით სწორად მიიჩნევენ იმ მოსაზრებას, რომ თერავიჰის ლოცვა ოცი მუხლისგან შესდგება. ამავე მოსაზრებას იზიარებენ სევრი, იბნი მუბარექი და შააფი'ი. ამასთან ერთად შააფი'ი დასძენს: „მე თვითონ ვარ მომსწრე იმისა, რომ ჩემს სამშობლოში –მექაში, თერავიჰი ოც მუხლად სრულდებოდა". (თირმიზი, სავმი, 81)

„ომერ ბინ ელ-ხატტაბმა, უბეიი ბინ ქა'ბს და თემიმ ედ დარის უბრძანა ხალხისთვის (რამადნის ღამეებში) თერთმეტი მუხლი ლოცვისთვის წინამძღოლობა გაეწია. იმამი ლოცვის დროს იმ სურეთანგან კითხულობდა, რომელთა აიათების რაოდენობა ასს აღემატებოდა. უფრო მეტიც ხანგრძლივად ფეხზე დგომას ვეღარ ვუძლებდით და ხშირად ხელჯოხებს ვეყრდნობოდით. ლოცვიდან მხოლოდ ცისკრის მოახლოების წინ ვბრუნდებოდით სახლებში". აღნიშნული გადმოცემა, რომელიც „ეს-საიბს" ეკუთვნის საუბარია იმაზე, რომ

ლოცვა, რომელიც ხალიფა ომერის მმართველობის დროს თერთმეტ მუხლად თეჰეჯჯუდის ლოცვის განზრახვით სრულდებოდა, თუმცა ეს იყო ლოცვა, რომელიც თეჰეჯ-ჯუდის ლოცვისგან განსხვავებულ ლოცვად არ განიხილებოდა. (მუვატტა, ეს-სალათი, ფი-რამადან, 2)

2. საჰური

ოჯახით, ბავშვებთან ერთად ღამის სიბნელეში საჰურისთვის გაღვიძება სულ სხვა ემოცია და სიხარულია. სულ სხვაა რამადნის ენთუზიაზმი როცა საჰურისთვის შეძლებისფარგლებში განსაკუთრებულად და სხვადასხვა კერძებით ემზადები. ამ დროს ღვთიური სიტყვები ტელეგადაცემების საშუალებით იქნება თუ ოჯახის წევრის მიერ წაკითხული, სულ სხვა ემოციებითა და გრძნობებით ჩაგვესმის ყურებში. შემდეგ მინარეთებიდან გაჟღერებული ეზნის ხმა გაისმის ირგვლივ, რაც მიანიშნებს იმას, რომ მარხვისთვის უკვე სრულ მზადყოფნაში ვართ. ეზნის დასრულებიდან მოკლე დროში ოჯახთან ერთად იქნება თუ მეჩეთში შესრულებული დილის ლოცვა, განსაკუთრებულ სულიერ სიმშვედეს ჩაგვინერგავს გულებში.

მარხვა ეს არის, იმსაქისა (ჭამის შეწყვეტის დრო) და იფთრის (ჭამის დაწყების) დროის ფარგლებში მოქცეული ერთ-ერთი აუცილებელი ღვთისმსახურება. საჰურისთვის მომზადებული კერძები კი ჭამის შეწყვეტის დროის მანიშნებელია. რაც შეეხება სიტყვა „იმსაქს“ იგი არაბული წარმოშობისა და ნიშნავს, რაიმის დაჭერას, საკუთარი თავის შეკავებას, დაბრკოლებას და სხვა. როდესაც საქმე მარხვას შეეხება და აღნიშნული სიტყვა მარხვის კონტექსტში გამოიყენება, მისი მნიშვნელობა ასე გამოიყურება: ამ შემთხვევაში სიტყვა „იმსაქი“ „პიროვნების მიერ ჭამა-სმისა და მეუღლესთან თანაცხოვრებისგან თავის შორს დაჭერის, შეკავების მნიშვნელობით გამოიყენება. სწორედაც „იმსაქი“ აღნიშნული შეზღუდვების დაწყების მომენტია. დროს, რომელიც მეორე გარიჟრაჟის მომენტია, „ფეჯრი სადიყსაც“ უწოდებენ. წლებია ყოველი რამადნის მთვარეში იმსა-

ქის კალენდრები გამოიცემა, რაც მუსლიმი მორწმუნეების მარხვისადმი სათუთი დამოკიდებულების კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა.

„იმსაქის“ მომენტიდან იწურება ძილისწინა (იათსი) ლოცვის დრო და იწყება დილის ლოცვის დრო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამით საჰურის დრო იწურება და იწყება მარხვის პერიოდი. საჭმელები და სასმელები, რომელიც ჩვეულებრივ დროს ადამიანისთვის ალალი და ნებადართულია, მორწმუნეს ამ განსაზღვრულ პერიოდში თავის შეკავების ვალდებულება ეკისრება, რაც იფთრის დრომდე მარხვისთვის განკუთვნილი აკრძალებისგან განრიდების კიდევ ერთი გამოვილებაა.

სიტყვა „იფთარი, არაბულ ენაში გამოიყენება, როგორც მარხვის გახსნა, უმარხულობა, მარხვის მოშლა და სხვა. აღნიშნული სიტყვა წინადადების ქონტექსტის მიხედვით მნიშვნელობას იძენს. „იფთრის დრო ნიშნავს მარხვის აკრძალვების დროის დასასრულს და იგი მზის ჩასვლის მომენტია. ამ დროსთან ერთად საღამოს ლოცვის დროც დგება. ისეთ რეგიონებში, სადაც პოლარული დღე-ღამეებია, მარხვის პერიოდი განისაზღვრება უახლოესი ჩვეულებრივი რეგიონის მიხედვით. ის, რომ იმსაქის საწყისი მეორე გარიჟრაჟიდან დგება, აღნიშნულთან დაკავშირებით ისლამის ფიქიჰის (სამართლებრივი დარგი) სწავლულთა შეხედულებები იდენტურია, თუმცა ზოგიერთი სწავლული იმსაქის მიმართ უფრო მეტი სიფრთხილის მოტივით პირველ გარიჟრაჟს ასახელებს, ხოლო ზოგნი მარხულთათვის სიოლის მიზნით ნათების კიდევ უფრო მეტად მოფენის დრომდე გახანგრძლივების ნებაზე საუბრობს. (დ.ი.ბ. ილმიჰალი I, 381)

ზოგიერთ გადმოცემებში, ალლაჰის შუამავლის მედინაში გადასვლის შემდეგ, განსაკუთრებით მედინელების შესახებ მარხვის ღვთისმსახურების სირთულეებზეა საუბარი. თუმცა მოკლე დროში მუსლიმებმა რამადნის თვის მნიშვნელობა კიდევ უფრო უკეთ შეიმეცნეს და აღნიშნული თვე ცოდვებისგან განწმენდისთვის საუკეთესო პერიოდად გაითავისეს.

ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს) თანმიმდევრები პირველ ხანებში იმსაქის ზუსტი დროის დადგენის მიმართ სრული ნდობით არ იყვნენ განწყობილი. მაგრამ ეს ნდობის სიმცირე გამოწვეული იყო ჯერ იქიდან, რომ თანამიმდევრები ახლად დადგენილ ღვთისმსახურებას არ იყვნენ სრულად შეჩვეულნი და მეორე იქედან, რომ ყურანში იმსაქის დროსთან დაკავშირებულ აიათში გადატანითი მნიშვნელობის მქონე განმარტება სრულად არ ჰქონდათ აღქმული. „...ჭამეთ და სვით, ვიდრე განთიადისას თეთრი ძაფი განირჩევოდეს შავი ძაფისგან“... (ბაყარა, 2/187) ზოგიერთი თანამიმდევარი თავდაპირველად ვერ იგებდა მოცემული აიათის არსს, რამაც ისინი მიიყვანა იმ მოზასრებამდე, რომ იმსაქის დროის განსაზღვრა ნამდვილად თეთრი ძაფისა და შავი ძაფის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი. მათ შორის იყვნენ თანამიმდევრები, რომლებმაც თეთრი და შავი ძაფი ფეხზე დიაბეს ან კიდევ ბალიშის ქვეშ დაიდეს“. (ბუხარი, თეფსირი, 28) მაგალითად, როდესაც ადიე ბინ ჰათემმა თეთრი და შავი ძაფი ბალიშის ქვეშ შემოდო და ასე ცდილობდა იმსაქის დროის დადგენას, თუმცა იმის გამო, რომ მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინვე ალლაჰის შუამავალთან მივიდა, რომელმაც მას ასე განუმარტა: „(აიათში მოცემული) შავი ძაფი და თეთრი ძაფი ღამის სიბნელისა და დღის სითეთრის ალუზიაა (გადაკვრითი, რიტორიკული ხერხი). (ბუხარი, სავმი, 16). ალლაჰის შუამავალმა ადიეს ნატიფი სიტყვებით ეხუმრა კიდეც. „შენი ბალიში რამდენად ფართე ყოფილა (დღე და ღამე რომ მის ქვეშ მოათავსე) (ებუ დავუდი, სიამი, 17) აღნიშნული მდგომარეობა მიუთითებს იმაზე, რომ ადიე ბინ ჰათემი თავდაპირველად რამდენად დიდ გაურკვევლობაში იმყოფებოდა.

ზოგიერთი თანამიმდევარი, მხოლოდ იმიტომ, რომ ღვთისმსახურება საეჭვო არ ყოფილიყო, საჰურს სწრაფად მიირთმევდნენ. ზოგიც კიდე პირიქით, საჰურს დროის საბოლოო ამოწურვამდე მიირთმევდა. (ნესაი, სიამი, 23) მათ შორის ყველაზე უფრო უცნაურნიც იყვნენ, რომელნიც მარხვას სრულებით არ შლიდნენ და მეორე დღის მარხვას აბამდნენ ხოლმე. (ბუხარი, სევმი, 50) ზოგისთვის კიდევ ეზანი იყო იმსაქისა და იფთრის დროის მაუწყებელი და ისინი ბილალის მიერ ეზნის წაკითხვის ხმა ელოდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც,

გამომდინარე იქედან, რომ ბილალი ღამითაც ეზანს კითხულობდა, ბევრისთვის ისევ პრობლემად დარჩა. ამისათვის ალლაჰის შუამავალმა თანამიმდევრებს ურჩია, რომ იმსაქის თაობაზე იბნი უმმი მექთუმეს შეხედულებისამებრ ემოქმედათ. (ნესაი, ეზანი, 9) აღნიშნული თანამიმდევარი ბრმა იყო და როცა ეტყოდნენ, რომ დილის დრო იყო, იმსაქის გასაცხადებლად ეზანს წაიკითხავდა.

„ბილალი ყოველ ღამით ეზანს იკითხვას, ამრიგად ვისაც ძინავს გაიღვიძებს, ხოლო ვინც ფხიზლად არის საჭირო მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებენ“. ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) ზემოთ მოცემული სიტყვები, ბილალის ღამით ეზნის გარკვეული მიზნით კითხვაზე მიანიშნებს. (ნესაი, სიამი, 30) ბილალის მიერ ეზნის კითხვის მიზანი, შესაძლოა მარხულთა საყურადღებოდ საჰურზე გაღვიძებას ემსახურებოდა.

ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) თანამიმდევრები საჰურს არასოდეს გამოტოვებდნენ. განა რატომ იტყოდნენ უარს, როცა შუამავალი მათ დაჟინებით ახალისებდა საჰურზე გაღვიძებას. ალლაჰის შუამავალი ბრძანებდა: „ჩვენსა და ღვთიურწიგნთბოძებულთა მარხვას შორის განსხვავება საჰურზე გაღვიძებაა“. (ნესაი, სიამი, 27) „გაიღვიძეთ საჰურზე, რამეთუ საჰურის კერძებში ბარაქაა“. (ბუხარი, სიამი, 20) როდესაც შუამავალმა ირბად ბინ სარიე საჰურზე მიიპატიჟა, უთხრა: „ბარაქიან საჭმელზე მეწვიე“. (ებუ დავუდი, სიამი, 16)

თანამიმდევარნი ფიქრობდა, რომ საჰურის ჭამა მათთვის ბარაქის მომტანი იქნებოდა და ეამ ბარაქის საბაბით კი ისინი გადარჩენას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას მოელოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნუმან ბინ ბეშირი, მეჩეთის მინბერიდან მუსლიმებს მოუწოდებდა: „თავის დროზე ჩვენ „საჰურს“ ფელაჰს ანუ გადარჩენის საჭმელს ვუწოდებდით.“ (ჰაქიმი, ელ მუსთედრექი, I, 607)

ღამის სასურველ დროს საჰურისთვის გაღვიძება შესაძლებელიყო, თუმცა უფრო უკეთესი იყო ცისკრის მოახლოების დროს საჰურზე გაღვიძება. სეჰლ ბინ სა’დი მოგვითხრობს: „საჰურს ოჯახთან ერთად მივირთმევდი, შემდეგ კი იმისათვის, რომ ალლაჰის შუამავალთან ერთად დილის ლოც-

ვას დავსწრებოდი სახლიდან სწრაფად გავდიოდი“. (ბუხარი, მევაყითუს-სელათი, 27) აღნიშნული გადმოცემიდან ირკვევა, რომ ალლაჰის შუამავალი თავისდროზე საჰურს დილის ლოცვასთან ახლო დროს მიირთმევდა. ამ მიმართულებით იმამი შააფი'ისა და აჰმედ ბინ ჰანბელის მსგავსი სწავლულები საჰურის დაგვიანების მოსაზრებას იზიარებდნენ. (თირმიზი, სავმი, 14) გამომდინარე აქედან, საჰურის მირთმევის დროის ბოლო მომენტამდე გამოყენება, შეამცირებს დროს როგორც მახრვის ხანგრძლივობის, ასევე დილის ლოცვის დროს ფხიზლად შევხვდებით.

დ.. სამთვეული და დროის სარტყელში მოქცეული მადლმოსილი პერიოდები

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) რეჯებისა და შა'ბანის თვეებს, რამადნის წინა მოსამზადებელ თვეებად განიხილავს და მას თერთმეტი თვის გვირგვინად მოიხსენიებს. ამ პერიოდში მოქცეულ ზოგიერთ ღამეს, რომელიც აღნიშნულ თვეებშია მოქცეული, განსაკუთრებული ღვთისმსახურებით ატარებდა. იგი (ს.ა.ს.) ამბობდა: მათ უნდათ ადამიანები ნაბიჯ-ნაბიჯ რამადნის თვისთვის შესახვედრად მოამზადონ. გამომდინარე იქედან, რომ ვედრება თავისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, ამ დროსაც დიად გამჩენს ასე ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! მადლმოსილ ჰყავი ჩვენთვის რეჯებისა და შაბანის თვეები და მოგვასწარი რამადანს“. (იბნი ჰანბელი, I, 259)

როდესაც დადგებოდა რეჯების მთვარე, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ზოგჯერ იმდენად ხშირად მარხულობდა, რომ კაცი იფიქრებდა, ეტყობა მარხვა აღარ უნდა შეწყვიტოსო! თუმცა ზოგჯერ იმდენ დღეს გამოტოვებდა, რომ იტყოდი, მარხვას აღარ დაიცავსო. (მუსლიმი, სიამი, 179)

მას შემდეგ რაც შა'ბანის მთვარე დადგებოდა, ამ თვის დიდ ნაწილს მარხვაში ატარებდა. (ბუხარი, სავმი, 52) და როცა მას ესოდენ ხშირად მარხვის მიზეზს ეკითხებოდნენ, პასუხობდა: „ეს თვე რეჯებსა და რამადანს შორის არის მოქცეული და ადამიანებმა მისი მადლმოსილების შესახებ უწყიან. ამ

თვეში ქმედებები სამყაროთა გამჩენს უზენაეს ალლაჰს წარედგინება. მე კი მომწონს, როდესაც ჩემი ქმდებები უზენაეს ალლაჰს მაშინ წარედგინება, როცა მარხული ვიქნები". (ნესაი, სიამი, 70) ამრიგად, როდესაც ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) ჰკითხეს თუ რომელი მარხვა იყო უფრო მადლიანი რამადნის მარხვის შემდეგ მიუგო: „შა'ბანის თვეში მარხვა, რომელიც რამადნისადმი პატივისცემისა და დიდებისთვის იქნება". (თირმიზი, ზექათი, 28)

არსებობს მადლმოსილი პერიოდები, რომლებიც სამთვეულის დროის სარტყელშია მოქცეულია. რეჯებისა და შა'ბანის თვეები, თერთმეტი თვის გვირგვინად წოდებული რამადნის თვის სამზადისისთვის სულიერებით აღსავსე ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია. ეს პერიოდი ადამიანებს რამადნის სულიერი კლიმატისთვის ამზადებს. მაშინ, როდესაც რეჯების თვე რეგაიბისა და მი'რაჯის მადლმოსილი ღამეებით გვამკობს, შა'ბანის თვე ბარათის ძვირფასი ღამით გვასაჩუქრებს.

რეგაიბი ეს არის ღამე, როდესაც ყოველგვარი სურვილი, ნატვრა და სიხარული უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებისკენ არის მიდრეკილი... „ვე ილაა რაბბიქე ფერღებ" (და შენი ღმერთისკენ გაესწრაფე) (სურა ინშირაჰი, 94/8) ბრძანებს უზენაესი ალლაჰი და მონა-მსახურების მოუწოდებს შუამავლის (ს.ა.ს.) გზით მოიპოვონ კმაყოფილება. სურა ინშირაჰის პირველ აიათში, სადაც ზემოთ მოცემული აიათი გვხვდება, დიადი გამჩენი შუამავალთან (ს.ა.ს.) დაკავშირებით ერთ-ერთი სასწაულის შესახებ გვამცნობს. (ო, მუჰამმედ) განა არ გაგვიხსნია და არ გაგვიფართოებია შენთვის მკერდი შენი? აღნიშნულიდან გამომდინარე დიადი გამჩენის ნებაა შუამავლის მეშვეობით მონა-მსახურთა გულების ფუჭ და უსარგებლო რამეებისგან განრიდებასთან ერთად, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებისა და სიყვარულის დამსახურება. ყურანის ზოგიერთ განმმარტებელთა აზრით, აიათში ხსენებული მოვლენა, სადაც ალლაჰის შუამავლის მკერდის გახსნა-გაფართოებაზეა საუბრი, ცად ამაღლების (მი'რაჯის) ღამეს განვითარდა. (იხ. მუსლიმი, იმანი, 264; იბნი ქესირი, თეფსირი, IV, 524)

ისრა, რომელიც შუამავლის ცად ამაღლების ღამეს ეწოდება, კიდევ ერთ-ერთი მადლმოსილი ღამეა. ისრას ღა-

მეს, ალლაჰის შუამავალი ერთ მშვენიერ ღამეს მექადან იერუსალმიში იქნა გადაყვანილი. (სურა ისრა, 17/1) ჩვენამდე მოღწეული ისტორიის თანახმად ისრას ანუ მექადან მედინაში გადასვლის შემდეგ მი'რაჯი ანუ ცად ამაღლება იწყება. მი'რაჯი, ეს ხომ სიდრეთულ მუნთეჰასკენ მიმავალი ღვთიური მოგზაურობა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ სურა „ინშირაჰში" გამოხატული შინაარსის ერთობლიობა მი'რაჯსა და რეგაიბს შორის მჭიდრო კავშირის არსებობაზე მეტყველებს.

ალლაჰზე მორჩილების, მისი სიყვარულისა და სილამაზის ნატვრა, რაც რეგაიბის ბუნებრივი მხარეა, მიმართულია იქეთკენ, რომ მონა-მსახურმა, როგორც იდეალურმა მორწმუნემ, შეძლოს დიად გამჩენის წინაშე ამაღლება და მიაღწიოს განწმენდას ისეთი გრძნობებისგან, რაც ღირებულება გაუფასურებული და ეგოისტურია. მოკლედ, რომ ვთქვათ, ვისი სურვილიცაა მიაღწიოს დიადი გამჩენის სიყვარულს, მისი ამაღლების სურვილიც მი'რაჯი იქნება. რეგაიბი უზენაესი ალლაჰისადმი დამოკიდებულების კიდევ უფრო განახლების, ურთიერთსიყვარულის განმტკიცებისა და კაცობრიობის ცხოვრებაში დადებითი მუხტის შეტანის კიდევ ერთი საშუალებაა. რეგაიბი გულების ზეცამდე ამაღლების, დამძიმებული ტვირთის შემსუბუქების, სიძულვილის და ბოროტი ზრახვების მოშორების საუკეთესო გამოვლინებაა.

მი'რაჯი ღვთის გზაზე იმ უნიკალურ იდაელებს წარმოადგენს, რომელიც გულს სულიერი სილამაზით შემოსავს, ალლაჰის სიყვარულსა და მუჰამმედ (ს.ა.ს.)-სადმი განცდილ მონატრებას კიდევ უფრო სიღრმისეულს გახდის. მი'რაჯი ზუსტად ისეთივეა, როგორც ალლაჰის შუამავლის ქა'ბადან, აყსას მეჩეთისკენ, ხოლო იქედან ცად ამაღლების განცდა.

მი'რაჯი, რთული გზის ნათელი დასასრულია. ფერიდუდდინ ათთარი, მირაჯს ალლაჰის მოსიყვარულე მონა-მსახურების ჩიტების მზისკენ გაფრენას ადარებს. რა თქმა უნდა ალლაჰის შუამავალი უწყოდა, რომ სუფთა, ყოველგვარი ლაქისა და ნაკლოვნებისგან განწმენდილი მორწმუნის ღვთისმსახურება ღვთიური ნათების მსგავსად გამოვლინდებოდა. და ბარათი,

შა'ბანის თვის მეთხუთმეტე ღამე... „დიადი ალლაჰი თავისი შემწყნარებლობით შა'ბანის მეთხუთმეტე ანუ ბარათის ღამეს ბევრ ცოდვილ მორწმუნეს ცოდვებს მიუტევებს." (თირმიზი, სავმი 39; იბნი მაჯე, იყამე, 191). ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „და როცა შა'ბანის მთვარის მეთხუთმეტე ღამე დადგება, ღამე - ღვთისმსახურებაში, ხოლო დღე მარხვაში გაატარეთ, რადგან ამ ღამესთან დაკავშირებით უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „არავინ არის მიტევებისა და პატიების მთხოვნელი – ვაპატიო და მივუტევო ცოდვები? არავინ არის სარჩოს მთხოვნელი – სარჩო ვუწყალობო? არავინ არის ჯანმრთელობის მთხოვნელი – ჯანმრთელობა ვუბოძო? არავინ არის დადარდიანებული – დარდისგან გავანთავისუფლო? და ა. შ." (იბნი მაჯე, იყამეთუს-სალავათი, 191.)

ზოგიერთი სწავლული აღნიშნავს, რომ სურა დუჰანის 3 აიათში, სადაც ყურანის მადლმოსილ ღამეს გარდამოვლენასთან დაკავშირებით გვამცნობს, ბარათის ღამეა ნაგულისხმები. (დ.ი.ა. V, 475) თუმცა სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სურა დუჰანის 3-ე აიათში ყადირის ღამეა ნაგულისხმები. ვინაიდან სხვა აიათებში ყურანის გარდმოვლენის შესახებ რამადანის თვეში, ყადირის ღამეზეა საუბარი. (ბაყარა, 2/185) კი მაგრამ რამ განაპირობა, ყადირის ღამის მადლმოსილ ღამედ გაცხადება. მაშ რა გახდა მიზეზი იმისა, რომ უზენაესი ალლაჰი ყადირის ღამეს ათას თვეზე უფრო ხეირიან ღამედ ახასიათებს. ამ კითვების პასუხი სურა ყადირის შინაარშია მოცემული. აღნიშნული სურას პირველივე აიათში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი (ყურანი) ყადირის ღამეს! (სურა ყადირი, 97/1) მაშ ასე, ის რაც ყადირის ღამეს გამორჩეულს ხდის, ამ ღამეს ყურანის გარდმოვლენაა. ამ ღამეს უზენაესმა ალლაჰმა კაცობრიობას წყალობის სახით ყურანი გარდამოავლინა, რამაც უმეცრების სიბნელე ნათელით შეცვალა. უდაბნოს ბნელი, ნათელით გააბრწყინა.

ე.. ყადირის ღამე

ყადირის ღამე! ათას თვეზე უფრო უკეთესი!

ღამე, როდესაც ღმერთის ნებით ყოველი ბრძანების შესას-

რულებლად გარდმოვიდა სული (ჯებრაილი) და ანგელოზები!

ღამე, რომელიც ცისკრის ამოსვლამდე, მშვიდობითა და ბედნიერებით იყო აღსავსე!

ღამე, რომელიც ღირსებას, ძალასა და სიდიადეს ყოველთვის იმსახურებს!

ღამე, რომელიც ჯებრაილმა ბნელით მოცული გამოქვაბული ღვთიური სინათლით გაანათა.

ღამე, როდესაც ჯერბაილმა ღვთიური ბრძანება „იკითხე“ მუჰამმედს (ს.ა.ს.) აუწყა.

და ისევ ღამე, როცა მუჰამმედ მუსტაფამ (ს.ა.ს.) წარმოთქვა სიტყვები: „მე კითხვა არ ვიცი“.

ღამე, როცა ყველაფერი თავიდან დაიწყო!

კაცობრიობისათვის გარდატეხის ღამე!

იმ ღამეს ჰირას მთა, სადაც პირველი ზეშთაგონება მოევლინა, არაფატის მთას დამსგავსებოდა. კაცობრიობას თითქოს ადამისა და ევას მიერ აკრძალული ხილის მირთმევის შემდეგ, სასოწარკვეთილების უკანასკნელ მომენტში წილად ერგო ღვთიური მიტევება.

იმ ღამეს ჰირა ჯუდის მთას დამსგავსებოდა, სადაც აზვირთებულ ტალღებისგან გაქცეულმა შუამავალი ნუჰის ხალხმა სიმშვიდე იპოვა.

იმ ღამეს ჰირას მთა, ჭეშმარიტებითა და მოწყალებით აღსავსე ხაზინად გაიშალა ბოლო შუამავლისთვის, ისე როგორც თავის დროზე საპყრობილე გამოვლილი იუსუფ შუამავლისთვის ეგვიპტის სასახლეების ხაზინა.

ხურმის ხის მსგავსი იყო ჰირა, როცა ძვირფასმა მარიამმა მუცლის ტკივილის დროს შეაფარა თავი.

იაქტინის ხის მსგავსი იყო ჰირა, როგორც ნინოვადან წასულმა შუამავალმა იუნუსმა დელფინის მუცლით ოკეანეები გადალახა.

როდესაც შუამავალმა მუსამ უდაბნოს ცივ ღამეში ტუვას ხეობაში თქვა: „ცეცხლი დავინახე“. ჰირა იმ ხეობას ჰგავდა, რომელიც, როცა მუსა (ა.ს.) დიად გამჩენთან საუბრის საიდუმლოს ეზიარა.

მაშინ, ჰირას გამოქვაბულის კედლებიდან მოწყალების სიო იფრქვეოდა.

შუამავლის გულმა კაცობრიობისადმი განცდილი წუხილის განსაკურნად ზეციდან მიიღო პასუხი. უზენაესი ალლაჰის, მოწყალისა და მწყალობლის დახმარება ერგო წილად. სიმშვიდისა და ბედნიერების ღამე ყოველ წელიწადს წყალობით აღსავე აღწევს ჩვენამდე.

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ყადირის ღამის შესახებ გვირჩევდა, რომ იგი უფრო მეტად რამადნის თვის ბოლო ათი ან შვიდი ღამის კენტ რიცხვებში ვეძიოთ. (ბუხარი, ფაზლულ-ლეილეთულ ყადრი, 2-3) გარდა ამისა გვამცნობს, რომ სავარაუდოდ ეს დროს რამადნის თვის 27-ე ღამე იყო. დიახ, ეს ყადირის ღამეა! „კეთილი იყოს შენი მობრძანება!

ეს არის ღამე, რომლისადმი იმდენად ემოციურად ვეწყობით, თითქოს ზეშთაგონების გარდმოვლენას გულის სიღრმეში ვგრძნობდეთ.

ო, ყადირის ღამევ! შენ მორწმუნეებისთვის ისე ხარ დაფარული, როგორც ჯუმა დღის ის საათი, როდესაც მორწმუნის ვედრება არ რჩება უპასუხო, ისე როგორც მოულოდნელი და დაფარულია სიკვდილის ჟამი ადამიანის თავს, როგორც სამყაროს აღსასრულის დროა კართან მომდგარი, თუმცა დაფარულია თვით შუამავალთა ჯაჭვის ბოლო რგოლისთვისაც კი. დიახ, შენ ასეც შეგშვენის, რამეთუ შენ საგულდაგულოდ დაფარული მარგალიტსავით ძვირფასი ხარ.

ყადირის ღამის ნაწილობრივ დაფარულობაში რა თქმა უნდა არსებობს უამრავი სიბრძნე. მთავარი სიბრძნე იმაშია, რომ მორწმუნეებმა მთელი რამადნის თვე ისე გაატარონ, რომ თითქოს ყოველი ღამე ყადირის ღამე იყო. ამრიგად, მორწმუნეები, რომლებიც მთელი თვის ბარაქიანობითა

და მადლმოსილებით ისარგებლებენ. ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: „წარსული ცოდვები მიეტევება, მას ვინც რწმენითა და ჯილდოს მხოლოდ უზენაესი ალლაჰისგან მოლოდინით ყადირის ღამეს ღვთისმსახურებაში გაატარებს. (მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი, 175) მორწმუნეები ასეთი განწყობით, განსაკუთრებით რამადნის მთვარეში, ყოველ ღამეს ყადირის ღამედ მიიჩნევენ, ხოლო კარებთან მოსულ ყოველ სტურმარს „ხიზირად“. სავარაუდოა, რომ ყადირის ღამე რამადნის თვის 27-ე ღამეა, თუმცა მორწმუნეები ამ მადლმოსილი თვის ყოველ ღამეს ღვთისმსახურებასა და მორჩილებაში ატარებენ.

მორწმუნეები არასოდეს ივიწყებენ იმ ღრმაშინაარსიან ვედრებას, რომლის აღვლენაც ალლაჰის შუამავალმა მართლმორწმუნეთა დედას –ძვირფას აიშეს ურჩია. „ღმერთო ჩემო! შენ მპატიებელი ხარ, მოწყალე ხარ შენ, გიყვარს მიტევება, გთხოვ მომიტევო მეც“. (თირმიზი, დაავათი, 84) მორწმუნეები, რომლებიც ითვალისწინებენ ალლაჰის შუამავლის რჩევას, გულში გავრცობილი ღვთისმოშიშობითა და შუამავლის სიყვარულით ყადირის ღამეს ყურანის კუთხვაში, ლოცვასა დიად გამჩენზე ვედრებაში გაატარებენ. დიახ, ეს არის ღამე, როცა ადამიანი განსაკუთრებულ სინანულს განიცდის წარსული ცოდვების გამო და დიადი გამჩენის მიტევებას უფრო იმედიანად ელის. სწორედ ამიტომ, გულწრფელი მონანიებით ჩადენილი ცოდვების გამო პატიება უნდა ვთხოვოთ და უარი ვთქვათ ყოველგვარ ბოროტებაზე.

მორწმუნეები ამ ღამეს კიდევ უფრო გულიანად დაფიქრდებიან იმაზე, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ლოცვა, მარხვა, ზექათის გაცემას თუ ჰაჯის მომლოცველობა რაოდენ დიდი სიბრძნითაა მოცული. თუმცა მათ კარგად უწყიან, რომ აღნიშნულ მოგზაურობაში უნდა განერიდონ ადამიანის გულის ტკენასა და წყენინებას, გაჩენილები გამჩენის სიყვარულით უნდა უყვარდეთ, ყველა გაჩენილის მიმართ გულისხმიერება და ალტურიზმი გამოიჩინონ. ამასვე ახლავს თავმდაბლობა და შემწყნარებლობა... ამ ღამეს კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან ადამიანთა მიმართ შემწყნარებლობის საჭიროებაზე და გულის სიღრმეში იგრძნობენ, რომ ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობა

აკისრიათ. იმისათვის, რომ ადამიანებმა ამ ღამის ბარაქიანობისგან ხვედრითი წილი მიიღონ, მთელ დროს სრული შესაძლებლობით ღვთისმსახურებას დაუთმობენ. ალლაჰის შუამავლის სიტყვების თანახმად, ყადირის ღამის რამადნის ბოლო ათ დღეში ძიებასთან დაკავშირებით, მორწმუნეები რამადნის ბოლო ათ ღამეს ოჯახის წევრებს გააღვიძებენ და უფრო მეტი ღვთისმსახურების აღსავლენად ღამის ერთ ნაწილს ხალისიანად ილოცებენ. (მუსლიმი, იღთიქაფი, 7)

თუკი ჩვენს გულებს სიკეთითა და სილამაზით გავუხსნით, მაშინ უზენაესი ალლაჰი ჩვენ ფართოდ გაგვიხნის ზეცის კარებს. ამრიგად შევავედრებთ, რომ მოწყალების კარები ყველა მორწმუნისთვის გაიხსნას. სრულიად ისლამური თუ მთელი სამყაროს მიმართ შევავედროთ, რომ მოწყალების კარები ფართოდ იქნას გახსნილი. სამყაროთა გამჩენს ყოველგვარი მჩაგვრელობისა და სირთულეების განრიდება შევავედროთ.

აღნიშნულ ვედრებას სურა ინშირაჰის შინაარსით განვაგრძობ:

„ღმერთო ჩემო! ისე როგორც ჩაურაზე შუამავლის (ს.ა.ს.) გული ბოროტებას და გაუხსენი სიკეთეს, ჩვენს გულებსაც გაუხსენი სიკეთისა და წყალობის კარი.

ნუ შეაღწევს ჩვენს გულში სიძულვილი, შური და გაუტანლობა. გულები სიყვარულით, მეგობრობითა და ძმობით აღივსოს.

ღმერთო ჩემო! როგორც გაათავისუფლე ალლაჰის შუამავლი იმ მძიმე ტვირთისგან, რომელსაც იგი წელში მოეხარა, ჩვენც აგვარიდე მძიმე ტვირთი და წელში გავიშალოთ.

ღმერთო ჩემო! შენ ხომ აღამაღლე შუამავლის ღირსება და დიდება. გთხოვ გვაქციე ჩვენც პატივდებულ და ღირსეულ მორწმუნეებად, რომელთა ბაგეებიდან მხოლოდ შემდეგი სიტყვები გადმოდის: „ლაა ილააჰე ილლელლაჰ მუჰამმედუნ რასულულლაჰ“.

შენ ხომ ყოველი სირთულის შემდეგ სიოლეს, და ყოველი სირთულის შემდეგ ისევ სიოლეს გვიწყალობებ და გვამცნობ, რომ შენი მოწყალება შენს რისხვაზე უფრო დიდია.

ზ.. ითიქაფის არსი

ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) სურვილია ისე განვთავისუფლდეთ ხორციელი ვნებების ბრძანებებისგან, როგორც მისთვის ჰირაზე სულიერი ატმოსფეროს პირობებში დაიწყო ყველაფერი. ამ თვალსაზრისით იგი (ს.ა.ს.) მოგვიწოდებს, ყადირის ღამე ისე გავატაროთ, როგორც ამას თვით ეს მადლმოსილებით აღსავსე ღამე იმსახურებს და ხორციელი ვნებების განწმენდის მიზნით ითიქაფში განმარტოებას გვირჩევს.

ითიქაფი მეჩეთში სრულდება. ამ დროის განმავლობაში, გარდა იძულებითი აუცილებელობისა, არ არსებობს ნება იმ ადგილის მიტოვებისა, სადაც ი'თიქაფი სრულდება. პიროვნება, რომელიც სულიერი განწმენდის მიზნით ი'თიქაფის შესრულებას გადაწყვეტს, საჭიროა იგი ფიზიკურადაც სუფთა იყოს. გამომდინარე აქედან, ითიქაფის ერთ-ერთ დაბრკოლებად დედათა წესი და მეუღლესთან თანაცხოვების შემდეგი მდგომარეობა ითვლება. აღნიშნული ღვთისმსახურება ისლამის მიხედვით „სუნნეთი ქიფაიედ" განიხილება. სამწუხაროა, მაგრამ შესაძლოა ცხოვრების სწრაფი ტემპით დინებამ, ან კიდევ ადამიანში დაბუდებულმა სიზარმაცემ გამოიწვია, რომ დღეს დღეობით „ი'თიქაფის" სუნნეთი თითქმის მივიწყების პირასაა. სინამდვილეში ეს ღვთისმსახურება ერთ-ერთი სარეაბილიტაციო მეთოდიცაა, რომელიც ძალზედ მნიშნელოვანია მორწმუნის ცხოვრების ახლებურად დაწყების, სულიერად ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით.

ითიქაფი, რომელიც შუამავალი იბრაჰიმის დროიდან ცნობილი ღვთისმსახურების ერთ-ერთი ფორმაა, იგი შესაძლებელია შესრულდეს რამადნის თვის გარდა სხვა დროებშიც, თუნდაც ეს სხვა რომელიმე დღის გარკვეული მონაკვეთში. უფრო მეტიც, შააფი'ის მიმდინარეობის სწავლულები მიიჩნევენ, რომ ი'თიქაფში დარჩენად ითვლება, იმაზე უფრო მეტი დროით განმარტოება, ვიდრე „სუბჰანელლაჰის" წარმოთქმა სჭირდება. მაშ ასე, კარგი იქნება თუკი ამქვეყნიური დაძაბული ცხოვრებიდან, თუნდაც მცირე ხნით საკუთარ თავთან განვმარტოვდებით და დროს „ითიქაფის" ღვთისმსახურებას დავუთმობთ.

თ.. სიმშვიდის შეუდარებელი განცდაა: მოწყალება

მოწყალება ეს არის წრფელი გულით გაღებული მატერიალური თანადგომის გამოვლინება. ღარიბთა სახეზე ღიმილის ხილვა, მათთვის თბილი კერძის მირთმევაა მოწყალება. საფუძვლიანად, რომ განვამრტოთ, მოწყალება ეს არ არის იმ ფულისა და ქონების ღარიბებზე გაზიარება, რომელსაც ადამიანი ფლობს, არამედ ეს არის ადამიანის, როგორც უზენაესი ალლაჰის კუთვნილი სიმდიდრის დროებითი მფლობელის მიერ, მადლის მოგების იმედით ღარიბებამდე მიტანა. მორწმუნეები უზენაესი ალლაჰის ბრძანების შესაბამისად მოქმდებენ: „და მათ ქონებაში წილია, მთხოვნელთათვის და ღატაკთათვის“. (სურა ზარიათი, 51/19)

ღარიბ-ღატაკნი დაიკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებებს მას შემდეგ, რაც შეძლებული ადამიანები მათ დახმარებას აღმოუჩენენ. მოწყალების გამცემმა კი მის მიერ გაწეული დახმარებით შესაძლოა სამოთხეში კოშკი შეიძინოს, ან კიდევ მოსალოდნელი უბედურება აიცილოს თავიდან. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) გვამცნობს: „ლოცვა, მარხვა, მოწყალების გაცემა, სიკეთის ბრძანება და ბოროტების აღკვეთა, იმ გამოცდის გამოსასყიდია, რომელიც ადამიანს ოჯახის, ქონების, შვილების და მეზობლის წინაშე მართებს“. (ბუხარი, მევაყითუს-სალათი, 4)

მოწყალების გაცემა მაშინ არის კარგი და ღირებული, როცა იგი უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გაიცემა. ადამიანს არ მოუტანს სიკეთეს იმ მიზნით გაცემული მოწყალება, რომელიც თვალთმაქცობასა და ამქვეყნიურ სარგებელს ისახავს მიზნად. მაშინ როცა, ტკბილი სიტყვა და გაღიმებაც კი მოწყალებად ითვლება, დამადლებული მოწყალება მხოლოდ ნეგატიურ შედეგს მოუტანს მის გამცემს. (მუსლიმი, ზექათი, 68) ყურანში ღარიბებისთვის დაყვედრებით, დამცირებითა და თვალთმაქცობით გაცემული მოწყალების ღვთის წინაშე მოუღებლობის შესახებ მკაცრი გაფრთხილება შემდეგი მაგალითითაა განმარტებული:

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმანთ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას, და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მდგომარეობა მისი იმ კლდეს ჰგავს, რომლის ზემოდან მიწაა, ღვართქაფი დაეცა მას და დარჩა სალი ქვა. ეგენი ვერაფერს განაგებენ რაც შეიძინეს, იქიდან. რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს ურწმუნოებს ჭეშმარიტ გზას.

მუსლიმები ღირსება მოყვარულნი არიან. მოწყალების გამცემნი სულიერ ძმებს ისე დაეხმარებიან, რომ მათ გულს არ ატკენენ. ხოლო რაც შეეხება მათ, ვინც იღებენ მოწყალებას, რიდი აქვთ ამის და ყველაფერ იღონებენ იმისათვის, რომ არსებული ვითარება რაც შეიძლება მოკლე დროში შეცვალონ დადებითად. ალლაჰის შუამავალი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს და ბრძანებს: უქონელი ის არ არის, ვისაც ერთ-ორ გროშ მისცემენ და თავიდან მოიშორებენ. უქონელია ის მიუხედავად იმისა, რომ რცხვენია და ერიდება თხოვნა, ან კიდევ ის არის უქონელი, ვინც ადამიანებისგან ისე ითხოვს, რომ ხელს არ იწვდენს მათკენ“. (ბუხარი, ზექათი, 53)

რამადნის თვე, ეს არის დრო, როცა თანადგომა და საზოგადოებრივი ერთიანობა უმაღლეს დონეს აღწევს. ალლაჰის შუამავალი სხვა თვეებისგან განსხვავებით რამადნის თვეში განსაკუთრებულად ხელგაშლილი იყო. შუამავალი, რომელიც გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს აუცილებელი საჭირეობების უზურველყოფაში ეხმარებოდა, დანერგა მყარი მეთოდი, რითაც ღარიბი ფენა დამცირებისა და ღირსების შელახვისგან დაიცვა. ერთხელაც ალლაჰის შუამავლის კართან სათხოვნელად მოსული პიროვნების ხელთ არსებული ქონება, რომელიც მხოლოდ ერთი ჭიქისა და ტომარიგან შესდგებოდა, აუქციონის წესით გააყიდინა, შემდეგ ამ ფულით კი ცულის პირი აყიდინა. ალლაჰის შუამავალმა ცულს საკუთარი ხელით გაუკეთა ტარი, ღარიბს მისცა და უთხრა: „წადი ახლა, შეაგროვე შეშა და გაყიდე. თხუთმეტი დღე თვალით არ დამენახო“. კაცმა, რომელმაც თხუთმეტი დღის შემდეგ თერთმეტი დირჰემი შეაგროვა და მასთან მივიდა, შუამავალმა უთხრა: „ნახე, განა ეს არ ღირდა შენთვის

იმას, რომ განკითხვის დღეს დიადი გამჩენის წინაშე სახეზე მათხოვრის ლაქით არ წარსდგები? მათხოვრის ხელის გაწვდენა მხოლოდ სამი კატეგორიის ადამიანისთვის იქნება ნებადართული: „უქონელისთვის, ვისაც თავშესაფარი საცხოვრებელი არ გააჩნია, ვალებში ჩაძირულისვისა და მათთვის ვინც სისხლის საფასურის ვალშია ჩავარდნილი“. (ებუ დავუდი, ზექათი, 26)

ალლაჰის შუამავლის ბრძანებს, რომ „გამცემი ხელი, ამღებ ხელზე უპირატესია“. ადამიანები ვალდებული არიან ხელთ არსებული ქონება მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის გაიღონ, ვისი მფარველობის ვალდებულება აკისრიათ. შუამავალი (ს.ა.ს) ბრძანებს: ყველაზე საუკეთესო მოწყალება ის არის, რომელსაც მაძღარი და წელში გამართული ადამიანი ყოველგვარი სანაცვლოს მოლოდინის გარეშე გასცემს. უზენაესი ალლაჰი ღირსეულსა და პატივდებულს ქმნის მათ, ვინც მათხოვრობასა და ბოროტ ქმედებებს განერიდებიან. დიადი გამჩენი საკმარის ქონებას უბოძებს მას, ვინც სხვებზე დამოუკიდებლად საკუთარი შესაძლებლობებით ისურვებს ცხოვრებას“. (ბუხარი, ზექათი, 18)

ღარიბმა ადამიანმა უნდა იზრუნოს, რაც შეიძლება მოკლე ხანში დააღწიოს სიღარიბეს თავი. მათხოვრობა შავი და არასასურველი ლაქაა. ნახეთ რა წერია ჰადისში! ღმერთო ჩემო გვაშორე, ისეთები, ვისაც შრომის უნარი გააჩნია, თუმცა მათხოვრობას მიჰყოფს ხელს. ნეტავ ასეთ პიროვნებებს შუამავლის ბაგეებიდან შემდეგი სიტყვები, რომ მოესმინათ როგორ მოიქცეოდნენ: „ადმიანი, რომელსაც მათხოვრობა ხასიათად ჩამოუყალიბდა, დიადი გამჩენის წინაშე დაკორტნილი თავის ქალით წარსდგება“. (მუსლიმი, ზექათი, 103)

უდავოა, რომ მოწყალება მხოლოდ მას უნდა მიეცეს, ვინც ამას რეალურად საჭიროებს. ალლაჰის შუამავალი ერთის მხრივ ღარიბებს მათხოვრობისგან განრიდების გზებს ასწავლიდა, მეორეს მხრივ კი რეალურად ღარიბი ხალხისთვის, სანამ აღნიშნულ ძნელბედობას თავს დააღწევენ, მორწმუნეებს დახმარებისკენ მოუწოდებდა. იგი (ს.ა.ს.) ბრძანებდა: „მან, ვისაც ხელში ცეცხლისგან დაცვის ძალა შესწევს, თუნდაც ეს ერთი ხურმა იყოს, მოწყალების გაცემით ამ შესაძლებლობით

ისარგებლოს. ვისაც არც ამის შესაძლებლობა გააჩნია, მან კეთილი სიტყვა თქვას“. (იბნი, ჰანბელი, IV, 257)

მოწყალების სახით გაცემული თუნდაც ერთი ხურმა იყოს ღვთის წინაშე მთების ოდენად იქცევა. „თუკი რომელიმე თქვენგანი ალალი გზით მოპოვებულ ერთ ხურმას მოწყალებად გასცემთ, -ღვთის წინაშე ისედაც ხომ მხოლოდ ალალი გზით მოპოვებულის მოწყალებად გაცემა მიიღება – უზენაესი ალლაჰი ამ ხურმას თავისი ძლევამოსილებით აიღებს, შემდეგ მას მოწყალების გამცემი პიროვნების სახელზე, ისე როგორც თქვენ შვილებს აღზრდით, გაზრდის. ბოლოს ნახავ, რომ ეს პატარა ხურმა, მთის ოდენად გაზრდილა“. (ბუხარი, ზექათი, 8)

რამადნის თვე კიდევ ერთი შანსია, მოწყალების გაღებისა და ღარიბებისთვის ფინანსური თუ ქონებრივი დახმარების აღმოჩენისთვის. უფრო უკეთესი კი მათთვის გაჭირვებიდან გამოსაყვანად ისეთი გამოსავალის მოძებნაა, რომ ისინი არათუ საზოგადოების ტვირთად, არამედ ხალხისთვის სარგებლის მომტან პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. პიროვნება ვალდებულია რამადნის თვეში ჯერ საკუთარი ახლობლების დახმარებით დაიწყოს. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „უდავოა, რომ უქონელისთვის გაცემული მოწყალება ერთ მოწყალებად ითვლება, მაგრამ მისი ნათესავზე გაცემა ორმაგ მოწყალებად ფასებდა. ამრიგად თან ნათესავს მოინახულებს, თან ნათესავისადმი ყურადღებას და მისი მდგომარეობით დაინტერესდება“.

ნათქვამია „ქონება სიცოცხლის ნაწილიაო“ მოწყალება, რომელსაც სიცოცხლის ნაწილს ვაკლებთ და გავცემთ, არსებორივად არ იწვევს ქონების ნაკლებობას. რამეთუ უზენაესი ალლაჰი წრფელი გულით მოწყალებად გაცემულ ქონებას, უფრო მეტი ბარაქიანობით დაგვიბრუნებს. (დარიმი, ზექათი, 38) მოწყალების გაცემა მორწმუნეებს ცოდვებისგან განწმედს და აღამაღლებს. (სურა თევბე, 9/103)

1. რამადნის თვეში გაცემული ზექათი

უზენაესი ალლაჰი ერთის მხრივ სურა თევბეს 34-ე აიათში

ბრძანებს, „და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი! მეორეს მხრივ კი სურა ბაყარას, 271-ე აიათში ვკითხულობთ: „თუ აშკარად გაიღებთ თქვენსა მოწყალებანსა, კარგია ეს. ხოლო თუ ფარულად გაიღებთ მას და მიაგებთ გლახაკებს, უკეთესია ეს თქვენთვის და (ალლაჰი) დაფარავს თქვენ ჩადენილ ცოდვათაგან ნაწილს. და ალლაჰმა უწყის ის, რასაც სჩადიხართ“. მოცემული აიათები გვამცნობს, რომ თუკი ადამიანი ფულის მონობაში აღმოჩნდება, მწარე სასჯელის პირისპირ აღმოჩნდებიან, ხოლო ისინი ვინც ფულსა და ქონებას სიკეთის გზაზე გაიღებენ, მიტევებულები და შეწყალებულები იქნებიან“. ადამიანი, რომელიც სიკეთის გზაზე გაიღებს ფულსა და ქონებას, იგი თითქოს პატიებასა და მიტევებას ყიდულობს. იახ, რაოდენ მომგებიანი ვაჭრობაა ეს!

თანამიმდევრებმა მას შემდეგ რაც შემდეგი შინაარსის აიათი გარდმოევლინა: „რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს“... არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი! ისინი დარდმა და წუხილმა შეაშფოთა. მაშინ ძვირფასი ომერი (რ.ა.) ადგა და ალლაჰის შუამავალთან მივიდა. „ო, ალლაჰის შუამავალო! აღნიშნული აიათის უდიდესი ზეგავლენა მოახდინა თანამიმდევრებზე, ისინი ძალიან წუხან“. მაშინ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „უზენაესმა ალლაჰმა ზექათი თქვენს ხელთ არსებული ზედმეტი ქონებისგან განსაწმენდად სავალდებულოდ დაგიდგინათ. მემკვიდრეობა კი თქვენს შემდეგი თაობისთვის სავალდებულოდ დააწესა“. (ებუ დავუდი, ზექათი, 32) შუამავალმა (ს.ა.ს.) ამ სიტყვებით მათ და ყველა მორწმუნეებს აღნიშნული მდგომარეობიდან გადარჩენის გზა ასწავლა. რამეთუ ზექათი ადამიანებს ცოდვებისგან განწმენდს, მათ სულსა და გულებს სისუფთავეს შესძენს.

ოქროს, ვერცხლისა და ფულის ისე შეგროვება, რომ იგი სიკეთესა და ქველმოქმედებას არ მოხმარდეს, ან კიდევ უკონტროლოდ ქონების დაგროვება და ღარიბის კუთვნილი ფულის უსაზღვროდ ხარჯვა, ადამიანისთვის იმიერ ცხოვრებაში სასჯელის მიზეზი გახდება. ასეთივეა მევახშეობაც. მაშინ, როცა პროცენტი ქონების ბარაქიანობას

ამცირებს, ზექათი ქონების განწმენდისა და გამრავლების საშუალებად წარმოგვიდგება. ზექათი ისევე, როგორც მოწყალება, შესაძლებელია მხოლოდ ალალი გზებით მიღებული შემოსავლიდან გაიცეს. „დიადი გამჩენი არ მიიღებს მცირე განბანვის გარეშე შესრულებულ ლოცვასა და აკრძალული გზიდან მიღებული შემოსავლისგან გაცემულ ზექათს“. (ნესაი, ზექათი, 48) ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: არსებობს სამი რამ, რომელსაც თუკი ადამიანი შეასრულებს რწმენის სიტკბოს შეიგრძნებს. უზენაეს ალლაჰზე მსახურება იმ რწმენით, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ერთად-ერთი ალლაჰისა, წრფელი გულით ზექათის ყოველწლიურად გადახდა და ასევე არათუ ზექათის სახით ასაკიანის, ნაკლოვანის, ან ავადმყოფის გაცემა, (ზექათის სახით გაცემული ცხოველი) არამედ ზექათის გაცემა საშუალო ხარისხის ქონებიდან უნდა მოხდეს. რამეთუ უზენაესი ალლაჰი არ გიბრძანებთ, რომ საუკეთესო ქონება მიეცით ზექათის სახით, მაგრამ არ ყველაზე უკანასკნელის გაცემა არ უბრძანებია. (ებუ დავუდი, ზექათი, 5)

მიუხედავად იმისა, რომ არ არის განსაზღვრული კონკრეტული დღე ან თვე თუ როდის უნდა მოხდეს ზექათის გადახდა, მუსლიმები მას ტრადიციულად რამადნის მთვარეში გასცემენ, რამეთუ ეს თვე ქმედებების უფრო მეტი მადლიანობითი შეფასებით გამოირჩევა სხვა თვეებისგან. გარდა ამისა ზექათის გადახდა შესაძლებელია, როგორც შესაბამისი დროის დადგომისას, ასევე დროზე ადრე. (თირმიზი, ზექათი, 37)

ზექათის გადამხდელი პიროვნება, გულის სიღრმეში ალლაჰის შუამავლის მიერ აღვლენილ ვედრებას წარმოთქვამს: „ღმერთო ჩემო! ჩემს მიერ გაცემული ზექათი, ნადავლად აქციე; გთხოვ, ნუ გადამიქცევ სესხად ჩემს მიერ გაცემულ ზექათს“.(იბნი მაჯე, ზექათი, 8)

2. ფითრა

ფითრის მოწყალება, სხვაგვარად რომ ვთქვათ –ფითრა ეს არის მოწყალება, რომელსაც კონკრეტული განზრახვით გასცემს ის მუსლიმი, რომელიც რამადნის თვის ბოლო

დღეებს მოესწრება და სულ მცირე ძირითადი მოთხოვნილების გარდა ნისაბის რაოდენობის ქონებას ფლობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფითრის ნისაბი, ზექათის რაოდენობის ტოლია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფითრის შემთხვევაში არ არის აუცილებელი ქონებას მატების თვისება გააჩნდეს, ასევე არც მისი მფლობელობიდან ერთი წლის გასვლის საჭიროება არსებობს.

სიტყვა „ფითრას“ გაჩენასთან ახლო კავშირი გააჩნია. ამ თვალსაზრისით ფითრა დიადი გამჩენის მიერ მონა-მსახურისთვის მადლის მოგების მიმართულებით ბოძებული ღვთიური წყალობაა. ფითრა, მარხულის მიერ წარმოთქმული უსარგებლო და ცუდი სიტყვების, ჩადენილი არასასიამოვნო ქმედებებისგან განწმენდისა და ღარიბებისთვის საკვების უზრუნველყოფის მიზნით ნაბრძანები ღვთისმსახურების სახეობაა. (იბნი მაჯე, 21) ამრიგად ფითრა რამადნის მარხვით განწმენდილ სულებს საბოლოოდ ნაკლოვნებებს მოაშორებს ხოლმე. ალლაჰის შუამავალი ყველაზე საუკეთესო მოწყალებად რამადნის თვეში გაცემულ ფითრას აფასებს, რომელიც ლიტერატურულ წყაროებში „ზექათის თავადაც“ კი არის მოხსენებული. ვინაიდან იგი თითოეული პიროვენების მიერ დაკისრებულ ვალდებულებად ითვლება.

ფითრა ეს არის მატერიალური ღვთისმსახურება, რომელიც რამადნის მარხვის ფარზად –სავალდებულოდ დადგენიდან ჰიჯრის მეორე წლის შაბანის თვეში, ზექათის ვალდებულებად გამოცხადებემდე. ფითრის რაოდენობა, ტოლია ფიდიეს რაოდენობისა, რომელიც წინა თავებში უკვე განმარტებული.

ფითრას გადახდა შესაძლებელია ყველათვის ვინც თავისუფალია, მონაა, დიდია თუ პატარა. ადამიანი ვალდებულია გადაიხადოს საკუთარი და შვილების ფითრა. მაგრამ არ არის ვალდებული გადაიხადოს მშობლების, ზრდასრული შვილების, მეუღლის, ძმებისა და ახლობლების ფითრა, თუნდაც მათ მიმართ მზრუნველობის პასუხისმგებლობა გააჩნდეს. ფითრის გაცემა არ შიძლება იქ, სადაც ნებადართული არ არის ზექათის გაცემა. ფითრის გადახდის დროს უმთავრესია მისი

გაცემა ახლო ნათესავებისგან დავიწყოთ. მაგრამ პიროვნებას არ ეძლევა ნება ფითრა მისცეს დედას, მამას, ბაბუას, ბებიას, შვილებს, შვილიშვილებსა და მეუღლეს.

მუსლიმი, მიუხედავად იმისა, რამადნის მარხვას დაიცავს თუ არა, ვალდებულია რამადან ბაირამის ლოცვის შესრულებამდე გადაიხადოს ფითრა. (ბუხარი, ზექათი, 76) შესაძლებელია ფითრის გადახდა რამადნის თვის პერიოდში დადგომიდან ნებისმიერ დღეს. ფითრის შემთხვევაში ისე, როგორც ფიდიეს გადახდის დროს მინიმალური რაოდენობის გადაჭარბებით გაცემა რა თქმა უნდა უფრო მადლმოსილი და უპირატესია. ფითრა მუსლიმი ძმების საბაირამო საჩუქარია, რაც ყველა მუსლიმს საშუალებას მისცემს რამადან ბაირამს სიხარულითა და ემოციებით დატვირთულმა შეხვდეს.

ი.. რამადნის უმრა

უმმი მა'ქილი დამწუხრებულია... უმმი მა'ქილი მოწყენილია... ახლად გარდაცვლილი ქმრის მწუხარება ტკივილით გული აქვს დამძიმებული... მაგრამ მას უფრო დიდ ტკივილის ის აყენებს, რომ ალლაჰის შუამავალთან ერთად ჰაჯობაზე ვერ წავიდა. უთხრეს, „ალლაჰის შუამვალი ბეითულლაჰიდან (ქა'ბა -ალლაჰის სახლი) დაბრუნდა". უმმი მა'ქილი მასთან მივიდა, რათა მისთვის ეთქვა: „კეთილი იყოს შენი დაბრუნება ალლაჰის შუამავალო, ნეტავ მეც შენთან ერთად ვყოფილიყავი, მეც მრგებოდა წილად მეკოცნა „ბეითულლაჰზე"... შუამავალმა (ს.ა.ს) როცა შეხედა და უმმი მა'ქილს თვალებში მოწყენილობა შეამჩნია შემდეგი რამ ახარა: „ნუ დამწუხრდები უმმი მა'ქილ! რამადნის თვეში წახვალ უმრაზე, რამეთუ რამადნის თვეში შესრულებული უმრა, ჰაჯის ტოლფასია". (თირმიზი, ჰაჯი, 95) არ დაიჯერებს უმმუ მა'ქილი და მაშინვე იტყვის: „ეს როგორ შეიძლება ასე იყოს, უმრა უმრაა, ჰაჯი კი ჰაჯია". „ნეტავ" ამას ალლაჰის შუამავალი ჩემს სანუგეშებლად ხომარ ამბობსო, ან კიდევ თუასეა ეს მხოლოდ ჩემს გასახარებლად ხომარ წარმოთქვაო?" არა, სინამდვილეში ალლაჰის შუამავალმა უმმი მა'ქილის სახელით სრულიად მუსლიმ თემს უმახარობლა.

რა თქმა უნდა ალლაჰის შუამავლის სიტყვები, რამადანში შესრულებული უმრის ჰაჯის ტოლფასობის შესახებ, არ ნიშნავდა იმას, რომ ამით პიროვნება ჰაჯობის ვალდებულებისგან თავისუფლდება. თუმცა მნიშვნელოვანია მადლიანობა, რომლითაც რამადნაში შესრულებული უმრა ჰაჯობის მადლიანობას უტოლდება. განა რატომ არ შეიძლება იყოს ასე? რამადანში შესრულებული ნებისმიერი ღვთისმსახურება ხომ გაცილებით მეტი მადლიანობით ჯილდოვდება? სწორედ ამიტომ რამადნის მსგავს მადლმოსილებით აღსავსე თვეში უმრას შესრულება ერთ-ერთი საუკეთესო ღვთისმსახურებაა წმინდა მიწების მოლოცვა. ამრიგად დროის სიწმენდე ადგილის სიწმინდეს უერთება... ალლაჰის შუამავლის მოსიყვარულე გულებისთვის იქნებ ეს არის მიზეზი იმისა, რომ რამადნის უმრა ჰაჯობის მადლის ტოლფასია...

გამომდინარე იქედან, რომ რამადნის თვეში შესრულებული უმრა სხვა თვეებში შესრულებულისგან განსხვავებით უფრო მადლიანია, შეძლების უნარის მქონე პიროვნებებისთვის განსაკუთრებული წყალობაა. უმრა, რომელიც იხარმით შემოსვით, ტავაფისა და სა'ის შესრულების შემდეგ თავის გადაპარსვითა და იხამის გამოსვლით შემოიფარგლება, ჰანფის მიმდინარეობის მიხედვით „სუნნეთი მუექქედეა", ხოლო შააფის მიმდინარეობის თანახმად კი „ფარზი", ანუ აუცილებელი.

მორწმუნეები, რომლებიც მიყათის საზღვრებში ან ჰარემის ტერიტორიის გარეთ იხრამით შეიმოსებიან და „ჰარემის ტერიტორიაზე შევლენ, შემდეგი სიტყვებით განზრახვას წარმოთქვამენ: „ღმერთო ჩემო! შენი კმაყოფილების მოპოვების მიზნით მინდა უმრას ტავაფი შევასრულო. ღმერთო ჩემო, გთხოვ გამიადვილე და მიღებულ ჰქმენი შენს წიაღში". ამის შემდეგ მორწმუნეები დიდი ენთუზიაზმითა და ემოციებით დატვირთული უმრას ტავაფს შეასრულებენ. ხოლო მას შემდეგ რაც ტავაფის ლოცვას შეასრულებენ, ამჯერად შემდეგ განზრახვას წარმოთქვამენ: „ღმერთო ჩემო, შენი კმაყოფილების მოპოვების მიზნით უმრას სა'ის შესრულება განვიზრახე. ღმერთო ჩემო, გთხოვ გამიადვილე და მიღებულ ჰქმენი შენს წიაღში" ამის შემდეგ კი საფასა და მერვას გორაკებს შორის 7 მი-მოსვლას შეასრულებენ.

ჰაჯობა და უმრა შუამავალი იბრაჰიმისა და მეუღლის – ძვირფასი ჰაჯერის ცხოვრებას გვახსენებს. „ჰერვალეს, სა'ისა და ისთილამის დროს... სა'ის დასრულების შემდეგ მოპარსული თმა ცოდვებისგან განწმენდას განასახიერებს". (ერულ-ქელეში, ჰჯის არსი, გვ. 66) ამრიგად უმრა დასრულებულად ჩაითვლება და შესაძლებელი იქნება იხრამიდან გასვლაც.

კ.. მარხვის შერიგებასთან შეხვედრის მომენტი –ბაირამი

1. არაფა

როგორც ისრა მირაჯის, მიცრე განბანვა ლოცვის და საჰური იმსაქის მაუწყებელია, ასეთივეა ბაირამისთვის „არაფა". ეს არის დღე, როცა ვიტყვით, ხვალ ბაირამია... ეს არის დღეს, როცა პატარებს განსაკუთრებით უხარიათ ხვალიდენლი დღე... ეს არის დღე, როცა ოჯახის ყველა წევრი განსაკუთრებული სისუფთავით (მცირე განბანვით -აბდესთით) ბედნიერებით აღსავსე თვის დასასრულისთვის დამახასიათებელი ღვთისმსახურებისთვის ემზადება. უფრო ლაკონურად რომ ვთქვათ, ეს არის დღეს, ბოროტებაზე გამარჯვების, სიკეთის მრავალგზის მადლად შეფასებისა, რამადნის თვის დასასრულის ბეჭედი და რამდანისა და ყურბან ბაირამის საწყისი დღეს, არაფა.

ალლაჰის შუამავლის სიტყვები არაფა დღესთან დაკავშირებით ასეთია: გარდა არაფა დღეებისა, არ არსებობს ისეთ დღე, როცა დიად გამჩენის მიერ ჯოჯოხეთის ცეცხლისგან გადარჩენილთა რაოდენობით გამოირჩეოდეს. (იბნი მაჯე, მენასიქი, 56)... ეს არის დღეები, როცა საუკეთესო და ბარაქიანი ვედრება უხვად აღევლინება... (თირმიზი, დაავათი, 122)

ეს არის დღეები, როცა მორწმუნეები ყველა ერთად საფლავების მოსანახულებლად მიედინებიან, საყვარელი ადამიანების საფლავებთან ცრემლმორეულები ვედრებას აღავლენენ და იტყვიან: „მოვითმინოთ, რამეთუ შესაძლოა

ხვალინდელ ბაირამს ერთად ვერ შევხვდებით, მაგრამ დიადი გამჩენის ნებით შევხვდებით სამოთხეში და იქ ერთად გავიცინებთ...

როდესაც ალლაჰის შუამავალი საფლავებთან გაივლიდა, იქ მყოფებს შემდეგი სიტყვებით მიესალმებოდა ხოლმე: „მშვიდობა თქვენდა, საიქიოს მკვიდრნო მორწმუნე ხალხნო! ადრე თუ გვიან ჩვენი დასამკვიდრებელი ადგილიც თქვენთანაა. გამჩენს ვავედრებ, რომ ჩვენც და თქვენც სიკეთე გვიბოძოს“. სწორედ ასე მოიქცევიან მორწმუნენიც და საფლავებთან გავლისას იქ მყოფებს სალამს და ვედრებებს უძღვნიან. ისინი იფიქრებენ, რომ ეს არ არის საბოლოო დასასრული და თავადაც ამავე გზის გავლით დიადი გამჩენის წინაშე წარდგებიან. ეს კი მათთვის მხოლოდ დარიგება იქნება. (თირმიზი, ჯენაიზი, 60)

ამ დღეებში გულები კიდევ უფრო დარბილდება და სიმშვიდე მოიცავს. წაკითხული ყურანი, სურა იასინი, მიტევებისა და პატიების ვედრება ცამდე აღწევს. მორწმუნე არ მოთქვამს მაღალი ხმით და არ გულის ტკივილის შეჩერებაა შესაძლებელი. თვალიდან აუცილებლად ჩამოიღვრება ცრემლი. ისინი იმ განწყობით იჩენენ მოთმინებას და მინდობას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათთან შეხვედრის ნატვრა აუხდებათ. ასევე ნუგეშისცემაა მათთვის იმის ცოდნა, რომ ისინი დიადი გამჩენის მფარველობაში იმყოფებიან.

მორწმუნენი არაფა და ბარიამის დღეებში ხშირად მიაშურებენ სასაფლაოებს. მათ მიერ საფლავების მონახულება ორივე სამყაროში სიცოცხლის არსებობის კიდევ ერთი დამოწმებაა. ისინი სალამს უძღვნიან ღვთისა და სამშობლოს გზაზე შეჰიდად დაცემულებს, როგორიც არიან ენეს ბინ ნადრი, აბდულლაჰ ბინ რავაჰა და სხვები. თეთრი შურით შეშურდებიან შეჰიდად დაცემულების, შუამავლებისა და ღვთისსაყვარელ ადამიანთა სამყოფელის.

აბდულლაჰ ბინ ჰარამის მსგავსად ზოგიერთ შეჰიდს უკან წვრილ-შვილი დარჩენია. რომელთა ყურადღება მორწმუნეებმა აიღეს საკუთარ თავზე. ამიტომაც ბაირამის დღეებში შეჰიდების მიერ დატოვებულ ობლების მიმართ განსაკუთ-

რებული ყურადღების გამოჩენაა საჭირო. მათი გულების მოგება, საჩუქრებით მათი გახარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმედებაა.

ბაშვებს ბაირამის სიხარულს კიდევ უფრო გაულამაზებს მეზობლებისა და ნათესავების მონახულება და ნათესაური ურთიერთობის მნიშვნელობის ახსნა. დღესასწაულები ხომ სიხარულისა და ურთიერთ სითბოს გამოჩენის საუკეთესო დღეებია.

2. ბაირამი

მადლობა დიად გამჩენს, რომ ჩვენ ჭეშმარიტი რწმენის მქონე დედ-მამის შვილებად მოვევლინეთ სამყაროს. რაოდენ ბედნიერი ვართ ჩვენ! ჩვენს მშობლებსა თუ ბაბუებს ხელჩაკიდული მეჩეთში მივყავდით, ბებიასა თუ ბაბუის ლოცვის დროს ჩვენც მათ მივბაძავდით და ვცდილობდით მათთან ერთად გველოცა. და როცა ისინი კრიალოსანს –თესბას აიღებდნენ ჩავუძვრებოდით კალთაში. ბავშვები ვიყავით, იქნებ ვერ ვამჩნევდით დიადი გამჩენს მიერ ჩვენთვის ბოძებულ წყალობას.

ქუჩაში სეირნობისას თვალით ნანახი მეჩეთი, დღეში ხუთი დროის ეზნის საამო ხმა, მეჩეთებში ლოცვად მუხლმოყრილი პატარები და რელიგიის სწავლებისთვის მთელი ენთუზიაზმით მობილიზებული პედაგოგების ხმა. თურმე ეს ყველაფერი ანალოგიური კომპოზიციის ნოტები იყო.

სადღესასწაულოდ მომზადება, რამადნის საღამოობით მარხვის იფთარის მირთმევა, თერავიჰისთვის მიუხედავად სიცხისა და თუ სიცივისა მცირე განბანვის შესრულება და ლოცვისთვის მომზადება და სხვა ყველა ესენი ჩვენს რწმენასა და მორწმუნეობაზე მეტყველებს თითქოს...

ალლაჰის შუამავალი ჯერ კიდევ სანამ ბაირამის ლოცვაზე წავიდოდა, ან კიდევ არაფა დღეს მთელი ტანის დიდი განბანვას შეასრულებდა. (იბნი მაჯე, იყამეთუს სალავათი, 169) ის (ს.ა.ს.) რამადან ბაირამის წინ აუცილებლად რამეს მიირთ-

მევდა და ლოცვაზე ისე წავიდოდა. ხოლო რაც შეეხება ყურბან ბაირამს, სანამ ლოცვა არ დასრულდებოდა არაფერს მიირთმევდა. (თირმიზი, ჯუმა, 38) ძვირფასი ალის (რ.ა.) გადმოცემის თანახმად, ბაირამ დღეს ქვეითად მეჩეთში სალოცავად მისვლა ალლაჰის შუამავლის სუნნეთი იყო. (იბნი მაჯე, იყამეთუს სალავათი, 161) ასევე ცნობილია, რომ ბაირამ დღეს სალოცავად წასვლისა და უკან დაბრუნების დროს, იმ მიზნით, რომ უფრო მეტ ადამიანს შეხვედროდა, სხვადასხვა გზით სარგებლობდა ხოლმე. (ბუხარი, იდეინი, 24) უფრო მეტიც, გადმომცემთა მიერ დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ ალლაჰის შუამავალი ბაირამის დღეებში რომელი გზებით გადაადგილდებოდა. თუკი აღნიშნულ გადმოცემებს ყურადღებით დავუკვირდებით, შესაძლებელია ალლაჰის შუამავლის ის მარშრუტის წარმოდგენა, საიდანაც ის გადაადგილდებოდა. „ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბაირამის ლოცვაზე წასვლისას საიდ ბინ ებილ-ასის სახლთან ფრთხილად ჩაივლიდა, იქედან კარავის მკვიდრთა ქუჩას გაუყვებოდა. ლოცვის დასრულების შემდეგ, უკან დაბრუნებისას აუცილებლად სხვა გზით ბრუნდებოდა სახლში. ეს ზურეიქის შვილთა გზა იყო, რომელიც ამმარ ბინ იასირისა და ებუ ჰურეირას სახლების გვერდით ჩაივლიდა და ბალათთან გადიოდა. (იბნი მაჯე, იყამეთუს-სალავათი, 162)

ვინ იცის ალლაჰის შუამავალი გზად ვის შეხვდებოდა, ვინც იცის შუამავალი და თანამიმდევარნი ერთმანეთს როგორ ესალმებოდნენ. და ვინ უწყის მათ ერთმანეთის ნახვა რამდენად ახარებდათ. ვინ მოთვლის რაოდენ დიდი ბედნიერების განცდა იყო მასთან (ს.ა.ს.) ერთად მოგზაურობა, მისი საუბრის მოსმენა, მასთან ერთად მეჩეთში წასვლა. მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ბაირამს ალლაჰის შუამავალთან ერთად ატარებდნენ, უდავოა, რომ თანამიმდევრებისთვის ბაირამის დღეები, ჩვენგან განსხვავებით, უფრო მეტად სასიხარულო და ემოციური იქნებოდა. ალბათ ებუ ჰურეირა შუამავალს რომ დაინახავდა თვალები გაუბწყინდებოდა. როდესაც ამმარი მას სახლის წინ მიმავალს დაინახავდა, სიხარულით თავ-ქუდ მოგლეჯილი მის სანახავად გარეთ გავარდებოდა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს ქუჩებში ალლაჰის შუამავალი არ დადის და არც ამმარი ან ებილ-

ასია არიან ჩვენი მეზობლები. მაგრამ შეგვიძლია ალლაჰის შუამავალის სიყვარული ყოველთვის ვიგრძნოთ გულში. შეგვიძლია იმ განწყობით რომ ალლაჰის შუამავალი მეჩეთში იქნება, წავიდეთ და მასთან ერთად ვილოცოთ. ასევე შეგვიძლია შევასრულოთ შუამავლის ის სუნნეთები, რომელსაც იგი თავის სიცოცხლეში ასრულებდა.

ბაირამის სალოცავად წასვლისას გზათ „თექბირის“ წარმოთქმა კიდევ ერთი სუნნეთია, რომელსაც თვით შუამავალი ასრულებდა. რამადან ბაირამის დღეებში „თექბირი“ ჩუმად, ხოლო ყურბან ბაირამის დღეებში ხმამალა წარმოითქმება. ამასთან ერთად ბაირამის დღეს განსაკუთრებით იმამის მეჩეთში ადრიანად მისვლაა საჭირო, რამეთუ იმამის სალოცავ მიხრაბზე დადგომა, ბაირამის დრიოს დადგომად ითვლება. (მუვატტა, ‘იდეინი, 5) გადმოცემის თანახმად ცნობილი ხდება, რომ იმამი მალიქისა და საიდ ბინ მუსეიბის მსგავსი სახელმოხვეჭილი პიროვნებები ბაირამის სალოცავად მეჩეთში ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე მივიდოდნენ. (მუვატტა, ‘იდეინი, 5)

პირველი ბაირამის ლოცვა, რომელიც მუსლიმებმა შეასრულეს, ეს იყო ჩვ. წ. ა 624 წლის 24 მარტს (ჰიჯრის კალენდრის მიხედვით მეორე წელი,) შესრულებული რამადან ბაირამის ლოცვა. მაშინ ალლაჰის შუამავალი ბაირამისა და ჯუმის ლოცვების დროს სურა ჯასიესა და ეღლას იკითხავდა ხოლმე. და თუკი ისე მოხდებოდა, რომ ჯუმა და ბაირამის ლოცვა ერთი და იგივე დღეს დაემთხვეოდა, სურა ჯასიესა და ეღლას, ერთდროულად იკითხავდა. (მუსლიმი, ჯუმა, 62)

„სურა „აალა“ შემდეგი შინაარასით იწყება: „ადიდე სახელი ღმერთისა შენისა, უზენაესისა! რომელმაც გააჩინა და გაათანაზომიერა! რომელმაც (ყველაფერი) ზომიერად ჰყო და დაადგინა ჭეშმარიტ გზას! და რომელმაც ამოაბიბინა ბალახი მდელოზე! მერე აქცია შავ თივად!“

რაც შეეხება სურა „ჯასიეს“ აღნიშნული სურას საწყისი აიათები ასე გამოიყურება:

მოაღწია შენამდე მბავმა „წარღვნისმა“, თავზარდამცემმა? სახენი იმ დღეს, თავჩაღუნული სირცხვილითა, ტყუილად

დაღალულ-დაქანცული, (ისინი) შენთებული იქნებიან გავარვარებულ ცეცხლში! მდუღარე წყაროს წყლით დარწყულდებიან, საკვებად კი მხოლოდ მწარე დარიის ეკლები (ექნებათ), რომელიც არც ასუქებს და არც ანაყრებს. და იქნება იმ დღეს სახენი გაბრწყინებული, თავიანთი საქმეებით კმაყოფილნი (დამკვიდრებულნი არიან) უმაღლეს სამოთხეებში! იქ ვერ გაიგებ ფუჭსიტყვაობას!

თუკი ისე მოხდებოდა, რომ ალლაჰის შუამავალი ბაირამის დღეებში ლაშქრობაში იქნებოდა, მაშინ წინ დამაბრკოლებელ მიმანიშნებელს დადგამდნენ, რომლის უკანაც სალოცავად დადგებოდა. ჯემა'ეთი კი მის უკან მწკრივებად განლაგდებოდნენ. აღნიშნულმა ქმედებამ ისლამის ისტორიაში ტრადიციის სახე შეიძინა. (ბუხარი, სალათი, 90) გადმოცემათა შორის გვხვდება ისიცი, რომ ალლაჰის შუამავალი ბაირამის ლოცვისას სურა „ინშიყაყს“ იკითხავდა ხოლმე. (მუსლიმი, სალათულ იდეინი, 14) კიდევ ერთი გადმოცემის თანახმად საუბარია იმაზეც, რომ ალლაჰის შუამავალი რამადან და ყურბან ბაირამის ლოცვისას პირველ მუხლზე სურა „ყაფს“, ხოლო მეორეზე სურა „ყამერს“ იკითხავდა. (თირმიზი, ჯუმა, 33)

ბაირამის ლოცვის შესრულება შესაძლებელია მზის ამოსვლიდან მისი ზენიტში მიღწევის დრომდე. ყველა მორწმუნისთვის, ვისთვისაც ჯუმის ლოცვა ფარზი ანუ აუცილებელია, ბაირამის ლოცვა ებუ ჰანიფეს სწავლების თანახმად ვალდებულებად, ხოლო შააფისა და მალიქის სწავლების მიხედვით სუნნეთი მუექქედეა. ამასთან ჰანბელის მიმდინარეობის თანახმად ბაირამის ლოცვა ფარზი ქიფაიეა. ბაირამის ლოცვა ჯემა'ეთთან ერთად სრულდება, რა დროსაც არც ეზანი და არც ყამეთი არ იკითხება. (ბუხარი, იდეინი, 7) ბაირამის ლოცვა ორი მუხლისგან შესდგება, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი დამატებითი "თექბირები" გააჩნია. (იხ. დ.ი.ბ. ილმიჰალი, I, 306) ჯემა'ეთმაც უნდა გაიმეოროს ქვემოთ მოცემული სიტყვები, რომელსაც ბაირამის ლოცვის შემდეგ იმამი ხუტბის საკითხავად მინბერზე ავა და ხმამაღლა წარმოთქვას: „ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ, ლაა ილააჰე ილლელლაჰუ ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ ველილლაჰილ ჰამდ“.

ბედნიერების ეპოქაში ბაირამი, ლოცვის შესრულების შემდეგ მთელი ზეიმით აღინიშნებოდა და მთელი დღე გაგრძელდებოდა ხოლმე. შუამავალს სურდა ბაირამის დღეები მორწმუნეებს ისეთი ხალისით გაეტარებინათ, როგორც სადღესასწაულო განწყობას შეეფერებოდა. ერთ მშვენიერ ბაირამის დღეს, ებუ ბექირი (რ.ა.) ალლაჰის შუამავალს ბედნიერებით აღსავსე ოჯახში ესტუმრა. ებუ ბექირის (რ.ა.) ქალიშვილის და შუამავლის (ს.ა.ს) მეუღლესთა ძვირფას აიშასთან ენსართაგან ორი ქალიშვილი იმყოფებოდა, რომლებიც უძველეს ბრძოლებთან დაკავშირებით გმირულ მელოდიებს ღიღინებდნენ და მღეროდნენ. ებუ ბექირს ასეთი მდგომარეობა ეუცნაურა, რომელმაც სიბრაზე შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ალლაჰის შუამავლის სახლში ეშმაკის სასტვენებს უკრავთ? ამ დროს ოთახის ერთ კუთხეში დასასვენებლად წამოწოლილ შუამავალს (ს.ა.ს) მათი საუბრის ხმა შემოესმა, რომელმაც მაშინვე ჩაერია და ებუ ბექირს (რ.ა.) უთხრა: „ო, ებუ ბექირ! მათ საქმეში ნუ ჩაერევი. ყველა ერს თავისთვის დამახასიათებელი დღესასწაული გააჩნია. ესეც ჩვენი ბაირამია.“ (ბუხარი, იდეინი, 2)

მნიშვნელოვანია შემდეგი ისტორია, რომელიც ალლაჰის შუამავლის ბაირამებთან დაკავშირებით დამოკიდებულებას ასახავს. „ერთ მშვენიერ ბაირამ დღეს, ეთიოპიელმა ხალხური ცეკვების ჯგუფმა, რომელბსაც ხელთ შუბები ჰქონდათ, შუამავლის მეჩეთში წარმოდგენა გამართეს. ალლაჰის შუამავალმა ახალგაზრდა მეუღლე მართლმორწმუნეთა დედა ძვირფასი აიშა გვერდით იხმო, ერთმანეთთან ახლოს დასხდნენ, და წარმოდგენას ერთად უყურეს. ალლაჰის შუამავალი კი წარმოდგენის დროს მათ მხარდაჭერის და წახალისების მიზნით ზოგჯერ შემოუძახებდა კიდეც, „აბა, თქვენ იცით, ერფიდეს შვილებო! (ბუხარი, ჯიჰადი, 81)

ალლაჰის შუამავალს სურდა ბაირამის დღეები საზოგადოებასთან ერთად მხიარულად გაეტარებინა. შეუძლებელი იყო ბაირამის განწყობა, თუკი ვინმე უბედურად განცაკლევებულად კუთხეში იქნებოდა განმარტოებული. სწავლულები იტყოდნენ ხოლმე: მარხვაც და ბაირამის ხალხმრავლობით არის ხალისიანი. (თირმიზი, სავმი, 11) ყველა ერთიანად ხალისიანად უნდა უერთდებოდეს ბაირამს, რამეთუ ეს დღეები

უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანებისთვის ნაბოძები წყალობაა.

შუამავლის (ს.ა.ს.) პერიოდში არსებობდა გამოთქმა: „ბაირამზე გასვლა“. (ნესაი, სალათულ-იდეინი, 2) ალლაჰის შუამავალი ბრძანებდა: „სახლებიდან ყველა გამოვიდეს გარეთ და საბაირამოს ზეიმს დაესწროს“. (ნესაი, სალათულ იდეინი, 3) უმმუ ათია მოგვითხრობს: „ბაირამის დღეს სახლებიდან გარეთ გასვლისკენ მოგვიწოდებდენ. ახალგაზრდა გოგოები, ქალბატონები, (განურჩევლად იმისა, იმყოფებოდნენ თუარა დედათა წესის პერიოდში) ყველა ერთად გარეთ გავდიოდით და მეჩეთში მამაკაცების უკან ვჩერდებოდით. ქალბატონები მამაკაცებთან ერთად „ალლაჰუ ექბერ“ სიტყვებით დიადი გამჩენის სადიდებელ სტრიქონებს ერთად ვიმეორებდით და ვედრებას აღვავლენდით. ერთიანად ამ დღის ბარაქიანობასა და სიწმინდისთვის დიად გამჩენს ხელებაპყრობილი შევღაღადებდით. (ბუხარი, იდეინი, 12) ბაირამის ლოცვისკენ ყველას ერთად მოუწოდებდნენ, რადგან საბაირამო განწყობა მეჩეთებში ბაირამის ლოცვასთან ერთად იწყებოდა. მაგრამ ისინი ვინც ვერ ახერხებდნენ ბაირამის ლოცვაზე მეჩეთში მისვლას, ასევე ქალბატონები, რომლებიც ვერ მიდიოდნენ მეჩეთში, შეეძლოთ თავიანთ სახლებში ორი მუხლი ლოცვა შეესრულებინათ. (ბუხარი, იდეინი,)

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ქალბატონებსაც მოუწოდებდა ბაირამის ლოცვაზე დასწრებას. ქალბატონები, რომლებიც განიცდიდნენ ქალურ ანუ დედათა წესს, არ იღებდნენ მონაწილეობას ლოცვაზე, თუმცა ჯემა’ეთის უკან დგებოდნენ და მათ მხოლოდ ვედრების ნაწილში უერთდებოდნენ. ერთ-ერთმა ქალბატონმა ალლაჰის შუამავალს ჰკითხა: „ვაი თუ რომელიმე ქალს გარეთ გამოსასვლელი სამოსი არ გააჩნია?“ -შუამავალმა (ს.ა.ს.) მიუგო: „მაშინ შეეცდება ვინმესგან სამოსი ითხოვოს“. (თირმიზი, ჯუმა, 36)

ასევე გადმოცემებში გვხვდება, რომ როდესაც ალლაჰის შუამავალი ლოცვას დაასრულებდა ქალბატონებთან განსაკუთრებით მივიდოდა და მათთან ისაუბრებდა. იბნი აბბასი მოგვითხრობს: „მე ბაირამის ლოცვას მოვესწარი, როგორც შუამავალთან ერთად, ასევე ებუ ბექირის, ომერისა

და ოსმანის (რ.ა.) პერიოდში. ყველა მათგანი ჯერ ლოცვას შეასრულებდა, შემდეგ კი ხუტბას წაიკითხავდა. ხუტბა ყოველთვის ლოცვის შესრულების შემდეგ იკითხებოდა. (ერთხელაც მახსენდება) ალლაჰის შუამავალი ხუტბას წაკითხვის შემდეგ (სანამ ჯემა'ეთი დაიშლებოდეს, განსაკუთრებით სანამ ქალბატონები გარეთ არ გავლენ, მამაკაცები გარეთ არ გავიდნენ) ხელით დაჯდომისკენ მიგვითითა. შემდეგ მამაკაცების მწკრივებში გაიარა და სადაც ქალბატონები ისხდნენ იქ მივიდა. ბილალი თან ეახლა.მათთან ახლოს მივიდა და ქვემოთ მოცემული აიათი წაიკითხა:

„ჰეი, შუამავალო! თუ მოვლენ შენთან მორწმუნე ქალები, რომლებიც შემოგფიცავენ, რომ არავის ეთაყვანებიან, გარდა ალლაჰისა, არ მოიპარავენ, არ იმრუშებენ, არ მოკლავენ შვილებს, ტყუილს არ იტყვიან თავისი გაკეთებული საქმეების შესახებ, არ იჭორავებენ და არ გეურჩებიან არანაირ კეთილ საქმეში, ირწმუნე მათი და სთხოვე ალლაჰს მათთვის პატიება. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია“. (სურა მუმთეჰინე, 60/12)

მას შემდეგ რაც ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ზემოთ მოცემული აიათი წაიკითხა, „მათ ჰკითხა: „თქვენ ეთანხმებით ამას“? მათ შორის ერთ-ერთმა ქალმა თქვა: „დიახ, ვეთანხმები“. ამ ქალბატონის გარდა არავის პასუხი არ გაუცია. მაშინ ალლაჰის შუამავალმა თქვა: „თუ ეგრეა, მაშ მოწყალება გაეცით“. ბილალმა მოსასხამი გაშალა, თან იმეორებდა: „დედ-მამა გენაცვალოს ალლაჰის შუამავალო“. ქალბატონები შეთანხმების ერთგულების ნიშნად, ბეჭდები და სამკაულები აჩუქეს“. (ბუხარი, იდეინი, 19) ეს იყვნენ ქალბატონები, რომლებსაც სწამდნენ ალლაჰისა, გულით სჯეროდათ განკითხვის დღისა და შუამავლის (ს.ა.ს.) ბაგეებიდან ამოსულ სიტყვა უმალ სისრულეში მოჰყავდათ. ის, რომ ბაირამის დღეები ურთიერთდახმარებისა და თანადგომის მიზეზია ამას ერთად გამოხატავდნენ.

ალლაჰის შუამავალს ბაირამის დღეები, რა თქმა უნდა ზომიერების ფარგლებში, ერთმანეთის გამასპინძლებით და ხალისიანად გატარება სურდა. აღნიშნულ დღეებში მარხვა აკრძალულად იყო გამოცხადებული. (მუსლიმი, სიამი, 140)

თავდაპირველად, როდესაც ალლაჰის შუამავალი მედინაში ჩავიდა, ადგილობრივი მოსახლეობა ორ დღესასწაულს ზეიმობდა. მაშინ ალლაჰის შუამავალმა მათ ამცნო: „დიადმა გამჩენმა, თქვენ ეს ორი დღესასწაული უფრო უკეთესით, -რამადანისა და ყურბნის დღესასწაულებით ჩაგინაცვალთ. ამ სიტყვებით მან ბაირამის დღეების ხალისიანად და საზეიმოდ გატარებისკენ მოუწოდა. (ებუ დავუდუ, სალათი, 239)

ალლაჰის შუამავალს არასოდეს მოსწონდა ძალადობა. გარდა საომარი სიტუაციისა, ისლამურ ქვეყნებში მუსლიმების მიერ ბაირამის დღეებში იარაღის ტარება აკრძალა. (იბნი მაჯე, იყამეთუს-სალავათი, 168) რამეთუ ბაირამის დღეები ძმობისა და მეგობრობის გამოვლენის საუკეთესო პერიოდია.

დღეს ჩვენც კი სადღესასწაულო დღეებში უფროსების მოსანახულებლად, მოსაფერებლად და მათგან ვედრების მოსასმენად მივდივართ. საოცრად სასიამოვნოა მათთან საუბარი და ბაირამისთვის მომზადებული სხვადასხვა კერძების დაგემოვნება. იმ დღეს სულ სხვა სიხარულს განიცდიან პატარები. ახალ სამოსში გამოწყობილნი, ტკბილეულით დანაყრებულნი საოცარ ბედნიერებას შენიშნავ მათ სახეებზე. ბაირამი ეს ხომ ყველასთვის სიხარულია, ამ დროს ყველა ხალისიანად სიყვარულს ავლენდეს თითოეული მორწმუნე.

საოზგადოებრივი მაღალი თვითშეგნება საოცარია. ადამიანის, ქალაქში იქნება თუ სოფელში, მეზობლების მონახულება, გზად შემხვედრი ადამიანების მისალმება და მათთვის გაღიმება ნამდვილად არ არის ძნელი. ერთ მშვენიერ დღეს ალლაჰის შუამავალი ირგვლივ მყოფებს ჰკითხა: „დღეს ვინ არის მარხული“? მოდით ეს ისტორია ებუ ბექირისგან (რ.ა.) მოვისმინოთ“. „მივუგე, -მე ვმარხულობ ალლაჰის შუამავალო!“ შემდეგ ისევ იკითხა: „არის ისეთი ვინმე, ვინც მიცვალებულის განსასვენებელ ლოცვას დაესწრო“? ისევ მე მივუგე: „დიახ, მე ვარ ალლაჰის შუამავალო!“ „კარგი, აბა თუ არის აქ ისეთი ვინმე, ვინც ღარიბი დააპურა“? საკმარისად ჩავთვალე მიმეგო: -„მე“. ალლაჰის შუამავალს გაეღიმა... –აბა, თქვენგან დღეს ვინმემ ავადმყოფი მოინახულა“? ისევ მე მივუგე: დიახ, მე ვიმყოფებოდი ავადმყო-

ფის მოსანახულებლად ალლაჰის შუამავალო“. მაშინ ალ-ლაჰის შუამავალმა შემდეგი სასიხარულო რამ განაცხდა: „სამოთხეში დაიმკვიდრებს ის, ვინც ყველა ეს ლამაზი საქმე შეასრულა“. (მუსლიმი, ზექათი, 87) სწორედ აქედან გამომდინა-რე ბაირამის დღეები საუკეთესო და მადლით აღსავსე საქ-მეების კეთების საუკეთესო მომენტია.

ალლაჰის შუამავალი გვახარებს, რომ ასეთი ქმედებების მქონე ადამიანი სამოთხის წალკოტებში დამკვიდრებით დაჯილდოვდებიან... უდავოა, რომ სამოთხეს ყველა ჩვენ-განი ვისურვებთ. მაშ, თუ ასეა, თანახმა იქნებით მივბაძოთ ებუ ბექირს (რ.ა.)? ის ხომ საკუთარ ქალიშვილს გულისხმიე-რებით ეფერებოდა, ის სადაც ჯანაზის შესახებ გაიგებდა, გარდაცლილის ოჯახის წევრებს გვერდში ამოუდგებოდა, თითქოს საკუთარი ახლობელი ისე დამწუხრდებოდა და მის განსასვენებელ ლოსცვას დაესწრებოდა. ის ყოველთვის ავადმყოფებისა და ღარიბების გვერდში იდგა, რადგან ის, იმ ორ პიროვნებათან ერთ-ერთი იყო, რომლებმაც გამოქვა-ბულს შეაფარეს თავი. (ნაგულისხმებია ჰიჯრეთის დროს შუამავლისა (ს.ა.ს.) და ებუ ბექირის (რ.ა.) სევრის გამოქვაბულის ამბავი). რთულია ოჯახში იმის გათავისება, რაც გამოქვაბულში ზემოთ ხსენებულმა პიროვნებებმა გამოიარეს... მაგრამ საქმის არსი თითქოს შუამავლისეულ აღმზრდელობაშია დაფარული. ებუ ბექირი ხომ შუამავლისეული ზნეობით იყო აღზრდილი. ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებს გაცილებით მეტად ასრულება ალლაჰის შუამავალი, რამეთუ მის მიერ შესრულებული თითოეულ ქმედებას სულ სხვა ეფექტი ჰქონდა.

დღესასწაულები ვედრების საუკეთესო მომენტებია. ალ-ლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მას, ვისაც სურს დიადმა გამჩენმა სირთულის დროს მის მიერ აღვლენილი ვედრება ისმინოს, სიუხვის დროს აღვლენილი ვედრება ხშირად წარ-მოთქვას. (თირმიზი, დაავათი, 9) მაშ ასე, სიუხვისა და ბედნიერე-ბის გამომხატველი სადღესასწაულო სიხარული, ვედრების აღვლენით კიდევ უფრო დავამშვენოთ.

დავანგრიოთ კედლები... ირგვლივ მყოფმა არავინ თქვას „მშია“! ბოლომდე გავხსნათ გულის კარები... თუ არაფრის

გაკეთება არ ძალგვიძს, განა არც გაღიმება შეგვიძლია? „ვჭამოთ, ვსვათ და შევირგოთ ეს ქვეყანა“, განა შესაძლებელია ასე მოვიქცეთ მაშინ, როცა გვერდით ნაღვლიანი და დარდიანი გვყავს? მორწმუნე ვალდებულია სიხარულსა და მწუხარებას შორის ბალანსი კარგად დაიცვას. მას უნდა შეეძლოს სხვისი მწუხარების გაზიარება და ასევე უნდა იზიარებდეს სხვების სიხარულსაც. რამადნის თვე ამ მიმართულებით უფრო მეტად გვაფიქრებს. ამ დროის ფარგლებში ვსწავლობთ ღარიბების დაპურებას, ვიხსენებთ შიმშილის განცდას და ყურებში სიკვდილს ჩაგვჩურჩულებს.

მარხვა ეს ღვთისმსახურებაა, რომელიც წარმავალი ცხოვრებაში მოთმინებას, მადლიერებასა და ურთიერთთანადგომას გვასწავლის. რაც შეეხება ბაირამს, იგი რამადნის ბარაქით აღსავსე თვის მხიარულებით მოცული ბედნიერებაა.

ლ.. მარხვის სიბრძნე და სარგებელი

მარხვის როგორც ღვთისმსახურების მიზანი, ადამიანების ღვთისმოსაობათან მიღწევაა. ყურანში სწორედ აღნიშნულ საკითხს შეეხება შემდეგი აიათი: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა , როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან“. (ბაყარა, 2/183) ღვთისმოსაობა, რომელიც მარხვის უმთავრესი მიზანია, ე სარის მდგომარეობა, როცა ადამიანი უზენაესი გამჩენის სიდიადესა და ყოვლისშემძლეობის წინაშე თრთოლვა შერეული სიყვარულით მის წინაშე არსებულ ვალდებულებებს გათვითცნობიერებულად ასრულებს. მარხვის ღვთისმსახურების კიდევ ერთი მიზეზი, ადამიანში სწორედ ასეთი თვითშეგნების ჩამოყალიბებაა.

უზენაესი ალლაჰი გვამცნობს, რომ მის წინაშე ყველაზე ძვირფასები ღვთისმოსავი მონა-მსახურები არიან. სწორედ ღვთისმოსაობაა წარმოდგენილი მონა-მსახურეობრივი მდგომარეობის ზენიტად. იმისათვის, რომ ადამიანმა თავისი ხორციელი მოთხოვნილების გაკონტროლება შეძლოს

და ღვთისმოსაობას მიაღწიოს, გარკვეული ვალდებულებები აკისრია. სწორედაც მარხვა ქმედებათ სისტემატიური მდგომარეობის მთლიანობაა.

მარხული ადამიანი ახშობს ორ მთავარ გზას, რომელსაც ხორციელი ვნებები კვებავს. აღსანიშნავია, რომ ამათგან ერთ-ერთი კუჭზე გადის და მისი მშიერ-მწყურვალად დატოვება, ყველაზე მძიმე ასატანია. სწორედაც, რომ ხორციელი ვნებების აღზრდის საუკეთესო გზა შიმშილზე გადის. ხოლო რაც შეეხება მეორე გზას ეს სურვილებისა და ლტოლვის გაკონტროლებას ეხება. მარხვა, რომელიც ადამიანს სქესობრივი გრძნობისგან, თუნდაც ხანმოკლე დროით, თავშეკავებას უზურუნველჰყოფს, ვენებათა ხელთარსებულ ორ მთავარ საყრდენს, „დანაყრებასა და კმაყოფილებას“, გამოაცლის. სინამდვილეში ვნებები მხოლოდ ამით როდი იკვებება და მადისაღმძვრელ გრძნობების ზეგავლენაშიც ექცევა. მარხვა, ამ ორის გრძნობის ნაცვლად, ადამიანში ორ უფრო დიდებულ გრძნობას აძლიერებს. როდესაც კუჭი მშიერი რჩება, გული სიმშვიდეს იძენს. ამრიგად იგი გარდაიქცევა იმ წერტილად, სადაც დიადი ღმერთის ნათელი დაისადგურებს. ამ დროს გული რწმენის სიმშვიდესა და ბრწყინვალებას უკეთ შეიგრძნობს. ამრიგად გული განიწმინდება იმ უსუფთაო მასისგან, რომელიც ცოდვებს აქვს გარემოცული.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ . და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის და უეჭველად, მასთან იქნებით შეკრებილნი! (ენფალი, 8/24) სწავლულები აიათში მოცემული ფრაზის, „იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის“, შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებულად განმარტავენ. ზოგი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში თუკი უზენაესი ალლაჰი ადამიანს არ დაადგენს ჭეშმარიტ გზას, ადამიანსა და გულს შორის არსებული დაბრკოლება, კონკრეტულ წარმოუდგენლად საცოდავ მდგომარეობაში ჩააგდებს. ამით ისინი რწმენასა და გონიერებას შორის არსებულ კავშირზე ამახვილებენ ყურადღებას. ისამური შორეული პერსპექტივის

თანახმად, გული როგორც რწმენის, ასევე გონების ანარეკლია. მიუხედავად იმისა, რომ გააზრებისა და დაფიქრების სხვადასხვა განზოგადების წყარო ადამიანის გონებაა, აზროვნების ჩამოყალიბება ახლო კავშირი გააჩნია ადამიანს გულთან. ვინაიდან აზროვნების სიმშვდისკენ ორიენტირება, მისი სწორი პრინციპებით მოქმედება შესაძლებელია სამართიანი და შემწყნარებლური მიდგომებით. ამ შემთხვევაშიც სამართლიანობის საყრდენი წყარო ისევ გულია.

მარხვა ანგრევს ადამიანსა და გულს შორის არსებულ უმადურობისა და ცოდვების კედელს, ჯაჭვებისგან ანთავისუფლებს ვნებების მახეში გაბმულ გულს და მისთვის შესაფერის სამყაროში წაიყვანს. ამისათვის საჭიროა გრძნობების ხორციელი ვნებებისგან განწმენდა და გულის გაძლიერება უზენაესი ალლაჰის ხსენებით. მარხვა იხსნის ვნებების სათამაშოდ განწირულ გულს და მას სულერი სინატიფისა და ბარაქიანობის შესაძენად მოამზადებს, რის შემდეგაც ადამიანი რწმენის ნამდვილ გემოვნებას შეიგრძნობს.

ალლაჰის შუამავალი ხშირად წარმოთქვამდა შემდეგ ვედრებას: „ღმერთო ჩემო! შენ ხარ ვინც აღწევს ადამიანთა გულებში, გთხოვ ჩემი გული განმიმტკიცე რწმენაში“. (თირმიზი, დეავათი, 89) თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „ო, ალლაჰის შუამავალო, განა გაქვს ჩვენი გულების ურწმუნოებასა და უმადურობაში ჩავარდნის შიში, მას შემდეგ, რაც ჩვენ წრფელი გულით ვიწამეთ შენი და შენს მიერ მოტანილი ყურანის? შუამავალმა (ს.ა.ს.) მიუგო: „დიახ, რამეთუ გულები უზენაესი ალლაჰის ორ თითს შორისაა, თუკი ინებებს (რწმენას ურწმუნოებით) შეცვლის. ამ სიტყვებით იგი აღნიშნავდა იმას, რომ მორწმუნე სულ მუდამ შიშსა და იმედს შორის უნდა იყოს. (იბნი ქესირ, თეფსირი, II, 298) თუკი ადამიანი ჩადენილი ცოდვების გამო უზენაესი ალლაჰისგან იმედს მოიწყვეტს, ასეთი დამოკიდებულება მას უფრო მეტად დააზარალებს. რამეთუ უზენაესი ალლაჰისგან მხოლოდ ისინი მოიწყვეტენ იმედს, ვინც გზააბნეულობის მორევში ჩაიძირებიან. (ჰიჯრი, 15/56) რა თქმა უნდა, ალლაჰის მოწყალება უკიდეგანოა, თუმცა ამასთან დიდი უბედურება ის არის, რომ განუწყვეტლივ ცოდვის ჩამდენი ადამიანი მიენდობა „ალლაჰის მოწყალე-

ბისა და მიტევების უკიდეგანობას“ და ჩადენილი ცოდვებისადმი სინანულის გამოხატვის მიმართულებით სიზარმაცეს გამოიჩენს. სწორედ მარხვაა, რომელიც წინ აღუდგება ორ მთავარ მიდრეკილებას, როგორიცაა ნაკლებობა და ზღვარგადასულობა, ამასთან იგი ადამიანს შიშისა და იმედის ზომიერებამდე აღამაღლებს.

მარხვა, რომელიც ადამიანის სულიერი აღმზრდელობის ესოდენ მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს, იგი მონა-მსახურის გულს დამძიმებული ცოდვების ნარჩენებისგანაც გადაარჩენს. ამრიგად მარხვა, ადამიანს ქვემოთ მოცემული აიათის შემდეგ საიდუმლოებას შეამეცნებინებს. „უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული) ვინც განიწმინდა იგი“! (შემსი, 91/9) ისე როგორც მოწყალება და ზექათი მორწმუნეს ცოდვებისგან განწმენდს და აღამაღლებს, (თევბე, 9/103) ასევე მარხვა, როგორც სხეულის ზექათი, ადამიანს ვნებების ბატონობის კლანჭებისგან გადაარჩენს. (იბნი მაჯე, სიამი, 44)

ადამიანი, რომელიც მარხვის წყალობით რწმენის გემოს შეიგრძნებს, ვნებების სიცარიელეს სულირი საკვებით შეავსებს. მარხვა მოაწესრიგებს კუჭის მიერ საკვების დაჟინებულ მოთხოვნას, მადას, ჭამის უსაზღვრო სურვილს და ბარაქიანი ლუკმებით სხეულის გამოკვებას ასწავლის. ალლაჰის შუამავალი რაოდენ შინაარსიანად აღწერს ადამიანს. ის (ს.ა.ს.) ბრძანებს: „ურწმუნო ადამიანი ნაწლავების ყოველი კვანძის გავსებამდე ჭამს, თუმცა ისევ ვერ გაძღება, თუმცა მორწმუნისთვის ერთი თასი რძეც კი საკმარისია იმისათვის, რომ გაძღეს. ურწმუნო შვიდ თას რძეს დავლევს და მხოლოდ მაშინ ანებებს თავს“. (თირმიზი, ელ-ეტ’იმე, 20; მუსლიმი, ელ-ეშრიბე, 182)

მარხვა სხვა ღვთისმსახურებისგან იმით გამოირჩევა, რომ იგი ადამიანს განუწყვეტლივ ახსენებს დიად გამჩენს. რამეთუ მარხვა, როგორც ღვთისმსახურება, იმსაქსა და იფთარს შორის ხანგრძლივ პეიროდს მოიცავს. უფრო მეტიც, თუკი გავითვალისწინებთ რამადნის თვის საჰურსა და თეჰეჯუდის ლოცვას, დავინახავთ, რომ მარხვა ეს არის ღვთისმსახურება, რომელიც დილიდან გვიან ღამემდე გრძელდება. ამრიგად მორწმუნე ადამიანი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში განუწყვეტლივ ახსენებს დიად გამჩენზე.

ჯარხული ადამიანი, გაწიწყვეტს რა ვნებების ჯაჭვებს, უზენაესი ალლაჰის მტკიცე თოკს ჩაეჭიდება. მაშინ, როცა ვნებები ადამიანს ეგოიზმისკენ უბიძგებს, როდესაც იგი უზენაესი ალლაჰის თოკს მტკიცედ ჩაეჭიდება, თავს სოციალურ არსებად იგრძნობს. რამადნის თვის განმავლობაში შესრულებული კოლექტიური ღვთისმსახურებები ერთიანობის გრძნობას სულით ხორცამდე განამტკიცებს. მორწმუნეები ერთმანეთის მიმართ მტკიცედ შეკრულ კედელს გვანან". (ბუხარი, სალათი, 88) რამადნის თვეში მორწმუნეები განსაკუთრებით შეიკრებიან ვით ერთი სხეული. მდიდარი და ღარიბი ერთ მწკრივში ილოცებენ, ერთ სუფრას ერთად მიუსხდებიან. ზექათის, ფითრისა და ფიდიეს –გამოსასყიდის განაწილებით მდიდარსა და ღარიბს შორის ზღუდე გარკვეულწილად შემცირდება.

წინაპრები იტყოდნენ: „ყაირათიანობა ყველაზე დიდი სიმდიდრეაო". მარხული ადამიანი, რომელიც შიმშილს გრძნობს, ასე შეიმეცნებს ღარიბის მდგომარეობას და უკეთ მიხვდება მცირედით კმაყოფილების მნიშვნელობას. ამ განცდის შემდეგ იგი უარს იტყვის ფუჭად ხარჯვაზე. რამეთუ ალლაჰის შუამავალის სიტყვები „ყაირათიანობა ულევი ხაზინაა", ყურებში დარიგებად ჩაგვესმის მუდამ. (ბეიჰაქი, ზუჰდი, 2/88) ადამიანი, რომელიც ადრინდელისგან განსხვავებით უკეთ გაიგებს სარჩოს ფასს, დიადი გამჩენისადმი მადლიერებას კიდევ უფრო ხშირად გამოხატავს. მაშინ ალლაჰის შუამავლის სიტყვებს, „ ცხოვრებაში საარსებო სირთულეს არ წააწყდება ის, ვინც გამოიჩენს ყაირათიანობას". (იბნი, ჰანბელი, I, 446) ცხოვრების უმთავრეს კრიტერიუმად დაიდგენს".

„...ნუთუ არღა იქნებიან მადლიერნი"?! (იასინი, 36/35) „და ღმერთისადმი მადლიერთ სამაგიეროს გადავუხდით ჩვენ". (ალი ღიმრანი, 3/145) მოცემული აიათები მორწმუნის გულში განსაკუთრებულად ამოიტვიფრება. მარხვა ადამიანს იხსნის ყოველგვარი ბოროტების, უყურადღებობისა და განშორებისგან. მარხვაა, რომელსაც შეუძლია ადამიანი ღვთისმსახურების, სიბრძნისა და სინდისის კედლებით შემოსაზღვრულ მონა-მსახურებამდე აღამაღლებს.

მარხვა, პიროვნებას რამადანისა და ყადირის ღამის ფასს ასწავლის, რაც მას დროის აღქმის შემეცნებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. ადამიანი ღამის ღვთისმსახურებისთვის დადგომით, თერავიჰისა და რამადნის თვეში შესრულებული თეჰეჯუდის ლოცვით, ეშმაკის მიერ კისერში დადებულ გამონასკვულ კვანძებს ცალკეულად შემოიხსნის, რითაც დისციპლინური ცხოვრების ბედნიერებას შეიგრძნობს.

ეს თვე, მორწმუნის ცხოვრებაში დიადი გამჩენისადმი ვედრებისა და ცოდვების მიტევების საუკეთესო პერიოდი და წყალობით აღსავსე ხაზინაა, რომელსაც იგი ამ თვეში სრულად აითვისებს. ძალიან დიდი დრო ექნება იმისათვის, რომ უკეთ დაფიქრდეს ყურანზე. ცოდვებით დაფარულ ადამიანის გულსა და გონებას რამადნის წყალობით ფარდა აეხდება და ზოგიერთი აიათის არსს ისე წაიკითხავს, თითქოს პირველად ჩაესმოდეს. ყურანის კლიმატში იმოგზაურებს და გაიხსენებს, რომ სიკვდილი სადღაც ახლოსა. მატერიალური ღირებულებებით აგებულ მტკიცე კოშკებში, როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ მას სიკვდილი ვერ მისწვდება, რამადნის გახსენებით გონების კიდეებში ექოს სახით ჩაესმება ყურანის შემდეგი სიტყვები: „სადაც არ უნდა იყოთ, სიკვდილი მოგწვდებათ თქვენ, თუნდაც რომ იყოთ მტკიცე კოშკებში“. (ნისა, 4/78) მისთვის გარდაუვალი გახდება ფიქრი განკითხვის ადგილზე, როგორც ქუჩაში გასვლა, და ბეწვის ხიდზე, როგორც ხიდი, რომელსაც ყოველდღეს გაივლის.

ადამიანი დაინახავს სარჩოს მატებას და თუნდაც მშიერი იყოს, მატერიალური ღირებულებისადმი მიდრეკილების შემცირებული გრძნობა თავის ეგოს სრულად მოიცავს. მაშინ მის ძარღვებში რწმენა სისხლთან ერთად ამოძრავდება და იგი სიცოცხლის წყაროდ დაიწყებს დინებას.

ადამიანი, რომელიც ცოდნის ფასს გაიგებს, როდესაც წიგნთაგან ყველაზე ძვირფას და ყოველთვის მი-მოქცევაში არსებულ, ცოდნის ულევ ხაზინას – ყურანის ფურცლებს თვალს გადაავლებს, ღვთის უკიდეგანო ცოდნის ნიაღვარში ჩაიძირება და ღრმა ფიქრებს მიეცემა. აიათში ვკითხულობთ: „ქვეყანაზე რაც კი ხეა, ყველა კალმად რომ იქცეს,

ხოლო ზღვა მელნად და მას რომ წაეხმაროს შვიდი ზღვა, მაინც არ ამოიწურება ალლაჰის სიტყვები. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია“! (სურა ლუყმანი, 31/27)

მარხვა ადამიანში ერთგულების გრძნობას გაამდიდრებს. ასწავლის იმასაც, თუ რას ნიშნავს ამანათზე ღალატი და სარჩოს მბოძებელი რომ ის, ერთად ერთია. ამასთან ჩასწვდება, რომ თავად მხოლოდ მონა-მსახურია, რომელიც სარჩოს საძიებლად საშუალებებს დაეძებს.

მარხვა, როგორც სხეულის ზექათი, ორგანიზმში დაგროვილი საზიანო ნაწილაკების თავიდან მოსაშორებლად ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ადამიანის სხეული, რომელიც სხვა არსებების ორგანიზმისგან მეტწილად განსხვავებულია, მასში ფიზიკური და სულიერი საიდუმლოება ჰარმონიულად არის შეწყობილი, რომელიც ამ თვეში ერთგვარ განახლებას განიცდის. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „იმარხეთ, რათა ჯანმრთელობა მოიპოვოთ“. (მუნზირი, თერღიბი, 2/206)

მარხვის ღვთისმსახურება, ლოცვა, მოწყალება, ზექათის გაცემა, სიკეთისკენ მოწოდება, ბოროტების აღსაკვეთად ზრუნვა და ურთიერთ თანადგომა, გამოსასყიდია ისეთი მოსალოდნელი არეულობისა და სირთულეებისა, როგორიც შესაძლოა დაატყდეს ადამიანის ოჯახს, ქონებას, შვილებსა და მეზობლებს. (მუსლიმი, ფითენი, ეშრათუს-საა, 26)

რამადნის მარხვა სამოთხის ის ბაღია, სადაც სასოწარკვეთილთა იმედები იბადება და ხარობენ. მარხვა, მოულოდნელად თავს დამტყდარი სირთულის წინააღმდეგ ადამიანს გამძლეობას ასწავლის. რამადანი ეს არის თვე, რომელიც შეიძლება შევაფასოთ, როგორც საკუთარი შვილების, ასევე მომავალი თაობისთვის რელიგიის სწავლების შეუდარებელ პერიოდად.

მარხვა, ეს არის ღვთისმსახურება, როცა მთელი სხეული და ორგანიზმის თითოეული უჯრედი ერთად ახსენებენ ალლაჰს. მარხვა ეს არის მოწყალების ზღვაში ღვთის კმაყოფილებისკენ მიმართული სამეფო ნავი. მარხვა ეს არის პერიოდი, როცა პატარები უფროსებზე უკეთ გრძნობენ სამოთხიდან მონაბერ სიოს.

კეთილი იყოს შენი მობრძანება,
ძვირფასო რამადნის მთვარევ!

ხვალ რამადანის პირველი დღეა,
ისევ სახლისკენ ლტოლვა იღვიძებს.
ბავშვობის ტკბილი მოგონებები,
როგორც გუშინ, ისე მაქვს გულში

პატარა სოფლის პატარა უბანი,
საოცარია ეს მღელვარება
სამზარეულოს ხვავი-ბარაქა
და გემრიელი კერძები ცხვება.

ვედრება, ბევრი ვედრება მავედრებელი ლამაზი
ადამიანები
ეზნის ლოდინში
როგორც შუა ზაფხულში წამოსული წვიმა
გვაბედნიერებს,
როგორც გვახარებს ზარდახშიდან საუკეთესო
სამკაულის შერჩევა.

ძალიან მომენატრა ბავშვობის დროინდელი მარხვის დღეები
გამთენიისას მედოლის ხმა ქუჩებში
ეს ხმა ჩვენს ოჯახებში სულ სხვა სიხარულს იწყებდა.

მამა იღვიძებდა,
პიჟამოებით, ფეხზე ჩუსტებით
აიღებდა დოლს და მთელი სერიოზულობით
ურტყამდა და ურტყამდა

ყოველი სახლის კარის წინ
მძინარე მეზობლებზე განსაკუთრებული მზრუნველობით
სახელებსაც კი ეძახდა.
ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე მეზობლები,
იღიმებოდნენ

და მერე,
სიხარულის ნიაღვარი
მედოლის გაცილებისას,
ხელს ართმევდნენ.
მრავალნაირი ნუგბარით უმასპინძლდებოდნენ.

იმ ღამეებში ნალოცი თარავი
მეზობელზე გაწეული დახმარების ხელი
ყურანის კითხვა, მუყაბელე
სიყვარულისთვის გაშლილი ხელი.

და ვედრება ბევრი, გულწრფელი და გულისმიერი
ვედრება მათთვის ვინც გულში გვყავდა
და მოთმინებით, უსაზღვროდ ბედნიერი
მორწმუნის ღიმილი ნათებას ჰგავდა.

თვალებს ძილი ენატრებოდა,
სულებს სიახლოვე ღმერთთან,
თაყვანისცემა და ღვთისმოსაობა
მორწმუნეთა დგომა ერთად.

და როგორც ერთი წვეთი ცრემლისა
მომავალ ბაირამს სიხარულს ჰმატებს.
ბავშვებს ტანსაცმელი, სუფთა ქათქათა,
მასპინძლის ღიმილი სიკეთეს ანთებს.

ყველა მასპინძლობს, ყველა გპატიჟებს,
ბავშვებს სჩუქნიან ტკბილეულ ნუგბარს
სწრაფად გავიდა ეს რამადანი
წყალობის ზღვიდან ჩვენს წილს ვღებულობთ
ეს ყველაფერი,
ჩვენს გულებში მოედინება
მაცოცხლებელი

წყლის მსგავსად

მ.. მარხვის ჯილდო

განკითხვის დღეს, როცა მარხვა ლოცვასთან და ზექათთან ერთად ღვთის წინაშე წარსდგება, უზენაესი ალლაჰი შემდეგი საქები სიტყვებით მიმართავს: “თითოეული თქვენგანი კეთილი ქმედებანი ხართ“. ამის შემდეგ ისლამი სეჯდეზე დაემხობა ღვთის წინაშე... (იბნი ჰანებლი, II, 363) და ყველა ერთად ხელჩაკიდებული მორწმუნეს სამოთხეში შეიყვანენ.

ლოცვის აღმსრულენი სამოთხეში მლოცველთა კარიდან შევლენ, ღვთის გზაზე მებრძოლნი, მებრძოლთა კარიდან, მოწყალების გამცემნი მოწყალების კარიდან, ხოლო მარხულები „რეიიანის“ სახელობის კარიდან შევლენ სამოთხეში. (მუსლიმი, ზექათი, 163) მორწმუნეები, რომლებსაც სწამთ და რწმენის შესაბამისად მოქმედებენ, უფლება ექნებათ სამოთხეში სასურველი კარებიდან შევიდნენ. „რეიიანის“ კარი, ეს მოწყურებულთა კარია, რომელებსაც წყუროდნენ, თუმცა უარს ამბობდნენ წყალზე. „რეიიანი“ ეს არის კარი, საიდანაც სამოთხის ბაღებში შეისვლება და სადაც ძირს მდინარეები მიედინება.

„რეიიანი“ ეს არის სამოთხის კარი, საიდანაც ისინი შევლენ, ვისაც მარხვის გამო შიმშილმა პირში სუნი გაუჩინა, თუმცა ისინი ალლაჰის წინაშე მისქზე (საიამოვნო სურნელება) უფრო სასიამოვნო სუნს აფრქვევენ.

მშვიდობისა და სიმშვიდის სამყაროს კარები გაღებულიყო, ხოლო ჯოჯოხეთის კარები საგულდაგულოდ ჩარაზულიყო. რათა მორწმუნეები, რომლებიც რამადანს მოესწრენ, მშვიდად შეძლონ მარხვა, ჩადენილი ცოდვების გამო მიტევება ითხოვონ, ალლაჰს დაუახლოვდნენ და დიადმა გამჩენმა ისინი „რეიიანის“ კარებიდან სამოთხეში დაამკვიდროს.

მორწმუნეები, რომლებიც აგვისტოს სიცხეში ითმენენ წყურვილს, ჯილდოდ დაიმსახურებენ სამოთხეს, სადაც ისინი უზენაეს ალლაჰს მადლიერებას სწირავენ. სწორედ მაშინ აღსრულდება დიადი გამჩენის შემდეგ აღთქმა: „ადამიანის ყოველი ქმედება თავადვე ეკუთვნის, თუმცა მარხვა სულ სხვაა. რამეთუ ის მე მეკუთვნის და მის ჯილდოს მბოძებელიც მე ვარ“. (მუსლიმი, სიამი, 163)

რამადნის თვეში შესრულებული ერთი ქმედება ათას მადლამდე ფასდება. მხოლოდ რამადანი მოიცავს ოთხმოცი წლის მადლიანობის ტოლფას პერიოდს. „უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მიზნით დაცული ერთი დღე მარხვა, მორწმუნეს ჯოჯოხეთის სამოცდაათი წლის სასჯელისგან იხსნის“. (მუსლიმი, სიამი, 167) დიახ, ერთი დღე მარხვა, არათუ სამოცდაათი დღის, არამედ სამოცდაათი წელი ჯოჯოხეთის სასჯელისგან გადარჩენის ტოლია...

ალლაჰის შუამავალი ხომ ბრძანებს: „მათ ვინც რწმენითა და

ჯილდოს უზენაესი ალლაჰისგან მოლოდინით რამადანის თვეს მარხვაში გაატარებს, წარსული ცოდვები მიეტევება“. (ნესაი, იმანი, შერაიუჰუ, 21) სწორედ ასე, როცა მორწმუნეები ქევსერის წყლით დარწყულდებიან, ამავე დროს ალლაჰის შუამავლის ნათელით მოცულ სახის ცქერით დატკბებიან.

ალლაჰის შუამავალი მიმართავდა რა ქა’ბ ბინ უჯერს ეუბნებოდა: „ო, ქა’ბ! ლოცვა, პიროვნებისთვის მუსლიმობის სიმბოლოა. რაც შეეხება მარხვას, ის მტკიცე ფარია. მოწყალების გაცემა ადამიანის ისე განწმენდს ცოდვებისგან, როგორც წყალი ჩააქრობს ცეცხლს. ჰარამი საკვებით შემდგარ ხორცსა და ძვლებს, მხოლოდ ცეცხლში ყოფნა შეშვენის. (თირმიზი, ჯუმა, 79) მორწმუნეებისთვის ლოცვას მოწმეობა გაუწევია, მოწყალებას ცოდვებისგან განწმენდა უტვირთია, ხოლო მარხვას ჯოჯეხეთის წინ ფარის ფუნქცია უტვირთია. უზენაესი ალლაჰი მისი კმაყოფილების მიზნით მარხულ მორწმუნესა და ჯოჯოხეთის ცეცხლს შორის დედამიწისგან ზეცის სიშორის ოდენა ბარიერი დაუდგენია. (თირმიზი, ფედაიულულ ჯიჰადი, 3)

ალლაჰის მოწყალება უკიდეგანოა. ყურანში ვკითხულობთ: „გარდა მათი, რომელთაც მოინანიეს, გამოსწორდნენ და ნათელი მოჰფინეს ჭეშმარიტებას; მაშ, აი მათ მონანიებას მივიღებ, ვინაიდან, მე ვარ მიმტევებელი, მწყალობელი! (ბაყარა, 2/160) ღვთიური ცნობის ადრესატი მორწმუნე, სიხარულით ცას ეწვია. „უეჭველად, რომელთაც უარყვეს და ისე მოკვდნენ, რომ ურწმუნოებად დარჩნენ, მათზეა წყევლა ალლაჰისა, ანგელოზებისა და ყველა ადამიანისა! (ბაყარა, 2/161) ზემოთ მოცემულ აიათისა და ალლაჰის შუამავალის ჰადისში, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, გაცხადებულმა ხარებამ მორწმუნის ვაჭრობა საკმაოდ მომგებიანად წარმართა. მორწმუნე ადამიანი იმდენად ბარაქიანია, ვით მედინას უხვმოსავლიანი და ყველაზე ძვირფასი ხურმა.

ეპილოგი – დასკვნითი სიტყვა

ჰირას ცრემლები

ჰირა, ეს არის ადგილი სადაც ღვთიური პირველი ზეშთაგონება გარდმოევლინა და სადაც მუჰამმედ მუსტაფამ

(ს.ა.ს) პირველად ესაუბრა მთავარანგელოზ ჯიბრილს (ა.ს.)... ჰირა, ეს არის ქვის კედლები -გამოქვაბული, რომელმაც გაიზიარა ალლაჰის შუამავლის წუხილი მაშინ, როცა არავის ანაღვლება ქა'აბაში განლაგებული კერპები, გარდა მისი...

ეს არის კედლები, რომლებმაც იხილა ზეშთაგონების ზეგარდმოვლენა. დიახ ქვის კედლებია, რომლებმაც თავად შეიგრძნოს პირველმა მუჰამმედ მუსტაფას (ს.ა.ს.) სურნელი...

დიახ, ჰირას კედლები იყო, რომელიც გამოსცემდა ექოს „იკითხე"... ჰირა დაბნეული, ჰირა ამაყი იყო. ზეშთაგონება ბენელ გამოქვაბულში სინათლედ მი-მოიფინა. ჰირა, თითქოს ანგელოზთა სამყაროს ცქერად გადაქცეულიყო და კაცობრიობის თვალისჩინთან -მუჰამმედ მუსტაფას (ს.ა.ს.)-თან ერთად კაცობრიობას გაჰყურებდნენ.

ჰირას ცრემლები ყოველთვის ისე ჩაიღვრება მორწმუნეთა გულებში, როგორც პირველი ზეშთაგონება.

ჰირა, არა მხოლოდ უბრალოდ გამოქვაბული, არამედ გამოქვაბული, რომელმაც ჯიბრილი (ა.ს.) და მუჰამმედულ ემინი ჩაიკრა გულში. ჰირა, გამოქვაბული რომელიც ალლაჰის შუამავლისადმი მონატრებით დაღვრილ ცრემლებს, მარხვითა და აღვლენილ ვედრებებით მოწმენდს.

ჰირას მონატრებას, არაფატი, მესჯიდი ნები –შუამავლის მეჩეთი, ბეითულლაჰი –ალლაჰის სახლი, მესჯიდი აყსა, -აყსას მეჩეთი და ყუბა გაიზიარებს. მისი მონატრება და სიყვარული მოივლის სხვადასხვა ქვეყნებს, ქალაქებს, უბნებსა და მთელს დედამიწას.

რამადნის თვეში ჩვენი სახლები ჰირას დაემსგავსება... ჩვენს სახლებში ზეციდან ანგელოზები გვესტუმრებიან ისე, როგორც ალლაჰის შუამავალი შეხვდა მთავარანგელოზ –ჯიბრლის. ისინი მოწმეობას გაგვიწევენ აღვლენილი ვედრებისა და შესრულებული ყველა ლოცვისთვის...

ყოველ რამადანს ქალბატონები, ჰირადან სახლში ათრთოლებული გულით ხატიჯესთან დაბრუნებული ალლაჰის შუამავლის მსგავსად, რომელიც ითხოვდა „დამაფარეთ,

დამაფარეთ“, ემოციურად განიცდიან. ისინი განიცდიან რა მართლმორწმუნეთა დედის –ხატიჯეს რწმენასა და ერთგულებას და მონატრებით შორეულ ფიქრებში იძირებიან.

მშობლები ყოველ რამადანს ისე ჩაიკრავენ შვილებს, როგორც ჯიბრილმა (ა.ს.) ჩაიკრა გულში მუჰამმედი (ს.ა.ს), როგორც ალლაჰის შუამავალი ჩაიკრავდა გულში ფატიმას, ხასანსა და ჰუსეინს...

ყოველ რამადანს მეჩეთები ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც შუამავლის მეჩეთი (მესჯიდი ნები). სახლები, როგორც ჰირას გამოქვაბული, ყურანის ჭეშმარიტებით გაბრწყინდეს...

საჰურის დროს განათლებული ყოველი სახლი, პირველი ზეშთაგონების ნათებას წარმოდგენას გვიქმნის.

ჰირა, თითქოს ანგელოზთა სამყაროდან ბეითულლაჰისკენ იცქირებოდა. ყოველ ყადირის ღამეს დედამიწაზე გამოცხადებულ ჯიბრილს (ა.ს.) მუჰამმედი (ს.ა.ს.) ეკითხება...

მაშ, ჩუმად მოვუსმინოთ...

***

ჰირას ცრემლები მორწმუნეთა გულებში ჩაიღვაროს...

ჯიბრილის ფრთების ხმა, ხანდაზმული ვარაყა ბინ ნევფელის სიტყვებს, „ნეტავ შენს შუამავლობას მეც მოვსწრებიდი“ შეერიოს.

ყოველ რამადანს ჩვენს ოჯახებში ჰირას ცრემლები ჩაიწვეთოს...

გულებს ესმოდეს ჰირას ხმა...

გულები ისე გასცქეროდეს ალლაჰის ტახტრევანს, როგორც ბეითულლაჰი ბეითულ მა’მურს.

ხელის გულები ზეცისკენ აღვაპყროთ, რათა ხელები ანგელოზებმა ჩაგჭიდონ...

და ბოლოს, ჩვენი ცრემლები შეერიოს ჰირას ცრემლებს, რათა ყოველ რამადანს ცოდვებისგან განვიწმინდოთ...

წყაროები

აბდურრეზზაქ ბ. ჰემმამ ეს-სანანი, მუსანნეფ, მუჰამმედ აბდუსსელამ შაჰინი. დარულ-ქუთუბილ-ილმიე. ბეირუთი. 1995.

აჰმედ ბ. ჰანბელი. ელ-მუსნედ. I-VI, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი, 1981.

ელ- ბეიჰაქი, ებუ ბექრ აჰმედ ბ. ელ-ჰუსეინი. ეს-სუნენულ ქუბრა. ებუ აბდულლაჰ აბდუსსელამ. მექთებეთურ-რუშდ. რიად, 2004.

ბილმენი, ომერ ნასუჰი. დიდი ისლამის ილმიჰალი. გამომცემლობა სემერყანდი. სტამბოლი, 2003.

ელ-ბუჰარი, მუჰამმედ ბ. ისმაილი. ელ-ჯემიუს-საჰიჰ. მოამზადა სალიჰ. ბ. აბდულაზიზმა. დარუსსელამი. არაბეთი. 2000

ედ-დარიმი, აბდულლაჰ ბ. აბდურრაჰმანი. ეს-სუნენ. I-II, ფევვაზ აჰმედ ზუმერლი-ჰალიდ ეს-სები, ელ-ალიმი. დარულ-ქუთბულ არაბი. ბეირუთი, 1987.

დიანეთი, ისლამის ილმიჰალი. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა. ანკარა, 1995.

ებუ დავუდი, სულეიმან ბ. ეშას ეს სიჯისტანი. ეს-სუნენ, I-IV, ჰზ. მუჰამმედ მუჰიდდინ აბდულჰამიდ, ელ-მექთებეთულ-ისლამი, სტამბოლი.

ერული, ბუნიამინ ქელეში, ექრემი, ჰაჯის არსი. ჰაჯის სიბრძნე და მისი შესრულება. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა. ანკარა 2004.

ელ-ჰაქიმი, ენ-ნისაბური. მუჰამედ ბ. ბდულლაჰი, ელ-მუსთედრექ ალეს-საჰიჰაინ. ჰამდი ედ-დემირდაშ მუჰამმედ. ელ-მექთებეთულ-ასრიე. მექა, 2000.

იბნ ები შეიბე, ელ-მუსანნეფ, ჰაბიბურრაჰმან ელ-აზამი, ელ-მექთებულ-ისლამი. ბეირუთი, 1983.

იბნ ჰიშამი, ეს-სირე, ჯემალ საბითი. ქაირო, 2004.

იბნ ქესირი, თეფსირულ-ყურანილ-აზიმ. სამი ბ. მუჰამმედი. სელამე. დარუთ-თაიბე, 1999.

იბნ მაჯე, ებუ აბდულლაჰ მუჰამმედ ბ. იეზიდი. ეს-სუნენი. I-II მუჰამმედ ფუად აბდულბაქი. დარულ-ჰადის, ქაირო, 1994.

მევლანა, შიბლი, ასრი საადეთ, (ისლამის ისტორია) I-V, თარგმნა: ომერ რიზა დოღრული. გამომცემლობა ესერი. სტამბოლი 1977.

მუბარექფური, მუჰამმედ ბდურრაჰმან ბ. აბდურრაჰიმ. (ვ. 1353/1934) თუჰფეთულ აჰვეზი ბიშერჰი ჯამიით-თირმიზი. I-IX.

აბდულვაჰჰაბ ბდულლატიფ, დარულ ფიქრ. ბეირუთი

ელ მუნავი, აბდურრაუფ, (ვ. 1031/1622) ფეიზულ ქადირი, შერჰულ ჯამიის-საღირ. I-VI, ეგვიპტე 1356/1938.

მუსლიმი, ებულ ჰუსეინ იბნულ ჰაჯჯაჯ ელ ქუშეირი (ვ. 261/ 874)

ელ ჯამიუს-საჰიჰ. I-III, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 1999.

ენ-ნედვი, ებულ ჰასენ ალი ელ ჰასენი, ეს-სირეთუნ-ნებევიე. (შუამავალი (ს.ა.ვ) მორალი და ცხოვრება) თარგმნა: ჶსმან ქესქიოღლუ, ისლამი ნეშრიათი, სტამბოლი 2007.

ებუ დავუდი, სულეიმან ბ. ელ-ეშას ეს-სისიტანი, ეს-სუნენი, I-IV, მუჰამმედ მუჰიდდინ აბდულჰამიდ, ელ-მექთებეთულ ისლამი, სტამბოლი.

იბნ მაჯე, ებუ აბდულლაჰ მუჰამმედ ბ. იეზიდ ეს-სუნენ, I-II,

მუჰამმედ ფუად აბდულბაქი, დარულ-ჰადის, ქაირო, 1994

მალიქ ბ.ენესი. ელ-მუვათთა. I-II, მუჰამმედ ფუად აბდულბაქი, დარულ-ჰადის, ქაირო, 1996

მუსლიმ, იბნულ ჰაჯჯაჯი, ელ ყურეიში. ელ ჯამიუს-

საჰიჰ. (მევსუათულ-ჰადისი შერიფ) სალიჰ. ბ. აბდულაზიზი. დარუსსელამი, არაბეთი, 2000.

ენ-ნესაი, ებუ ბდურრაჰმან აჰმედ ბ. შუაიბი.

ეს-სუნენ, სტამბოლი 2002

რაგიბ ელ-ისფეჰანი. ჰუსეინ ბ. მუჰამმედი. 1987.

ელ-მუფრედათ ფი გარიბილ ყურან. სტამბოლი, 2003.

ეთ-თირმიზი, ებუ ისა მუჰამმედი (ვ. 279/892) ელ-ჯამიუს საჰიჰ.

(სუნენ) სტამბოლი 1979.